340.1(075.8)
შ-32

შოთა ფაფიაშვილი

შესავალი იურიდიულ სპეციალობაში



340.1(075.8)
ვ-32

ვოთა ჭაფიაშვილი

შესავალი იურიდიულ სპეციალობაში



გამომცემლობა „მერიდიანი"
თბილისი 2006

უაკ (UDC) 343.9
ფ 324

ნაშრომი გაწკეთვნილია უმაღლესი იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებისა და ახალგაზრდა ლექტორებისათვის სახელმძღვანელოდ. იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს ადრეული ფარითი საზოგადოებრიობას გაეცნოს იურიდიული კადრების მომზადებისა და მათი პროფესიული ორიენტაციის საკითხებს; იურისტის პროფესიული საჭიროების ძირითად მიმართულებებს; იურიდიული მეცნიერების რილისა და მნიშვნელობას მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში; სასამართლო რეფორმის მიმდინარეობისა და ამ მიმართებით წამოჭრილ ისიათლებს; იურიდიული სამსახურის ზოგიერთ თავისებურებებსა და ძირითად იურიდიულ ტერმინოლოგიას; ქართული იურიდიული აზროვნების განვითარებისა და მისი თანამედროვე მდგომარეობისათვის დამახასიათებელ პრობლემებს; ტრადიციული სამართლის დარგების ძირითად ღებულებებსა და სხვა აქტუალურ საკითხებს.

რედაქტორი პროფესორი **შ. ფიცხელაური**

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ვ. ლორია**

საქართველოს გენერალური პროკურატურის
გენერალური ინსპექციის პროკურორი,
სამართლის დოქტორი **ბ. შეურმაშვილი**

ნაშრომი რეკომენდებულია **სახელმძღვანელოდ** უმაღლესი იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებისათვის საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის იურიდიული ფაკულტეტის იურიდიული დისციპლინების კათედრისა და ასევე უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური საბჭოს მიერ.

© გამომცემლობა „შერიდიანი", 2006
© შ. ფიცხელაური

ISBN 99940-46-78-0

შესავალი

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ოცნების – თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო სტატუსის მოპოვების, ქარიული სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობისა და დემოკრატიის განვითარების დაწყების პირველსავე ეტაპზე დღის წესრიგში დადგა საზოგადოებრიობის ფართო მასების აღზრდა სამართლებრივი კულტურის თვალსაზრისით, მათი აქტიური ჩაბმა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის საქმიანობაში და თვით სასამართლო რეფორმის დაწყების ფართომასშტაბიან წარმოებაში.

ამ დიდი პრობლემატური საკითხების წარმატებით გადაწყვეტა, ცხადია, შეუძლებელი იყო მარტოოდენ ცალკეული თვალსაჩინო იურისტების სამართლებრივი პროპაგანდით. ამას ემატებოდა ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა განიცდიდა კვალიფიციური იურიდიული კადრების ნაკლებობას, რადგან საქართველოში უმაღლესი სასწავლებლებიდან მხოლოდ ერთადერთი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ისიც საკმაოდ შეზღუდული (30-50 სტუდენტის) რაოდენობით, ამზადებდა იურიდიულ კადრებს. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ კომუნისტური წყობის პერიოდში ყველა უმაღლესი სასწავლებლის პროგრამებს, სპეციალობებსა და ასპიტურიტურა მისაღებ კონტინგენტს ფაქტობრივად მოსკოვი ამტკიცებდა. ჩვენი სასწავლო პროგრამებიც მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროგრამებიდან ითარგმნებოდა. თითოეულ საგანში სალექციო, პრაქტიკულ სემინარული და ლაბორატორიული მუკადნეობების საათების რაოდენობაც მათ შესაბამისად ნაწილდებოდა. სასწლმწიფოს მიერ ლადგენილი მისაღებ პირთა მცირე კონტინგენტის გამო იურიდიულ ფაკულტეტზე ყოველ წელს დიდი კონკურსი იმართებოდა და საკმაოდ მომზადებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უმაღლესს სასწავლებლის გარეთ რჩებოდა.

საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა ფართოდ გაუღო კარი იურიდიული მეცნიერების დაუფლების სურვილით აღტ-

კინებულ ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას. ამას დაემატა აგრეთვე საქართველოში კომერციული ინსტიტუტების ქსელის გაფართოება, სადაც თითქმის ყველგან, უკლებლივ, იურიდიული ფაკულტეტი იქნა გახსნილი და მასში სტუდენტთა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა იმავე უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში სხვა სპეციალობით მოსწავლე სტუდენტთა რაოდენობას, რომელთა ჩარიცხვა, უმეტეს შემთხვევაში, ხდებოდა გასაუბრებით და პირველი კურსის სტუდენტთა დაკომპლექტება წარმოებდა სამართალმცოდნეობის სპეციალობით აბსოლუტურად მოუმზადებელი აბიტურიენტებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა ერთგვარად განაპირობა იურიდიულ ფაკულტეტებზე ახალი იურიდიული დისციპლინის — „შესავალი იურიდიულ სპეციალობაში" — შემოღება და მისი წაკითხვა იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელებთან.

მაღალკვალიფიციური იურიდიული სამეცნიერო კადრების სიმცირის გამო, ამ საგანს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ერთიანი პროგრამით არ კითხულობდნენ. ამიტომ, გადავწყვიტე ცალკე წიგნად გამომეცა ჩემ მიერ ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებთან წაკითხული ლექციების კურსი და იგი გასული საუკუნის 90-იან წლებში (1994 წელს) ძალიან მცირე ტირაჟით გამოვეცი. მაგრამ შემდეგ დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებისა და სასამართლო რეფორმის განხორციელების პირობებში, გარკვეულად შეიცვალა სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურა და ორგანიზაცია. ამას ემატება ისიც, რომ იმ დროს ეს წიგნი გამოცემული იქნა მცირე ტირაჟით და სადღეისოდ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ აბიტურიენტთა მისაღები გამოცდების ერთიანი ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული არაა სამართალმცოდნეობის საგნის ჩაბარება და ყველა უმაღლესი სასწავლებლის იურიდიულ ფაკულტეტზე პირველი კურსის დაკომპლექტება ხდება იურიდიულ საკითხებში აბსოლუტურად მოუმზადებელ და გაუთვითცნობიერებელი აბიტურიენტებით და, ცხადია, ეს ართულებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

უკანასკნელ წლებში ქართულ იურიდიულ ლიტერატურას შეემატა მრავალი ნიჭიერი ავტორის მიერ ცალკე წიგნებად გამოცემული საინტერესო ნაშრომი სამართლის ცალკეული დარგებისა და იურიდიული დისციპლინების მიმართებაში დაწერილი შესავალის სახელწოდებით. მაგალითად, პროფ. ლადო ჭანტურიას ნაშრომი „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში". რუსულ ენაზე გამოცემული „კრიმინალისტიკის კურსის შესავალი", შესავალი სამართლის ფილოსოფიაში და სხვ.

ზემოაღნიშნული ნაშრომებისაგან განსხვავებით, წინამდებარე ნაშრომი უფრო ფართო ხასიათისაა და მისი იურიდიული ბუნების, მიზნებისა და ამოცანების, სისტემისა და სტრუქტურის გარდა, ვიხილავ აგრეთვე ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, როგორიცაა: იურიდიული პროფესიათათვის დამახასიათებელი თავისებურებები, იურიდიული სპეციალობის დაუფლების ხერხები და საშუალებები; იურიდიული ტერმინოლოგიის, ქართული იურიდიული მეცნიერების, იურიდიული აზროვნების განვითარება-ჩამოყალიბების მოკლე ისტორიული მიმოხილვა და თანამედროვე მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი და სხვ. ნაშრომში ასევე ყურადღება გამახვილებულია გასული საუკუნის ოციანი წლებიდან დღემდე მოღვაწე ჩვენი დღეგრძელი მეცნიერ-იურისტების სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-სამართლებრივი საქმიანობაზე; იურიდიული პროფესიისა და იურისტის საქმიანობისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებზე; იურისტის პროფესიულ ორიენტაციასა და მომზადებაზე; პრაქტიკოს იურისტთა პროფესიული საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე; იურისტის პროფესიული ეთიკის საკითხებზე; სამართლის ძირითადი დარგებისა და იურიდიული დისციპლინების ამოსავალ დებულებსა და სხვა იურიდიული პროფილის მიმართებით არსებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხებზე.

ვფიქრობ, მოცემული ნაშრომი ხელს შეუწყობს ახალგაზრდა დამწყებ იურისტებს ამ რთული საბეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობის პროფესიის სწორად გარკვევაში, მათ მიერ არჩეული იურიდიული პროფესიის ჩამოყალიბებასა და მათი სახით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

თავი I

მოცემული თეორიდული დისციპლინის ცნება, არსი, მნიშვნელობა, მიზნები, ამოცანები, სისტემა და კავშირი სხვა თეორიდულ დისციპლინებთან

§1. საგნის — „შესავალი თეორიდულ სპეციალობაში" — ცნება, მიზნები და ამოცანები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ციკლის სისტემაში თეორიდულ მეცნიერებას თავისი არსითა და მნიშვნელობით ერთ-ერთი უადრესად რთული და საპატიო ადგილი უკავია. რთულს ვამბობ იმიტომ, რომ იგი უბრალოდ კი არ ასახავს საზოგადოებრივი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს, არამედ ამ მოვლენების მეცნიერული გამოკვლევისა და განზოგადების საფუძველზე ავითარებს და ადგენს ადამიანის, როგორც საზოგადოებრიობის შემოქმედის როლის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში, საჭელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების შესახებ წამოყენებულ თეორიებს, ამ კატეგორიის ცნებათა რეალობასა და პერსპექტივებს, ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს და ქმნის მათი უფლებებისა და თავისუფლების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვის მძლავრ, შეუვალ მექანიზმებს და სხვ.

ისევე, როგორც ყველა თეორიდულ დისციპლინას, წინამდებარე განსახილველ საგანსაც აქვს თავისი მიზნები, ამოცანები და დამოუკიდებელი კვლევის საგანი.

მოცემული საგნის მიზანი, არსი და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სამართალმცოდნეობის სპეციალობით დაწყებ პირველი კურსის სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია თეორიდული პროფესიის, თეორიდული განათლების, თეორიდული სამსახურის სახესხვაობაზე, ძირითად თეორიდულ ტერმინოლოგიაზე, თეორიდული მეცნიერების დაუფლების ხერხებსა და მეთოდებზე, ქართული თეორიდული მეცნიერების განვითარებასა და მის თანამედროვე მდგომარეობაზე; თეორიდული კადრების მომზადებაზე, სამართალსა და კანონიერებაზე, გამოძიებასა და მართლმსაჯულების განხორციელების ხერხებსა და საშუალებებზე; მართლწესრიგის დაცვასა და სამართალდარღვევაზე. მისი მიზანია აგრეთვე შეისწავლოს და დამწყებ თეორისტებს გააცნოს სამართლის ტრადიციული, ძირითადი დარგებისა და თეორიდული დისციპლინების ზოგადი დებულებები და სხვ.

ვეხებით რა მოცემული საგნის არსსა და მნიშვნელობას, მის მიზნებსა და ამოცანებს, ბუნებრივად იბადება კითხვა: საგანი „შესავალი თეორიდულ სპეციალობაში" არის თუ არა თეორიდული დისციპლინა და აქვს თუ არა მას კავშირი სამართლის ცალკეულ დარგებთან და სხვა თეორიდულ დისციპლინებთან. მოცემულ კითხვაზე პასუხი შეიძლება მხოლოდ დადებითი იყოს.

„შესავალი თეორიდულ სპეციალობაში" საგნის არსებობა თეორიდულ დისციპლინად, სადავო არაა, რადგან, უპირველეს ყოვლისა, იგი ემსახურება თვით თეორიდული მეცნიერების, სამართლის ძირითადი დარგების, წამყვანი თეორიდული დისციპლინების პროპაგანდას, მათი არსისა და მნიშვნელობის გაშუქებას. ამასთან, იგი შეისწავლის ძირითად თეორიდულ ტერმინოლოგიას; სამართლის, კანონიერებისა და თეორიდული პროფესიის ზოგად პრინციპებსა და დებულებებს; სამართლის ცალკეული დარგების მთავარ ამოსავალ დებულებებს, სამართალდარღვევებისა და კანონიერების დაცვა-განმტკიცების, სამართალშემოქმედებითი საქმიანობისა და სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის აქტუალურ საკითხებს; თეორიდული პროცესებსა და მათ ძირითად დამახასიათებელ თვისებებს; თეორისტთა ძირითად სპეციალობებს; თეორისტთა ეთიკას; თეორიდული კადრების მომზადების ფორმებსა და მეთოდებს; თეორიდული სამსახურის სპეციფიკურობას სამართალდამცავ ორგანოებში და თეორისტის პროფესიის სხვა მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს. სამართლის ცალკეული დარგების ძირითად დებულებებსა და მიმართულებებს და, ამდენად, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა თეორიდულ დისციპლინებთან და თვით თეორიდული მეცნიერების სამართლის ცალკეულ დარგებთან. კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიასა და ისტორიის საგნებთან, სამოქალაქო სამართლის ყველა გაწმტოებულ დარგთან, სისხლის სამართალთან, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესთან, ადმინ-

ისტრაციულ სამართალთან და სამართლის სხვა დარგებთან და იურიდიულ დისციპლინებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგანი „შესავალი იურიდიულ სპეციალობაში“ არის იურიდიული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის იურიდიული მეცნიერების განვითარებას საქართველოში და მის თანამედროვე მდგომარეობას, ძირითად იურიდიულ მიმართულებებსა და იურიდიულ ტერმინოლოგიას, იურიდიულ პროფესიასა და მის დამახასიათებელ ნიშნებს, იურიდიული საშსახურის ზოგად პრინციპებს, იურიდიული კადრების მომზადების ფორმებსა და მეთოდებს, სამართლის ცალკეული დარგებისა და იურიდიული დისციპლინების უმთავრეს დებულებებს, მათ არსსა და მნიშვნელობას, ქართული სამართალშემოქმედებითი აზროვნებისა და მიმდინარე სასამართლო რეფორმის აქტუალურ საკითხებს.

მოცემული საგნის უმთავრესი მიზანია დამწყებ-მომავალ იურისტებს თავიდანვე შთააგონოს იურიდიული მეცნიერებისა და იურისტის პროფესიის, იურისტის სამსახურებრივი საქმიანობის როლი, არსი და მნიშვნელობა ჩვენი დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობისა და კონსტიტუციით დაცულ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების, მათი კანონიერი ინტერესების, დემოკრატიისა და კანონიერების უმკაცრესი დაცვა-განმტკიცების საქმეში.

§2. მოცემული საგნის სისტემა

ისევე, როგორც ყველა სასწავლო საგანს, მოცემულ იურიდიულ დისციპლინას, მოცემულ საგანსაც – „შესავალი იურიდიულ სპეციალობაში“, – აქვს თავისი საკითხების წრე, რომლებიც შესაბამისი თანმიმდევრობით უნდა იქნეს განხილული და გადმოცემული. მიმაჩნია, რომ ამ საგნის შესწავლა უნდა მოხდეს მასში დაყენებული საკითხების შემდეგი თანმიმდევრობით:

– მოცემული იურიდიული დისციპლინის საგნის ცნება, არსი, მნიშვნელობა, მიზნები, ამოცანები, სისტემა და კავშირი სხვა იურიდიულ დისციპლინებთან;

– იურიდიული პროფესიისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება;

– იურიდიული ტერმინოლოგიის ზოგადი მიმოხილვა;

– ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარება და თანამედროვე მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა;

– XX საუკუნეში მოღვაწე ცნობილი იურისტების სამეცნიერო-პედაგოგიური შემოქმედებითი საქმიანობის ზოგადი დახასიათება;

– იურიდიული პროფესია და იურისტის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები;

– იურისტის პროფესიული ორიენტაცია და მომზადება;

– პრაქტიკოს იურისტთა პროფესიული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;

– იურისტის პროფესიული საქმიანობის ზოგიერთი თავისებურება კოდიფიკაციის, კანონპროექტებზე მუშაობისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის მიმართულებით;

– იურისტის პროფესიული ეთიკა;

– იურიდიული მეცნიერების როლი და მნიშვნელობა იურიდიული პროფესიის ჩამოყალიბებისა და მაღალკვალიფიციური იურიდიული კადრების მომზადებაში;

– სამართლის ცალკეული ძირითადი დარგებისა და იურიდიული დისციპლინების ზოგადი დახასიათება;

– საბოსაპართლო სამართლის ჩამოყალიბების ახალი ტენდენციები;

– სასამართლო რეფორმის მიმდინარეობა და ამ მიმართებით წამოჭრილი სიახლეები.

§3. წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა, როგორც იურიდიული პროფესიის დაუფლების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება

იმისათვის, რომ სრულყოფილად დავეუფლოთ იურიდიულ პროფესიას, **საჭიროა შევძლოთ და მივეჩვიოთ წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას**, სისტემატიურად ვიკითხოთ არა მარტო არსებული სპეციალური იურიდიული ლიტერატურა, არამედ აუცილებელია, აგრეთვე თვალყური ვადევნოთ ახალ იურიდიულ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებს, რომელთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ პერიოდში და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა. წავიკითხოთ ისინი, ვიკამათოთ, ეთმსჯელოთ მათში დაყენებულ საკითხე-

ბზე და, ამგვარად, სადავო პრობლემური საკითხების მიმართებაში ჩამოვაყალიბოთ საკუთარი აზრი, საკუთარი დამოკიდებულება.

გვახსოვდეს, რომ იურიდიული ლიტერატურა და კანონმდებლობა არის საუნჯე, ძირითადი წყარო სამართლებრივი საკითხების სწორად გადაწყვეტისა და ამ რთული იურიდიული მეცნიერების, იურიდიული პროფესიის სრულყოფილად დაუფლებისა.

იურიდიული ლიტერატურის სამყაროს მიეკუთვნება სამართლებრივ საკითხებს მიძღვნილი სამეცნიერო ხასიათის ნაშრომები, იურიდიული ცოდნის სისტემაში შემავალ საგნებში არსებული სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, იურიდიულ საკითხებზე მიძღვნილი პოპულარული და საპუბლიცისტური ნარკვევები, ბროშურები, მონოგრაფიები და იურიდიულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები. ამასთან, არ შეიძლება წიგნზე მუშაობა დაიწყოთ პირდაპირ, რომელიმე რთული მეცნიერული პრობლემის, დიდი სქელტანიანი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების დამუშავებით, სამართლის ერთი დარგიდან სამართლის მეორე დარგზე გადახტომით. კარგი, იქნება თუ ცალკეული სასემინარო თემების მიხედვით წაიკითხავთ და დაამუშავებთ შესაბამის სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და დამატებით სპეციალურ ლიტერატურას. ასევე კარგი იქნება, თუ თავიდანვე შეეჯიბრებით სრულყოფილად დაეუფლოთ კომპიუტერულ ტექნიკასა და მისი მეშვეობით თქვენი ცოდნის ყოველდღიურ გაღრმავებას.

იურიდიული პროფესიის ჩვევების ჩამოყალიბებისა და საერთო იურიდიული ცოდნის ჰორიზონტის გაფართოების მიზნით, საჭიროა თავიდანვე დაიწყოთ და თანდათანობით გაეცნოთ აგრეთვე ცალკეულ წიგნებად გამოქვეყნებულ ცნობილი რუსი და ქართველი ადვოკატების სასამართლო პროცესებზე გამოსვლებს; ერთ-ერთი ბრწყინვალე იურისტის ა. კონის ნაწარმოებებს; ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე გამოცემულ იურიდიულ ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებს, თეზისებსა და სხვადასხვა სახის ნაშრომებს და, ასეთი თანმიმდევრული, ყოველდღიური საქმიანობით ნათლად გაერკვეთ თქვენი მომავალი პროფესიის არსსა და მნიშვნელობაში, ჩაწვდეთ მის დადებით და უარყოფით მხარეებს, შეიყვაროთ იგი და, ამასთან, ნაწილობრივ დაიწყოთ და შექმნათ თქვენი საკუთარი ბიბლიოთეკა.

აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ იურისტის პროფესია მეტად რთული, ფართო და საინტერესოა.

გახსოვდეთ, რომ იურისტის პროფესიის ჩამოყალიბების პროცესი რეალურ შესაძლებლობას იძლევა მოხდეს პიროვნების ჰარმონიული განვითარება სხვადასხვა მომიჯნავე სპეციალობებითაც.

§4. იურიდიული პროფესიის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა

როგორც ცნობილი იურისტების ცხოვრებისა და მოღვაწეობის განვლილი მრავალწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს, მიჟულ რიგ შემთხვევებში, კარგი იურისტი, ამავე დროს, შეიძლება იყოს კარგი პოლიტიკოსი, კარგი ჟურნალისტი, დიდებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე. **ამის ნათელი დადასტურებაა პრაქტიკა, როგორც ჭეშმარიტების რეალური საზომი.** პრაქტიკა, რომლითაც დადგენილია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე, არცთუ ისე იშვიათად, სწორედ იურისტები გვევლინებიან შესანიშნავ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეებად, აგრეთვე საბავშვო, სათავგადასავლო, რომანტიკული და სამეცნიერო-დეტექტიური ჟანრის მწერლებად, ჟურნალისტებად და სხვ.

ნათქვამის საუკეთესო დადასტურებაა ისიც, რომ საზოგადოებრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იურისტები ყოველთვის იყვნენ საზოგადოების მოწინავე ადამიანთა რიგებში, სწავლობდნენ და ქმნიდნენ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის სხვადასხვა თეორიებს, წარმართავდნენ მოწინავე საზოგადოებრივ აზრს და ხელს უწყობდნენ სახელმწიფოს ალმშენებლობის ფორმებისა და წყობილების დახვეწას, მის განმტკიცებასა და განვითარებას, ქვეყნად კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა-განმტკიცებას.

ამ მიმართებით საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ XIX-XX საუკუნეებში ცნობილი საზოგადო მოღვაწეებიდან მეცხრამეტე-ლი კომუნიზმის ფუძემდებლები და მისი იდეების უშუალო გამტარებელნი იყვნენ ისეთი უნიჭიერესი იურისტები, როგორიცაა: კ. მარქსი, ფ. ენგელსი და ვ.ი. ლენინი, რომლებმაც მეცნიერულად დაასაბუთეს და იმ დროისათვის ნაწილობრივ წარმატებითაც გადაწყვიტეს სამართ-

ლებრივი აღმშენებლობის მთელი რიგი ურთულესი პრობლემატური საკითხები და იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად სწორი იყო მათი მოძღვრება ამჟამინდელი შემეცნების შეფასებით, სულ ერთია, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მათ თავიანთი მეცნიერულ-პრაქტიკული მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვეს.

კ. მარქსსა და ვ. ლენინს მიღებული ჰქონდათ უმაღლესი იურიდიული განათლება და უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკასთან. **ფ. ენგელსს** კი, მართალია, წმინდა უმაღლესი იურიდიული განათლება არ მიუღია, მაგრამ კ. მარქსის მეშვეობით მას უშუალო ურთიერთობა ჰქონდა იურისპრუდენციასთან და საკმაოდ ბევრი საინტერესო და სასარგებლო საქმე გააკეთა იურიდიული მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.

კ. მარქსმა 1835 წლის ოქტომბერში დაიწყო მეცადინეობა ბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მომდევნო წელს კი იგი გადაყვანილ იქნა ბერლინის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იურიდიული სპეციალობის დაუფლებისას კ. მარქსი გაიტაცა ფილოსოფიამ, რაშიც მან 1840-1841 წლებში მოამზადა და დაიცვა დისერტაცია იენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც მას 1841 წელს მიენიჭა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მაშასადამე, კ. მარქსმა თავისი მეცნიერული მოღვაწეობა დაიწყო არა იურიდიული პროფილით, არამედ ფილოსოფიური მიმართულებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან იურიდიულ მეცნიერებაშიც მნიშვნელოვანი შრომები და დებულებები დაგვიტოვა.

კ. მარქსისაგან განსხვავებით, სრულიად სხვანაირად წარიმართა **ფ. ენგელსის** ბედი განათლების მიღების თვალსაზრისით, თავისი შინაგანი ბუნებით მას ძლიერ იტაცებდა იურიდიული მეცნიერება და უნდოდა მიეღო ეკონომიკური და იურიდიული განათლება, მაგრამ მამამისს, რომელიც იმ დროისათვის ცნობილი ფაბრიკანტი იყო, არ სურდა თავისი შვილის მომავალი განათლება ამ მიმართებით წარმართულიყო. მას უნდოდა, რომ ფ. ენგელსს კომერციული საქმიანობა შეესწავლა. სწორედ ამ მიზნით მან ფ. ენგელსი სასწავლებლად ჯერ გერმანიაში გააგზავნა, შემდეგ კი ინგლისში, მიუხედავად ამისა, ფ.

ენგელსს თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია და სრულიად დამოუკიდებლად, თავისი ხელმძღვანელობით კომერციულ საქმიანობასთან ერთად, მის პარალელურად, ბევრითად ეუფლებოდა იურიდიულ მეცნიერებასაც, კითხულობდა სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურას და დოკუმენტალურ წყაროებს. ამ გზით მან საკმაოდ აიმაღლა თავისი ცოდნის დონე იურიდიულ მიმართებითაც და, უნდა ითქვას, რომ მისმა ასეთმა ღრმა იურიდიულმა მომზადებამ აშკარად იჩინა თავი მის შემდგომ პოლიტიკურ და მეცნიერულ საქმიანობაში და კ. მარქსთან ერთად მტკიცედ დაიმკვიდრა თვალსაჩინო ადგილი სახელმწიფოსა და სამართლის თეორეტიკოსთა შორის.

უფრო მეტიც, **ფ. ენგელსი** თავისი უკანასკნელი შრომებით იურიდიული მეცნიერების ამ მნიშვნელოვან დარგში წამოჭრილი პრობლემების ახლებურ ასპექტში განხილვა-გადაწყვეტის ერთ-ერთი მიმართულების მამამთავრადაც გვევლინება. ამ მიმართებით მეტად საინტერესოა მისი ნაშრომი **„ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“**, რომლის შესახებაც ვ. ი. ლენინი წერდა: ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით მარქსისტულ ლიტერატურაში არსებობს ფ. ენგელსის ნაშრომი, რომელის თითოეულ სიტყვას შეიძლება უტყუარად ვენდოთ.

ფ. ენგელსმა თავისი ეს უკანასკნელი ნაშრომი ამ საკითხების პრაქტიკულად შემსწავლელ მკვლევარ-მეცნიერ მორგანის ნაშრომზე ადგო და მას იგი თავის ზემოაღნიშნულ ნაშრომში ციტირების სახით მრავალჯერ მოიხსენიებს.

ამ მხრივ ასევე საინტერესოა მეცნიერული კომუნიზმისა და კომუნისტური წყობის ერთ-ერთი დიდი მოძღვარის ვ. ლენინის, როგორც იურისტის, ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვ.ი. ლენინმა 1887 წელს წარმატებით – ოქროს მედალზე დაამთავრა გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. საიდანაც იგი მალე გაირიცხა, რადგან ფართოდ ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. შემდეგ, 1891 წლის გაზაფხულზე, მას ნება დაერთო ექსტერნის წესით ჩაებარებინა გამოცდები სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და იმავე წლის შემოდგომაზე გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად მას გადაეცა იურისტის პირველი ხარისხის დიპლომი.

ვ. ი. ლენინმა, როგორც იურისტმა უდავოდ გაამდიდრა იურიდიული მეცნიერება სახელმწიფოსა და სამართლის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი მიძღვნილი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომებით.

ზედმეტი არ იქნება ვიცოდეთ ისიც, რომ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დიდი იმპერიის დაშლასა და რკინისებური დისციპლინებიდან დემოკრატიული წყობისაკენ გადასვლაში თავისი დიდი წვლილი შეიტანა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, ცნობილმა იურისტმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა **მ. გორბაჩოვმა.**

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი ვ. პუტინიც თავისი პროფესიით და უმაღლესი განათლებით იურისტია. მან წარმატებით დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. ასევე თავისი პროფესიით უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს მიღებული საქართველოს ამჟამინდელ პრეზიდენტს, ბატონ **მიხეილ სააკაშვილს.**

§5. გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე იურისტების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

საინტერესოა ვიცოდეთ ისიც, რომ დიდმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ **ილია ჭავჭავაძემ** თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1857 წელს სწავლა გააგრძელა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა რა საქართველოში, ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, ჯერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის სამანგებო მინდობილობათა მოხელედ დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად აღმოსავლეთ საქართველოში. 1868-1873 წლებში ილია მუშაობდა დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ.

ილია ჭავჭავაძემ, როგორც იურისტმა, მწერალმა და დიდმა საზოგადო მოღვაწემ თავის უკანდავ ნაშრომებში მეტად საინტერესო იურიდიული დებულებები და შეხედულებები განავითარა. აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოძღვრება სასჯელის არსსა და მნიშვნელობაზე დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების ძიძართებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი უკანდავი მოთხრობა „სარჩობელაზედ“, რომელიც, სამწუხაროდ, იურიდიული თვალთახედვით ჯერ კიდევ არასათანადოდაა შესწავლილი და გამოკვლეული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც იურისტი და დიდი საზოგადო მოღვაწე, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის და ამას ასაბუთებდა იმით, რომ სიკვდილით დასჯა „ჩლუნგებს გრძნობას ბუნებურს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და ხშირის ნახვით — კი ყურიც ეჩვევა და გრძნობაც“. ილიას აზრით, სიკვდილით დასჯით ადამიანს ვართმევთ იმას, რისი შეძენაც არც ზნეობით და არც რაიმე ღირებულებით არ შეიძინება. და, თანაც არასწორად, უმართებულოდ სიკვდილდასჯილის შეძდგომი გამოსწორება შეუძლებელიაო.

მაშასადამე, ილიას აზრით, სიკვდილით დასჯის პრაქტიკის არსებობისას ადამიანი, **ჯერ ერთი,** ეჩვევა ძკაცრი სასჯელის — სიკვდილით დასჯის გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, ჩლუნგებს ადამიანის ბუნებრივი შეგონებისა და შემეცნების შესაძლებლობის უნარს და, **მეორეც,** სიკვდილით დასჯა ადამიანს ართმევს იმას, რისი შეძენაც არ შეიძლება არც ზნეობით და არც რაიმე მატერიალური ღირებულებით და, რომ შეცდომით სიკვდილით დასჯილს გამართლების შემთხვევაში, შეუძლებელია მისთვის სიცოცხლის დაბრუნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ილიას ჯერაგულად მოკვლის მიუხედავად, იმისათვის, რომ არ დარღვეულიყო მისი ამ პროგრესული იდეის ცხოვრებაში გატარება, ილიას მეულლემ, ოლღა ჭავჭავაძემ საქართველოს იმდროინდელ ხელმძღვანელობას — თბილისის გენერალ-გუბერნატორს დასაბუთებული და ამაღელვებელი წერილით მიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ ილიას მკვლელებისათვის, როგორც გზას აცდენილი პირებისათვის, ეპატიებინა და მათთვის სასამართლოს მიერ მისჯილი უმაღლესი სასჯელი — სიკვდილით დასჯა არ დაემტკიცებინა.

ამასთან დაკავშირებით იგი თავის წერილში წერდა: **„მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ,**

რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზადაბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქრისტიანული სულიერი ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი. მოგმართავთ თქვენ გულწრფელისა და მხურვალე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილის დასჯის შესახებ"[1](ხაზგასმა ჩემია — შ.ფ.).

აღსანიშნავია ისიც, რომ ცნობილი ქართველი იურისტებისა და საზოგადო მოღვაწე-მოაზროვნეების — ნიკო ნიკოლაძის, არჩილ ჯორჯაძისა და თეოფილ ღლონტის ღლია ჭავჭავაძის სამართალებრივ შეხედულებებზე თანამედროვე ქართული სამართლებრივი და პოლიტმოძღვრების ისტორიის ხაზით მომუშავე ნიჭიერი იურისტების, ე. მეტრეველის, გ. ლობჟანიძის და სხვათა მიერ დაკვლ იქნა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები; მათი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ ამავე ავტორების მიერ გამოქვეყნებულ იქნა მრავალი საინტერესო ნაშრომი.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, უკანასკნელ პერიოდში, ზოგიერთი იურისტი წარმატებული ბიზნესმენიც გახდა.

ვიმედოვნებ, რომ თქვენც, ჩემო ძვირფასი მომავალი კოლეგებო, ღრმად დაეუფლებით იურიდიულ მეცნიერებას და თვალისჩინივით გაუფრთხილდებით იურისტის პროფესიას. ვინ იცის, იქნებ თქვენ შორისაცაა მომავალი პრეზიდენტი, მომავალი გენერალური პროკურორი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი, მომავალი დიდი მეცნიერი-იურისტი და საზოგადო მოღვაწე.

იშრომეთ, ყოველდღიურად იზრუნეთ თქვენი კვალიფიკაციის ამაღლებაზე და თქვენი კეთილსინდისიერი, თავდადებული შრომით აუცილებლად მიაღწევთ სასურველ შედეგს.

[1] ციტირება მოგვყავს ვ. მეტრეველის ნაშრომიდან „ღლია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ", თბ., 1983, გვ. 50-51.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის მოცემული საგნის მიზნები და ამოცანები?
2. რაში მდგომარეობს მოცემული საგნის არსი და მნიშვნელობა?
3. „შესავალი იურიდიულ სპეციალობაში" არის თუ არა იურიდიული დისციპლინა?
4. რა კავშირი აქვს მოცემულ საგანს სხვა იურიდიულ დისციპლინებთან?
5. რაში მდგომარეობს მოცემული საგნის ცნება და როგორ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მისი განმარტება?
6. როგორია მოცემული საგნის სისტემა?
7. როგორ, რა ხერხებითა და საშუალებებით უნდა მოხდეს იურიდიული პროფესიის დაუფლება?
8. როგორ უნდა ვაწარმოოთ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა?
9. რაში მდგომარეობს იურიდიული პროცესიის რეალიზაციის პრაქტიკული შესაძლებლობანი?
10. ვინ შეგიძლიათ დაასახელოთ უახლესი XIX-XX-XXI საუკუნის დასაწყისისათვის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწე-იურისტებიდან?
11. განსაკუთრებით ვის გამოყოფდით XIX-XX საუკუნის პირველი პერიოდის გამოჩენილი ქართველი იურისტებიდან?

-38115-

ამის გამოვლის ვერსია რესპუბლიკის
საბიბლიოთეკო ინფორმაციის
ცენტრი

№ _____

თავი II.

ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲖᲝᲒᲐᲓᲘᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐ

იურისტის სამსახურებრივი საქმიანობა, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია კანონების ახსნა-განმარტებასა და პრაქტიკაში მის სწორად გატარებასა და კანონიერების დაცვა-განმტკიცებასთან. ამასთან, იურისტის, როგორც გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, ადვოკატის ოპერატიულ-საძებრო სამსახურის უფროსის, ნოტარიუსის, იურისკონსულტისა და სხვათა საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებულია იურიდიულ საქმიანობასთან, ადამიანთა ქცევასთან. მათ მიერ სხვადასხვა სახის დოკუმენტების დადასტურების, ჩადენილ სხვადასხვა სახის მართლსაწინააღმდეგო-ბრალეულ ქმედებასთან დაკავშირებული ფაქტების გამოკვლევასა და მათ განხილვა-შეფასებასთან იურიდიული ნორმების თვალთახედვით.

მაშასადამე, იურისტის პროფესიონალური საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა განმტკიცებასთან.

იურისტის პროფესიული საქმიანობა, პირველ რიგში, ეხება მომხდარ რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს, კრებს მასზე ან მასთან დაკავშირებით არსებულ რომელიმე გარჯმლების შესახებ საჭირო ცნობებს, ერთ მთლიანობაში იკვლევს მათ და აძლევს იურიდიულ შეფასებებს. ამასთან, მომხდარი გამოსაკვლევი ფაქტის გარემოების შესახებ საჭირო მასალებისა და მტკიცებების შეკრებისას იგი შედის ადამიანებთან ურთიერთკავშირში, ამყარებს მათთან ფსიქოლოგიურ კონტაქტს და ახდენს მიღებული შედეგების შეფასებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ მისი პროფესიული და სამსახურებრივი წარმატებების მოპოვება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კარგად შეუძლია მას ადამიანებთან სწორი საქმიანი ურთიერთობების დამყარება და მათთან მუშაობა, რამდენად საფუძვლიანად ემყარება იგი თავის საქმიანობაში სამართლის ნორმებსა და ფაქტებს, ე.ი.

იურისტის მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობა, მისი ურთიერთობა ადამიანებთან უნდა ემყარებოდეს კანონს, იურიდიულ ფაქტებს და ამ ფაქტებთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს.

იმისათვის, რომ იურისტმა შეძლოს მის წინაშე მდგომი ურთულესი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, ადამიანებთან სწორი ურთიერთკავშირის დამყარება და მომხდარი ფაქტების სრულყოფილი გამოკვლევა, საჭიროა იყოს საკუთარ ნამუშევარში მომზადებული და კარგად ფლობდეს მოქმედ კანონებს, შეეძლოს მათი ანალიზი და პრაქტიკაში სწორი გამოყენება.

გახსოვდეთ! თითოეული ამ მომხდარ-დასადგენი ფაქტისა და კანონის მიღმა დგას ადამიანი, რომლის ბრალეულობის ან არაბრალეულობის, დასჯისა და დაუსჯელობის საკითხის სწორად გადაწყვეტა იურისტს არა მარტო პროფესიული, არამედ მისი წმინდა სამსახურებრივი მოვალეობაცაა.

გახსოვდეთ ისიც, რომ უვიცი, უცოდინარი იურისტის არამართებულ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს პირის უმართებულო დასჯა მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით ან მომხდარი გამოსაკვლევი ფაქტისა და მისი ჩამდენი პირის მოქმედების ან უმოქმედობის არასწორი შეფასება იურიდიული თვალთახედვით და მისთვის არასწორი სასჯელის შეფარდება.

მაგალითად, დ.-ე. სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით განზრას მკვლელობისათვის და მას სასჯელად თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ კი, განიხილა რა ზემოაღნიშნული დ.-ეს ბრალდების საქმე, არასწორად ჩათვალა მისი ქმედების ასეთი კვალიფიკაცია და მის მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლზე გადააკვალიფიცირა და მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, რადგან ჩათვალა, რომ დ.-მ ჩაიდინა არა განზრახ მკვლელობა, არამედ სიცოცხლის მოხპობა გაუფრთხილებლობით.

ცხადია, სასამართლო ასეთ უხეშ შეცდომას არ დაუშვებდა, თუ

იგი სრულყოფილად მოახდენდა საქმეში საჭირო მტკიცებულებების შეკრებასა და შეფასებას, საფუძვლიანად აქნებოდა დაუფლებული მოცემულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას.

ამ მხრივ ასევე საყურადღებოა ტ.-ეს ბრალდების საქმე. სასამართლოს მიერ ტ.-ე დამნაშავედ იქნა ცნობილი გ.-ეს გაუპატიურებისათვის და მას სასჯელად ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. ტ.-ე დამნაშავედ იქნა ცნობილი იმაში, რომ გამოიყენა გ.-ეს უმწეო მდგომარეობა (იგი იყო გონებასუსტი), და მასთან დაამყარა სქესობრივი კავშირი. საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ ტ.-ემ არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ იგი ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირს ამყარებდა სრულწლოვან, მაგრამ გონებასუსტ გ.-ესთან, ამიტომ არასწორად ჩაითვალა მისი მსჯავრდება და იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდა დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

კანონის საფუძვლიანი ცოდნა ესაჭიროებათ არა მარტო პრაქტიკის იურისტებს, არამედ სხვა დარგის სპეციალისტებსაც. კერძოდ, ეკონომისტებს, ბუღალტრებს, რეკვიზორებს, საწარმოო-დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ბიზნესმენებს, საქციო საზოგადოების წევრებს, სხვადასხვა ფორმისა და სახის ხელმძღვანელებს და სხვ.

მათ განსაკუთრებით ესაჭიროებათ შრომის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის ცოდნა, და უნდა შეეძლოთ ამ კანონების პრაქტიკაში სწორად გამოყენება.

კანონების საფუძვლიანი ცოდნა საჭიროა იმ გაგებითაც, რომ დაცულ იქნეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, რომლის თანახმადაც პირი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამნაშავედ, თუ არა მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით. ე.ი. პირი შეიძლება დამნაშავედ იქნეს ცნობილი მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით და ისიც, მხოლოდ მაშინ, თუ ეს განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული ზემდგომი სასამართლო ორგანოების მიერ.

კანონის საფუძვლიანი ცოდნა ნიშნავს იმას, რომ სწორად ჩავწვდეთ მის არსსა და დანიშნულებას, მის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის ნამდვილ ღირებულებას ადამიანის რაობისა და არსობისათვის.

მაგალითად, ჩაეწვდეთ იმას, რომ პირი მართებულად იქნა თუ არა გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან ადმინისტრაციის მიერ, ხომ არაა დარღვეული მისი უფლებები; უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევაში უნდა აურაცხადდეს თუ არა მას განაცდური და რა ოდენობით და სხვ. ასევე უნდა ითქვას პიროვნებისათვის უსაფუძვლოდ წართმეული ქონებრივი ან სხვა წმინდა იურიდიული სახის უფლებების აღდგენის საკითხთან დაკავშირებით და სხვ.

ზოგჯერ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და თვით განსწავლული იურისტებიც ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობენ ან ერთიმეორესთან აიგივებენ ისეთ იურიდიულ ცნებებს, როგორიცაა: კანონიერება და სამართალი, რაც არასწორია.

განსაკუთრებით! კანონიერება სხვა არა არის, თუ არა სამართლის ნორმების უმკაცრესი დაცვა სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებისა და თითოეული მოქალაქის მიერ, რომლის დაცვა-განმტკიცებაში გარკვეული როლი ეკუთვნით სამართალდამცავ ორგანოებს. სამართალი კი არის სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული და დადგენილი ქცევის ისეთი სავალდებულო წესები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებითი წესით მისი დამცველი და ცხოვრებაში გამტარებელი სპეციალური იძულებითი ორგანოების მიერ.

შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად კანონიერება არის სამართლის რეალობა, მისი ფაქტობრივი გატარება და პრაქტიკული განხორციელება სამართლის ნორმების მოთხოვნათა ყოველმხრივი დაცვით, სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ კანონიერების ცნებაში იყრის თავს იურიდიული ნორმების, ანუ სამართლის საზოგადოებრივი ცხოვრების ღირებულებათა.

ვნახოთ რა იურიდიული სამსახურის სპეციფიკურობას, ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ მომავალი სპეციალობის მქონე პირების — ექიმის, ინჟინრის, არქიტექტორის, პედაგოგის და სხვათა საქმიანობის მსგავსად, პრაქტიკოს იურისტის საქმიანობასაც მოაქვს თუ არა რაიმე სარგებლობა ადამიანისა და საზოგადოებისათვის?

ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი.

პრაქტიკოს იურისტის საქმიანობა, მართალია, ძირითადად დაკავ-

შერებულია სამართალდამრღვევი და მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩამდენი პირების წინააღმდეგ ბრძოლასთან, კანონიერების და მართლწესრიგის დაცვასთან, ადამიანის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვა-განმტკიცებასთან. და, ასევე, როგორც ექიმი თავისი ქირურგიული ჩარევით განკურნავს ავადმყოფს სხვადასხვა სახის დაავადებისაგან, იურისტი პრაქტიკოსი — პროკურორი, გამომძიებელი, მოსამართლე, ადვოკატი, ოპერატიული მუშაკი და სამართალდამცავი ორგანოების სხვა მოხელე თანამდებობის პირები თავიანთი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობით კურნავენ ჩვენს საზოგადოებას დამნაშავე ელემენტებისაგან და სათანადო ზომებს იღებენ დანაშაულებრივი ფაქტების აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის, იცავენ საზოგადოებას სამართალდამრღვევი პირებისაგან; იცავენ მოქალაქეებს მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებრივი და სხვა ყოველგვარი სახის კანონიერი უფლებების ხელყოფისაგან, აღადგენენ მათ დარღვეულ კანონიერ უფლებებსა და თავისუფლებას, მიყენებულ არსებითი სახის მატერიალურ და მორალურ ზიანს, რაც, ცხადია, თავისი პრაქტიკული შედეგებით არანაკლებ მნიშვნელოვანია ზემოთ მოხსენიებული სხვა დარგის სპეციალისტების საქმიანობით მიღებულ შედეგებთან შედარებით.

უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო ხასიათის დაუდევრობით ან უცოდინარობით, ან განზრახ ჩადენილი ქმედებით დამდგარი მძიმე შედეგი — ადამიანის სიცოცხლის მოსპობა თავისი განშტოებულია საზოგადოებრივი საშიშროების თვალთახედვით, შეიძლება უფრო ნაკლებად საშიშად მოგვეჩვენოს თურიდიული შეცდომით გამოწვეული იმავე სახის შედეგთან შედარებით.

მაგალითად, სამედიცინო პრაქტიკაში ცნობილია არაერთი ისეთი შემთხვევა, როცა ავადმყოფი-პაციენტი გარდაიცვალა მისი მკურნალი ექიმის ან სამედიცინო დის უყურადღებობით, ან არასწორი მკურნალობის შედეგად, ან როცა აპენდიციტის ოპერაციის შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცს მუცლის ღრუში გასუეთარდა მწვავე ტკივილები, და სეფსისი და ოპერაციიდან მესამე დღეს გარდაიცვალა. შემდეგ სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებით დადგინდა, რომ ოპერაციის შემდეგ ექიმს პაციენტის სხეულში დარჩა სამედიცინო მაკრატელი, რამაც

გამოიწვია მისი მწვავე ტკივილები, განუკითარდა სეფსისი და პაციენტი მესამე დღეს გარდაიცვალა, ან, როცა არასწორად დასმული დიაგნოზით ჩატარებული მკურნალობის შედეგად პაციენტი დაიღუპა.

საგამომძიებო-სასამართლო პრაქტიკაშიც არსებობს შემთხვევები, როცა არაკვალიფიციურად გამოძიებულ საქმეზე უდანაშაულო პირს მიიჩნევდნენ საშიშ დამნაშაულად და უსჯიდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას დახვრეტას. ასეთ შემთხვევებს განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა 1936-1937 წლებში, როცა უმაღლესი იურიდიული განათლების არმქონე საჭურო წყვეტდა პირის ბრალეულობის საკითხს და ზოგჯერ შეცდომით ან დაბალი განათლების გამო პირს დამნაშავედ მიიჩნევდნენ რამე სახის (სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აგიტაცია-პროპაგანდა, სახელმწიფო ღალატის და სხვ.) მძიმე დანაშაულის ჩადენაში და პირს უსჯიდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას ან ხანგრძლივი დროით ახახლებდნენ ციმბირში.

ამასთან, შეიძლება დაიბადოს კითხვა: ზემოაღნიშნული ორი — სამედიცინო და თურიდიული შეცდომებით გამოწვეული შედეგებიდან რომელია უფრო საშიში?

უმართებულოდ ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა, ცხადია, ორივე შემთხვევაში ამაზრზენი და უმძიმესია. მაგრამ სამედიცინო შეცდომით მოკვდა მხოლოდ ის პაციენტი, რომელიც სამკურნალოდ მიეღია ექიმთან და მისი სახელი და საქმენი ყოველმხრივ შეუბღალავი რჩება მისი ოჯახისა და მთელი საზოგადოებისათვის. არაკვალიფიციურად ჩატარებული გამოძიებისა და სასამართლოს მიერ ასევე არაკვალიფიციურად საქმის განხილვის შემდეგ, უდანაშაულო პირის მკვლელობის, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან სამშობლოს ღალატის ჩამდენ პირად მიჩნეული და მისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის ან ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებით არა მარტო მისი იზოლაცია ხდება საზოგადოებისაგან, არამედ მთელი მისი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების იზოლაციაც, რადგან მათ მთელ ცხოვრებაში შავ ლაქად რჩებათ მათი მამის, ძმის, დის ან სხვა ახლო ნათესავის დამნაშავედ ცნობა და გარკვეულწილად იბღალება მათი ავტორიტეტი და ფერხდება მათი შემდგომი კარიერა.

ზემოაღნიშნული ორი ურთიერთსაპირისპირო მაგალითი, ცხადია,

აშკარად მეტყველებს იმ დიდ პასუხისმგებლობაზე, რომელიც პირს ეკისრება იურისტის ან ექიმის დიპლომის მიღებით. ორივე ამ დარგის სპეციალობით მოსწავლე სტუდენტს ესაჭიროება მეტი სიბეჯითე, ცოდნის ხარბად დაწაფება და ყოველგვარი სახის პროტექციის აღმოფხვრა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისევე, როგორც სხვა დარგის პედაგოგები, მეცნიერი იურისტი პედაგოგებიც თავიანთი ყოველდღიური საშეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით ხელს უწყობენ არა მარტო ახალგაზრდა იურიდიული კადრების მომზადებას და აღზრდას, არამედ ამზადებენ იგრეთვე კანონპროექტებს, იძლევიან მიღებული კანონების მეცნიერულ ახსნა-განმარტებებს, აანალიზებენ და განაზოგადებენ საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკას, სწავლობენ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს და მისი ღრმა ანალიზის საფუძველზე ქმნიან და იმუშავებენ სათანადო რეკომენდაციებს მათი აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის და სხვ. ყოველივე ამას კი საზოგადოებრივი განვითარებისათვის არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მთელი თავისი შედეგებით.

საკონტროლო კითხვები

1. რა განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება იურისტის პროფესიონალური საქმიანობა?
2. რა ძირითად ფაქტორებს უნდა ემყარებოდეს იურისტის საქმიანობა ადამიანებთან ურთიერთობის დროს?
3. იურისტისათვის საჭიროა თუ არა კანონების საფუძვლიანი ცოდნა?
4. იურისტის პროფესიონალური საქმიანობა ყველაზე ახლოს რომელ სპეციალობასთანაა?
5. რა პარალელი შეიძლება გავავლოთ ექიმისა და იურისტის პროფესიასთან მიძართებაში?
6. რა სხვაობა არსებობს კანონიერებასა და სამართალს შორის?
7. იურისტის საქმიანობას მოაქვს თუ არა სარგებლობა ადამიანისა და საზოგადოებისათვის?

თავი III

ძირითადი იურიდიული ტერმინოლოგია

ზემოთ მოყვანილ ტექსტში რამდენჯერმე უკვე შეგხვედრიათ ზოგიერთი სახის იურიდიული ტერმინი, კერძოდ, კანონი, კანონიერება, მართლწესრიგი, სამართალი და სხვ. მაგრამ არაფერი გვითქვამს მათ არსსა და მნიშვნელობაზე, საჭირო კია გავერკვეთ მათ დანიშნულებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ჩავწვდებით იურიდიული მეცნიერების არსს, მის მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს, კერძოდ, საჭიროა ავხსნათ და გავარკვიოთ თუ რა არის სამართალი, კანონი, კანონიერება, მართლწესრიგი, საპართლებრივი ურთიერთობა, სამართლის წყარო, ვინ არის ეჭვმიტანილი, დაზარალებული, ბრალდებული, მოწმე, ექსპერტი, განსასჯელი, მსჯავრდებული და სხვ., რომელთაც, საბედნიეროდ, არა მარტო არასპეციალისტები, არამედ თვით იურისტებიც ყოველთვის ერთნაირი მნიშვნელობით არ სმარობენ და ხშირად ერთიმეორისაგან ვერ ასხვავებენ ბრალდებულს, განსასჯელსა და მსჯავრდებულს. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია რამდენიმე სიტყვით მაინც შევჩერდეთ და ავხსნათ პრაქტიკაში და იურიდიულ ლიტერატურაში უფრო ხშირად შემხვედრი ტერმინები და ცნებები.

აბორტი — მომდინარეობს ლათინურიდან — „abortus“ და ნიშნავს ქალის მიერ თავისი ფეხმძიმობის ნაადრევ შეწყვეტას, მუცლის მოშლას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლით იგი მკაცრ დასჯად ქმედებადაა გამოცხადებული;

ადვოკატი — არის იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელიც უფლებამოსილია სისხლის სამართლის საქმეებზე, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში, დადგენილი წესით, დაიცვას ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ან დაზარალებულის და მსჯავრდებულის უფლებები და გაუწიოს მათ იურიდიული დახმარება;

ადვოკატურა — ნებაყოფლობის პრინციპით გაერთიანებული ადვოკატთა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომლის წევრები დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეებზე ახორციელებენ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის,

განსასჯელისა და დაზარალებულის უფლებების დაცვას, აგრეთვე საკასაციო კოლეგიაში განსახილველად საქმეში მსჯავრდებულის უფლებების დაცვას.

იგი, როგორც ადვოკატთა ნებაყოფლობით გაერთიანებული ორგანიზაცია, სათანადო იურიდიულ დახმარებას უწევს აგრეთვე მოქალაქეებს, საწარმო-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ, სამუშაწარმოო და სამოქალაქო სამართალდარღვევებთან მიმართებაში.

ადმინისტრაციული სამართალი – არის სამართლის დამოუკიდებელი დარგი, დამოუკიდებელი იურიდიული დისციპლინა;

ალიბი – სიტყვა „Alibi" მომდინარეობს ლათინურიდან – და ნიშნავს – სადღაც, სხვა ადგილას, სხვაგან ყოფნას. იგი გამოიყენება ბრალდებულის ან განსასჯელის მიერ თავიანთი უდანაშაულობის დასასაბუთებლად, რომ იგი დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა სხვაგან და ამიტომ მას არ შეეძლო ჩაედინა ან მონაწილეობა მიეღო გამოსაძიებელ ან განსახილველ დანაშაულის ჩადენაში;

ალიმენტი – ეს სიტყვა მომდინარეობს ლათინურიდან – „alimentum" და ნიშნავს საზრდოს, საკვებს, ხარჯს, რომელსაც კანონით დადგენილი წესით იხდის ოჯახს მოშორებული პირი თავისი შრომისუნარიანობის შეზღუდული შვილის, მეუღლის ან მშობლების სარჩენად;

ალკოჰოლიკი – პირი, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლურ სასმელებს, ან ნარკოტიკულ საშუალებას და სისტემატურად იმყოფება მთვრალ მდგომარეობაში;

ამნისტია – მომდინარეობს ბერძნულიდან „amnestia" და ნიშნავს დავიწყებას, პატიებას და ამის შესაბამისად ამნისტიას უწოდებენ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (საქართველოს პარლამენტის) მიერ მიღებულ აქტს, რომლითაც გარკვეული კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირები შეიძლება გათავისუფლდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან მსჯავრდებულები სასჯელის მოხდისაგან, ან შეიძლება გარკვეულწილად შეუმცირდეთ მათ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადა, ან შეეცვალოთ იგი სხვა უფრო მსუბუქი სასჯელით;

ანალოგია – მომდინარეობს ბერძნულიდან „analogia" და ნიშნავს მსგავსებას, შესატყვისობას. იურისპრუდენციაში იგი გამოიყენება მისი პირდაპირი დანიშნულებით და ერთიმეორისაგან განარჩევენ კანონისა და სამართლის ანალოგიას.

ანექსია – მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს შეერთებას. ამ გამოთქმას იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა გამოხატონ ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის თავისი სახელმწიფოს ტერიტორიისათვის ძალით მიერთების, ანუ დაპყრობის ფაქტი;

ამსრულებელი – ჰქვია დანაშაულის ჩადენაში მონაწილე იმ პირს, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან ვინც სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში;

ანონიმური წერილი – ავტორის მიერ ხელმოუწერელი, უსახელო წერილი. საგამომძიებო-სასამართლო პრაქტიკაში ასეთი უსახელო წერილები ძირითადად გვხვდება ავტორის მიერ თავისი ვინაობის გამხელის ან ხელმოწერის გარეშე შემოსული საჩივრების სახით;

ამორალური – არის საზოგადოებაში გაბატონებული მორალის საწინააღმდეგოდ ჩადენილი მორალურად დასაგმობი, გასაკიცხი ქმედება;

აპელაცია – არის სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების ფორმა ზემდგომ სააპელაციო სასამართლოში;

არბიტრაჟი – არის სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ქონებრივი და სახელშეკრულებო დავების განმხილველი და გადამწყვეტი სპეციალური ორგანო. უმეტეს შემთხვევაში იგი არსებობს საარბიტრაჟო სასამართლოს სახელწოდებით;

არასრულწლოვანი – არის პირი, რომელსაც თვრამეტი წელი არ შესრულებია;

ბანდიტიზმი – საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაულებრივი შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც შექმნილია ცალკეულ ხელმძღვანელ პირებზე ან ორგანიზაციებზე თავდასხმის მიზნით;

ბიზნესი – არის პირადი გამდიდრების მიზნით წარმოებული საქმიანობა;

ბიზნესმენი – არის პირი, რომელიც აწარმოებს ბიზნეს-საქმიანობას;

ბრალდებული – არის პირი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით წინასწარი გამოძიების სტადიაზე წარედგინა ბრალდება და ბრალდებულის სახით მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში;

ბრალმდებელი – არის პირი, რომელიც აწარმოებს სისხლისსამართლებრივი დევნას წინასწარი გამოძიების სტადიაზე;

გამომძიებელი – არის პირი, რომელიც უფლებამოსილია დადგენილი წესით თავისი კომპეტენციის ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეზე აწარმოოს წინასწარი გამოძიება;

განსასჯელი – არის პირი, რომლის ბრალდების საქმე განსახილველად გადაგზავნილია სასამართლოში და საქმეს არსებითად იხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო;

განაჩენი – პირველი ინსტანციისა და სააპელაციო წესით განხილულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშავედ ცნობის ან არცნობის შესახებ; განაჩენი შეიძლება იყოს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი;

განჩინება – პირველი ან მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმისწარმოების დროს გამოტანილი ყოველგვარი სახის გადაწყვეტილება განაჩენის გარდა. აგრეთვე ზემდგომი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საკასაციო და საზედამხედველო წესით განხილულ საქმეზე გამოტანილი სასამართლოს ყოველგვარი სახის გადაწყვეტილება;

გაუპატიურება – არის სქესობრივი კავშირის დაჭერა პირთან ძალადობით, ძალადობის გამოყენების მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით;

გენოციდი – არის ერთ-ერთი უმძიმესი სახის დანაშაული და იგი გამოიხატება რასობრივი, ეროვნული, ანუ ნაციონალური, ან რელიგიური რწმენის მოტივით ჩადენილი მასობრივი მკვლელობის

ჩადენაში, ცალკეული ჯგუფების გაჟლეტაში. ეს სიტყვა მომდინარეობს ბერძნულ-ლათინური სიტყვების – „genos" (ბერძნ.) – გვარი, ტომი და ლათინური „caedo" – ვკლავ, გხოცავ, – შეერთებით და ნიშნავს ზემოაღნიშნული მიტივით ადამიანთა გარკვეული ჯგუფის დახოცვას, გაჟლეტას;

გირაო – შეიძლება იყოს როგორც ფულადი თანხა, ისე მოძრავი ან უძრავი ქონება, რომელიც წინასწარი გამოძიების ან საქმის განმხილველი სასამართლოს დეპოზიტზე უნდა იქნეს შეტანილი კანონით დადგენილი წესით;

გრაფოლოგია – ხელნაწერის მიხედვით მისი შემსრულებელი პიროვნების დადგენის ადრინდელი მეთოდი. ამ მოძველებულ ტერმინს ზოგიერთი დღესაც ხმარობს ხელნაწერების მიხედვით ექსპერტიზის ჩატარების აღსანიშნავად სახელწოდებით „გრაფოლოგიური ექსპერტიზა". იგი ორი ბერძნული სიტყვის შეერთებაა – „graphu"-ს „ვწერ" და „logos" – მოძღვრება. ე.ი. სიტყვა „გრაფოლოგია" თავისი პირდაპირი გაგებით ნიშნავს მოძღვრებას ხელნაწერების შესახებ;

დანაშაული – არის კანონით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება, რომელიც შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახ ან გაუფრთხილებლობით;

დანაშაულის კვალიფიკაცია – არის ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების ნიშნების შესწავლის ერთობლიობით სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების დაკვალიფიცირება შესაბამისი მუხლით;

დაქტილოსკოპია – არის კრიმინალისტიკური ტექნიკის იმ მნიშვნელოვანი დარგის აღმნიშვნელი ცნება, რომელიც შეისწავლის ადამიანის ხელის თითების ჭარგებს პიროვნების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციისათვის. სიტყვა „დაქტილოსკოპია" მომდინარეობს ბერძნულიდან და ნიშნავს „daktylos" – თითს, „skoneo" – ყურებას, დაკვირვებას, „ჭვრეტას". ე.ი. სიტყვა „დაქტილოსკოპია" ნიშნავს ხელის თითებზე დაკვირვებას, ანუ უფრო ზუსტად – ადამიანის ხელის თითების ბოლო ფალანგებზე მოთავსებულ ჭარგებზე (დერილოვან ხაზებზე) დაკვირვებას;

დაზარალებული – სისხლის სამართლის საპროცესო კანონმ დებლობით დაზარალებულად ითვლება ის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი;

დემოკრატია – წარმოდგება ორი ბერძნული სიტყვისაგან „demos" – ხალხი და „kratos" – ხელისუფლება, ე.ი. ნიშნავს სახალხო ხელისუფლებას. ამასთან, იგი ასახავს სახელმწიფო მმართველობის ფორმას, მის პოლიტიკურ წყობილებას, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს;

დელიქტი – მომდინარეობს ლათინურიდან „delictum" და ნიშნავს სამართალდარღვევას, დანაშაულს;

ეკოციდი – არის ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსების მოწამვლა, ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება ან სხვა ისეთი ქმედება, რასაც შეეძლო ეკოლოგიური კატასტროფა გამოეწვია. ეკოციდი სისხლის სამართლის კანონმდებლობით ერთ-ერთ საშიშ დანაშაულად და დასჯად ქმედებადაა აღიარებული;

ემანსიპაცია – მომდინარეობს ლათინურიდან – „emancipatio" და ნიშნავს – უფლებრივად გათანასწორებას. მაგალითად, უფლებრივად ქალის გათანასწორება მამაკაცთან (ქალთა ემანსიპაცია);

ექსპერტი – არის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის რომელიმე დარგში და მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში ან აქვს ლიცენზია და უფლებამოსილია ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით, ან მხარეთა მოთხოვნით ჩაატაროს ექსპერტიზა და ექსპერტის წინაშე დასმულ საკითხებზე მისცეს შესაბამისი დასკვნა;

ექსპერტიზა – არის კანონით დადგენილი წესით ექსპერტის მიერ წარმოებული კვლევის პროცესი;

ეჭვმიტანილი – სისხლის სამართლის საპროცესო კანონის შესაბამისად, არის ის, ვის შესახებაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი სათვის, რომ მან ჩაიდინა კანონით დადგენილი მართლსაწინააღმ-

დეგო დანაშაულებრივი ქმედება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის მისთვის ბრალდების წასაყენებლად;

ექსტრადიცია – მომდინარეობს ლათინურიდან „extraditio" და ნიშნავს გადაცემას. იგი არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით უცხო სახელმწიფოს უფლება, მოითხოვოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი თავისი მოქალაქის ექსტრადიცია (გადაცემა), თუ მას ბრალად ედება თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენა. ან თუ იგი ჩადენილი დანაშაულისათვის თავისი ქვეყნის სასამართლოს მიერ ცნობილია დამნაშაული და შეფარდებული აქვს შესაბამისი სასჯელი, ან თუ მან თავისი ქვეყნის წინააღმდეგ ჩაიდინა დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე;

ვერსია – მომდინარეობს ფრანგულიდან „version" და ნიშნავს რაიმე ფაქტის ან გარემოების ასახსნელად წამოყენებულ რამდენიმე შესაძლო სავარაუდო ახსნას. იგი ძირითადად გამოიყენება კრიმინალისტიკაში მომხდარი დანაშაულის ან ასეთის მზადების ან მცდელობის შესახებ მიღებული ცნობებს საფუძველზე, გამოძიების დაწყების პირველსავე ეტაპზე, გამომძიებელი აგებს შესაბამისი გამოძიებო ვერსიებს მომხდარი ფაქტის ახსნის შესახებ და აწარმოებს მათ შემოწმებას დადგენილი წესით. კრიმინალისტიკაში იგი მიჩნეულია გამოსაძიებელი შემთხვევის შემეცნების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად;

ვერდიქტი – არის ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება განსასჯელი პირის დამნაშავედ ცნობის ან უდანაშაულოდ ცნობის შესახებ;

ზიანი – არის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით იურიდიული ან ფიზიკური პირისათვის მიყენებული მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, რომლის ანაზღაურება უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით;

თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში – არის ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში;

თაღლითობა – არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალ-

ისწინებული დანაშაულის სპეციალური სახე, რაც ძირითადად გამოიხატება მისაკუთრების მიზნით სხვისი კუთვნილი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებაში ან მოტყუებით ქონებრივი უფლების მოპოვებაში;

იგნორირება – მომდინარეობს ლათინურიდან „ignoro" და ნიშნავს არცოდნას. იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში იგი გამოიყენება ამა თუ იმ ფაქტის ან გარემოების უარსაყოფად სიტყვა იგნორირებით;

იდენტიფიკაცია – მომდინარეობს ლათინურიდან „identifico" და ნიშნავს იგივეობას, გაივივებას. ამ სიტყვას სხვა დარგის მეცნიერებაშიც იყენებენ გარკვეული გარემოების ან ფაქტის აღსანიშნავად. იურიდიული თვალთახედვით იგი უმთავრესად გამოიყენება კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში, სადაც შემუშავებულია იდენტიფიკაციის თეორია და მისი კვლევის სპეციალური ხერხები და მეთოდები. აქ იგი გამოიყენება კრიმინალისტიკური მიზნებისათვის საგნებისა და ობიექტების დასადგენად მათი ნიშან-თვისებების მიხედვით;

ინსცენირება – (ლათ. „in"-ზე და „sena" – სცენა) ნიშნავს რაიმე გარემოების მოწყობას, გათამაშებას ვისიმე მოსატყუებლად, თვალის ასახვევად;

იმპიჩმენტი – არის სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეების წარმოების განსაკუთრებული წესი;

ინტელექტი – მომდინარეობს ლათინურიდან „intellectus" და ნიშნავს ადამიანის აზროვნების უნარს, გონებრივი განვითარების დონეს.

ინტელიგენცია – მომდინარეობს ლათინურიდან „intelligentia"-და ასახავს იმ სოციალურ ფენას, რომელიც შედგება გონებრივი შრომის მუშაკებისაგან, იმ პირთაგან, რომლებსაც აქვთ ცოდნა მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში;

იმუნიტეტი – მომდინარეობს ლათინურიდან „imunitatis" და ნიშნავს ცალკეულ პირთა ხელშეუხებლობას, მაჩვენებელს ზოგიერთი კანონის გაუვრცელებლობას. ამ მიმართებით განასხვავებენ დეპუტატის იმუნიტეტს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს წევრის პიროვნების ხელშეუხებლობასა და დიპლომატიურ იმუნიტეტს, როგორც დიპლომატიური წარმომადგენლისა და მისი ბინის ხელშეუხებლობას;

იურისპრუდენცია – მომდინარეობს ლათინურიდან „jurisprudentia" და ნიშნავს იურიდიულ მეცნიერებათა ერთობლიობას. იურისტთა სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობათა ერთობლიობას. იგი ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ დარგს, პრაქტიკასა და მეცნიერებას, რაც დაკავშირებულია სამართალთან, სამართალმცოდნეობასთან, იურიდიულ საქმიანობასთან;

იურისტი – არის იურიდიული განათლების მქონე, იურისპრუდენციის დარგში მომუშავე სამართალმცოდნე პირი;

იურისდიქცია ნიშნავს სამართლებრივი ხასიათის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სპეციალური ორგანოების (სასამართლოს, საარბიტრაჟო სასამართლოს, შრომის დავების განმხილველი სპეციალური კომისიებისა და სხვ.) საქმიანობას. იგი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „jurisdictio" და ნიშნავს სასამართლო წარმოებას, სასამართლო საქმისწარმოების უფლებას, განსჯადობას;

იურიდიული პირი – ეწოდება საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილე იმ სუბიექტთა ერთიანობას, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია თავისი წარმომადგენლის სახით;

იურიდიული, ანუ სამართლებრივი მეცნიერება არის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ცოდნის ის მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის ფართო გაგებით თავისი განშტოებული სამართლის ცალკეული დარგებისა და სპეციალური იურიდიული დისციპლინებით;

იურიდიული, ანუ სამართლებრივი ურთიერთობა არის ისეთი ურთიერთობა, რომელიც აღმოცენდება სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის ამა თუ იმ სახის სამართლებრივი ნორმების საფუძველზე; იურიდიული, ანუ სამართლებრივი ცნებები ერთმნიშვნელობრივად მიჩნეული. სიტყვა „იურიდიული" მომდინარეობს ლათინურიდან „jus, jure" და ნიშნავს სამართალს, სამართ-

ლებრივს და მათ შორის რაიმე პრინციპული მნიშვნელობის სხვაობა არაა;

იურისკონსულტი – არის იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელიც მუშაობს სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, ან კომერციულ დაწესებულებაში იურისტ-კონსულტის თანამდებობაზე და, რომელსაც ეკალება თავისი ორგანიზაციის ინტერესების დაცვა სასამართლო ორგანოებში და აგრეთვე სხვადასხვა უფლებრივი დოკუმენტაციის შედგენა-გაფორმება. იგი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „juris consultus" და ნიშნავს სამართლისმცოდნე პირს;

იუსტიცია – ფართო გაგებით ნიშნავს სასამართლო დაწესებულებათა სისტემას, მართლმსაჯულებას, სასამართლო წარმოებას. იგი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან – „justitia" და ნიშნავს სამართლიანობას, კანონიერებას.

კანონი – არის სახელმწიფო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. იგი არის სამართლის ძირითადი წყარო და მას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იურიდიული ძალის და იერარქიის მიხედვით პარლამენტში მათი მიღების საერთო წესით ერთმანეთისაგან განასხვავებენ საკონსტიტუციო სახის კანონს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ორგანულ კანონებს და სხვა მიმდინარე კანონებს. აქედან სამართლის მთავარი ძირითადი წყარო არის კონსტიტუცია, შემდეგ კი მოდის სხვა მომდევნო კანონები;

კანონმდებლობა – ნიშნავს კანონთა კრებადობასა და ერთიანობას;

კანონის ახსნა-განმარტება – არის იურიდიული ნორმების შინაარსის ახსნა მათი სწორად გამოყენების მიზნით;

კასაცია – არის სასამართლოს ზემდგომი ინსტანცია, სადაც საქმის განხილვა ხდება არაარსებითად;

კოდიფიკაცია – არის კანონმდებლობის სისტემატიზაციის სპეციალური ხერხი, რომლითაც ხდება საკანონმდებლო ნორმების დალაგება სამართლის ცალკეულ დარგებად და შემდეგ მის საფუძველზე

წარმოებს სამართლის ამ დარგების შესაბამისი კოდექსების გამოცემა;

კონსტიტუცია – არის განსაკუთრებული წესით მიღებული საქართველოს უზენაესი კანონი;

კონცეფცია – არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირის თავისებური ფორმა;

კრიმინალისტიკა – მომდინარეობს ლათინურიდან „criminalis" და ნიშნავს დანაშაულებრივს – დანაშაულის ცოდნას. იგი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რთული იურიდიული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების ტექნიკას, ტაქტიკასა და ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდიკას;

კრიმინალისტიკური ექსპერტიზა არის სასამართლო ექსპერტიზის სისტემაში შემავალი სპეციალური ექსპერტიზების გარკვეული სახეობა. ამ სახის ექსპერტიზებს მიეკუთვნება: ფოტოექსპერტიზა; დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, ფეხის კვალის ექსპერტიზა, გატეხვის იარაღების კვალთა ექსპერტიზა; სატრანსპორტო საშუალებათა კვალის ექსპერტიზა; ბალისტიკური ექსპერტიზა; დოკუმენტების კრიმინალისტიკური ექსპერტიზა; გარეგანი ნიშნებით პიროვნების დადგენის მიზნით წარმოებული ექსპერტიზა და სხვ.;

კრიმინოლოგია – დამოუკიდებელი იურიდიული დისციპლინა, რომლის მთავარი მიზანია დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების შესწავლა, დანაშაულის დინამიკისა და სტრუქტურის შესწავლა-გამოკვლევა და სხვ.;

კიბოლოგია – არის მეცნიერება ძალლების ჯიშებისა და მათი მოვლა-გაწვრთნის შესახებ, რომელსაც აწარმოების უშუალოდ კინოლოგი. იგი უმთავრესად გამოიყენება კრიმინალისტიკაში ოდოროლოგიული, ანუ სუნის კვლევის მიმართულებასა და ოპერატიულ-სამძებრო მიზნებისათვის, დამნაშავეთა ცხელ კვალზე მიღევნების, მათი აღმოჩენის, დაკავებისა და წარმოდგენისათვის;

კომენტარი – მომდინარეობს ლათინურიდან – „commentarius" და ნიშნავს რაიმე ტექსტის ახსნა განმარტებას, მასზე კრიტიკულ შენიშვნასა და მსჯელობას;

კონფისკაცია – მომდინარეობს ლათინურიდან „confiscatio" და ნიშნავს ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევას სახელმწიფოს სასარგებლოდ;

კორუფცია – მომდინარეობს ლათინურიდან „corruptio“ და ნიშნავს მოსყიდვას. სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით იგი ნიშნავს თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვას. სწორედ ამის გამო ზოგიერთი ავტორი მას აიგივებს ქრთამის აღებასთან – მექრთამეობასთან;

კომერციული მოსყიდვა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით აღიარებულია დამოუკიდებელი სახის დანაშაულად და მისი არსი მდგომარეობს არა მოხელე თანამდებობის პირის სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობის ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებელი პირისათვის ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა სახის ქონების უკანონოდ გადაცემაში, ან ქონებრივი მომსახურების უკანონოდ გაწევაში, რათა მან თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს მომსყიდველის ინტერესებისათვის და, პირიქით, ამ არამოხელე თანამდებობის პირის მიერ ზემოაღნიშნული რაიმე სახით ქონების მიღებაში;

ლესბიანობა, ანუ ლესბოსური სიყვარული – ქალის არაბუნებრივი სქესობრივი ლტოლვა ქალისადმი. ეს სახელწოდება მომდინარეობს ძველი საბერძნეთის კუნძულ ლესბოსის სახელის მიხედვით. ამგვარი ძალმომრეობითი მოქმედება ან მისი იძულება მისი სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე და 139-ე მუხლებით დასჯად დანაშაულებრივ ქმედებადაა აღიარებული და საკმაოდ მკაცრადაც ისჯება. ასევე დასჯად ქმედებადაა აღიარებული ქალის მიერ ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკისათვის მიუღწეველ პირთან;

ლუმინესცენცია – მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს ელექტრული, ქიმიური ან სხვა პროცესებით გამოწვეული რაიმე სხეულის ცივ ნათებას, ეს მეთოდი განსაკუთრებით გამოიყენება კრიმინალისტიკურ ტექნიკაში სავანზე (ტანსაცმელზე) სისხლის, სპერმის ან სხვა სპეციალური კვალის (ფაიფურის ნაწარმზე ხელის თითების უჩინარი კვალის) გამოსავლენად, ან რაიმე სავანზე ლუმინოგენის ფხვნილების ან სხვა უჩინარი ფანქრით ქაღალდზე

შესრულებული სპეციალური უჩინარი წარწერების აღმოსაჩენად;

მაგისტრატურა – მომდინარეობს ლათინურიდან „magistratus“ და ნიშნავს წარჩინებულ მოხელეს. ძველ რომში უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა ეკავათ მაგისტრებს, ამჟამად ჩვენთან მაგისტრატურა არის უმაღლეს სასწავლებელში სწავლების უმაღლესი ფორმა და იგი დამკვიდრებულ იქნა იურიდიულ ფაკულტეტსა და სხვა ფაკულტეტებზე. ინგლისისა და საფრანგეთის მსგავსად უკვე ჩვენთანაც გაჩნდა აგრეთვე მაგისტრი მოსამართლის თანამდებობები;

მამათმავლობა – მამაკაცის მიერ სქესობრივი ურთიერთობის დაჭერა მამაკაცთან. საქართველოს ამჟამინდელი სისხლის სამართლის კანონით მამათმავლობა ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია ძალმომრეობით ან სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარით ან თუ პირმა იცოდა, რომ ამგვარ სქესობრივ კავშირს ამყარებდა თექვსმეტ წელს მიუღწეველ პირთან;

მონარქი – მომდინარეობს ბერძნულიდან „monarchos“ და ნიშნავს სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველობას, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი. კერძოდ, მეფის, იმპერატორის, სულთანის, შაჰის და სხვ.;

მონარქია – არის სახელმწიფოს ისეთი მმართველობის ფორმა, როცა სახელმწიფოს სათავეში დგას ერთი პირი, მონარქი;

მოსამართლე – არის საერთო სასამართლოებში მოსამართლის თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელიც უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით და ფარგლებში განახორციელოს მართლმსაჯულება. მოსამართლის ცნებაში იგულისხმება თვითონ მოსამართლე, სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, სასამართლოს წევრი, სააპელაციო სასამართლო კოლეგიის წევრი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, უზენაესი სასამართლოს პალატის თავმჯდომარე და მისი წევრები, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და ამ სასამართლოს წევრები;

მართლწესრიგი – ნიშნავს საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას კანონიერების მოთხოვნათა უმკაცრესი დაცვით;

მექრთამეობა – არის სისხლის სამართლის კანონით გათვალ-

ისწინებული ერთ-ერთი მძიმე დანაშაული. მისი არსი მდგომარეობს მოხელეე თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის რაიმე სახის მოქმედების ან უმოქმედობის შესრულებაში უკანონო „გასამრჯელოს" — ქრთამის მიცემა-აღებაში. ისჯება როგორც ქრთამის აღება, ისე ქრთამის მიცემა;

მსჯავრდებული — არის პირი, რომელიც სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში და მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი;

მოწმე — არის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით შეიძლება დაიკითხოს წინასწარ გამოძიებაში ან სასამართლოში და მისცეს ჩვენება სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეზე მისთვის ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ;

მართლმსაჯულება — ნიშნავს იურისდიქციული საქმიანობის ხარისხობას, ანუ სასამართლოს საქმიანობას კონკრეტული საქმეების განხილვასთან დაკავშირებით, დარღვეული სამართლებრივი უფლებების აღდგენას და განსახილველ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. განსასჯელი პირის უდანაშაულოდ ან დამნაშავედ ცნობის მიმართებაში. უფრო სწორედ, მართლმსაჯულება არის სასამართლოს ისეთი საქმიანობა, რომელიც დადგენილი წესით უზრუნველყოფს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა-გამოკვლევას, მიღებულ მტკიცებულებათა ანალიზსა და შეფასებას და მის საფუძველზე პირის ცნობას უდანაშაულოდ ან დამნაშავედ და ამის შესაბამისად სწორი დასაბუთებული სამართლიანი გადაწყვეტილების — გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, ას განჩინების, დადგენილების, ან გადაწყვეტილების გამოტანას;

მოტივი — არის დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი. დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს ანგარება, შურისძიება, სამაგიეროს მიზღვა, კარიერიზმი და სხვ. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მოტივის დადგენა აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ მთელ რიგ შემთხვევაში მოტივი გვევლინება ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებადაც;

ნარკომანი — არის ნარკომანიით დაავადებული, ნარკომანიით შეპყრობილი ადამიანი;

ნარკომანია — მომდინარეობს ბერძნულიდან „narke" ნიშნავს ძილს, გაშეშებას, „mania" კი სიგიჟეს. ყოველივე ეს კი გამოიხატება ამა თუ იმ პირის ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებისადმი ძლიერ, ავადმყოფურ მიდრეკილებაში. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება როგორც ნარკოტიკული საშუალების დამზადება, ისე მისი რეალიზაცია, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გამოძალვა, მოხმარებაზე სხვისი დაყოლიება, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო ღათესვა, მოყვანა და კულტივირება, მის შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება, ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა;

ნოტარიატი — არის ორგანო, სადაც წარმოებს სხვადასხვაგვარი დანიშნულების მქონე დოკუმენტების, იურიდიული აქტების — ხელშეკრულებების, მინდობილობების, ანდერძის, ჩუქების და სხვ. დამოწმება, მემკვიდრეობის მოწმობის გაცემა, დოკუმენტებზე ხელმოწერათა ნამდვილობისა და დოკუმენტის პირების ნამდვილობის დადასტურება და სხვ.;

ნოტარიუსი — არის იურიდიული განათლების მქონე პირი, რომლის მოვალეობაა ზემოთ ნოტარიატის ცნებასთან დაკავშირებით ჩამოთვლილ ქმედებათა შესრულება სხვადასხვაგვარი იურიდიული აქტების დამოწმება და გაფორმება, იურიდიული ფაქტების დადგენის გარეშე;

ოკუპაცია — მომდინარეობს ლათინურიდან „occupatio" და ნიშნავს რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავებას, მის ოკუპირებას;

ოპონენტი — მომდინარეობს ლათინურიდან „opponens" და ნიშნავს პირს, რომელიც კამათსა და პაექრობაში გამოდის ვისიმე მოსაზრების, ვისიმე დასაბუთების წინააღმდეგ. ოპონენტი შეიძლება იყოს როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური. როგორც წესი, ოფიციალურ ოპონენტს წინასწარ ნიშნავენ დისერტაციის დაცვაზე და საჯარო დისპუტზე გამოსასვლელად;

პლაგიატი – მომდინარეობს ლათინურიდან „plagiatus" და ნიშნავს სხვისი ნაწარმოების მითვისებას. აგრეთვე პირის მიერ თავის ნაშრომში სხვისი ნაშრომის ან ნაწარმოების გამოყენებას მის ავტორზე მითითების გარეშე. ამგვარი ქმედების ჩამდენი პირი ითვლება პლაგიატორად და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლით ავტორობის მითვისება საკმაოდ მკაცრად ისჯება;

პლებისციტი – მომდინარეობს ლათინურიდან „plebiscitum" და ნიშნავს ხალხის გადაწყვეტილებას. მას უწოდებენ აგრეთვე რეფერენდუმს. ანუ საერთო-სახალხო კენჭისყრას. ამგვარი სახის კენჭისყრაში ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლით დასჯად ქმედებადაა გამოცხადებული;

პორნოგრაფია – არის სქესობრივი და გარყვნილი ქმედებების ამსახველი ვიზუალური ნახატებისა და სურათების დამზადება. ამგვარი ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონო დამზადება და გასაღება საქართველოს სისხლის სამართლის 255-ე მუხლით დასჯად ქმედებადაა აღიარებული;

პროვოკაცია – მომდინარეობს ლათინურიდან „provocatio" და ნიშნავს რაიმე გარემოების გამოწვევას, მის პროვოცირებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით დასჯად ქმედებადაა გამოცხადებული დანაშაულის პროვოკაცია, ანუ ისეთი ქმედების ჩადენა, როცა პირი ახდენს სხვის დაყოლიებას დანაშაულის ჩადენად მის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით;

პროკურატურა – არის სახელმწიფოს ისეთი დაწესებულება, მისი ისეთი ორგანო, რომელიც აწარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ახორციელებს გამოძიების პროცესუალურ ხელმძღვანელობას და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობას;

პროკურორი – სიტყვა პროკურორი წარმოდგება ფრანგულიდან „procureur" და ნიშნავს ზრუნვას. ამ სიტყვის ფართო გაგებით პროკურორი არის ისეთი თანამდებობის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით აწარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას, წინასწარი გამოძიების პროცესუალურ ხელმძღვანელობას და სასამართლოში გამოდის როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი;

პროსტიტუცია – მომდინარეობს ლათინურიდან „prostitutio" და ნიშნავს შერცხვენას, წაბილწვას. იგი ლიტერატურასა და საუბარში გამოიყენება როგორც ქალების მიერ თავიანთი სხეულით ვაჭრობის ასახვა, მათ მიერ წარმოებული მეძავობა. ამჟამად ეს ტერმინი გასცდა ოავის ფარგლებს და მისი სუბიექტი შეიძლება იყოს მამაკაციც. ახალი სისხლის სამართლის კოდექსით პროსტიტუცია ღამოუკიდებელი სახის დანაშაულად აღარაა გათვალისწინებული. ასეთი ქმედება სსკ 171-ე მუხლის მესამე ნაწილით ისჯება მხოლოდ არასრულწლოვანის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობით ან ძალადობის მუქარით;

ჟესტიკულაცია – მომდინარეობს ფრანგულიდან „gesticulei" და ნიშნავს ლაპარაკის ან მუსიკელების დროს ხელის მოძრაობის ან სახის მიმიკის თავისებურ გამოყენებას;

ჟიური – მომდინარეობს ფრანგულიდან „jury" და ნიშნავს სხვადასხვა მიზნით შერჩეულ სპეციალისტთა გარკვეულ ჯგუფს. საქართველოს სსკ-ით ღასჯად დანაშაულებრივ ქმედებადაა აღიარებული ჟიურის წევრის მოსყიდვა;

რეაბილიტაცია – მომდინარეობს ლათინურიდან „rehabilitatio" და ნიშნავს რეაბილიტირებას, ადამიანის უსაფუძვლოდ შელახული ღირსების, მისი პატიოსანი სახელის, ან მისთვის ჩამორთმეული უფლების აღდგენას. უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მსჯავრდებული პირის რეაბილიტაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს განაჩენით ან მოსამართლისა და პროკურორის დადგენილებით;

რეპრესია – მომდინარეობს ლათინურიდან „repressio" და ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ რაიმე სახის დასჯითი ღონისძიებების მასიურ გატარებას;

რეკვიზიტი – სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განმარტებულია, როგორც შემოსვლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატური მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა;

რეკეტორი ნიშნავს პირს, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას;

რეპუტაცია – მომდინარეობს ფრანგულიდან „reputation" და ნიშნავს გარკვეული პირის ან გარკვეული გარემო-ვითარების ღირსებისა და ნაკლოვანი მხარეების გათვალისწინებით ჩამოყალიბებულ საერთო აზრს, საერთო შეხედულებას;

რესოციალიზაცია – სისხლის სამართალში გამოიყენება სასჯელის მიზანთან დაკავშირებით დამნაშავის ხელახალი აღზრდის მიმართებაში. კერძოდ, სსკ-ის 39-ე მუხლში ნათქვამია: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია";

სადიზმი – უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს სხვისი წვალებითა და ტანჯვით სიამოვნების მიღებას. იგი შეიძლება გამოიხატოს სქესობრივი ურთიერთობის პროცესშიც, როცა ერთი პარი – მამაკაცი ცდილობს ტკივილი მიაყენოს თავის მეორე პარტნიორს და ასე დაიკმაყოფილოს თავისი სქესობრივი მოთხოვნილება და სხვ.;

სანქცია – მომდინარეობს „sanctio" და ნიშნავს რაიმე აქტის დამტკიცებას, მის დაკანონებას, მისთვის რაიმე სახის იურიდიული ძალის მინიჭებას;

სეკვესტრი – მომდინარეობს ლათინურიდან „sequestrum" და ნიშნავს სახელმწიფოს მიერ რაიმე სახის კერძო ქონების გამოყენების შეზღუდვას, მასზე ყადაღის დადებას;

სემესტრი – მომდინარეობს ლათინურიდან „semestris" და ნიშნავს ექვსთვიანს, უმაღლეს სასწავლებელში სასწაულო წლის ნახევარს;

სემინარი – მომდინარეობს ლათინურიდან „seminarium" და ნიშნავს გარკვეულ საგანში უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ჯგუფურ მეცადინეობას;

სენატი – მომდინარეობს ლათინურიდან „senatus" და ძველ რომში ნიშნავდა უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოს; ზოგან პარლამენტის ზედა პალატას (აშშ); ზოგან უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციულ დაწესებულებას;

სპეციალისტი – არის ამა თუ იმ დარგში სათანადო მეცნიერული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ტექნიკური ან სხვა სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირი;

სასამართლო – იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვანაირადაა გაგებული. პირველ რიგში იგი გაგებულია, როგორც მართლმსაჯულების განმხორციელებელი კონკრეტული სასამართლო. შემდეგ, როგორც სახელმწიფოს სასამართლო სისტემა, დაბოლოს, როგორც კონკრეტული საქმის განმხილავი და მასზე მართლმსაჯულების განმხორციელებელი კონკრეტული სასამართლო თავისი შემადგენლობით. სასამართლოს ცალკე სახეა აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლო. საერთო მართლმსაჯულების განმხორციელებელი სასამართლო თავისი იერარქიის მიხედვით არის პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლო;

პირველი ინსტანციის სასამართლოს ცნებაში იგულისხმება სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმე და მასზე გამოიტანოს განაჩენი, განჩინება ან დადგენილება;

სააპელაციო წესით სასამართლოში განიხილება მხოლოდ ისეთი საქმეები, რომელზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილია განაჩენი და იგი კანონით დადგენილ ვადაში (კანონით დადგენილი წესით) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განსახილველად. სააპელაციო წესით საქმის განხილვა ხდება არსებითად და მასზე ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, გამოიტანება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება – განაჩენის, განჩინების, დადგენილების ან გადაწყვეტილების სახით. რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას, აქ საკასაციო წესით საქმის არსებითი განხილვა არ ხდება და განხილულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანება განჩინება და იგი ძალაში შედის სასამართლოს მიერ მისი გაპროტესტების მომენტიდან;

სამართალი – იურიდიულ ლიტერატურაში გაგებულია ორგვარად, სამართლის ობიექტური და სუბიექტური სახით. ობიექტური გაგებით, სამართალი, როგორც სოციალური მოვლენა და მარეგულირებელი, დაკავშირებული არაა ცალკეულ პირებთან და იგი გვევლინება როგორც სამართლის ცალკეული დარგის მარეგულირებელ ფაქტორად. მაგალითად, სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, საოჯახო სამართალი და სხვ. სუბიექტური გაგებით კი, იგი

დაკავშირებულია ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების უფლებებთან. რაც შეეხება თვით სამართლის ცნებას, იურიდიულ ლიტერატურაში იგი განმარტებულია, როგორც ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი ქცევის ისეთი სავალდებულო წესების ერთობლიობა, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით;

სამართლის წყარო – არის ის საშუალება და ფორმა, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლის ნორმას. სამართლის უმთავრესი წყაროა კანონი და კანონქვემდებარე აქტები, ე.ი. სამართლის წყარო არის ისეთი ნორმატიული აქტები, რომლებშიც ცოცხლობს და თავის გამოხატულებას პოულობს იურიდიული ნორმები;

სამართლის გამოყენება – ნიშნავს სასამართლოს, პროკურატურისა და სხვა სპეციალური სამართალდამცავი ორგანოების მიერ იურიდიული ნორმების ცხოვრებაში გატარებას;

სამართალდამცავი ორგანოების ცნებაში იგულისხმება ისეთი ორგანოები, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო ახდენს სამართალდაცვის განხორციელებას, მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების პრაქტიკაში გატარებას და მისი დამრღვევი პირების მიმართ იყენებს სამოქალაქო-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივი ხასიათის სხვადასხვა სახის იძულებით ღონისძიებას;

სამართალდარღვევა – ნიშნავს მოქმედი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობას;

სამართლის ნორმა – არის ქცევის ისეთი ზოგადი წესი, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ მრავალჯერადი გამოყენებისათვის. არსებობს სამართლის ნორმის მრავალსახეობა. მათი დაყოფა და დაჯგუფება ხდება სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით;

სპეციალისტი – არის ის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის დარგში და, რომელიც გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს მიერ მოწვეულია მტკიცებულებათა აღმოჩენის, დამაგრების ან მისი დემონსტრირების მიზნით;

საქვეყნოობა – არის სისხლის სამართლის პროცესის ის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა სასამართლოში საქმის განხილვა წარმოებს ღიად, თუ კანონით დადგენილი წესი არ ზღუდავს საქმის ღიად განხილვას;

უდანაშაულობის პრეზუმფცია – არის სისხლის სამართლის პროცესის ის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლის საფუძველზე პირი არ შეიძლება დამნაშავედ იქნეს ცნობილი მანამ, სანამ იგი დამნაშავედ არ იქნება ცნობილი სასამართლოს მიერ და მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში არ იქნება შესული;

ფალსიფიკაცია – მომდინარეობს ლათინურიდან „falsifico" – ვაყალბებ და ნიშნავს რაიმე ჩამდვილის შეცვლას მცდარით, მის გაყალბებას, ან მისი ხარისხის გაუარესებას. სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლა მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ ანგარებით;

ფსიქოპათია – ნიშნავს პიროვნების სულიერ მოშლილობას;

ფიზიკური პირი – არის სამოვაჭრო ურთიერთობის მონაწილე ის კონკრეტული პირი, რომელიც ამ ურთიერთობაში მონაწილეობს და იცავს საკუთარ ინტერესებს ან იცავს სხვა რომელიმე კონკრეტული პირის ინტერესებს კანონით დადგენილი წესით;

ქირომანტია – მომდინარეობს ბერძნულიდან „cher" – ხელი და „manteia" – მკითხაობა, წინასწარმეტყველება. იგი ცნობილია კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში და ცალკე სპეციალურ გამოკვლევებში როგორც მკითხაობა ადამიანის ხელისგულის ხაზების მიხედვით;

ქრთამი – არის მოხელე თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დაინტერესებული პირისაგან მატერიალური ღირებულების მჭირნე ნებისმიერი სახის ძვირფასეულობის (ფულის, ოქროს, ძვირფასი ჩაწარმის, კეთილშობილური ლითონის ნაკეთობის, ბრილიანტის, მარგალიტის და სხვ.) მიღება და უსასყიდლოდ მატერიალური სახის მომსახურება. ქრთამად არ შეიძლება ჩაითვალოს მოხელე თანამდებობის პირისათვის სხვა რაიმე არამატერიალური სახის მომსახურება. მაგალითად, მოხელე თანამდებობის პირის მიერ დაინტერესებული პირისათვის რაიმე

სახის მოქმედების ან უმოქმედობის შესრულებაში მასთან ნებისმიერი სახით სქესობრივი კავშირის დაჭერა და, ამგვარი არამატერიალური მომსახურებით გარკვეული სიამოვნების მიღება და სხვ.;

ქურდობა – არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით;

ყადაღა – არის პროცესუალური მოქმედება, რომელიც კრძალავს ყადაღადადებული ქონების განსხვისებას, მის განკარგვას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ქონებაზე ყადაღის დადება და ქონების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით);

შებრუნება საუარესოდ – ნიშნავს იმას, რომ სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს გამამართლებელი განაჩენი შეცვალოს და მის მაგიერ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, ან დანიშნოს ისეთზე მკაცრი სასჯელი, ვიდრე მას პირველი ინსტანციის სასამართლომ შეუფარდა და საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, დამძიმების განსასჯელის მდგომარეობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მოთხოვნით იქნა შეტანილი სააპელაციო საჩივარი პროკურორის, დაზარალებულის, ბრალდების მხარის წარმომადგენლის მიერ და თუ მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც;

შეწყალება – არის საქართველოს პრეზიდენტის უფლება მოახდინოს შეწყალება კონკრეტული მსჯავრდებულისა და გაათავისუფლოს იგი სასჯელისაგან ან შეუცვალოს სასჯელი უფრო მსუბუქი სასჯელით;

ცივილისტიკა – მომდინარეობს ლათინურიდან „civilis“ და ნიშნავს სამოქალაქო, სამოქალაქო სამართალს;

ცრუ დასმენა – არის წინასწარი შეცნობით არასწორად ვინმეს დასმენა დანაშაულის ჩადენაში (პირი, რომელსაც ასეთი მოქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით დასჯად ქმედებადაა აღიარებული);

ჰერმაფროდიტი – არის ისეთი შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე პირს აქვს მამრობითი და მდედრობითი სქესის ნიშნები;

ჰიპნოზი – მომდინარეობს ბერძნულიდან „hypnos“ და ნიშნავს

ძილს – ძილთან მიახლოებულ მდგომარეობას, რომელიც გამოწვეულია შთაგონებით; მისი არსი მდგომარეობს ჰიპნოზიორის მიერ პირისადმი სიტყვიერი შთაგონებით ან სხვა ხერხებით მასში ჰიპნოზური ძილის გამოწვევისა და ჰიპნოზიორისადმი დამორჩილებაში, რა დროსაც იგი თავისდაუნებურად ასრულებს ჰიპნოზიორის ნება-სურვილს;

ჰიპნოტიზმი – არის მოძღვრება ჰიპნოზის შესახებ; მომდინარეობს ბერძნულიდან „hypotesis“ და ნიშნავს ვარაუდს, – რაიმე მოვლენის ან გარემოების ასახსნელად წამოყენებულ მეცნიერულ ვარაუდს, რომლის უეჭველობა ჯერ არ არის ცხადით დამტკიცებული;

ჰიპოთეზა – მომდინარეობს ბერძნულიდან „hypotesis“ და ნიშნავს ვარაუდს, – რაიმე მოვლენის ან გარემოების ასახსნელად წამოყენებულ მეცნიერულ ვარაუდს, რომლის უეჭველობა ჯერ არ არის ცხადით დამტკიცებული. იგი, როგორც იურიდიული ტერმინი გამოიყენება ორი ძირითადი მიმართულებით: **ჯერ ერთი**, როგორც ამა თუ იმ მოვლენის სავარაუდო ახსნის ამსახველი და, **მეორე**, როგორც წორმის სტრუქტურის ერთერთი შემადგენელი ნაწილი.

ჰომოსექსუალიზმი – მომდინარეობს ბერძნულიდან „homossexualis“ – და ნიშნავს არაბუნებრივ სქესობრივ ლტოლვას თავისივე სქესის პირისადმი;

ასეთია ძირითადი ნუსხა იმ იურიდიული ტერმინებისა, რომელთა დანიშნულებისა და მნიშვნელობის ცოდნის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილად დავეუფლოთ და ჩავწვდეთ სპეციალური იურიდიული ლიტერატურის არსსა და მნიშვნელობას. ამიტომ ვფიქრობთ დახასელებული ამ მცირეოდენი სახით წარმოდგენილი იურიდიული ტერმინოლოგიის ცოდნა აუცილებელია როგორც დამწყები, ისე კვალიფიციური იურისტისათვის.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის იურიდიული ტერმინოლოგია და რატომაა მისი ცოდნა აუცილებელი?

2. რას ნიშნავს სიტყვა – აბორტი, ადვოკატი, ადვოკატურა, ალიბი, ალიმენტი და ამნისტია?

3. რას ნიშნავს სიტყვა – ანალოგია, ანექსია, ამსრულებელი, ანონიმური წერილი, ამორალური, აპელაცია, არბიტრაჟი და არასრულწლოვანი?

4. რას ნიშნავს სიტყვა – ბანდიტიზმი, ბიზნესი, ბიზნესმენი, ბრალდებული და ბრალმდებელი?

5. რას ნიშნავს სიტყვა – განსასჯელი, განაჩენი, განჩინება, გაუპატიურება, გენოციდი, გირაო და გრაფოლოგია?

6. რა არის დანაშაული და დანაშაულის კვალიფიკაცია?

7. რას ნიშნავს სიტყვა დაზარალებული, დაქტილოსკოპია, დემოკრატია და დელიქტი?

8. რა არის ეკოციდი და ემანსიპაცია?

9. რას ნიშნავს სიტყვა ექსპერტიზა, ექსპერტი, ეჭვმიტანილი და ექსტრადიცია?

10. რა არის ვერსია, ვერდიქტი, ზიანი, თანაშრომლობა და თავდაცვა?

11. რა არის და რას ნიშნავს სიტყვა იგნორირება, იდენტიფიკაცია, ინიცენირება, იმპიჩმენტი, ინტელექტი, ინტელიგენცია?

12. რას ნიშნავს სიტყვა იმუნიტეტი, იურისპრუდენცია, იურისდიქცია, იურისტი?

13. რა სხვაობაა იურიდიული და ფიზიკური პირის სიტყვებს შორის?

14. რა დანიშნულებითა და მიმართებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერმინი – იურიდიული, ანუ სამართლებრივი მეცნიერება და იურიდიული, ანუ სამართლებრივი ურთიერთობა?

15. რას ნიშნავს სიტყვა იურისკონსულტი?

16. რას ნიშნავს სიტყვა იუსტიცია, კანონი, კანონმდებლობა, კანონის ახსნა-განმარტება, კასაცია, კოდიფიკაცია და კონსტიტუცია?

17. რას ნიშნავს სიტყვა – კონცეფცია, კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა, კომენტარი, კონფისკაცია, კორუფცია, კომერციული მოსყიდვა?

18. რას ნიშნავს სიტყვა – ლესბოსობა, ანუ ლესბოსური სიყვარული, მაშოხიზმი და მონარქია?

19. რას ნიშნავს სიტყვა – მაგისტრატურა, მოსარქი, მოსამართლე, მართლწესრიგი, მექრთამეობა, მართლმსაჯულება?

20. რა არის სიტყვა – მექრთამეობა, მსჯავრდებულია, მოწმე, მოტივი?

21. რას ნიშნავს სიტყვა – ნარკომანი, ნარკომანია, ნოტარიატი, ნოტარიუსი, ოკუპაცია და ოპონენტი?

22. რას ნიშნავს სიტყვა – ოპონენტი, პლაგიატი, პლებისციტი, პორნოგრაფია და პროვოკაცია?

23. რას ნიშნავს სიტყვა პროსტიტუცია, პროკურატურა, პროკურორი, გამომძიებელი და მოსამართლე?

24. რას ნიშნავს სიტყვა რეკეტი, რეკეტიორი, რეაბილიტაცია, რეპრესია, რეპუტაცია, რესოციალიზაცია?

25. რას ნიშნავს სიტყვა – სადიზმი, სანქცია, სეკვესტრი, სემესტრი, სემინარი?

26. რას ნიშნავს სიტყვა – სენატი, სპეციალისტი, სამართალი, სამართლის წყარო, სამართალდარღვევა და სამართლის ნორმა?

27. რას ნიშნავს სიტყვა – ფალსიფიკაცია, ფსიქოპათია, ქირომანტია და ქრთამი?

28. რას ნიშნავს სიტყვა – ყაჩაღი, ჭურდობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, შებრუნება საუარესოდ და შეწყალება?

29. რას ნიშნავს სიტყვა – ცივილისტიკა, ცრუ დასმენა, ჰერმაფროდიტი, ჰიპნოზი, ჰიპოთეზა, ჰომოსექსუალიზმი და ჰიპნოტიზმი?

თავი IV

ქართული სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისა და თანამედროვე მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა

§1. ზოგი რამ საქართველოს კანონმდებლობისა და ქართული იურიდიული აზროვნების ისტორიული განვითარების შესახებ

ქართველი ერის ცხოვრებასა და აზროვნების განვითარების ისტორიის წიაღულ ბოლად გასდევს კანონიერების, სამართლიანობისა და სამართლისათვის განუხრელი სწრაფვა.

ცნობილია, რომ სჩვადასხვა გარემოებითა და უსამართლობით გაწამებული ქართველი კაცი თავის საღოცავებსა და მაღალ ღმერთს სიმართლისა და სამართლიანობას აღდგენაში ლახვარებას ევედრებოდა და ამ მიზნის მისაღწევად არავითარ ენერგიას არ იშურებდა.

ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი ეს უნიკალური ჩვევა ქართველი ერის საამაყო შვილების არაერთ ნაწარმოებშია აღწერილი. ამ მხრივ საინტერესოა **დიდი ილიას** უკვდავი ნაწარმოების ერთ-ერთი მოკარი გმირის დაუღალავი სწრაფვა სიმართლისა და სამართლიანობის აღსადგენად. აქ უნდა გავიხსენოთ **ამაყი ოთარაანთ ქვრივის** სახე. პიროვნებისა, რომელიც მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„მზად იყო რკინის ჭალამნები ჩაეცვა და ქვეყნად თავისი სიმართლისა და სამართლიანობის საძიებლად წასულიყო“.**

ქართველი კაცის რწმენა სიმართლისა და მართალი საქმისადმი იმდენად დიდი იყო, რომ მან გარკვეული ასახვა პოვა ქართველი ერის იმ უტკბეარ საგანძურში, რომელსაც ჰქვია **დიდი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“**, სადაც პოეტი თავისი ხატოვანი გამოთქმით ქარიანლისა და სამართლიან საქმეს და თვით სამართლიანობის ცნებას ისეთ უშრეტ ძალად მიიჩნევს, რომელსაც შეუძლია ხმელი ხე ნედლად აქციოს. **„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“** — წერდა იგი.

ქართველი ხალხის შეგნებაში სამართლისა და სამართლიანობის დაცვისადმი ესოდენ დიდი ლტოლვა და მისდამი ჟეშმარიტი რწმენა

არ შეიძლება აღმოცენებულიყო ისე, რომ მას არ ჰქონოდა მძლავრი სამართლებრივი კულტურის ისტორია და არ ჰყოლოდა ბრწყინვალე იურისტები. ისინი X-XI საუკუნეებში ცქრიალა წყაროდ **„მერჯულეებად“** მოიხსენიებიან და მათი დრმა სამართლებრივი შეხედულებები იმდროინდელ საკანონმდებლო ნორმებშია ასახული და ამ ნორმების კრებადობის სახით გარკვეულ კანონთა კრებულებია შედგენილი.

ჩვენ ზემოაღნიშნულით იმის თქმა გვინდა, რომ დღევანდელ ზოგიერთ ცივილიზებულ სახელმწიფოს, თუ იმ დროს სამართლის ცალკეულ ნორმებზეც კი არ ჰქონდათ წარმოდგენა, საქართველოში იმ დროისათვის კანონთა კრებულებს ადგილს ნდგენდნენ, ამ მხრივ მეტად **საინტერესოა ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი,** რომელიც, ისტორიკოსთა აზრით, შედგენილი უნდა იყოს IX-X საუკუნეებში.

სამართლის ეს უნიკალური ძეგლი, საინტერესოა არა მარტო სამართლის ცალკეული ნორმების დახვეწილობით, არამედ იმითაც, რომ მასში სხვა სამართლებრივ შეხედულებებთან ერთად აღწერილია ის თვისებები, რომელიც უნდა ახასიათებდეს სამართლის გამტარებელ მოსამართლეს, რომ იგი უნდა იყოს კანონმდებელი, **ღმერთის მოშიში, უქრთამო და სამართლიანი, ისეთი, რომელიც არც დედის, არც მამის, არც ძმისა და არც ბატონის ხათრით არ გაამრუდებდა სამართალს და არ დაჩაგრავდა მართალ კაცს.**

ქართული სამართლის კულტურისა და ქართველი იურისტების დამსახურებაა ისიც, რომ **საქართველოში თავიდანვე მიექცა ყურადღება პასუხისმგებლობის საფუძვლების შესწავლას და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ აკისრებდნენ გარკვეულ ასაკს მიუღწეველ პირებს, აგრეთვე ფსიქიკურად დაავადებულ პირებს, მაშინ, როცა ზოგიერთ სახელწიფოში და თვით რუსთშიაც კი, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, დასჯას ექვემდებარებოდა ცხოველები, მწერები და უსულო საგნები.**

მაგალითად, ცნობილია, რომ იმ დროს რუსეთის ამ უდიდეს სახელმწიფოში, თხა, რომელიც ბავშვს დაეკაჭა და რქებით სხეულის დაზიანება მიაყენა, გაასამართლეს და სასჯელად ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. ეკლესიის უზარმაზარ ზარს კი ყური ჩამოატეხეს და მასაც ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, იმის გამო, რომ მან დროუ-

ლად არ დარჩა შარი და სახელმწიფოსა და ხალხს არ შეატყობინა მტრის მოზღვავებული შემოსევა. შეძლეგში ეს უსიკალი „მრავალტანჯული“ ხარი, რომლის წონა რამდენიმე ტონას აღემატებოდა, „რეაბილიტირებული“ იქნა და მას მოსკოვში, კრემლის ეზოში დაიდგა ბინა, როგორც ისტორიული შემოხვეწის უსიკალურმა ნავთმა, რომელიც თავისი აგების ხელოვნებითა და ისტორიული თავგადასავლით ყოველთვის დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ **ქართული სამართლის ძეგლებით დაცული და დიდი შარავანდედით იყო მოსილი ქალის უფლებები.**

ქალთა ემანსიპაციის ეს დიდი პრობლემა პირველად უმაღლეს დონეზე იყო აყვანილი და გადაწყვეტილი საქართველოში X-XII საუკუნეებში, როცა **ქართველი ქალის** – თამარ მეფის ბრძნული ხელმძღვანელობით მოხდა საქართველოს გაერთიანება და გაძლიერებისათვის დაწყებული ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინება და საქართველომ სწორედ თამარის მეყობის დროს მიაღწია არნახულ კულტურულ, ეკონომიკურ განვითარებასა და წარმატებებს.

თავის მხრივ, ეს ძოვლენები ჭესახიშნავადაა აღწერილი და გადმოცემული **შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“**, როცა ქვეყნის წინაშე დადგა საკითხი ქალის – თამარის გამეფებასთან დაკავშირებით, მეფემ ეს საკითხი ვაზირთა საბჭოზე დააყენა განსახილველად, ვაზირთა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი მის გამეფებას. ვაზირთა თანხმობის ეს პროცესი მასში შემდეგნაირადაა აღწერილი:

„თუცა ქალია ხელმწიფედ, მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

ჩოგიერთ სახელმწიფოში, განსაკუთრებით კი ფეოდალურ ხანაში, ქმარს შეეძლო თავისი ცოლი გაეყიდა ან დაეგირავებინა იგი. ქართული სამართლით ასეთი რამ არამცთუ წარმოუდგენელი იყო, არამედ მკაცრადაც ისჯებოდა ცოლის ქმრისადმი ღალატი და, თუ ქმარი თავის ცოლთან წაასწრებდა მოძალადეს, მეფეც, რომ ყოფილიყო, შეეძლო მოეკლა იგი და ამისათვის კანონით პასუხს არ აგებდა.

ქართული კანონმდებლობით აკრძალული იყო აგრეთვე ბატონის მიერ ძალადობით პირველი ღამის უფლების განხორციელება, ანუ მის მიერ საპატარძლოს განქალწულება.

აღსანიშნავია და საჭიროა ვიცოდეთ ისიც, რომ სხვა მრავალი სახელმწიფოს წყობის განვითარების, მათი საზოგადოებრივი ფორმაციებისგან განსხვავებით, საქართველოს არა აქვს განვლილი მონათმფლობელური წყობილება, მან პირველყოფილი თემურ-გვაროვნული წყობილებიდან პირდაპირ ფეოდალურ წყობაში გადაინაცვლა და ამ უკანასკნელიდან ბურჟუაზიულ წყობაში, შემდეგ სოციალისტურ, ანუ კომუნისტურ წყობაში და მისგან კვლავ ბურჟუაზიულ წყობას დაუბრუნდით. დიახ, მართალია, როცა ამბობენ ისტორია მეორდებაო. მაგრამ, ღმერთმა არ ქნას, რომ ადამიანმა ეს ციებ-ცხელებიანი ეპოქა კვლავ პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრებასა და თემურ-გვაროვნული წყობის ფორმაციას დაუბრუნდეს.

საინტერესოა ვიცოდეთ ისიც, რომ **ქართული სამართლის ძეგლებში სხვა შეხედულებებთან ერთად გატარებული იყო ისეთი პროგრესული მოსაზრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე, როგორიცაა: სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევა** მაშინ, როცა ივი უკანასკნელ პერიოდამდე მიღები რიგი სახელმწიფოების კანონმდებლობით პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად იყო აღიარებული.

ამასთან დაკავშირებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ერთერთ მუხლში პირდაპირ მითითებულია იყო: თუკი იცის, რომ **„ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დალევს იმდენს, რომ ამგვარ საქმეს აქნევინებს“.**

ქართული სამართლის ისეთი ძეგლები, როგორიცაა IX-XII საუკუნეების ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტები: XIV საუკუნის 30-ათ წლებში შედგენილი გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“; XIII–XIV საუკუნეების ბექა-ალბუღას სამართლის წიგნი და XVIII საუკუნის დასაწყისში შედგენილი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ძალიან ქართული სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია და მიუთითებს იმაზე, რომ ქართული სახოგადოებრივი აზრის, სახოგადოებრივი წყობისა და სამართლებრივი განვითარების ასპექტში,

სამართლებრივი კულტურის დახვეწასა და განვითარებაში წარუშლელ კვალს ტოვებდნენ იმ დროისათვის განსწავლული იურისტები. ყოველივე ეს კი მოუთხრობს იმაზე, რომ **საქართველოში იურიდიული მეცნიერების განვითარებას საკმაოდ რთული და ხანგრძლივი ისტორია აქვს.**

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XI საუკუნეში ექვთიმე მთაწმინდელმა ბერძნულიდან თარგმნა „მცირე სჯულის კანონი" და თავის განმარტებაში ჩამოაყალიბა იმ დროისათვის საკმაოდ პროგრესული შეხედულებები ბრალის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ XI-XII საუკუნეებში არსენ იყალთოელმა თარგმნა „დიდი სჯულის კანონი", მის მიერვე იქნა შეშუშავებული პირველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია.

რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სამართლებრივი იდეები იქნა ასახული XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შედგენილ ქართული სამართლის კანონპროექტებში, კერძოდ, იოანე ბატონიშვილის „სჯულდებისა" და დავით ბატონიშვილის „სამართლის" წიგნებში, ქართული სამართლებრივი კულტურის ამაღლებისა და ქართული იურიდიული აზროვნების განვითარებაში თავიანთი დიდი წვლილი შეიტანეს ამავე პერიოდში მოღვაწე ისეთმა თვალსაჩინო ქართველმა იურისტებმა, როგორებიც იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე და სხვები.

აღსანიშნავია ისიც, რომ გასული საუკუნის დასაწყისში, რუსეთის რევოლუციურ მოძრაობათა მორევიდან და რუსეთის იმპერიიდან თავის დაღწევის შემდეგ, საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ და მოასწრო კიდეც პირველი დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციის მიღება, რომელმაც, მართალია, სულ ზუთი დღე იარსება, მაგრამ რუსეთის იმპერიიდან გამოსვლის შემდეგ, ამჟამად მოქმედ საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებას სწორედ საქართველოს ის პირველი კონსტიტუცია დაედო საფუძვლად.

ამრიგად, ქართული სახელმწიფოებრიობისა და მისი თანმდევი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განვითარების მიმართებაში საქართველომ განვლო ოცდაერთ საუკუნეზე მეტი დრო და ოდითგანვე ცდილობდა ჩამოეყალიბებინა საკუთარი კანონმდებლობა, საკუ-

თარი იურიდიული მსოფლმხედველობა და ამ მიღწევებით ყველა ჩვენგანს შეუძლია ამაყოს.

სახელმწიფო, რომელსაც აქვს საკუთარი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ოცდაერთ საუკუნეზე მეტი პრაქტიკული გამოცდილება, არ შეიძლება მოხსენიებულ იქნეს ჩამორჩენილ და განვითარებად ქვეყნებს შორის, მით უმეტეს, რომ თვით ადრე და შუა საუკუნეებში შემუშავებული სამართალშემოქმედებითი დებულებების უმეტესობას ჯერაც არ დაუკარგავთ თავიანთი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება და, სამწუხაროდ, ზოგიერთი „ვაიშემომქმედი" იურისტი, მცირეოდენი გადამუშავებული სახით, ცდილობს ეს დრომოჭმული დებულებები წარმოადგინოს უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობის სახით და ახალი იდეებისა და მიმართულებების სახით თავს მოგვახვიოს, რაც, ცხადია, არასწორი და ყოვლად მიუღებელია.

§2. ქართველი მეცნიერ-იურისტების სამართალშემოქმედებითი საქმიანობა გასული საუკუნის ოქტომბრის რევოლუციიდან დღემდე

გასული საუკუნის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ანექსიის შემდეგ, საქართველოში იურიდიული მეცნიერების განვითარება დაკავშირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების კანონმდებლობის შექმნასთან, სადაც წამყვან როლს რუსეთის კანონმდებლობა ასრულებდა და მთელ რიგ შემთხვევებში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა პირდაპირ გადმოღებული იყო რუსეთის კანონმდებლობისაგან, ასე იყო, მაგალითად, კანონი რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ და სხვ.

სამწუხაროდ, ასეთი მავნე პრაქტიკა საქართველოში თითქმის მთელი 70 წელი გრძელდებოდა. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოში მეცნიერ-იურისტებისა და პრაქტიკოსთა საქმიანობა ძირითადად დაკავშირებული იყო კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფის პრობლემებთან და რუსული კანონმდებლობის ხელმძღვანელი როლისა და უარყოფითი გავლენის მიუხედავად, საქართველოში მაინც მრავალი მნიშვნელოვანი კანონი, კანონქვემდებარე აქტი და

კოდექსი იქნა მიღებული, რომელთაგან ბევრი მცირეოდენი ცვლილებით დღესაც მოქმედებაშია.

გასულ საუკუნეში ქართული სამართალშემოქმედებითი საქმიანობა და იურიდიული მეცნიერებისა და იურიდიული აზროვნების განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის განუყრელი თანამგზავრია იურიდიული ფაკულტეტი. ეს ფაკულტეტი დღემდე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული იურიდიული კადრების მომზადების ერთადერთი ფუნდამენტალური სამჭედლო იყო, სადაც იურიდიული მეცნიერების მსოფლიო საერთაშორისო დონის მრავალი მეცნიერი და დიდი სახელოვანი პრაქტიკოსი იურისტი აღიზარდა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს მოვიხსენიებ იურისტთა ერთადერთ ფუნდამენტალურ სამჭედლოდ იმიტომ, რომ მთელ საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებამდე იგი იყო ერთადერთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, სადაც მომავალი იურისტები ეზიარებოდნენ მეცნიერებასა და პრაქტიკასთან მიმართებაში.

გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარება, შეეცდები, წარმოვაჩინო ჩემი ძვირფასი მასწავლებლების გადმოცემის, მათი მოგონებებისა და ამ პერიოდის თვალსაჩინო მეცნიერ-იურისტების მიერ დასტამბული და გამოცემული სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე იურიდიული ლიტერატურის ზიგზაგი მიმოხილვით. 60-იანი წლების შემდგომი პერიოდი კი, შევეცდები, ჩემ მიერ რეალურად დანახული და თვალით აღქმული სინამდვილე, ქართული სამართალშემოქმედებითი საქმიანობა და სასამართლო რეფორმის მიმდინარეობა წარმოვაჩინო, როგორც ამ პროცესების მონაწილე ერთ-ერთმა უშუალო მონაწილემ.

რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიისა და მისი საბჭოთა კავშირის სისტემაში გაერთიანების შემდეგაც ქართველ იურისტებს არ შეუწყვეტიათ საკუთარი კანონშემოქმედებითი საქმიანობა და ყოველთვის ცდილობდნენ ახალი კოდექსებისა და სხვა ცალკეული კანონების მიღების დროს მათში აუცილებლად შეეტანათ საქართველოსათვის დამახასიათებელი მთელი რიგი თავისებურებანი. აღსანიშნავია, რომ საქართველომ კომუნისტური წყობის დროს ოთხჯერ მიიღო საქართველოს ძირითადი კანონი — საქართველოს კონსტიტუცია.

ქართველმა მეცნიერ-იურისტებმა პრაქტიკოს იურისტებთან ერთად უდიდესი კანონშემოქმედებითი საქმიანობა ჩაატარეს გასული საუკუნის 60-იან წლებში სასამართლო რეფორმის გატარების დროს. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ქართველი მეცნიერ-იურისტებისა და პრაქტიკოს მუშაკთა ერთიანი ძალისხმევით სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კოდექსების მიღება; აგრეთვე სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და შრომის კოდექსის მიღება.

პრაქტიკოს იურისტების მიერ 80-იან წლებში გარკვეული ინტენსიური მუშაობა წარიმართა აგრეთვე 1936-1937 წლებში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად რეპრესირებულ პირთა საქმეების შესწავლასა და მათ რეაბილიტაციასთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართებით პროკურატურისა და სასამართლო სისტემაში მომუშავე პირთა მიერ, კანონით დადგენილი წესით, ათობითა და ათასობით სისხლის სამართლის საქმე იქნა შესწავლილი და გაპროტესტებული ზედამხედველობის წესით და სასამართლოების მიერ განხილული, რის შედეგადაც მოხდა მრავალი უკანონოდ მსჯავრდებული პირის რეაბილიტაცია. პირადად მე, როგორც უმაღლესი სასამართლოს წევრმა, ორასზე მეტი მსჯავრდებულის საქმე განვიხილე და ჩემს კოლეგებთან ერთად მათი რეაბილიტაცია მოვახდინე.

გარკვეული გაძოცოცხლება და ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა იურიდიული მეცნიერებასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან მიმართებაშიც, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა ქართველი იურისტების აქტიურ მონაწილეობაში საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებში. ხშირად ეწყობოდა ქ. თბილისში საკავშირო კონფერენციები ჩვენი ცხოვრებისა და პოზიტიური სამართლის აქტუალურ-პრობლემატურ საკითხებზე.

გარკვეული გარდატეხა მოხდა აგრეთვე სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში, რაც, ძირითადად, შეიმჩნეოდა იმჟამინდელ ივ. ჯავახიშვილის სახელობის (ადრე ი.ბ. სტალინის სახელობის) სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც ერთგვარი თანმდევი პირმშოა სახელმწიფო უნივერსიტეტისა. მისი დაარსებისთანავე

იურიდიული კადრების მომზადება დაიწყო სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტებთან ერთად, შემდეგ კი იურიდიული ფაკულტეტი ცალკე იქნა გამოყოფილი.

პირველი წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართველი ერის ამ დიდ მეცნიერების თეთრ ტაძარში იურიდიულ ფაკულტეტზე პირველ ხანებში ლექციების კურსს ქართული სამართლის ისტორიაში კითხულობდა თვითონ **დიდი ივანე ჯავახიშვილი**, რომელმაც მეცნიერების ამ დარგშიც შექმნა მრავალი საინტერესო სამეცნიერო ფუნდამენტური გამოკვლევა.

ჩემი ძვირფასი მასწავლებლები ასევე დიდი მოკრძალებითა და სიყვარულით იხსენიებდნენ თვით დიდი ივანე ჯავახიშვილის პერიოდში იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწე ისეთ ცნობილ იურისტს, როგორიც იყო რუსეთში სახელგანთქმული იურისტ-ადვოკატი **ლუარსაბ ანდრონიკაშვილი**, რომელიც მოწვეულ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და წარმატებით წარმართავდა ლექციების კურსს სამართლის თეორიასა და სისხლის სამართალში.

ასევე განსაკუთრებული სითბოთი და პატივისცემით მოიხსენიებდნენ პროფესორი **თინათინ წერეთელი და პროფესორი გივი ინწკირველი ზოზო ნანეიშვილს, იროდიონ სურგულაძესა და ფილიპე გოგიჩაიშვილს**, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობის მოკლეკადიან პერიოდში უდაოდ დიდი და წარუშლელი კვალი დატოვეს იურიდიული მეცნიერების განვითარება-ამაღლებასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში.

იურიდიულ ფაკულტეტზე, როგორც ეს ჩემი ძვირფასი მასწავლებლებიდან ვიცი, სხვადასხვა დროს ლექციების კურსს ფილოსოფიაში კითხულობდა ბრწყინვალე მეცნიერი, უბადლო სიტყვამთსწრებული, მშვენიერმეტყველი ორატორი **ბატონი შალვა ნუცუბიძე**, რომლის ფართო აუდიტორია ყოველთვის სავსე იყო სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით (რეპეტიტორიის შემდეგ). მეც არაერთხელ დავესწარი და დიდად კმაყოფილმა დავტოვე აუდიტორია.

1954 წლის აგვისტო-სექტემბრის თვეში მე და ჩემმა მეგობრებმა პირველად შევდგით ფეხი იე. ჯავახიშვილის სახელობის (იმ დროს იპ. სტალინის სახელობის) სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ჯერ, როგორც აბიტურიენტებმა და შემდეგ, როგორც პირველი კურსის სტუდენტებმა. მას შემდეგ ჩემი მშობლიური უნივერსიტეტი სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის მიუხედავად, არასოდეს მიმიტოვებია.

ამ პერიოდიდან მოყოლებული მინდა რამდენიმე სიტყვით შევჩერდე ჩემი პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის შესახებ.

მისალები გამოცდების ჩაბარების შემდეგ გაირკვა, რომ პირველ კურსზე სულ ჩავირიცხეთ ოცდახუთი აბიტურიენტი. აქედან ცამეტი (13) ჩარიცხული იყო საშუალო სკოლის წარჩინების ატესტატით — მედალით (გასაუბრებით), დანარჩენი თორმეტი კი ჩავირიცხეთ როგორც მისალები გამოცდებით (მისაღებ გამოცდას აბარებდა ათასზე მეტი აბიტურიენტი).

პირველად სტუდენტობა მოგვილოცა მაღალმა სიმპათიურმა მამაკაცმა, იგი, როგორც შემდეგ გაირკვა, იყო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი **გივი ინწკირველი**. მან პირველ კურსზე საინტერესოდ და მიმზიდველად წაგვიკითხა ლექციების კურსი სახელმწიფო და სამართლის თეორიაში.

პირველი კურსის პირველ სემესტრში ლექციების კურსი სახელმწიფო და სამართლის ისტორიაში წაგვიკითხა წარმოსადეგმა და ძუდიდურმა ლექტორმა დოცენტმა, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ისიდორე დოლიძემ**. იგი ლექციების პარალელურად ყოველმხრივ ცდილობდა წარმოეჩინა და თითოეული ჩვენგანისათვის ეჩვენებინა ჩვენ მიერ არჩეული — იურისტის პროფესიის არსი და მნიშვნელობა, ასევე მისი უპირატესობა სხვა დარგის სპეციალობებთან მიმართებაში.

შემდეგ სხვადასხვა სპეციალურ იურიდიულ დისციპლინებში ლექციების კურსს გვიკითხავდნენ ისეთი დიდი ღვაწლმოსილი მეცნიერ-იურისტები, როგორებიც იყვნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **თინათინ წერეთელი**, პროფესორი **ალექსანდრე ვაჩეიშვილი**, პროფესორი **ივანე სურგულაძე**, დოცენტი სოსო მრევლიშვილი, პროფესორი **ტალახაძე**, პროფესორი **ბორის ფურცხვანიძე** და მათი ძმადვილი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლები: დოცენტი **სერგო ჯორბენაძე**, დოც. **ლევან ალექსიძე**, დოც. **ბეჟან ხარაზიშვილი**, დოც. **ევგენი ნეიძე**, დოც. **გრიგოლ ერემოვი**, დოც. **ნიკო ლომსაძე** და სხვები.

ამ პერიოდში სტუდენტობა სახელმძღვანელოების ნაკლებობას განიცდიდით და პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო საქმიანობაც ძირითადად ამ მიმართებით მიმდინარეობდა. 1959 წელს ჩვენმა კურსმა წარმატებით დავამთავრეთ იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი და სახელმწიფო გამოცდების შემდეგ მოგვენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. ამის აღსანიშნავად უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში პროფესორ **ალექსანდრე ვაჩეიშვილთან** და პროფესორ **თინათინ წერეთელთან** ერთად სიამაყით ერთობლივად გადავიღეთ სურათი (იხ. სურ. 1, 2).



სურ. 1

კურსის დამთავრებისა და დიპლომის მიღების შემდეგ ყველა ჩვენგანმა განაწილებისდა მიხედვით მოვაშურეთ სამსახურებს და ბევრი ჩემი მეგობარი მთელი არსებით ჩაება იურისტის რთულ პრაქტიკულ საქმიანობაში. რაც შემეხება მე, პრაქტიკული საქმიანობის დაწყება ვერ მოვასწარი, რადგან ფაკულტეტზე გამომიძახეს და სისხლის სამართლის კათედრაზე თანაშრომლობა შემომთავაზეს, რაზეც დავთანხმდი და 1960 წლის თებერვლიდან ჩემი საქმიანობა უნივერსიტეტს დავუკავშირე. ამიტომ ჩემს მოვალეობად მივიჩნევ ამ პერიოდიდან

უფრო სრულყოფილად გავაშუქო იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა.



სურ. 2

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დამაინტერესა და დავესწარი პირველი კურსის სხდომათა დარბაზში ჩატარებულ ჩვენი ლექტორის, ასოცირებული პროფესორ დოლიძის სადოქტორო დისერტაციის დაცვას და სულგანაბული ვუსმენდი **დისერტანტ ი. დოლიძისა** და ოფიციალური ოპონენტის პროფ. **ი. სურგულაძის** ცხარე, მაგრამ ზომიერებით დაცულ პოლემიკას და, რატომღაც მეხსიერებაში დამრჩა კამათის ის მომენტი, რომელიც ეხებოდა კერძო საკუთრებას. ოპონენტი საყვედურობდა დისერტანტს და უხსნიდა მის მიერ ამ ცნების არასწორად გამოყენების მნიშვნელობას. კარგად დამრჩა მეხსიერებაში აგრეთვე ამასთან დაკავშირებით ამაყი დისერტანტის (იმ დროს ის იყო საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე) პასუხი, რომ თურმე კომუნისტებიც დარწმუნდნენ კერძო საკუთრების არსებობის აუცილებლობაში, რომ კერძო საკუთრება ერთგვარ დადებით იმპულსს მატებს და ახალისებს პიროვნებას.

დისერტაციის დაცვამ მშვიდობიანად ჩაიარა და ბატონი ისიდორე დოლიძე მალე ერთადერთი და პირველი იურისტი იყო, ვინც აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად. შემდეგში მან მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და სამეცნიერო ნარკვევი დაგვიტოვა ქართული სამართლის ისტორიიდან. მისივე ავტორობით იქნა გამოცემული ქართული სამართლის ძეგლების მრავალტომიანი კრებულები და ნარკვევები, რითაც მან მეცნიერებაში ამ მიმართებით თავისი წარუშლელი კვალი დატოვა.

შემდგომში, 60-70-იან წლებში, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხების მინიჭებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ჩემი პედაგოგებიდან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა: **ლევან ალექსიძემ, ევგენი ნეიძემ, ბეჟან ხარაზიშვილმა, გივი ინწკირველმა, აპოლონ ფალიაშვილმა, გრიგოლ ერემოვმა და სხვ.**, რომლებმაც თავიანთი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომები ცალკე წიგნებადაც გამოსცეს. შემდეგ მათ გააღრმავეს თავიანთი სამეცნიერო მოღვაწეობა და მოკლე დროში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩეულ იქნა პროფესორი **სერგო ჯორბენაძე**, პროფესორი **ლევან ალექსიძე** და პროფესორი **გივი ინწკირველი**. მეცნიერებათა აკადემიის მომდევნო არჩევნებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი **ლევან ალექსიძე არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად.**

საქართველოში იურიდიული მეცნიერების განვითარება, ცხადია, მარტოოდენ ზემოთ დასახელებულ პირთა მოღვაწეობით არ ამოიწურება და ამ რთულ ფერხულში ერერგოულად ჩაება მომდევნო, ახალგაზრდა თაობა, რომელთაგან ამავე სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, მრავალმა მათგანმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ჩვენი ლვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლები და ცნობილი პრაქტიკოსი იურისტები ერთიანი ძალისხმევით ყოველმხრივ ცდილობდნენ თავიანთი ღირსეული წვლილი შეეტანათ კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შემდგომ დახვეწასთან მიმართებაში. მათი ეს მუშაობა განსაკუთრებით მწვავედ აისახა ჩემს მეხსიერებაში სასამართლო რეფორმის მომზადებისა და განხორციელების პროცესში 1961 წელს ქ. თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გამართული საკავშირო-სამეცნიერო კონფერენცია, მწვავე პაექრობაში ჩაებნენ ქართველი მეცნიერი იურისტები – პროფესორი თინათინ წერეთელი, პროფესორები ბორის ფურცხვანიძე, ბეჟან ხარაზიშვილი და სხვა იმ დროის ცნობილი პრაქტიკოსი იურისტები – პროკურორები, მოსამართლეები, ადვოკატები.

ასევე აქტიურად ჩაებნენ მთელი იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები საქართველოს კონსტიტუციის საერთო-სახოვლოთა განხილვებში, როცა საფრთხის წინაშე დადგა ქართული ენის პრობლემა – საქართველოს ახალი 1978 წლის კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად ქართული ესისა და საქართველოსათვის სხვა ძირითადი სახიცოცხლო დებულებების შესახებ.

მეცნიერების პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად თსუ პოზიტიური სამართლის (სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის, სამოქალაქო სამართლისა და სხვ.) კათედრები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში აწყობდნენ კათედრების ერთობლივ გამსვლელ სავკარო სხდომებს, სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებს და შეხვედრებს იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებთან. (იხ. სურ. 3, 4)



სურ. 3. მსმენელებს სიტყვით მიმართავს პროფესორი ნიკო წერეთელი



სურ. 4. ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შეხვედრა კურსდამთავრებულებთან

ზემოაღნიშნულის გარდა, ქართველი მეცნიერ-იურისტები პრაქტიკოს მუშაკებთან ერთად დამნაშაეობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის მიზნით ხშირად აწყობდნენ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გამსვლელ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს. ამასთან დაკავშირებით მრავალი ამგვარი ღონისძიება შეიძლება გავიხსენოთ. მაგალითად, მეტად შთამბეჭდავი იყო 1982 წლის ივნისის თეეში ქალაქ ბათუმში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ჩატარების შემდეგ პროფესორ ნიკო წერეთლის ინიციატივით გადავწყვიტეთ თბილისში ცოდვრობის უღელტეხილზე გავლით დავბრუნებულიყავით. უღელტეხილზე დიდი თოვლი დაგვხვდა და პროფესორი ნიკო წერეთელი ფრთხილად გადმოვიყვანეთ სამშვიდობოზე (იხ. სურ. 5).


სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები ფართოდ იყვნენ ჩაბმულნი აგრეთვე მართლმსაჯულების განხორციელების პრაქტიკულ საქმიანობაში (იხ. სურ. 6)



სურ. 5.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივი ბრძოლებით მოპოვებულ იქნა თავისუფლება და საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად, ამ ბრძოლებში აქტიურად ჩაებნენ ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები — ახალი დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში და ამის შესაბამისად არსებული კანონმდებლობის გარდაქმნაში, ახალი კანონპროექტების შემუშავებაში და სხვ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ სწორედ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **პროფესორი გივი ონწკირველი** დაინიშნა და მან ამ მიმართებით არსებულ საქმიანობაში უდიდესი წვლილი შეიტანა.



სურ. 6. საქართველოს უმაღლეს სასამართლოში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო — პრაქტიკულ კონფერენციაში მონაწილე მეცნიერ-პრაქტიკოსთა ერთი ჯგუფი.

მარჯვნიდან მარცხნივ საქართველოს იუსტიციის მინისტრი, დოცენტი ზურაბ რატიანი; უმაღლესი სასამართლოს წევრი დოცენტი რეზო ცისკაძე; უმაღლესი სასამართლოს წევრი, დოცენტი გივი ჟორდანია; უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და იმავდროულად თსუ იურიდიული ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი ვალერიან ლილუაშვილი; უმაღლესი სასამართლოს წევრი და იმავდროულად თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი შოთა ფაფიაშვილი; საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრი და თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი ჯუმბერ რუსიაშვილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ **დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას სახელმწიფო მრჩევლებად დანიშნული იქნენ ცნობილი იურისტები: პროფესორი ლევან ალექსიძე და პროფესორი სერგო ჯორბენაძე.**

აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის მთელ მანძილზე აშკარად შეიმჩნეოდა იურიდიული ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობა. ამიტომ ამ ხარვეზის შესავსებად ქართველი მეცნიერ-იურისტები სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ სამართლის ცალკეულ დარგებსა და სხვა იურიდიულ დისციპლინებში სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების დაწერას და უნდა ითქვას, რომ მათი დაუღალავი ძალისხმევით გასული საუკუნის მიწურულისა და ახალი, XXI საუკუნის დასაწყისისათვის ეს პრობლემაც, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად დადებითად იქნა გადაწყვეტილი.

უაღრესად მისასალმებელია, რომ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ თითქმის ყველა ძირითად საგანში შეიქმნა ფრიად საინტერესო ნაშრომები სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების სახით. კერძოდ, გამოცემულ იქნა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში, რომის სამართალში, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში, სახელმწიფო სამართალში, ადმინისტრაციულ სამართალში, სისხლის სამართლის ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილში, კრიმინოლოგიაში, სისხლის სამართლის პროცესში კრიმინალისტიკაში, სამოქალაქო სამართლის ცალკეული დარგებში, საფინანსო სამართალში და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად ჩაებნენ თანამედროვე დღისის კანონპროექტების შემუშავებაში, აწყობდნენ მათ საჯარო განხილვებს ან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ამ პროექტების განხილვაში ექსპერტების სახით, მონაწილეობდნენ საქართველოში და საზღვარგარეთ გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და სემინარებში და სხვ.

საინტერესოა ისიც, რომ მეცნიერების პრაქტიკასთან დაკავშირებისა და პრაქტიკაში წამოჭრილი რიგი საკითხების უკეთ გადაწყვეტის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორისა და საქართველოს გენერალური პროკურორის ერთობლივი ბრძანებით საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეიქმნა სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის

საბაზო კათედრა, რომელმაც თავისი არსებობის მოკლე ვადაში, სხვა მნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხების გადაწყვეტასთან ერთად, შეძლო რამდენიმე ნიჭიერი პრაქტიკოსის სამეცნიერო საქმიანობაში ჩაბმა და რამდენიმე პრაქტიკული დანიშნულების სამეცნიერო ნაშრომის გამოცემა.

დამკვიდრდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა გაგზავნა სასწავლებლად ან მათი მივლინების პრაქტიკა საზღვარგარეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში. ასევე ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებისა და ასპირანტების ორი წლითა და უფრო მეტი ვადით საზღვარგარეთ მივლინების პრაქტიკა, რამაც გარკვეული შედეგებიც გამოიღო. ზოგიერთმა, ასეთი გზით გერმანიაში წარგზავნილმა, მაგალითად, ლადო ჭანტურიამ და გია ხუბუამ იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო სარისხების მიმნიჭველ სამეცნიერო საბჭოში შესანიშნავი სადოქტორო დისერტაციები წარმოადგინეს და მაი სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი და შემდეგ პროფესორის წოდება.

ამრიგად, ქართული მეცნიერ-იურისტები სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისა და ახალგაზრდა იურიდიული კადრების აღზრდისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების გარდა, უშუალო პრაქტიკულ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდნენ. ისინი თავიანთ მიზანდასახულ საქმიანობაში ცდილობდნენ ყოველდღიური წვლილი შეეტანათ დამოუკიდებლობასთან ბრძოლისა და ქართულ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში კანონპროექტების შემუშავების, კანონმდებლობისა და საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის შემდგომ სრულყოფასა და დახვეწაში.

ყოველივე ზემოაღნიშნული საქმიანობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დეკანატისა და პროფესორ-მასწავლებელთა მიერ საკმაოდ დახვეწილი სახით მიმდინარეობდა უმაღლეს სასწავლებელში ახალი რეფორმების დაწყებამდე. როგორ წარიმართება რეფორმის გატარების შემდეგ, რა დაღს დაასვამს მას უნივერსიტეტიდან ღვაწლმოსილი პროფესორების წასვლა და რა შედეგებს მოიტანს იგი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

მაგრამ, მინდა ვიფიქრო რწმენა, რომ ჩვენი ახალგაზრდა კოლეგები, რომლებმაც ახალი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უდრტვინველად მიიღეს პროფესორის სამეცნიერო წოდება, სათანადო პრაქტიკული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ ღირსეულად გააგრძელებენ უფროსი თაობის ტრადიციებს.

საკონტროლო კითხვები

1. როგორია ქართველი კაცის ბუნება სამართლისა და სამართლიანობასთან მიმართებაში?

2. სამართლისა და სამართლიანობისადმი ლტოლვა ხომ არაა აღწერილი ქართულ ლიტერატურაში?

3. რომელ ქართულ საკანონმდებლო ძეგლშია აღწერილი ქართველი მოსამართლის მოუსყიდაობისა და მისი დადებითი დამახასიათებელი თვისებების შესახებ?

4. როგორი იყო ქალთა ემანსიპაციის საკითხი ადრე საქართველოში და უშუალოდ რომელ წყაროებშია იგი ყველაზე თვალსაჩინოდ ასახული?

5. რომელ საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში კანონშემოქმედებით საქმიანობას ხანგრძლივი ისტორია აქვს?

6. რა თავისებურებებით ხასიათდებოდა გასული საუკუნის მეცნიერ იურისტთა სამეცნიერო-პედაგოგიური და კანონშემოქმედებითი მოღვაწეობა?

თავი V

უმაღლესი კადრების მომზადებისა და უმაღლესი მეცნიერების განვითარების პრობლემა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე

§1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, როგორც იურიდიული კადრების მომზადებისა და იურიდიული მეცნიერების განვითარების ძირითადი კერა

საქართველოში პირველი იურიდიული კადრების მომზადება დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნასთან, რომლის ერთ-ერთი პირველ ფაკულტეტთაგანი იყო სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი, რომელსაც შემდეგ ცალკე გამოეყო იურიდიული ფაკულტეტი. ეს უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, რესპუბლიკაში იყო იურიდიული კადრების მომზადების ერთდაერთი ძირითადი კერა.

საქართველოში საშუალო იურიდიული კადრების მომზადებას გარკვეულწილად ხელს უწყობდა აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული მილიციის სკოლა, რომელიც შემდეგ ჯერ გადაკეთებულ იქნა მოსკოვის საკავშირო უმაღლესი იურიდიული სკოლის თბილისის ფილიალის იურიდიულ ფაკულტეტად, შემდეგ კი საქართველოს რესპუბლიკის შსს უმაღლეს სკოლად, უფრო მოგვიანებით კი შსს პოლიციის აკადემიად.

1990 წლიდან კი საქართველოში გაჩნდა მრავალი დაძოუკიდებელი ფასიანი იურიდიული ინსტიტუტი და იურიდიული ფაკულტეტი.

ინდივიდუალური სწავლების იურიდიული ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების ესოდენ ფარიო ქსელის მიუხედავად, იურიდიული კადრების მომზადების მთავარი ჩამჭედლო მაინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი იყო, რომელსაც დღის სწავლების გარდა, ჰქონდა საღამოს სწავლების ქართული და რუსული სექტორები და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებები, იქვე

გახსნილი იყო ფასიანი სწავლების განყოფილება, სადაც ლექციებს კითხულობდნენ ამავე ფაკულტეტის ცნობილი მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები. სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებაც, ძირითადად, სწორედ აქ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე წარმოებდა.

იურიდიული ფაკულტეტის თეორიული კურსის დამთავრებისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, პირს, რომელიც წარჩინებით დაამთავრებდა და მიიღებდა იურისტის კვალიფიკაციის დიპლომს, უფლება ეძლეოდა შერჩეული სპეციალობის მიხედვით ჩაებარებინა მისაღები გამოცდები დასწრებული ან დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურაში, რომლის დამთავრების ან შერჩეული სპეციალობის მიხედვით საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნების ჩაბარებისა და სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებების გამოქვეყნების შემდეგ, უფლება ეძლეოდა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარედგინა თავისი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, საკანდიდატო დისერტაციის სახით, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, საჯარო პირობებისა და წესის გათვალისწინებით, ამავე ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მრავალი სტუდენტი და ახალგაზრდა სპეციალისტი მივლინებულ იქნა სასწავლებლად და სტაჟირების გასავლელად ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიასა და სხვა სახელმწიფოებში.

იურიდიული სპეციალობით ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერი კადრების მომზადებაში გარკვეული წვლილი შეიტანა აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა.

ყველა სასწავლო დისციპლინა, რომელიც იკითხებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სპეციალობის მიხედვით, მიკუთვნებული და გაერთიანებული იყო რომელიმე კათედრაზე. ფაკულტეტზე ასეთი კათედრა რეფორმის გატარებამდე იყო რვა. კერძოდ:

1. სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრა. კათედრის გამგე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. **გივი ინწკირველი**, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ — პროფ. **ზაურ ჯინჯოლავა**;

2. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა, — კათედრის გამგე პროფესორი **ვალერიან მეტრეველი**;

3. სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა, — კათედრის გამგე პროფესორი **გიორგი ტყეშელიაძე**;

4. სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრა, — კათედრის გამგე პროფესორი **შოთა ფაფიაშვილი**;

5. სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო პროცესის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი **რომან შენგელია**;

6. სამართლის საფუძვლების კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი **ავთანდილ კობახიძე**;

7. ადმინისტრაციული სამართლისა და პროცესის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი **ვალერი ლორია**;

8. საერთაშორისო სამართლის კათედრა — კათედრის გამგე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი **ლევან ალექსიძე**.

თითოეულ ამ კათედრაზე შემავალი დისციპლინების მიხედვით გაერთიანებული და განაწილებული იყო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და მათი სასწავლო დატვირთვები.

თითოეულ ზემოაღნიშნულ კათედრაზე ძირითად საშტატო ერთეულად სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა 10-15 პროფესორ-მასწავლებელი და, თანამშრომელი. ამასთან, თითოეულ კათედრას შეთავსებით მოწვეული ჰყავდა რამდენიმე სხვადასხვა ოსობის წარმომადგენელი მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებელი საათობრივი ანაზღაურებით და უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანი მაღალი პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერებით, ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე ემსახურებოდა დღის, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლებაა (ფასიან და უფასო სექტორებზე სამი ათას ხუთასზე მეტ სტუდენტს) განყოფილებებს და, უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი ტაქტიკურად სწორად და გაბედულად ებრძოდა კიდეც სხვადასხვა სახის მოზღვავებულ პრიტენზიონიზმს.

ქართული იურიდიული კადრებისა და მეცნიერების მომზადებაში თითოეული ზემოაღნიშნული კათედრა თავის გადამწყვეტ როლს ასრულებდა. ამ კათედრებზე იქმნებოდა და მუშავდებოდა სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სასწავლო-მეთოდური მითითებები, სასწავლო-სამუშაო პროგრამები და სხვა სახის სამეცნიერო ნაშრომები.

საქართველოში ქართული იურიდიული აზროვნების განვითარებასა და იურიდიული კადრების მომზადებას გარკვეულად შეუწყო ხელი ჩვენი ეპოქის ღვაწლმოსილი ქართველი იურისტების დაულალავმა სამეცნიერო-კვლევითმა და პედაგოგიურმა საქმიანობამ, რომელთაგან, პირველ რიგში კვლავ უნდა მოვიხსენიოთ აწ განსვენებული **ლუარსაბ ანდრონიკაშვილის, იროდიონ სურგულაძის, ალექსანდრე ვაჩეიშვილის, ზოზო ნანეიშვილის, თინათინ წერეთლის, ისიდორე დოლიძის, ივანე სურგულაძის, ბორის ფურცხვანიძის, ევგენი ნეიძის, სოსო მრევლიშვილის, გივი ინწკირველის, ნიკო ლომსაძის, ბეჟან ხარაზიშვილის, ნიკო წერეთლის, ვახტანგ აბაშმაძის, ლეონიდე ადეიშვილის, სერგო ჯორბენაძის, ზურაბ ახვლედიანის, დავით ცინცაძის, მიშა კეკელიას, მიშა ქურდაძის, მიშა ვეფხვაძის, ლერი თალაკვაძისა და სხვათა შემოქმედებითი მოღვაწეობა.**

აღსანიშნავია, რომ უკვე კიდევ ადრე, 1925 წელს, გერმანულ ენაზე გამოცემულ იქნა იროდიონ სურგულაძის ნაშრომი „ხელისუფლება და სამართალი"; 1928 წელს გამოიცა ალ. ვაჩეიშვილის ნაშრომი „კანონის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე"; 1929 წელს ზოზო ნანეიშვილის ნაშრომი „სამართლის ნამდვილობა და ცრა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა" და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული იურიდიული მეცნიერების, განსაკუთრებით კი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული მეცნიერების წარმოქმნებასა და განვითარებაში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის დიდ ქართველ მკვლევარსა და მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც 1928-1929 წლებში გამოსცა ორტომიანი ფუნდამენტალური ნაშრომი ქართული სამართლის ისტორიის შესახებ, რომლითაც მყარი მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა ამ მიმართებით მომუშავე მეცნიერ-პედაგოგთა შემდგომ კვლევა-ძიებას.

§2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის განმხორციელებელი ძირითადი ორგანოები

როგორც აღვნიშნეთ, ქართული იურიდიული კადრების აღზრდასა და სამეცნიერო კადრების მომზადება-ჩამოყალიბებაში უაღრესად დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის დეკანატსა და ფაკულტეტს მრავალდარგოვან ზემოთ ჩამოთვლილ კათედრებს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვით შევსერდე ფაკულტეტის დეკანის, დეკანატისა და თითოეული კათედრის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ზოგად მიმოხილვაზე. მაგრამ მოცემული საკითხის უმჯობესად განხილვამდე, მინდა მოვაწოდოთ მცირე ინფორმაცია სიტყვა „რექტორის", „რექტორატის", „დეკანის", „დეკანატისა" და „კათედრის" ცნების, არსისა და მნიშვნელობის შესახებ.

როგორც წესი, ყველა უმაღლეს სასწავლებელს სათავეში უდგას და ხელმძღვანელობს რექტორი. სიტყვა **რექტორი მომდინარეობს ლათინურიდან „rector" და ნიშნავს — მმართველს, ხელმძღვანელს.** ე.ი. **რექტორი არის უმაღლესი სასწავლებლის სათავეში მდგომი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას უწევს უმაღლესი სასწავლებლის ყველა საქმიანობას.** ისევე, როგორც ყველა დიდ თანამდებობის პირს, რექტორსაც ჰყავს თავისი მოადგილეები, რომლებსაც შიდა განაწესით გასაწილებული აქვთ ფუნქციები, მაი პრორექტორებს უწოდებდნენ. დიდ უმაღლეს სასწავლებლებში — უნივერსიტეტებში — მათი ფუნქციები ძირითადად გაყოფილი იყო შემდეგი მიმართებით: პრორექტორი სასწავლო დარგში; პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში; პრორექტორი სტუდენტთა აღმზრდელობით დარგში; პრორექტორი სამეურნეო დარგში.

ყველა ზემოაღნიშნული თანამდებობის პირი თავიანთი ფუნქციებითა და ნიშან-თვისებებით გაერთიანებული იყო უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობაში, რომელსაც ერქვა „რექტორატი", ანუ უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციულ-სასწავლო-სამეცნიერო ხელმძღვანელობა რექტორის მეთაურობით.

თანამდებობრივი იერარქიით უმაღლეს სასწავლებელში რექტორისა და რექტორატის შემდეგ დგას ფაკულტეტის დეკანი და დეკანატი, შემდეგ კი ფაკულტეტზე არსებული კათედრები.

სიტყვა „დეკანი" მომდინარეობს ლათინურიდან „decanus" და ნიშნავს ფაკულტეტის ხელმძღვანელს. „დეკანატი" კი ნიშნავს დეკანის ორგვლივ გაერთიანებულ სხვადასხვა ფუნქციით აღჭურვილ თანამდებობის პირთა ერთიანობას, რომელიც დეკანის მეთაურობით ხელმძღვანელობს და წარმართავს ფაკულტეტის მიმდინარე საქმიანობას.

ისევე, როგორც რექტორს, დეკანსაც ჰყავდა თავისი მოადგილეები, რომელთა რაოდენობა დამოკიდებული იყო მასწავლებელ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობაზე. უმეტეს შემთხვევაში დეკანს შეიძლება ჰყოლოდა ერთი, ორი ან სამი მოადგილე, კერძოდ: მოადგილე დასწრებული სწავლების დარგში; მოადგილე დაუსწრებელი სწავლების დარგში; მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში. მოადგილე შეიძლება ჰყოლოდა აგრეთვე სტუდენტი აბალგაზრდობის საპორტისა და მხატვრული თვითშემოქმედების აღმზრდელობით დარგში და სხვ.

ამჟამად რეფორმის გატარების შემდეგ მათი სახელები შეიცვალა, ფუნქციები კი თითქმის იგივე დარჩა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დღის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლა ყოველთვის მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. საღამოს სწავლებაზე კი იყო ორივე — ქართული და რუსული სექტორი. პირველი სპეციალობის ფაკულტეტის ყველა განყოფილებაზე აბიტურიენტების ჩარიცხვა ხდებოდა მისაღებ გამოცდებში მონაწილე აბიტურიენტთა კონკურსის შედეგების შერწევითი წესით რექტორის ბრძანებით. რაც შეეხება მეორე სპეციალობის მისაღებად ჩასარიცხ პირთა კონტინგენტს, მათთან გასაუბრების წესით შერჩეული პირების ჩარიცხვა ხდებოდა რექტორის ბრძანებით.

ამჟამად აბიტურიენტთა ჩარიცხვა შესაბამის ფაკულტეტებზე ხდება კანონით დადგენილ შესაბამის საგნებში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შედეგების მიხედვით.

ფაკულტეტზე არსებობდა და ახლაც არსებობს სამუშაო-სამეცნი-

ერო საბჭო, რომელზეც ხდება ფაკულტეტისათვის ყველა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხის დაყენება და განხილვა. ამ საბჭოსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი.

ყველა საკითხი, რაც დაკავშირებული იყო ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობასთან, კერძოდ, პროფესორ-მასწავლებელთა წლიური დატვირთვის, სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელობისა და მოსაზრაფიების გამოცემაზე რეკომენდაციების მიცემა, სასწავლო პროგრამების დამტკიცება, საკურსო გამოცდების შედეგების მოსმენა და ჩამორჩენილ სტუდენტთა მიმართ შესაბამისი ღონისძიებების დასახვა და სხვ., იხილებოდა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე.

უმეტეს შემთხვევაში, დეკანი ხელმძღვანელობდა აგრეთვე ფაკულტეტზე არსებულ სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოსაც. დეკანი უშუალოდ ხელმძღვანელობდა აგრეთვე ფაკულტეტის სამდივნოსა და მეთოდსაბჭოს საქმიანობას.

დეკანი უფლებამოსილი იყო და არის გამოსცეს განკარგულება სტუდენტის კურსიდან კურსზე გადაყვანის ან კურსზე დატოვების შესახებ და სხვ.

სწავლების ხანგრძლივობა დღის სწავლებაზე განსაზღვრული იყო ხუთი წლით. საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის, რომლებიც ჩარიცხული იყვნენ მისაღები გამოცდების ჩატარების შედეგებით კონკურსის წესით, განისაზღვრებოდა ექვსი (6) წლით, ხოლო იმ პირებისათვის, რომლებიც ჩარიცხული იყვნენ მეორე სპეციალობის მისაღებად, მათი სწავლების ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო ოთხი წლით.

ამჟამად სტუდენტთა სწავლების ეს ვადები სხვადასხვაა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის შემოღებასთან დაკავშირებით, უმაღლესი განათლების შესახებ არსებული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შეიცვალა. ასევე შეიცვალა რექტორატისა და დეკანატის ტრადიციულად დამკვიდრებული სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებებიც.

დეკანი იყო არჩევითი ადმინისტრაციული თანამდებობა. დეკანს ირჩევდა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო სამი წლის ვადით. შემდეგ

ეს ვადა გაიზარდა ხუთი წლით. არჩეულ დეკანს ამტკიცებდა სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო. დეკანის არჩევნების ჩატარებამდე ერთი თვით ადრე ხდებოდა ოსუ გაზეთში დეკანის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება. დეკანის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის წამოყენების უფლება ჰქონდა ფაკულტეტის ყველა კათედრასა და კათედრის თითოეულ წევრს. ასევე შეზღუდული არ იყო თვითონ ინდივიდუალური პიროვნებაც და ფაკულტეტის ნებისმიერ პროფესორ-მასწავლებელს უფლება ჰქონდა დეკანის თანამდებობაზე თავისი საკუთარი კანდიდატურაც წამოეყენებინა. არჩევნები ტარდებოდა საკონკურსო ვადის გასვლის შემდეგ პირდაპირი ფარული კენჭისყრით.

ისევე, როგორც ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც დეკანი, რექტორისა და პრორექტორების შემდეგ, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, გარკვეული უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი, ადმინისტრაციული თანამდებობის პირია. მისი უშუალო ფუნქცია იყო და ამჟამადაც არის ფაკულტეტზე წარმოებული სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა.

ყველა უმაღლეს სასწავლებელში და, ცხადია, სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზეც, **კათედრები იყო ის ძირითადი ძალა, ის ძირითადი ბირთვი, რომელთა მეშვეობითაც დეკანატი ახორციელებდა სამეცნიერო-პედაგოგიურ და სტუდენტთა აღმზრდელობით საქმიანობას.**

ყველა კათედრა ატარებდა ლექცია-სემინარებსა და პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობებს, ეწეოდა სტუდენტთა მეცნიერული სულისკვეთებით აღზრდას, მათ მომზადებას სტუდენტთა საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის, სტუდენტ-დიპლომანტთა სადიპლომო შრომებზე მუშაობას, ასპირანტების (დოქტორანტების) ხელმძღვანელობასა და მომზადებას. აგრეთვე კათედრაზე შემავალ დისციპლინებთან მიმართებით აწყობდა საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ხასიათის სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებს; აწყობდა კათედრაზე შემავალ საგნებში გამოქვეყნებულ ახალი სპეციალური ლიტ-

ერატურისა და ახლად შემუშავებული კანონპროექტების საჯარო განხილვას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რეფორმის უშუალო გატარებამდე, იყო შვიდი კათედრა. საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის შემოერთების შემდეგ კი, მას დაემატა მერვე — საერთაშორისო სამართლის კათედრა.

ფაკულტეტის საერთო საქმიანობის წარმოჩენა შეუძლებელია თითოეული კათედრის საქმიანობის საფუძვლიანად გაშუქების გარეშე. ამიტომ, შევეცდებით, მოკლედ აღვწეროთ თითოეული მათგანის ძირითადი საქმიანობა და იმ პირთა ზოგიერთი მონაცემები, რომლებმაც გაუთქვეს სახელი კათედრის ამა თუ იმ დარგის მეცნიერების და თავიანთი აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით ხელი შეუწყვეს ახალგაზრდა იურიდიული კადრების აღზრდას, კანონშემოქმედებით საქმიანობასა და ქართული იურიდიული აზროვნების განვითარებას.

ა) სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრა, რომელსაც შემდეგ შეეცვალა სახელი და ეწოდა: სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრა, ყოველთვის ფაკულტეტის ერთერთ წამყვან კათედრად იყო მიჩნეული. ამ კათედრას სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უცვლელად ხელმძღვანელობდა ფრიად განსწავლული მეცნიერი, პედაგოგი და ორგანიზატორი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი, საქართველოს 1997 წლის კონსტიტუციის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი **გივი ზაქარიას ძე ინწკირველი,** რომელიც ასევე, თითქმის სამი ათეული (25) წლის განმავლობაში ღირსეულად ხელმძღვანელობდა იურიდიულ ფაკულტეტს — როგორც დეკანი. ბევრი შეეცადა, მოეხსნა მისთვის ეს რეკორდული მაჩვენებელი, მაგრამ ამაოდ. უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრობასაც მას უნაკლული რეკორდული (50 წელი) მაჩვენებელი ჰქონდა. ივი, როგორც იურიდიული კადრების მრავალი თაობის აღმზრდელი, საკმაოდ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერი კადრების

აღზრდის საქმეში, როგორც იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (იხ. სურ 7).



სურ. 7. სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრა (ეს სურათი და ზოგიერთი სხვა კათედრის ამსახველი ფოტოსურათი გადმოღებულია იურიდიული ფაკულტეტის შესახებ გამოქვეყნებული ცნობარიდან)

აღსანიშნავია ისიც, რომ სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში იგი ერთხმად იქნა არჩეული ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქედ. ამასთან, მას ჰქონდა უნიკალური ნიჭი არა მარტო თავისი მეგობრებისა, ურთიერთდაახლოებისა, არამედ თვით საზღვარგარეთის ქვეყნების იურისტებთან დაკავშირებისა, რის გამოც იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საზღვარგარეთის იურისტთა შორისაც. სწორედ ასეთმა დიდებითმა თვისებებმა განაპირობა მისი არჩევა მსოფლიო იურისტთა ასოციაციის საბჭოს წევრად და მისი აღიარება და მოხსენიება 2002 წელს მსოფლიოში ათას მოწინავე საუკეთესო მეცნიერთა შორის.

პროფესორი გივი ინწკირველის გარდაცვალების შემდეგ კათედრის გამგედ არჩეულ იქნა ამავე კათედრის წევრი — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, **პროფესორი ზაურ ჯინჯოლავა.**

სახელმწიფო სამართლის დარგში ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული ამავე კათედრის ლაწლმოსილ მეცნიერსა და მრავალი თაობის აღმზრდელს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, აწ განსვენებულ **პროფესორ გრიგოლ ერემოვს.**

ამავე კათედრაზე ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი თამარ მელქაძე** და ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი და მკვლევარი, მრავალი საინტერესო ნაშრომის ავტორი, პროფესორი, ამჟამად სახელმწიფო **უნივერსიტეტის რექტორი, გია ხუბუა.**

მრავალი წლების მანძილზე ამავე კათედრაზე თავის შემოქმედებით ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა აგრეთვე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აწ განსვენებული **ვალერიან ფარქოსაძე,** რომელმაც საინტერესო და მეცნიერული ღირებულების გამოკვლევები დაგვიტოვა ფედერაციის საკითხებზე.

ამავე კათედრაზე, გარდაცვალების უკანასკნელ დღემდე, სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ცნობილი ქართველი იურისტი და საზოგადო მოღვაწე, ფრიად განსწავლული, სპეტაკი და პრინციპული, მრავალი საინტერესო ნაშრომის ავტორი, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **დოც. აკაკი კარანაძე** და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალ „სამართალის" მთავარი რედაქტორი, **პროფესორი პაატა ცნობილაძე** და სხვ.

სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ამავე კათედრის წევრების მიერ, კათედრაზე შემაჯალ ლისციპლინებში შეიქმნა და გამოცემულ იქნა მრავალი საინტერესო ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, სასწავლო-მეთოდური მითითებები და სხვ.

ბ) **სამოქალაქო სამართლის კათედრას** რამდენიმე ათეული წელია უცვლელად ხელმძღვანელობდა ამ დარგის უნიჭიერესი მეცნიერ-მკვლევარი, შესანიშნავი ლექტორი, იურისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **პროფესორი სერგო ჯორბენაძე,** რომლის ფუნდამენტალური გამოკვლევები ყოველდღიურ სამაგიდო წიგნადაა მიჩნეული ყველა ქართველი იურისტისა და მკვლევარისათვის. ამავე დროს, მას ღიდი დამსახურება მიუძღვის ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებაში. მან აღზარდა იურიდიულ მეცნიერებათა მრავალი კანდიდატი, ზოგიერთი მისი ასპირანტი დღეს უკვე მეცნიერებათა დოქტორი და ცნობილი პროფესორია.

ამავე კათედრაზე ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ შუშაობას ეწეოდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი შალვა ნიკვაშვილი,** რომლის მონოგრაფიულმა გამოკვლევებმა საბინაო და საოჯახო კანონმდებლობის საკითხებზე საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

ამავე კათედრაზე ასევე ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **პროფესორი ლევან ჯომარჯიძე,** რომელმაც საფუძვლიანად დაამუშავა სამეურნეო სამართლის თვალსაზრისით სახელმწიფო ორგანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობა.

ამაჟე კათედრის საქმიანობას კათედრების დაშლამდე ხელმძღვანელობდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი რომან შენგელია, რომელიც ფაკულტეტის დეკანის მოადგილეობასა და დეკანობასთან ერთად **პროფესორ სერგო ჯორბენაძისა** და **ზურაბ ახვლედიანის** გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა კათედრის საქმიანობას, როგორც კათედრის გამგე (იხ. სურ 8).



სურ. 8. საშოქალაქო სამართლის კათედრა

ამავე კათედრაზე თავიანთ ღვაწლმოსილ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ ავრეთვე აწ გარდაცვლილი პედაგოგები — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი პროფესორი **ლეონიდე ადეიშვილი**, დოცენტი **ნოდარ ლორთქიფანიძე**, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი ზურაბ ახვლედიანი, ამავე კათედრაზე დაიწყო ოვალსი მეცნიერული მოღვაწეობა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ირაკლი შაფაქიძემ**, რომელიც შემდეგ საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობის ფაკულტეტის დეკანი იყო. ამავე კათედრაზე ხანგრძლივ ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ ავრეთვე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები: **მაყვალა კახაძე, ტარიელ ზამბახიძე,** პროფესორი **აკაკი ლაბარტყავა,** დოცენტი **გუგული დევდარიანი** და სხვ.

ამავე კათედრაზე თავის ნაყოფიერ სამეცნიერო პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა და ამჟამადაც ავრძელებს ფრიად ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ლადო ჭანტურია**, რომელმაც გაამდიდრა ქართული ცივილისტური მეცნიერება თავისი საინტერესო მრავალდარგოვანი გამოკვლევებით, მონოგრაფიებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით.

მრავალი წლების განმავლობაში ამავე კათედრაზე მოღვაწეობდა და ქართული იურიდიული აზროვნების განვითარებას ხელს უწყობდა იურიდიული კადრების მრავალი თაობის უმწიკვლო აღმზრდელი და ახალგაზრდობის უსაყვარლესი ლექტორი; დოცენტი **სოსო მრევლიშვილი**; იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ნიკო წერეთელი**; იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ევგენი ნეიძე** და პროფესორი **ნიკო ლომსაძე**, რომელთა სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებს ჯერაც არ დაუკარგავს თავიანთი მეცნიერული ღირებულება და სხვ.

ამ კათედრაზე დამუშავებულ და გამოცემულ იქნა მრავალი ისეთი ფუნდამენტალური სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, როგორიცაა: **სერგო ჯორბენაძის** სამეთოთა საოჯახო სამართალი; საცხოვრებელი სახლი და მოქალაქეთა საბინაო უფლება-მოვალეობები; ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა. **პროფ. შალვა ჩიქვაშვილის** — საბინაო

სამართალი; ქორწინება და ოჯახი; საოჯახო სამართალი; **პროფესორ რომან შენგელიას** — საფინანსო სამართალი; საქართველოს საფინანსო სამართლის საკითხები, **ევგენი ნეიძის** — საბჭოთა შრომის სამართალი; კოლექტიური ხელშეკრულება; მუშა-მოსამსახურეთა შრომის დაცვა; **ლეონიდე ადეიშვილის** — მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობა; თანამდებობის პირთა მატერიალური პასუხისმგებლობა; **ლადო ჭანტურიას** — შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში; ლადო ჭანტურიასა და თედო ნინიძის მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მრავალტომიანი კომენტარები; **ზურაბ ახვლედიანის** მემკვიდრეობითი სამართალი, მისივე ვალდებულებითი სამართალი და სხვ.

გ) სისხლის სამართლის კათედრა თავისი განვითარების ისტორიულ ასპექტში დიდი მეცნიერული პოტენციალით, ტრადიციებით, ძალისხმევითა და ცვალებადობით ხასიათდება.

აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის ოთხმოცი ექვსი ათწლეული წელი კრიმინალური ციკლის სისტემაში შემავალი ყველა სასწავლო საგანი თავმოყრილი იყო სისხლის სამართლის სახელწოდებით არსებულ კათედრაზე. ამ კათედრას ოცდასამი წელი (1931-1964 წწ.) უცვლელად ხელმძღვანელობდა ფრიად განათლებული იურისტი **პროფესორი ა. ვაჩეიშვილი**, რომელმაც ბევრი მაღალმეცნიერული ღირებულების საინტერესო მონოგრაფიული გამოკვლევები დაგვიტოვა. აქედან, აღსანიშნავია მონოგრაფია „დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში“, რომელშიც უმთავრესად ყურადღება გამახვილებულია ბრალის ცნების ისტორიული განვითარების და მის შესახებ არსებული შეხედულებების გაღმოცემაზე. ასევე საინტერესოა მისი მეცნიერული გამოკვლევები სასჯელის საკითხებზე, კერძოდ, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი.

ამავე კათედრაზე გარკვეული წლების მანძილზე ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ფოთელ საბჭოთა კავშირში სისხლის სამართლის სპეციალობით ქალთა შორის პირველი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ქალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **პროფესორი თინათინ წერეთელი**, რომელმაც სისხლის სამართლის პრობლემებისადმი მიძღვნილი მრავალი ბრწყინ

ვალე მონოგრაფიული გამოკვლევა და ნაშრომი (მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში; დანაშაულის მოძზადება და მცდელობა; დანაშაული (თანამონაწილეობა და სხვ.) დაგვიტოვა.

პროფესორ ალექსანდრე ვაჩეიშვილის შემდეგ სისხლის სამართლის კათედრის გამგედ არჩეულ იქნა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ბორის ფურცხვანიძე**, რომელმაც ამ კათედრას უმწიკვლოდ უხელმძღვანელა 1982 წლამდე. ამ წელს კი სისხლის სამართლის კათედრა ორად გაიყო: „სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრად", რომელსაც სათავეში ჩაუდგა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებიდან გათავისუფლებული და უნივერსიტეტში დაბრუნებული, ამავე კათედრაზე აღზრდილი **პროფესორი გიორგი ტყეშელიაძე**. მეორე კათედრას კი, რომელსაც ეწოდა „სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრა", სათავეში ჩაუდგა და კათედრის გაშენება გააგრძელა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ბორის ფურცხვანიძემ**.

სისხლის სამართლის კათედრის ამგვარ გაყოფამდე კათედრას უმწიკვლოდ ხელმძღვანელობდა პრინციპული, ობიექტური, განათლებული მეცნიერი და პრაქტიკოსი, შესანიშნავი პედაგოგი და აღმზრდელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ბორის ფურცხვანიძე**, რომელმაც თავის სხვა მონოგრაფიებთან ერთად სისხლის სამართლის პროცესსა და სისხლის სამართლის ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილში ქართულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოებით უდიდესი დახმარება გაუწია ახალგაზრდა იურიდიული კადრების მოძზადებასა და პრაქტიკოს მუშაკებს.

ზემოთ მოხსენიებულ მეცნიერ პედაგოგებთან ერთად რამდენიმე ათეული წელი პირნათლად ემსახურა ახალგაზრდა იურიდიული კადრების აღზრდა-მოძზადებასა და ქართული იურიდიული აზროვნების განვითარებას, მართალი სიტყვის შეუდარებელი ოსტატი, ამავე კათედრის უნიჭიერესი მეცნიერი და მკვლევარი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ბეჟან ხარაზიშვილი**, რომლის ორიგინალურ სახელმძღვანელოებთან ერთად ქართველმა იურიდიულმა საზოგადოებამ შეიყვარა მისი ღრმამეცნიერული კვლევა-ძიებით დაწერილი მონოგრაფიული გამოკვლევები დაწყებული ქცევის მოტივების საკით-

ხებზე, სიცრუის უსიამოვნოებაზე, მტკიცებულებით სამართალზე, იუსტიციის ორგანიზაციაზე და სხვა. აღსანიშნავია, რომ მისი ორ ნაწილად გამოცემული კრიმინალისტიკას სახელმძღვანელო, უნივერსიტეტის პრემიით იქნა დაჯილდოებული, როგორც იმ დროისათვის (1954-1956 წწ.) ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი, წიგნი განმეორებით იქნა გამოცემული 1969 წელს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პროფ. ბ. **ხარაზიშვილმა ბ. ხორნაბუჯელის** ფსიქოდონიმით მრავალი საინტერესო ნაწარმოები (პრობლემა №13, ეროვნული საყვლავის საიდუმლოება და სხვ.) და მეცნიერული გამოკვლევა („ბრალის ფსიქოლოგიური მხარე" (რუსულ ენაზე) და სხვ.) დაგვიტოვა.

ამავე კათედრაზე ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა აგრეთვე ცნობილი საზოგადო მოღვაწე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, **დოცენტი მიშა ვეფხვაძე**.

როგორც აღვნიშნეთ, 1982 წელს სისხლის სამართლის კათედრა ორ ნაწილად გაიყო: „მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრად" და „სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრად".

სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრაზე სამუშაოდ სისხლის სამართლის კათედრიდან გადავიდნენ დოცენტები: **მზია ლეკვეიშვილი, ზაურ წულაია და გურამ ნაჭყებია**. შემდეგ კათედრაზე სამუშაოდ მოწვეულ იქნენ დოცენტი **გივი ყვარელაშვილი, მერაბ ტურავა, ოთარ გამყრელიძე**, ნონა თოდუა და სხვ. სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრაზე კი სამუშაოდ დარჩა თვითონ **პროფესორი ბორის ფურცხვანიძე, პროფ. ბეჟან ხარაზიშვილი, დოცენტი დავით ცინცაძე, დოცენტი შოთა ფაფიაშვილი** და **პროფესორი აპოლონ ფალიაშვილი**. კათედრის გაყოფიდან კიდევ ორი წელი უმწიკვლოდ უხელმძღვანელა კათედრას **პროფესორმა ბორის ფურცხვანიძემ**.

შემდგომი პერიოდიდან სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრაზე თავიანთ ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწყობდნენ **პროფესორი ზაურ წულაია**, რომელმაც სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელოები, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **პროფესორი მზია ლეკვეიშვილი**

და **გოჩა მამულაშვილი**, რომლებმაც ერთობლივი ავტორობით მრავალი საინტერესო ნაშრომი გამოსცეს; იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ნონა თოდუამ**, თავის მეუღლე **რეზო გოგშელიძესთან** ერთად ფრიად საინტერესო მონოგრაფია გამოსცა.

კათედრამ ავტორთა კოლექტივის მეშვეობით, დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეძლო სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს გამოცემა.

თავისი მეცნიერული პოტენციალით განსაკუთრებით გამოირჩევა ამავე კათედრის პროფესორი **გურამ ნაჭყებია**. ამავე კათედრაზე წარმოუერ სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა დოცენტი **გია ხუროშვილი** და მისი მეუღლე **მაია ივანიძე** და სხვები (იხ. სურ. 9).



სურ. 9. სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა

ე) სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის ცალკე ჩამოყალიბების შემდეგ კათედრის ხელმძღვანელობა კვლავ **პროფესორმა ბორის ფურცხვანიძემ** გააგრძელა, რომელმაც თავისი სიცოცხლეც ფაქტობრივად ამ კათედრის სამუშაო ოთახში დაასრულა. უაღრესად დიდია მისი ღვაწლი აზალგაზრდა მაღალკვალიფიციური იურიდიული კადრების მომზადების საქმეში. იგი იყო პატივისანი პედაგოგი და მასწავლებელი. მას დროულად მიაწოდა სტუდენტებსა და პრაქტიკოს მუშაკებს ქართულ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოები სისხლის სამართლის პროცესში, სისხლის სამართლის ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილში და სხვა მრავალი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის ნაშრომები.

პროფ. ბორის ფურცხვანიძის გარდაცვალების შემდეგ, 1984 წელს ამ კათედრის გამგედ არჩეულ იქნა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი აბოლონ ფალიაშვილი**, რომელიც ასევე თხუთმეტი წელი უძღვებოდა ამ კათედრის საქმიანობას და მისივე ინიციატივით კათედრას რამდენჯერმე შეეცვალა სახელწოდება და საბოლოოდ იგი დარჩა „სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის“ სახელწოდებით. 2000 წელს, კათედრის გამგეობიდან მისი გადადგომის შემდეგ, კათედრის გამგის ვაკანტურ თანამდებობაზე ერთხმად ამირჩიეს მე, **პროფესორი შოთა ფაფიაშვილი**.

სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრას ხანმოკლე, მაგრამ თავისთი უბრწყინვალო სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით აშშვენებდა და სახელს უხვეწნიდნენ აწ განსვენებული პროფესორ-მასწავლებელი, კერძოდ, მრავალმხრივი მეცნიერული კვლევა-ძიების შემოქმედი, ყოველთვის ახლის მაძიებელი, ფართო პორიზონტის მეცნიერი, უჩვეულო, სანიმუშო, შეუვალი და პატიოსანი ცხოვრებასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში, მართალი სიტყვის მოყვარული, ნიჭიერი და კეთილსინდისიერი ასპირანტებისა და მაძიებლების განუსხრელი მეგობარი და ქომაგი **პროფესორი ბეჟან ხარაზიშვილი (ხორნაბუჯელი)**, რომელმაც იურიდიული მეცნიერების მრავალ დარგში თქვა თავისი მართალი და პატიოსანი მეცნიერული სიტყვა. მან ფრიად საინტერესო სამეცნიერო და სხვა პუბლიცისტური ნაშრომები დაგვიტოვა სისხლის სამართალში, კრიმინალისტიკაში, სისხლის სამართლის პროცესში, მტკიცებულებათა სამართალში, სასამართლო ფსიქოლოგიაში. იგი ასევე დიდი გატაცებით წერდა მხატვრულ და დეტექტიური ხასიათის ნაწარმოებებს.

სხვადასხვა დროს ამავე კათედრაზე მოღვაწეობდნენ და ფართო სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ ცნობილი პრაქტიკოსი მუშაკები და საზოგადო მოღვაწეები: აწ განსვენებული საქართველოს გენერალური პროკურორი **ლევრი თალაკვაძე**, ქ. თბილისის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **მიხეილ ქურდაძე**, ყოფილი იუსტიციის მინისტრი და საქართველოს გენერალური

პროკურორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ალექსანდრე შუშანაშვილი**. კათედრას თითქმის ხუთი ათეული წელი ამშვენებდა უაღრესად კვალიფიციური და თავისი შინაგანი ბუნებით უბრალოტო მეცნიერ-პედაგოგი პროფესორი **დავით ცინცაძე** და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესორი **რეზო ჭოლოშვილი** და სხვ.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდა სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის წევრთა რიცხვიც, რომელთა რაოდენობა ტექნიკურ პერსონალთან ერთად ოცდაზუთს აღემატებოდა.

პატიოსან სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ღირსეულად აგრძელებდნენ კათედრაზე მომუშავე პროფესორ-მასწავლებლები, კერძოდ: **პროფესორი შოთა ფაფიაშვილი** (კათედრის გამგე), **პროფესორი აპოლონ ფალიაშვილი**, იურ. მეც. დოქტორი **შოთა კოზმანაშვილი**, დოცენტები: **რეზო გოგშელიძე** (კათედრის გამგის მოადგილე), **ირინა აქუბარდია, გია მეფარიშვილი, გარლენ სიმონიშვილი, ლალი ფაფიაშვილი, ავთანდილ კახნიაშვილი** და **დავით კარიაული, შენგელი ფიცხელაური, ვენედი ბენიძე, გურამ ქარქაშაძე, ჯემალ გახოკიძე, იური გაბისონია, ავთანდილ ბაქრაძე, ბადრი ბიწაძე, პაატა კობალაძე, ჯაბა კერესელიძე, ვაჟა ჯაოშვილი, ანზორ მახარაძე, ვახტანგ ხუციშვილი, ირინა ფოხაშვილი, ნინო გოგნიაშვილი** და კათედრის სხვა ახალგაზრდა მზარდი მეცნიერ-პედაგოგები.

კათედრის წევრები კითხულობდნენ და ატარებდნენ ლექცია-სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს ფაკულტეტის ისეთ ფუნდამენტალურ დისციპლინებში, როგორიცაა: სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა, სამართალდამცავი ორგანოები, ადამიანთა უფლებების დაცვის პროცესუალური გარანტიები; სასამართლოსა და პროკურატურის ორგანიზაცია და ფუნქცია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში; ადვოკატურის ორგანიზაცია და ფუნქცია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში; სასამართლო ექსპერტიზის პრობლემები; სისხლის სამართალწარმოება ზეკმდგომი ინსტანციის სასამართლოში; ოპერატიული საძიებურისა და გამოძიების ზოგიერთი ორგანიზაციული პრობლემა; სამხედრო დანაშაულთა გამოძიების ზოგიერთი თავისებურება და სხვ. კათედრა აქტიურად სწარმოებდა აგრეთვე ფაკულტეტის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას.

კათედრის ზემოაღნიშნულ საგნებში შემუშავებულ და გამოქვეყნებულ იქნა სასწავლო პროგრამები და მათი შესაბამისი სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სასწავლო-მეთოდური მასალები. ამ მიმართებით კათედრის წევრთა მიერ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ იქნა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ისეთი ფუნდამენტური ნაშრომები, როგორიცაა **პროფ. ა. ფალიაშვილის** სახელმძღვანელო „საქარხოკულოს სამართალდამცავი ორგანოები", მისივე რედაქტორობითა და მონაწილეობით „კრიმინალისტიკა" I და II ტომი, რ. გოგშელიძისა და ა. ფალიაშვილის ავტორობითა და პროფ. შ. ფაფიაშვილის რედაქტორობით „კრიმინალისტიკა", ტომი I და „სისხლის სამართლის პროცესი" (სახელმძღვანელო) და სხვ. ასევე პროფ. შ. ფაფიაშვილის „დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკის პრობლემები", „კრიმინალისტიკა. დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა და მეთოდიკა (ლექციების კურსი)", „დაქტილოსკოპია და მისი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში", „კრიმინალისტიკა. დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა" (სახელმძღვანელო), „კრიმინალისტიკა, ტომი II. დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა", „კრიმინალისტიკა, ტ. III, დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა"; „სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში"; აგრეთვე პროფ. **შ. ფაფიაშვილისა** და **ა. თევზაძის** მონოგრაფია „მასალების შეძოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა". **პროფ. შ. ფაფიაშვილისა და თ. ინაიშვილის** მონოგრაფია „შემთხვევის ადგილის დათვალიერება" და სხვ.

ასევე, კათედრის სხვა წევრების მიერ გამოქვეყნებულ იქნა მონოგრაფიები და დამხმარე სახელმძღვანელოები. კერძოდ, **დოც. რ. გოგშელიძის** „სასამართლო ექსპერტიზის სამართლებრივი რეგლამენტაცია", „სასამართლო-კრიმინალისტიკური საექსპერტო დაწესებულებების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში". **დოც. ი. აქუბარდიას** „საქართველოს პროკურატურის ისტორია და თანამედროვე ორგანიზაცია", **დოც. ლალი ფაფიაშვილის** „ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო", „როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს", **დოც. ვ. სიმონიშვილის** „ოპერატიული მუშაკების სწავლების მეთოდიკა", **დოც. ი. გაბისონიას** „პროკურატურის

სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში", „სისხლის სამართლის საქმის განხილვა სასამართლოში", **დოც. გ. მეფარიშვილმა** კი მთელი თავისი სამეცნიერო საქმიანობა და ნაშრომების სერია მიუძღვნა თანამედროვე სახამართლო რეფორმის სრულყოფილად გატარებას.

კათედრა დიდ ყურადღებას უთმობდა სტუდენტების მომზადებას სტუდენტია საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისათვის. კათედრის წევრებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, შეცნიერებასა და პრაქტიკას შორის მჭიდრო კავშირის დამყარებაში და სხვ. (იხ. სურ. 10).



სურ. 10. სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრა

კათედრა უწყვეტ ზრუნველობას იჩენდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში პრაქტიკოსი მუშაკების ჩასაბმელად და თეორიისა და პრაქტიკის დასაახლოებლად. ამ მიზნით, კათედრაზე სამუშაოდ შეიარავებით იქნენ მოწვეული დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტები: დოცენტი **ალექსანდრე ბაქრაძე**; საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე დოც. **ბადრი ბიწაძე**; საქართველოს შს და უშიშროების ყოფილი მინისტრი, **დოცენტი ჯემალ გახოკიძე**; საქართველოს შსს აკადემიის უფროსი, დოცენტი **გურამ ქარქაშაძე**, საქართველოს საოლქო სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **იური გაბისონია**; საქართველოს უშიშროების სამინისტროს ორგანიზებულ დამნაშაეობასთან ბრძოლის დეპარტამენტის უფროსი **სერგო ძაგნიძე**; იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი **ვაჟა ჯაოშვილი** და სხვ.

კათედრა ხელს უწყობდა არა მარტო მაღალკვალიფიციური იურისტების მომზადებას, არამედ მას მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობასთან, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა იმაში, რომ კათედრის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სასამართლო ხელისუფლების, სააღმოძიებო-საპროკურორო საქმიანობაში, მათთვის დამახასიათებული სპეციფიკური კანონმდებლობის მომზადებასა და კანონპროექტების შემუშავებასა და განხილვაში.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით კათედრის მიერ სერიოზული პრაქტიკული საბიჯებიც იქნა გადადგმული, როცა იურიდიული მეცნიერებისა და სააღმოძიებო-სასამართლო პრაქტიკის კავშირის შემდეგში გაუმჯობესებისა და განმტკიცების მიზნით, პირველად საქართველოში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს როინ მეტრეველისა და საქართველოს გენერალური პროკურორის — ნუგზარ გაბრიჩიძის ერთობლივი ბრძანებით საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეიქმნა ამავე **კათედრის საბაზო კათედრა**, რომლის დებულება ამავე ორი უწყების ხელმძღვანელის მიერ იქნა დამტკიცებული. ამ კათედრის წევრებად, გენერალური პროკურორის ბრძანებით, დამტკიცებული იქნენ პროკურატურის სისტემაში მოძუშავე მაღალკვალიფიციური სამეცნიერო ხარისხის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები, რომლებიც კათედრის გამგის დავალებით ახდენენ სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო შრომების რეცენზირებას, სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობას, სადისერტაციო შრომებისა და გამოსაცემად მომზადებული ნაშრომე-

ბის რეცენზირებას. სტუდენტებთან იტარებდნენ აგრეთვე პრაქტიკულ-სემინარულ მეცადინეობებს და კითხულობდნენ ლექციებს პროკურატურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე.

ამ საბაზო კათედრის დაარსება თავისთავად პროკურატურის სისტემაში სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაც იყო და, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო კათედრის მონაწილეობით პროკურატურის სისტემაში სასამართლო რეფორმის გატარების თავისებური ფორმა, რაც ხელს უწყობდა არა მარტო პროკურატურის მუშაკთა მომზადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, არამედ აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტისა და პროკურატურის პრაქტიკოსი მუშაკების საქმიანობის სწორად განხორციელებასა და გატარებას და, ცხადია, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა მომზადებასაც.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრაქტიკასთან კავშირის მიზნით, ამ კათედრის პროფესორ-მასწავლებლებს ხშირად გაჰყავდათ სტუდენტები საქართველოს საექსპერტო-კვლევით ლაბორატორიებსა და სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებებში პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობების ჩასატარებლად.

ე) სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა. ამ მნიშვნელოვან კათედრას მრავალი ათეული წელი უალრესად ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა დიდი მეცნიერი და მრავალი თაობის აღმზრდელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ივანე სურგულაძე**, რომლის მიერ დაწერილ ქართულ ორიგინალურ სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიულ გამოკვლევებზე იურისტთა მრავალი თაობა აღიზარდა.

პროფესორი ივანე სურგულაძის გარდაცვალების შემდეგ კათედრას სათავეში ჩაუდგა სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომებით უალრესად პროდუქტიული და დიდი პედაგოგიური გამოცდილების მქონე ლექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ვახტანგ აბაშმაძე**, რომლის გარდაცვალების შემდეგ კათედრის გამგედ არჩეულ იქნა პროფესორ ივანე სურგულაძის ღირსეული მოწაფე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ვალერიან მეტრეველი**, მისი ხელმძღვანელობით კათედრამ კიდევ უფრო გააფართოვა თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა და კათედრაზე შემავალ დისციპლინებში შედგენილ და გამოცემულ იქნა შესაბამისი სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები. კათედრის სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ასევე რამდენიმე წელი ამშვენებდა ფრიად ნიჭიერი და დიდი მეგობრული თვისებებით დაჯილდოებული იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი მიხეილ კეკელია.**

ამავე კათედრის სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული აგრეთვე ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს, პროფესორ **ისიდორე დოლიძის** სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელმაც ქართული სამართლის ისტორიაში უალრესად დიდი შემეცნებითი დაგვიტოვა, მაგალითად, ცნობილია, რომ მის მიერ გამოცემულ იქნა ქართული სამართლის ძეგლების რვატომეული, აგრეთვე ბექა-ალბუღას სამართალი; გიორგი ბრწყინვალის „სამართალი", საქართველოს ჩვეულებითი სჯული; ადრინდელი ფეოდალური სამართალი; ძველი აღმოსავლეთის სამართალი; შუა საუკუნის სამართალი და სხვ.

ამავე კათედრაზე მომზადდა და გამოცემულ იქნა **პროფესორ ივ. სურგულაძის** ფრიად საინტერესო მონოგრაფიული გამოკვლევები და დამხმარე სახელმძღვანელოები; სელმწიფის კარის გარიგება და დასტური-ლამალი; იოანე ბატონიშვილის სჯულდება; ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან (სამ ტომად); ნარკვევი — გვიან ფეოდალურ პერიოდში ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ, საქართველოს პოლიტმოძღვრებათა ისტორია; **პროფესორ ვ. აბაშმაძის** „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; ნარკვევები პოლიტმოძღვრებათა ისტორიიდან (ორტომეული), ქართული ინტელექტუალური ფენომენები და სხვ. **პროფესორ მ. კეკელიას** ორტომეული; სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ; **პროფესორ ვ. მეტრეველის** ნაშრომები: ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე; აკაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები; ნ. ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები; რომის სამართალი (საფუძვლები); პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია; მ. **ცაცანაშვილის** სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია და სხვ.

ამავე კათედრაზე ღირსეულ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას

ეწვეა ახალგაზრდა ნიჭიერი, კეთილსინდისიერი პედაგოგი და მკვლევარი, მიხეილ კვაკელიას ყოფილი ასპირანტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი გიორგი დავითაშვილი**, რომელმაც თავისი დაუღალავი შრომით ქართული ჩვეულებითი სამართლის საკითხებზე მრავალი საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა. ამავე კათედრაზე ასევე აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი მარიამ ცაცანაშვილი** და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, **დოცენტი ნანული კორძაია-სამადაშვილი**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი **პროფესორი ბესარიონ ზოიძე** და სხვ. (იხ. სურ. 11).



სურ. 11. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა

ვ) **ადმინისტრაციული სამართლისა და პროცესის კათედრა** ჩამოყალიბდა და დაარსდა ამ დარგის ბრწყინვალე წარმომადგენლის და, შეიძლება ითქვას, საქართველოში ადმინისტრაციული სამართლის ერთერთი ფუძემდებლის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის **პროფესორ ვალერი ლორიას** ინიციატივით, რომელსაც თვითონვე ჩაუდგა სათავეში. მან ამისთვის სათანადოდ მოამზადა ფუნდამენტი, რიცა მისმა რამდენიმე ასპირანტმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ადმინისტრაციულ სამართალსა და ადმინისტრაციულ პროცესში. მანამდე იგი ხელმძღვანელობდა სამართლის საფუძვლების კათედრას.

სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად **პროფესორი ვალერიან ლორია** აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ადმინისტრაციული სამართლის კოდექსისა და ადმინისტრაციული პროცესის კოდექსის პროექტის შემუშავებასა და მიღებაში. მან ოთხი ყოფილ ასპირანტებთან და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატ **დოცენტ ციალა ჩქარეულთან** და **მაკა სალხინაშვილთან** ერთად მრავალი საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა. ვ. ლორიამ ასევე გამოაქვეყნა ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. ადმინისტრაციული სამართლის კათედრაზე მასთან ერთად ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდნენ: **პროფესორი ვახტანგ ქარუმიძე, მაკა სალხინაშვილი, ციალა ჩქარეული, მაკა ლორია და სხვ.** (იხ. სურ. 12).



სურ. 12. ადმინისტრაციული სამართლის კათედრა

ზ) **სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების კათედრას** ხელმძღვანელობდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ავთანდილ კობახიძე**. ემსახურებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს. ამ კათედრაზე მუშაობდნენ დიდი სამეცნიერო-პედაგოგური

გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური იურისტები, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, **დოცენტი ვ. გეწაძე, დოც. მ. კობახიძე, დოც. ავთანდილ კახნიაშვილი, უფროსი მასწავლებელი ირინა არჩვაძე, ოლია კონსტანტინოვა, თამაზ დონჯაშვილი, ზურაბ გაბუნია** და სხვ. (იხ. სურ. 13).



სურ. 13. სამართლის საფუძვლების კათედრა

თ) საერთაშორისო სამართლის კათედრას ხელმძღვანელობს ამ დარგის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, დიდი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების მქონე, ჩემი ძვირფასი მასწავლებელი და მრავალი თაობის აღმზრდელი, ფრიად განსწავლული ლექტორი, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის და საერთაშორისო სამართლის საკითხებზე მიძღვნილი სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების ავტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამდგილი წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ლევან ალექსიძე**, რომელიც ამჟამად თავის მდიდარ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მომავალ იურისტებს, როგორც ლექტორი და საერთაშორისო სამართლის ექსპერტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ერთ-ერთი ღვაწლმოსილი პროფესორი. მისი მონოგრაფიული გამოკვლევებიდან და სახელმძღვანელოებიდან აღსანიშნავია: საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო სამართლის თეორიის ზოგიერთი საკითხი (რუსულ ენაზე) და სხვ.

ფაკულტეტზე გატარებული რეფორმის შედეგად ზემოაღნიშნული კათედრები თავიანთი სახელწოდებებითა და ნაწილობრივ შინაარსობლივადაც, შეიცვალა და მათ ეწოდათ შესაბამისი ძირითადი დარგების სახელწოდებათა მიმართულება. მაგალითად, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრას ეწოდა „სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის მიმართულება“ და სხვ.

ქართული იურიდიული აზროვნების განვითარების, იურიდიული მეცნიერებისა და იურიდიული კადრების აღზრდას ემსახურებოდა ზემოთ აღნიშნული კათედრების პროფესორ-მასწავლებელთა მთელი სამეცნიერო-პედაგოგიური არსენალი მათ მიერვე შექმნილი იურიდიული პროდუქციით, მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით, სასწავლო პროგრამებითა და მეთოდური მითითებით. ისინი ემსახურებოდნენ არა არა მარტო ახალგაზრდა იურიდიული კადრებისა და მკვლევართა აღზრდასა და მათ ჩამოყალიბებას მაღალკვალიფიციურ იურისტებად, არამედ ხელს უწყობდნენ აგრეთვე სწორი საკანონმდებლო საქმიანობის განვითარებას, საგამოძიებო სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესება-სრულყოფას, კანონების ცხოვრებაში სწორად გატარებას, ახალგაზრდობისა და მთელი მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას.

სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებთან ერთად ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში გარკვეულ მნიშვნელობას იძენს ამავე ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის მომზადებული კოლექტიური ნაშრომი „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ და „სამართლისმცოდნეობა“, რომლებშიც მოსახლეობის ფართო მასებისათვის გასაგები ენითაა გადმოცემული სამართლის ცალკეული დარგების ზოგადი დებულებები და გაშუქებულია სამართლის თითოეული დარგის ძირითადი საკითხები.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ზემოთ ჩამოთვლილი კათედრის პროფესორ-მასწავლებლებისა და საქართველოს სამართლის ინსტა-

ტუტის მეცნიერ-მუშაკების მიერ შექმნილი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა არის ის ძირითადი ბაზა, რომლის საფუძველზეც ხდება ქართული იურიდიული კადრების აღზრდა, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ჩამოყალიბება და სწორედ იგი ქმნის საქართველოს რესპუბლიკაში ქართული იურიდიული აზროვნების განვითარების ჯანსაღ ატმოსფეროს.


უკანასკნელ პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, საპარლამენტო ინსტიტუტსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ახალგაზრდა იურიდიული კადრების აღზრდასა და მათ მეცნიერულ ჩამოყალიბებას ემსახურებოდა ოცდახუთამდე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ორჯერ და კიდევ მეტი რაოდენობის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე არსებობდა სამეცნიერო ხარისხების მინიჭებელი სამეცნიერო საბჭო, რომელიც უფლებამოსილი იყო თავის წარმოებაში მიეღო საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები იურიდიული პროფილის თითქმის ყველა სპეციალობით. საბჭოს წევრებად არჩეული და დამტკიცებულ იქნენ მხოლოდ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორები.

სამეცნიერო საბჭოს ასეთი პრიორიტეტით გაუარესებამ ფარდო გასაქანი მისცა ახალგაზრდა ნიჭიერ სპეციალისტების თავიანთი პროფილის შესაბამისად აკმაყოფილებინათ სამეცნიერო კვალიფიკაცია.

დღესაც, ქართველი იურისტები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში (იხ. სურ. 14).

მრავალი ქართველი მეცნიერი-იურისტის ნაშრომი დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოს ფარგლებს გარეთ და მრავალი მათგანი ნათარგმნია რუსულ, გერმანულ და სხვა ენებზე. ყოველივე ეს, ცხადია, მიგვანიშნებს იმაზე, რომ დღეს საქართველოში ქართული იურიდიული აზროვნების კულტურამ გაუცილებლების უმაღლეს დონეს მიაღწია და სათანადო, კრიტიკულად მიდგომის გარეშე არ შეიძლება პირდაპირ გადმოვიტანოთ სხვა სახელმწიფოებში მოქმედი მოძველებული კანონმდებლობა, როგორც ამას, სამწუხაროდ, ზოგჯერ ადგილი აქვს საქართველოს პრაქტიკაში.



სურ. 14. ქართველი იურისტები ქალაქ ბუდაპეშტში საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთა შორის (2002 წლის 3 დეკემბერი)

საკონტროლო კითხვები

1. რა თავისებურებებით ხასიათდებოდა ამჟამინდელი ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, როგორც იურიდიული კადრების მოშზადების ძირითადი კერის, პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა?

2. რამდენი კათედრა ემსახურებოდა თსუ იურიდიულ ფაკულტეტს?

3. რა შინაარსია ჩადებული „რექტორის", „რექტორატის", „დეკანის", „დეკანატისა" და „კათედრის" ცნებებში?

4. ვინ იყვნენ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გარდა, კიდევ რა ძირითად საქმიანობას ეწეოდნენ ისინი?

5. ვინ იყვნენ სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, კიდევ რით იყვნენ დაკავებული ამ კათედრის წევრები?

6. ვინ იყვნენ სისხლის სამართლის კათედრის წევრები ამ კათედრის გაყოფამდე და რა თავისებურებებით ხასიათდებოდა მათი კანონშემოქმედებითი და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა?

7. როდის გაიყო სისხლის სამართლის კათედრა ორად და რა იყო მისი გაყოფის მთავარი მიზეზი?

8. როდის ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრა და რა ძირითადი თავისებურებებით ხასიათდებოდა ამ კათედრის წევრთა სამეცნიერო-პედაგოგიური და კანონშემოქმედებითი საქმიანობა?

9. მკვიდრების პრაქტიკასთან დაკავშირებისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის მიმართებით რა სახის ძირითად საქმიანობას ეწეოდა სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრა?

10. რა ძირითადი თავისებურებებით ხასიათდებოდა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობა.

11. რა ძირითადი თავისებურებებით ხასიათდებოდა ადმინისტრაციული სამართლისა და პროცესის კათედრის წევრთა საქმიანობა?

12. რა ძირითადი საქმიანობით ხასიათდებოდა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების კათედრა?

13. რა ძირითადი საქმიანობით ხასიათდებოდა საერთაშორისო სამართლის კათედრა?

14. ზოგადად რა თავისებურებებით ხასიათდებოდა იურისტთა საძეცნიერო სარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა?

თავი VI

სამართლისა და კანონმდებლობის განვითარების თანამედროვე აქტუალური საკითხები

§1. მეცნიერ-იურისტებისა და სამართალდამცავი ორგანოების ზრუნვა კადრების მომზდებასა და სამართალშემოქმედებასთან მიმართებაში

ახალგაზრდა იურიდიული კადრებისა და ჩვენი სახოგადოებათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების გარდა ქართველი მეცნიერ იურისტებისა და პრაქტიკოსთა წინაშე დღეს კიდევ სხვა ახალი, დიდი ამოცანები დგას, რომელთა სწორი, დროული გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება და ქვეყნად სწორი, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

ცნობილია, რომ სამართლის, საჯართლიანობისა და კანონიერების დაცვა-განმტკიცება იურისტების ყოველდღიური ზრუნვის საგანია. მათი როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება დღეს, ჩვენი სახოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში, როცა მიმდინარეობს საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესი; ბრძოლა მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის; ბნელით მოცული დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლინება-აღკვეთისა და დამნაშავეთა სამართლიანი დასჯისათვის; როცა მიმდინარეობს გლობალური საქმიანობა ქართული კანონმდებლობის თანამედროვე რელსებზე გადაყვანისა და სასამართლოს სრული — ჭეშმარიტი რეფორმა და ახალი ნამდვილი ცივილიზებული სახელმწიფოსათვის შესაფერისი კანონმდებლობის შექმნა-ჩამოყალიბებისა; როცა საქართველოს პარლამენტის მიერ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ მიღებული იქნა საქართველოს ახალი კონსტიტუცია და მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი კანონები.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ჩვენი სახელოვანი პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ მუშაკები

გამოცდილ პრაქტიკოსებთან ერთად ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამართალშემოქმედებით საქმიანობაში და სპეციალურ სამთავრობო კომისიებში. სწორედ, იურისტების გარუხრელი, დაბეჯითებითი მოთხოვნების შედეგად იქნა მიღწეული და აღდგენილი უდანაშაულობის პრეზუმფცია და მიმდინარეობს თანმიმდევრული ბრძოლა სწორი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის პრაქტიკაში სწორად გატარებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოება სრულიად ახალი ამოცანების წინაშე აყენებს იურისტების და კიდევ უფრო აქტუალურს ხდის მათ მუშაობას კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფასთან მიმართებაში. იგი ასევე ახალი ამოცანების წინაშე აყენებს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს და მოუწოდებს მათ მტკიცედ იდგნენ კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის სადარაჯოზე, სათანადო რეაგირების გარეშე არ დატოვონ საზოგადოებრივად საშიში სამართალდარღვევის არც ერთი ფაქტი, მოახდინონ ყველა შენიღბული დანაშაულის სრული, ყოველმხრივი გახსნა და მისი ჩამდენი პირების მიმართ გამოიყენონ კანონით დადგენილი შესაბამისი სასჯელები.

კანონმდებლობისა და იურიდიული სამსახურის პრაქტიკის შემდგომი სრულყოფა პირდაპირ დაკავშირებულია სახელმწიფო მართვის აპარატის, კადრების მომზადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მუშაობის კულტურის ამაღლებასთან, აქედან გამომდინარე, იურისტის პროფესიონალური საქმიანობაც, თავისი ფართო გაგებით, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა წარიმართოს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

თანამედროვე პირობებში, სახელმწიფო აპარატის მართვის სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იურიდიული სამსახურის გაუმჯობესებასა და მისი როლის ამაღლებას, სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურის, მათი ორგანიზაციული ფორმებისა და საქმიანობის სრულყოფას. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია თუნდ ის, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებასთან ერთად გაუქმდა რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების ორგვარი დაქვემდებარების პრინციპი და ისინი საქართველოს

დამოუკიდებელ უმაღლეს ორგანოებად იქცნენ. ამის შესაბამისად მიღებულია და გამოცემულია მთელი რიგი სპეციალური კანონები, მაგალითად, კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ", კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ", ორგანული „კანონი საერთო სასამართლოების შესახებ", კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ", „კანონი პროკურატურის შესახებ" და სხვ., აგრეთვე სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი და სხვ.

ამჟამად მოქმედი კანონების თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი ორგანო არის საქართველოს უზენაესი სასამართლო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, მათ შორის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები და დადგენილებები შეიძლება გასაჩივრდეს ან გაპროტესტდეს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოში და რომ ასეთ გაპროტესტებულ ან გასაჩივრებულ საქმეზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მიერ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება (განჩინება) საბოლოოა და მისი გასაჩივრება, ყოფილ საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს მსგავს რომელიმე უმაღლეს სასამართლოში ან სხვა ორგანოში, დაუშვებელია. უკიდურესად აუცილებელ შემთხვევაში იგი შეიძლება გასაჩივრდეს ევროპის ან სტრასბურგის სასამართლოში სათანადო წესების დაცვით, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი გასაჩივრებას აღარ საჭიროებს. ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სხვა სამინისტროები ანგარიშვალდებულნი აღარ არიან ყოფილ საბჭოთა კავშირის შესაბამის საკავშირო სამინისტროებისა და სხვა ორგანოების წინაშე, ისინი დამოუკიდებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან საქართველოს პარლამენტისა და სხვა უმაღლესი ორგანოების წინაშე და პასუხს აგებენ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ყოველივე ეს უდავოდ კარგია, მაგრამ, ცხადია, საკმარისი არაა, რადგან დღეს მიმდინარეობს სრული სასამართლო რეფორმა. უფრო

მეტიც, საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ახალი კანონების მიღება, არსებული კანონების დახვეწა და სრულყოფა, მათი პრაქტიკაში სწორად გამოყენება, რაც, თავის მხრივ, ტიტანურ ძალისხმევას მოითხოვს ქართველი იურისტებისაგან. ამასთან, ცხადია, ამ მიმართულებით წარმოებული დიდი სამუშაოების ჩატარებით არ მთავრდება იურისტების საქმიანობა, მათი ყოველდღიური ზრუნვის საგანია კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა, მიღებული კანონების სისტემატიზაცია, საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესება, სწორი, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა.

საქართველოში მომხდარი დიდი ცვლილებების შესაბამისად, საზოგადოებრიობის განვითარების ამ ეტაპზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში იურისტების ფართოდ ჩაბმის აუცილებლობამ საჭირო გახადა იურიდიული კადრების მომზადების ფორმების გადასინჯვა, ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესება და იურიდიული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ახალი გზების მოძებნა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ყველა თანამდებობის დასაკავებლად ცხადდება კონკურსები და სხვადასხვა ფორმით ტარდება გამოცდები.

დასამალი არაა, რომ თანამედროვე უმაღლესი, იურიდიული განათლების ტრადიციული სისტემა, შეიძლება ითქვას, ვეღარ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, რადგან იგი ზოგადი, იურიდიული განათლების მიღებით შემოიფარგლება. საჭიროა ამ ზოგადი, იურიდიული საგანმანათლებლო სისტემიდან ვიწრო იურიდიული სპეციალიზაციისაკენ გადაჭანაცვლოთ და იურისტების მომზადება მოხდეს სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო სამართლის თეორიისა და ისტორიის; სამეწარმეო და სამოქალაქო სამართლის; სისხლის სამართლისა და სისხლის საპროცესო სამართლის, ოპერატიულ-საგამოძიებო და საექსპერტო საქმიანობის, საგამოძიებო-საპროკურორო და სამოსამართლო დარგის სპეციალობების მიხედვით დავიწყოთ მაღალკვალიფიციური, პროფესიონალური იურიდიული კადრების მომზადება. ჩემი აზრით, პრაქტიკულად ეს შეიძლება განხორციელდეს ამჟამად შემოღებული ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სწავლების ფორმით. კერძოდ, იურიდიული ფაკულტეტზე შემოსულმა აბიტურიენტმა შეძლება შვიდი სემესტრი ისწავლოს ბაკალავრიატში და ამით მას მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს ზოგადი იურიდიული განათლება, ამის მიხედვით მიეცეს შესაბამისი მოწმობა ან დიპლომი. ხოლო ის, ვინც მოისურვებს მეორე საფეხურზე — მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას, იქ უნდა მოხდეს სწავლება წმინდა სპეციალიზაციის მიხედვით ბუთი სემესტრის განმავლობაში. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ასეთ სპეციალიზაციად შეირჩეულ იქნება სახეობა სპეციალობებში — სახელმწიფო მმართველობის სპეციალობა; სახელმწიფო სამართლის თეორიისა და ისტორიის სპეციალობა; სამეწარმეო საქმიანობის სპეციალობა; სამოქალაქო სამართლის სპეციალობა; სისხლის სამართლისა და სისხლის საპროცესო სამართლის სპეციალობა; ოპერატიულ სამძებრო და საექსპერტო სპეციალობა; საგამოძიებო, საპროკურორო და სამოსამართლო დარგის სპეციალობა.

სწავლების ახალი ფორმა, ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური იურიდიული კადრების მომზადებასა და მათ პირდაპირ ჩაბმას პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებული სპეციალობების მიხედვით, ამის შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე მათი დანიშვნა უბრალო გასაუბრების შემდეგ მოხდება.

ამ პრობლემატური საკითხების წარმატებით გადაწყვეტის გარეშე შეიძლება ითქვას, შეუძლებელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მაროვის სისტემის შემდგომი სრულყოფა-განვითარება და თვით სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება; ამ კეთილშობილური მიზანს უნდა ემსახურებოდეს ავრეთვე, საქართველოში დამოუკიდებელი იურიდიული ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების ფართო ქსელის შექმნა და იურიდიული კადრების მომზადება ზოგად იურიდიულ საგანმანათლებლო სახითა და ცალკეული სპეციალობების მიხედვით.

§2. იურიდიული სამსახურის გაუმჯობესების პრობლემა იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და კანონიერების დაცვა-განმტკიცების საქმეში

ამჟამად სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სამართალდამცავი ორგანოებისა და მთელი ქარაგული იურიდიული საზოგადოებრიობის წინაშე მწვავედ დგება აგრეთვე საკითხი იურიდიული კადრების (როგორც პრაქტიკოსი, ისე ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებისა და პედავოგების) გადამზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესაბამისი ცენტრებისა და ინსტიტუტების შექმნის შესახებ, რისაც, ჩემი აზრით, ვერერჯერობით არაჯეროვანი ყურადღება ეთმობა.

იურიდიული კადრების მომზადება და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა წარმოუდგენელია საკანონმდებლო თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე. მისი ნაკლებობა სათანადო დაღს ასვამს არა მარტო მაღალკვალიფიკაციური კადრების მომზადებას, არამედ თვით სამართალდამცავი ორგანოების — სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს, ადვოკატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ორგანოების საქმიანობის სრულყოფილად წარმართვას.

მაგალითად, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ორგანოების მუშაობა ღანაშაულის გახსნასთან დაკავშირებით წარმოუდგენელია თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური ბაზისა და შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე და სხვ. ამიტომ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და შესაბამისი სპეციალიზირების, მთელი იურიდიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა და მათი ყოველდღიური ზრუნვის საგანი აუცილებლად უნდა იყოს იურიდიული სამსახურის ყველა სფეროს სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური ბაზითა და მათი პროფილის შესაბამისი სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებებთან ერთად საბელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესება, საქართველოში მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვა-განმტკიცება, მართლმსაჯულების სწორი, მართებული განხორციელება და მთელი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის აზალ, დემოკრატიულ რელსებზე გადაყვანა, ყოველმხრივი დადებითი შედეგებით, წარმოუდგენელია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გარეშე.

უფრო მეტიც, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის, მთელი სამართალდამცავი ორგანოების, კოოპერატიული და კომერციული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი საქმიანობის წინსვლის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. მაგრამ, ცხადია, ეს გარემოებაც შეთანხმებული და მოწესრიგებული უნდა იყოს კანონით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვით ამ მიმართებით პრაქტიკაში დანერგილი ყოველგვარი პროგრესული წინადადება და მეთოდი არ უშლება ეწინააღმდეგებოდეს კანონს.

იურიდიული სამსახურის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება და ხალხის მასებში მისი ავტორიტეტის ამაღლება წარმოუდგენელია იურიდიული დარგის სპეციალისტთა და საქართველოს მთელი მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ყოველდღიური ამაღლების გარეშე. ამ მიმართებით ფართო მუშაობა უნდა გაიშალოს მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის თვალსაზრისით, რადგან წარმოუდგენელია კანონების დაცვა-განმტკიცება და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება იურიდიული სამსახურის მუშაკებისა და საზოგადოების ფართო მასების სამართლებრივი კულტურისა და სამართალშეგნების ამაღლების გარეშე, კანონისადმი მოსახლეობის პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდის გარეშე.

საჭიროა საზოგადოებაში დამკვიდრდეს მტკიცე რწმენა იმისა, რომ მთელებელი და მოუთმენელია ყოველგვარი თვითნებობა, კანონის დარღვევა, მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩადენა, რაოდენ შენიღბული სახითაც და რთულ კონფლიქტურ სიტუაციაშიც არ უნდა იყოს იგი ჩადენილი, **აუცილებლად მოხდება მისი სწრაფი, სრული გახსნა,** დადგინდება ობიექტური ჭეშმარიტება და იზეიმებს სწორი, სამართლიანი მართლმსაჯულება.

ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევა შეუძლებელია იურისტთა უმწიკვლო, თავდადებული, აქტიური მუშაობის გარეშე.

§3. იურიდიული სამსახურის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების პრობლემა დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში

იურიდიული სამსახურის, კერძოდ კი, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა თანმიმდევრული ბრძოლა სამართალდარღვევების წინააღმდეგ. უკანასკნელ პერიოდში ჩვენს სახელმწიფოში სამართალდარღვევებისა და დამნაშავეობის ფაქტების ზრდა უზომო შეშფოთებას იწვევს მოსახლეობის ფართო მასებში, მოულ მოსწინავე საზოგადოებაში, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოებისაგან მოითხოვენ მის წინააღმდეგ მტკიცე, თანმიმდევრულ ბრძოლას, დანაშაულებრივი ფაქტების დროულ აღკვეთასა და თავიდან აცილებას.

ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში, ცხადია, პირველ რიგში, იურისტებს აკისრია დიდი მისია და, მათ შორის, თქვენც, როგორც მომავალ იურისტებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს.

სამართალდარღვევა ისეთი ანტისაზოგადოებრივი მავნე ქმედებაა, რომელიც არღვევს მართლწესრიგსა და იურიდიულ ნორმებს. მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედობა არის სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ისეთი ნორმების დარღვევა, რომელიც იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. დანარჩენი სახით სამართალდარღვევები კი, რომლებიც თავისთავად სოციალურად ბუნებით ნაკლებად საშიშია საზოგადოებისათვის, შეიძლება იყოს ქონებრივი, ადმინისტრაციული და დისციპლინარული გადაცდომის ხასიათის.

იურიდიული სამსახურისა და სამართალდამცავი ორგანოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დამნაშავეობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა, მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების დროული გამოვლინება, დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა და დამნაშავის სამართლიანი დასჯა, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების გამოვლინება, დანაშაულის თავიდან აცილება და აღკვეთა, დამნაშავეთა გამოსწორება და მათი ხელახალი აღზრდა კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთებით და ამ მიმართებით ძთელმა იურიდიულმა სამსახურმა უნდა აწარმოოს თანმიმდევრულად სწორი, მიზანდასახული საქმიანობა.

სამართალდარღვევების თავიდან აცილების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები შეიძლება იყოს როგორც ზოგადი, ანუ საერთო პრევენციული ხასიათის, ისე ცალკეული, კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ.

მაგალითად, ქურდობის საქმის გამოძიების დროს, თუ დადგინდება, რომ სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ხელი შეუწყო ქონების არასათანადო დაცვამ, ამის შესახებ გამომძიებელმა უნდა შეადგინოს დასაბუთებული წარდგინება გამოვლენილი დანაშაულებრივი ფაქტის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ და შეიტანოს იგი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით. გამოიყენოს აგრეთვე სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის განზოგადების წესი და მის საფუძველზე დაადგინოს კონკრეტული სახის დანაშაულთა გამომწვევი მიზეზები და ამის მიხედვით დაისახოს მისი თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები.

საზოგადოებაში გავრცელებულია არასწორი შეხედულება იმის შესახებ, თითქოს დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ერთერთი საუკეთესო საშუალება იყოს **მკაცრი სასჯელების დაწესება.** პრაქტიკაზე იურისტების მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებით დადგენილია, რომ **სასჯელის გამაფრთხილებელი მნიშვნელობა სრულიადაც არ გამოიხატება მის სიმკაცრეში. მისი ძალა ამ მიმართებით მის გარდუვალობაშია. მთავარი და მნიშვნელოვანია არა ის, თუ რამდენად მკაცრად ისჯება დამნაშავე, არამედ ის, რომ არც ერთი დანაშაულებრივი ფაქტი არ დარჩეს გამოუმჟღავნებელი და გაუხსნელი, ხოლო თითოეული მისი ჩამდენი პირი სამართლიანად იქნეს დასჯილი.**

მაშასადამე, **სასჯელის** ზოგადი და კერძო პრევენცია, ანუ მისი **გამაფრთხილებელი მნიშვნელობა მდგომარეობს არა მის სიმკაცრეში, არამედ მის გარდუვალობაში.**

დანაშაულთა გამომწვევი მიზეზების ხელშემწყობი გარემოებებისა და თავიდან ასაცილებელ ღონისძიებათა შესახებ არსებული თანამედროვე იურიდიული მეცნიერება ემყარება და იზიარებს რა კრიმინოლოგიური მეცნიერების გამოკვლევის მეთოდებს, დანაშაულს მიიჩ-

ნეგს სოციალურ მოვლენად და მის გამომწვევ მიზეზებსა და ხელშემწყობ გარემოებებს ყოფს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ და ვერც გავიზიარებთ ზოგიერთი მკვლევრის იმ ყბადაღებულ თეორიებს, რომლითაც დანაშაული მიჩნეულია საზოგადოებისათვის ძუძუმტებ თანმდევ ისეთ ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ მოვლენად, როგორიცაა დაბადება და სიკვდილი, რომ დანაშაულის ჩადენა დამახასიათებელია პიროვნების ბიოლოგიურ თვისებებთან, მის გენეტიკურ მოვლენებთან და ამიტომ, მათი აზრით, დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა აღკვეთილ იქნეს ასეთი ბიოლოგიური ნიშნების მატარებელი — დანაშაულის ჩადენის მიდრეკილების მქონე პირთა გამრავლება და ამ მიზნით მოხდეს მათი კასტრაცია ან საზოგადოებისაგან მათი წინასწარი იზოლაცია, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, არასწორი და მიუღებელია.

ადამიანის ისეთი ბიოლოგიური თვისებები, როგორიცაა: სქესი, ასაკი, პიროვნების ფსიქიკა და სხვა გარემოება, ცხადია, გარკვეულ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მის ტემპერამენტსა და ხასიათზე, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების ამ ბიოლოგიურ თვისებებში ჩადებული და დაპროგრამებული იყოს მის მიერ ჩასადენ ანტისაზოგადოებრივ ქმედებათა კომპლექსი. ამიტომ არ შეიძლება ამ ბიოლოგიური თვისებების გამოკვლევით მოხდეს საზოგადოებისაგან დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილების მქონე პირთა წინასწარი იზოლაცია.

თანამედროვე, პროგრესული თვალსაზრისის მეცნიერების მიერ ასევე უარყოფილია შეხედულება, რომლისაც დანაშაული, ადამიანის ბიოლოგიური თვისებებიდან გამომდინარე, მემკვიდრეობით მოვლენადაა მიჩნეული.

ჯერ კიდევ ადრე, XIX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ინგლისელი სოციოლოგი რობერტ ოუენი მართებულად წერდა: **„ადამიანში, ქვეყნად, რომ ჩნდება, არ არის არც ნამდვილი ბოროტება, არც ნამდვილი სიკეთე. არის მხოლოდ შესაძლებლობა და უნარი როგორც ერთისა, ისე მეორისა, რაც მასში ვითარდება იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელშიც ის ცხოვრობს და დამოკიდებულია იმ აღზრდაზე, ოჯახსა და საზოგადოებაში რომ იღებს“.**

ზემოაღნიშნულ დებულებაში უაღრესად ნათლადაა ჩამოყალიბებული ის გარემოებები, რომელშიც უნდა ვეძიოთ დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, ამასთან, ეს დებულება ყოველგვარ საფუძველს აცლის იმ კრიმინოლოგების მცდარ შეხედულებებს, რომლითაც დამნაშავეობის არსებობის მთავარ მიზეზად მიჩნეულია ადამიანში მემკვიდრეობით გადაცემული ბიოლოგიური თვისებები. **დანაშაული ესაა სოციალური მოვლენა და არა საზოგადოების მუდმივი თანამგზავრი და პიროვნების ბიოლოგიური, მისი გენეტიკური მოვლენა.**

დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის გზები უნდა ვეძიოთ არა პიროვნების ბიოლოგიურ თვისებებში, არამედ იმ სოციალურ გარემოპირობებსა და ვითარებაში, რომელშიც უშუალოდ ფალიბდება პიროვნების მსოფლმხედველობა, მისი ფსიქოლოგია, მისი დამოკიდებულება ცალკეულ პირებთან, ჯგუფებთან, მთელ საზოგადოებასთან. ადამიანის ამ რთული ფორმირების პროცესში დაშვებული შეცდომების შედეგად ხდება მასში იმ ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების ჩასახვა, რომელიც მისთვის ხელსაყრელ პირობებში მძლავრად იჩენს თავს, იძლევა დანაშაულს და ზოგჯერ მთლიანად ეშვება დანაშაულთა მორევში.

ჩვენს საზოგადოებაში, მართალია, არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ადამიანების დაყოფა პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ კლასებად, რაც, შეიძლება ითქვას, ყოველგვარი სახის დანაშაულთა აღმოცენების საფუძვლთა საფუძველია, მაგრამ, ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში აღარ არსებობდეს დამნაშავეობის აღმოცენების გამომწვევი მიზეზები და მათი ჩადენის ხელშემწყობი გარემოებები. რასაკვირველია, არა. ეს იქნებოდა თავის მოტყუება, თვითმავიერება და ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში არსებული მახინჯი მოვლენებისადმი შეგნებულად გვერდის ავლა და თვალის დახუჭვა.

დანაშაულს, როგორც სოციალურ მოვლენას, ცხადია, აქვს თავისი აღმოცენებისა და განვითარების გარკვეული ნიადაგი და პირობები, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ ეტაპზე შექმნილი ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ხასიათის სიძნელეების აღმოცენებისას, რომლის განვითარებასა და

ჩადენას ხელს უწყობს პიროვნების მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა, მასში არასწორი წარმოდგენების, სურვილებისა და მისწრაფებების აღმოცენება და თავისი ასეთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის არასწორი გზების არჩევა.

მაგალითად, დ.-ემ მიზნად დაისახა რა მსუბუქი ავტომანქანის შეძენა, გადაწყვიტა, თავისი საშსახურებრივი მდგომარეობა გამოეყენებინა უკანონო შემოსავლის წყაროდ. იგი მოქალაქეებს საჭირო ცნობების გაცემისას უკანონოდ სძალავდა 100-200 ლარს. დ.-ემ ასეთი დაგროვილი ფულით ერთ წელიწადში შეიძინა საკმაოდ ძვირად ღირებული მსუბუქი იმპორტული ავტომანქანა. მსჯავრდებულმა გ.-მ კი თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად კიდევ უფრო მძიმე დანაშაულებრივი გზა — მოქალაქეთა ძარცვა ამჯობინა.

ზემოაღნიშნულ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში დანაშაულის ჩადენა განპირობებული იყო არა ამ პირთა არსებობისათვის აუცილებელ არასათანადო სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად, არამედ თავიანთი დამატებითი სურვილების დასაკმაყოფილებლად, რა დროსაც თავი იჩინა მათი ფორმირების პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა, მათში ეგოიზმისა და პარაზიტიზმის გრძნობამ იმძლავრა და ისინი მძიმე დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანა.

დამნაშავეობასთან ბრძოლის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია მისი გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, რადგან იგი საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ დამნაშავეობასთან ბრძოლის სტრატეგია.

დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებების გამოკვლევა-დადგენის აუცილებლობა რეგლამენტირებულია თვით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც.

უფრო მეტიც, კანონი მოითხოვს და აკალდებულებს გამომძიებელსა და პროკურორს არა მარტო დაადგინოს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების ხელშემწყობი გარემოებები, არამედ დაადგინოს ისიც, თუ რა უნდა იქნეს გაკეთებული მათ მიერ ამგვარი დანაშაულის აღკვეთასა და თავიდან აცილებისათვის მიმართებაში. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლი ეხება დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენას და მასში პირდაპირ მითითებულია: „დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენისას გამომძიებელი ან პროკურორი შესაბამისი ორგანიზაციის თანამდებობის პირს უგზავნის წარდგინებას ამ გარემობათა გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად". და რომ „წარდგინების განხილვა სავალდებულოა. განხილვის შედეგი ერთი თვის ვადაში უნდა ეცნობოს წარდგინების ავტორს". აქვე მითითებულია იმაზე, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს წარდგინების განუხილველობასა და მოცემული დავალების შეუსრულებლობას. კერძოდ, ამავე მუხლის მესამე ნაწილში სათქმელია, რომ „აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 20 მინიმალურ ოდენობამდე".

მაშასადამე, **გამომძიებელს ევალება ყოველ კონკრეტულ გამოსაძიებელ საქმეზე, გამოძიებით დასადგენ სხვა აუცილებელ გარემოებებთან ერთად, დაადგინოს ის, თუ რამ შეუწყო ხელი ამ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას, რა იყო მისი ჩადენის ხელშემწყობი გარემოება და მიიღოს შესაბამისი ღონისძიება მისი აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის.**

მოცემული საკითხის განხილვის დროს შეიძლება ბუნებრივად დაიბადოს კითხვა: რა არის ან რა შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენის მიზეზი და მისი ხელშემწყობი გარემოება?

დანაშაულის გამომწვევი მიზეზი ყოველ კონკრეტულ გარემოებაში, შეიძლება იყოს მხოლოდ ის სოციალური მოვლენა და პროცესი, რომელიც იწვევს, ქმნის ან განაპირობებს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობა (გარემოება) კი შეიძლება იყოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ეკონომიკურ და იდეოლოგიურ სფეროში არსებული ის ნაკლოვანება, რომელიც, მართალია, თვითონ არ წარმოქმნის დანაშაულს, მაგრამ ხელს უწყობს მის ჩადენას.

ყველა გარემოება, რომელიც გაკვლევას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე, მასში ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების აღმოცენებაზე და ხელს უწყობენ მისი დანაშაულებრივი მიზნების განხორციელებას, შეიძლება პირობითად დავყოთ ორ დიდ ჯგუფად: ობიექტური და სუბიექტური ხასიათის გარემოებებად (ფაქტორებად).

ამრიგად, დანაშაულთა აღმოფხვრისა და თავიდან აცილების ერთერთ უმთავრეს ბაზად და, შეიძლება ითქვას, მთავარ ქვაკუთხედად მიჩნეულ უნდა იქნეს იმ გარემოვითარების და პირობების გაუმჯობესება, მისი სრულყოფა, რომელშიც ხდება ადამიანის, როგორც პიროვნების ფორმირება.

დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების **ობიექტურ და სუბიექტურ** ფაქტორებად დაყოფასაც სწორედ ეს ზემოაღნიშნული გარემოებები და პირობები უნდა დაედოს საფუძვლად.

მოცემული საკითხის განხილვის დროსაც შეიძლება დასმას კითხვა: კონკრეტულად რა უნდა იქნეს გაგებული ასეთი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ცნებაში?

დანაშაულის გამომწვევ მიზეზად და მისი ჩადენის ხელშემწყობ **ობიექტურ ფაქტორად** შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი გარემოება, რომელიც სუბიექტისგან დამოუკიდებლად არსებობს და იძლევა ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენის, მისი აღმოცენების რეალურ შესაძლებლობას. **სუბიექტურ ფაქტორად** კი უნდა მივიჩნიოთ ის ხელშემწყობი გარემოება, რაც უშუალოდ პიროვნებისაგან გამომდინარეობს, რაც მოცემული კონკრეტული პირის ფსიქოლოგიურ მახასიათებელ ნიშნად გვევლინება. კერძოდ, ის, რაც მისი პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მის მისწრაფებასა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სუბიექტური ფაქტორი, ერთ შემთხვევაში, შეიძლება იყოს მის შეგნებასა და წარმოდგენაში ამა თუ იმ მოვლენის არასწორი აღქმა, მისი როგორც პიროვნების არანაირი იდეურ-ნებელობითი პოზიცია, მას შეგნებაში ანტისამართლებრივი, ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების არსებობა, მეორე შემთხვევაში, მის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად არასწორი გზისა და საშუალების შერჩევა.

ამრიგად, დანაშაული არის სოციალური მოვლენა და ამიტომ მისი აღკვეთის, თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის საჭირო შემუშავებულ იქნეს სოციალური დაცვის კომპლექსური ღონისძიებები და იურისტების მუშაობა, თანამედროვე პირობებში, ამ მიმართებითაც მთელი ძალისხმევით უნდა წარიმართოს.

საკონტროლო კითხვები

1. რა განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება მეცნიერ-იურისტებისა და სამართალდამცავი ორგანოების ძირითადი საქმიანობა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე?
2. რა ძირითადი პრობლემებია იურიდიული სამსახურის შემდგომი გაუმჯობესებისა და იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში?
3. რა ძირითადი თავისებურებებით ხასიათდება და როგორ უნდა იქნეს გაგებული იურიდიული სამსახურის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების პრობლემა დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში?
4. როგორია თანამედროვე იურიდიული აზროვნება დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების შესახებ?
5. როგორია დანაშაულის გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი გარემოებების კლასიფიკაცია?
6. რა როლს ასრულებს მკაცრი სასჯელების დაწესება დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში?
7. რა ძირითადი ღონისძიებები უნდა იქნეს გატარებული დანაშაულთა აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიზნით?
8. რა არის დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი გარემოებები?
9. რა ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული დანაშაულის, როგორც სოციალური მოვლენის აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიზნით?

თავი VII

შეაღლესი იურიდიული დაწესებულებებისა და XX საუკუნის მიღწევაწე მეცნიერ-იურისტების საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

§1. უმაღლესი იურიდიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ზოგადი დახასიათება

როგორც აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე, საქართველოში იურიდიული კადრების მომზადების ერთადერთი კერა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 70-იანი წლების შემდგომ ეტაპზე კი თბილისის მილიციის სკოლის ბაზაზე ქ. თბილისში დაარსდა საბჭოთა კავშირის შსს მოსკოვის უმაღლესი იურიდიული სკოლის ფილიალი იურიდიული ფაკულტეტის სახელწოდებით, რომელიც საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გადაკეთდა ჯერ საქართველოს შსს უმაღლეს სკოლად, შემდეგ კი საქართველოს შსს პოლიციის აკადემიად. XX საუკუნის მიწურულში კი, ფართოდ გაიშალა დამოუკიდებელი ეროვნული უმაღლესი კომერციული სახის იურიდიული სასწავლებლების ქსელი და არა მარტო ქალაქად, არამედ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახელწოდების უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც თითქმის უკლებლივ, ფუნქციონირებდა იურიდიული ფაკულტეტები. თვით სხვადასხვა სახის სახელმწიფო ინსტიტუტებმაც შეიცვალა თავიანთი სახელწოდებები. მაგალითად, ქ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა სახელმწიფო უნივერსიტეტად. ასევე ქ. ჭიათურის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა ქ. ჭიათურის სახელმწიფო უნივერსიტეტად და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ბევრმა დამოუკიდებელმა ეროვნულმა კომერციულმა უმაღლესმა სასწავლებელმა, რომლებშიც იურიდიული ფაკულტეტებიც ფუნქციონირებდა, ვერ გაუძლო უმაღლესი სასწავლებლებისადმი წარდგენილ მაღალ მოთხოვნებს – ვერ შექმნეს საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა, ფაკულტეტი ვერ დააკომპლექტეს მაღალკვალიფიციური

სამეცნიერო ჩარიცხის მქონე ლექტორებით და თვითღირებულება განაცალეს. ამ სასწავლებლების უფრო გამოცდილმა ხელმძღვანელებმა კი თავიანთი შესაძლებლობებით სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს მიაშურეს, მათთან შეერთდნენ და თავიანთი თავი სახელმწიფოს შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის დამოუკიდებელ ფილიალებად გამოაცხადეს. ზოგიერთი კი სახელმწიფოს უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთ ფაკულტეტად იქნა აღიარებული. ასე მოიქცა მაგალითად, ქ. თბილისის მართვის ინსტიტუტის ყოფილი რექტორი, პროფესორი ვახტანგ ქარუმიძე, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორთან შეთანხმებით, მთელი თავისი სტუდენტობა და სასწავლო-დამხმარე პერსონალი პროფესორ-მასწავლებლებით ერთად გადმოიყვანა და თავისი ხელმძღვანელობით ამ აკადემიაში დამოუკიდებელ იურიდიულ ფაკულტეტად დააფუძნა, რაც დღესაც წარმატებულად არსებობს და ამზადებს მაღალკვალიფიციურ იურიდიულ კადრებს.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ამ ფაკულტეტზე აწ განსვენებული პროფესორ **ვახტანგ ქარუმიძის** დიდი ორგანიზაციული ნიჭით, მკაცრი დისციპლინითა და ობიექტურობით ყოველთვის გამოირჩეოდა სახელმწიფო გამოცდების ჩატარება (სურ. 15).



სურ. 15. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტზე სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების პროცესი

ზოგიერთმა დამოუკიდებელმა ეროვნულმა უმაღლესმა სასწავლებელმა კი, შეძლეს შეექმნათ შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა და თავისი სასწავლებელი დაეკომპლექტებინათ მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით. სასწავლებელში დაემყარებინათ მკაცრი დისციპლინა და ყოველივე ამით და სხვა არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გათვალისწინებით, შეუნარჩუნებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა და აკრედიტაციის რთული გზაც გაეელოთ. მართალია, ასეთი ეროვნული, დამოუკიდებელი კომერციული უმაღლესი სასწავლებელი დღეს ძალიან მცირეა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ მტკიცედ დგას და ამით გარკვეულ სტიმულს აძლევს სხვა უმაღლეს სასწავლებლებსაც.

მაგალითად, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტმა ე.წ. „სდასუმ", რომელსაც დაარსებიდან დღემდე სათავეში უდგას გამოცდილი საზოგადო მოღვაწე და კარგი ორგანიზატორი **თემურ ქორიძე**, დაუბრკოლებლივ განვლო რთული აკრედიტაცია და კვლავ ამზადებს იურიდიულ და სხვა დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. ასევე უნდა ითქვას ქ. თბილისის ეკონომიკური ურთიერთობის ამჟამინდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, რომლის რექტორია შესანიშნავი მეცნიერი და ბრწყინვალე ორგანიზატორი, პროფესორი **გურამ თავართქილაძე**. ამ უნივერსიტეტმაც, შეიძლება ითქვას, დაუბრკოლებლივ გაიარა უმაღლესი სასწავლებლის აკრედიტაციის რთული გზა და მის იურიდიულ და სხვა ფაკულტეტებზე ლექცია-სემინარებს ატარებენ მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ პერიოდში ბევრი შეეცადა შეერყია სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ავტორიტეტი, ითქოს ამ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები ჩამორჩნენ თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს და იურიდიული კადრების სახით უშვებენ ძალიან დაბალ, მდარე პროდუქციას. მაგრამ მინდა შევახსენო მათ, რომ მათი უმრავლესობაც ჩვენ ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი არიან და თავიანთ თავს სომ მაღალკვალიფიციურ იურისტებად წარმოაჩენენ; რატომ აცდენებათ, რომ საქართველოში უფროსი თაობის წარმომადგენლებიც ამავე ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი არიან; რატომ ავიწყდებათ და რატომ უკეთებენ იგნორირებას იმას, რომ დღეს საქართველოში ყველა მოწინავე დიდი პრაქტიკოსი იურისტიც და ცნობილი ქართველი მეცნიერებიც სწორედ ამ იურიდიული ფაკულტეტის პირმშონი არიან. განა, ამ ფაკულტეტის უფროსი და მიმდევარი თაობის პროფესორ-მასწავლებელთა მაღალკვალიფიკაციაზე არ მეუთითებს თუნდაც ის, რომ ყველა ამჟამინდელმა საშუალო თაობის წარმომადგენელმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და ცნობილმა პრაქტიკოსმა მუშაკებმა სწორედ აქ, ამ ფაკულტეტზე მიიღეს თავიანთი იურიდიული განათლება, სამეცნიერო ხარისხიც და სამეცნიერო წოდებაც.

განა, დასამალი და სამარცხვინოა ის, რომ ყველა ქართველი თვალსაჩინო მეცნიერი იურისტი და პრაქტიკოსი მუშაკი — საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს გენერალური პროკურორი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი და სხვ., ქართული საზოგადოებრიობის განვითარების ყველა ეტაპზე იყო და არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული. განა ამჟამინდელმა, ეგრეთ წოდებულმა სამართლის დოქტორებმა და ასოცირებულმა პროფესორებმა ამ ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებებითა და ხელდასმით არ მიიღეს მათთვის სანუკვარი საძიებო სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება; ცხადია, კი. და, თუ ეს ასეა, მაშინ ბუნებრივად იბადება კითხვა: რამ გამოიწვია თავიანთივე ლექტორების მიმართ ზოგიერთი მათგანის ესოდენ ანტიპათიური განწყობა, ნუთუ იმან, რომ ისინი მოითხოვდნენ კეთილსინდისიერ მომზადებასა და იურისტის კვალიფიკაციის ობიექტურად მინიჭებას?

არ შეიძლება უარყო ის, რომ თვით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ყოფილი იუსტიციის მინისტრი და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯონი ხეცურიანი**, ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულია და, რომ ყოფილი იუსტიციის მინისტრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, უხიფათერესი მეცნიერი და მკვლევარი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ლადო ჭანტურია**

ამავე ფაკულტეტის კურსდამთავრებულია და საძიებო სამეცნიერო ხარისხი და წოდებაც ამავე ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ მიანიჭა; ყოფილი იუსტიციის მინისტრი და საქართველოს გენერალური პროკურორი, იუსტიციის საბჭოს წევრი **თედო ნინიძე** და თვით ამჟამინდელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **ნ. კუბლაშვილი,** საქართველოს გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი **გია ქავთარაძე**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, პროფესორი **ნინო ბურჯანაძე**, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან ბეჟაშვილი,** საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი და ამჟამად საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ოქრუაშვილი,** საქართველოს პარლამენტის წევრი **კობა დავითაშვილი,** საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი და ამჟამინდელი პარლამენტის წევრი **გია მეფარიშვილი** და მრავალი სხვა პარტიული და საზოგადო მოღვაწე იურისტი ამ სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი არიან და მეამაყება კიდეც, რომ ყველა მათგანს ჩემი ლექციების კურსი მოუსმენია.

ბევრმა ქართველმა მეცნიერმა იურისტმაც სწორედ აქ, ამ უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებულ სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოზე მიიღო საძიებო-სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება. ზოგიერთი მათგანი ევროპისა და საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფოს ძოწინავე მეცნიერთა რიგებშია. ასევე ბევრი ჩემი კოლეგა – საქართველოსა და საზღვარგარეთის საზოგადოებრივი მეცნიერების აკადემიის წევრი და მსოფლიო იურისტთა ასოციაციის წევრია და სხვ.

უკანასკნელ დროს, გავრცელდა აზრი, რომ ბევრმა ჩვენმა უმაღლესდამთავრებულმა დამატებით კიდევ საზღვარგარეთ დაამთავრა შესაბამისი ორწლიანი ან სამთვიანი კურსები, გაიღრმავეს ცოდნა და მიიღეს მაღალი იურიდიული განათლება.

ცხადია, ყოველგვარი სახის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებია გავლა საჭირო და აუცილებელია, მაგრამ, ბუნებრივია, რომ ამით ვერც ერთი პიროვნება ვერ შეძენს საერთო, საბაზო იურიდიულ განათლებას. ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა ჩვენმა კურსდამთავრებულმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა იურიდიულ ფაკულტეტზე კანონის დარღვევებით წარმოებულ ამჟამად მიმდინარე რეფორმას, ერთერთ თავის სატელევიზიო გამოსვლაში გულახდილად აღიარა და მარიებულად განაცხადა, რომ იგი ორი წელი სწავლობდა გერმანიაში, მაგრამ იურისპრუდენციაში რაც იცის და რა ცოდნაც მას აქ მიიღო, იქ სწავლების დროს, ამ ცოდნისათვის მას არაფერი არ მოუმატებია. დიახ, უმეტეს შემთხვევაში ეს ასეა. ამიტომ არ შეიძლება იგნორირება მოვახდინოთ და საერთოდ უარი ვთქვათ სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე არსებულ სწავლების სისტემაზე. ცხადია, მე წინააღმდეგი არა ვარ უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო რეფორმის გატარებისა. მისი გატარება არამცთუ სასურველია, არამედ აუცილებელიცაა, მაგრამ იგი უნდა გატარდეს არა კანონის გვერდის ავლით, არამედ კანონის შესაბამისად, ოთხბათა კანონზომიერი მონაცვლეობით და სხვა.

ისევე, როგორც ყველა ოჯახის, საზოგადოებისა და ადამიანის საქმიანობაც, როგორც შეფასებითი კატეგორია, ნაკლის გარეშე არ არსებობს, მაგრამ საერთო შეფასების დროს მარტოოდენ ეს ნაკლოვანი მხარე კი არ უნდა დავინახოთ და ამ საქმიანობის მხოლოდ უარყოფითი მხარეები განვაზოგადოთ და უარი ვთქვათ მისი განვითარების მიღწევებზე, მისი განვითარების დადებით მხარეებზე, არამედ კრიტიკულად მივუდგეთ თითოეული მათგანის გამოვლინებას და დავსახოთ შესაბამისი გზები მათი აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის.

ძვირფასი მომავალი კოლეგებო! მე, ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ შევძელი ჩემი ძვირფასი მასწავლებლებისგან მიმეღო სრულყოფილი იურიდიული განათლება იმ დოზითა და შესაძლებლობებით, რისი მიღებაც შეეძლო ჩემს მდგომარეობაში მყოფ დისკვალიფირებულ ქეთილსინდისიერ სტუდენტს, სამეცნიერო ხარისხის მაძიებელს, ახალგაზრდა ლექტორს, უმაღლეს სამეცნიერო ხარისხზე გატაცებით მომუშავე პიროვნებას.

მინდა აღვნიშნო, რომ ყოველთვის მახსოვდა და თან მდევდა, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში პროფესორ მ. ალექსიშვილის ერთერთ სახელმძღვანელოდან ამოკითხული შეგონება: მეცნიერების გოლგოთაზე ასასვლელი გზა უაღრესად რთული და სახიფათოა, შეიძლება ფეხი დაგიცდეს და უკან ჩამოგორდე, მაგრამ თუ იგი გიტაცებს,

კვლავ უნდა მოიკრიბო ძალა და უფრო გაბედულად განაგრძო გზა ამ გოლგოთაზე ასასვლელადო. მეც ამ შეგონებით გავაგრძელე, შურითა და მტრობით ჩატეხილ, ჩემი მეცნიერების გოლგოლითისაკენ მიმავალ გზაზე სიარული და, ნაწილობრივ, ვგონებ, დავძლიე კიდეც მეცნიერების ამ გოლგოთაზე მისასვლელი რთული გზა. ჩვენ შევინარჩუნეთ უნივერსიტეტის ღირსება მაშინაც, როცა იგი პროფესორს თორმეტ ლარიან ხელფასსაც ვერ გვიხდიდა, ახლა გვეუბნებიან: არ გვჭირდება არც თქვენი ცოდნა და არც თქვენი კეთილსინდისიერი პრაქტიკული გამოცდილება, წადით და როგორც გენებოთ ისე იცხოვრეთო.

აქვე მინდა შეგახსენოთ, ძვირფასო კოლეგებო, ისიც, რომ **მეცნიერებას, მეცნიერების მწვერვალებს მოკლევადიანი გასართობი გასეირნებით, უშრომელად და უდრტვინველად სამეცნიერო ხარისხების ძიღებით ვერ დაეუფლებით. მეცნიერების გატაცებამ და ამ მიმართებით მეცნიერების პროფესიონალურმა საქმიანობამ არც დრო იცის, არც ასაკი და არც საზღვარი.**

§2. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწე მეცნიერ-იურისტების საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

ზემოაღნიშნული დროის მონაკვეთში საქართველოში იურიდიული კადრების მომზადების საქმიანობაში ჩაბმული პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა შეიძლება პირობითად დავყოთ სამ ეტაპად. აქედან პირველს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, და მასთან ერთად იურიდიული ფაკულტეტის დაარსებიდან 50-იან წლებამდე; მეორე — 50-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე და მესამეს — 80-იანი წლებიდან დღემდე.

პირველ ეტაპს მიეკუთვნებიან ის მეცნიერ-პედაგოგები, რომლებმაც თავიანთი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყეს უნივერსიტეტის დაარსებისა და იქ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის ჩამოყალიბებისთანავე, რადგან ამ ეტაპზე იურიდიული სწავლება და იურიდიული კადრების მომზადება ამ ფაკულტეტთან ერთად დაიწყო. ცოტა მოგვიანებით კი იურიდიული ფაკულტეტი ცალკე დამოუკიდებელ

ფაკულტეტად ჩამოყალიბდა და მის პირველ ლექტორთა შორის იყო ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიცაა **ივანე ჯავახიშვილი.** იგი იურისტებთან კითხულობდა ლექციების კურსს ქართული სამართლის ისტორიაში და შექმნა ისეთი მრავალი ფუნდამენტალური ნაშრომი, რომლებსაც სამართლის ამ დარგში მომუშავე ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. ამიტომ მომდევნო თაობის წარმომადგენლებიც თავიანთ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებს სწორედ ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებებზე აგებდნენ და ანვითარებდნენ.

ამავე პერიოდში იურიდიულ ფაკულტეტზე ლექციების წასაკითხად მოსკოვიდან მოწვეულ იქნა იმ დროისათვის ფრიად განსწავლული ცნობილი პრაქტიკოსი იურისტი **ლუარსაბ ანდრონიკაშვილი,** რომელიც ძირითადად კითხულობდა ლექციების კურსს სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალში. საკმაოა, რომ მისი ლექციების კურსი დასტამბული არ არის და მომავალ თაობას მისი წაკითხვის საშუალება არ მოეცა. გადმოცემით კი ვიცით, რომ იგი იმდენად ღრმამეცნიერულად კითხულობდა ლექციებს, რომ მისი მომდევნო თაობის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს, შემდგომში დიდ მეცნიერსა და უბადლო პედაგოგს — **თინათინ წერეთელს,** საშუალება მიეცა თავისი მეცნიერული მოღვაწეობა დაეწყო სისხლის სამართლის თეორიის ისეთ ურთულესი და პრობლემატური საკითხის დამუშავებით, როგორიცაა მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში და სხვ.

იურიდიული ფაკულტეტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ამავე ეტაპზე თავიანთი ხანმოკლე სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით ასევე თბილი მოგონებები და წარუშლელი კვალი დატოვეს დიდმა იურისტმა **პროფესორმა ზოზო ნანეიშვილმა და პროფესორმა ირინდიონ სურგულაძემ,** რომელთა სახელების უახლოესი მომდევნო თაობის პროფესორ-მასწავლებლები პროფესორი თინათინ წერეთელი და პროფესორი ალექსანდრე ვაჩეიშვილი თავიანთ ლექციებში თბილად იგონებდნენ და მათი მოძღვრების ზოგიერთ ძირითად დებულებას გვაცნობდნენ კიდეც.

ამავე პერიოდში, როცა უკვე ნაწილობრივ ჩაიარა რეპრესიების მძიმე ტალღამ, მაგრამ დაიწყო დიდი და მძიმე მეორე მსოფლიო ომი, იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწეობდა უდაოდ ნიჭიერი, მაგრამ ტრაგიკული პიროვნება, **დ. მირიანაშვილი,** რომელმაც საქართველოში

პირველმა მიაქცია ყურადღება დაქტილოსკოპიური მეცნიერების გამოკვლევის არსსა და მნიშვნელობას და 1941 წელს ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დანაშაულთა გამოკვლევის დეკადაქტილოსკოპიური და მონოდაქტილოსკოპიური მეთოდები". მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც გადმოცემით ვიცი, შემდგომში მისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა თავისსავე სამუშაო ოთახში ტრაგიკულად დასრულდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული კადრების მომზადება-ჩამოყალიბებაში, ამ ურთულეს პირველსავე ეტაპიდან თავიანთი წარუშლელი კვალი დატოვეს იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწე მომიჯნავე დარგის ისეთმა დიდმა ღვაწლმოსილმა პედაგოგებმა, როგორებიც იყვნენ: ფილოსოფიის ისტორიის კურსის წამკითხველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **პროფესორი შალვა ნუცუბიძე**; სასამართლო მედიცინის საგანში ლექციების კურსის წამკითხველი ლექტორი **ვლადიმერ ჟღენტი**; ლოგიკის საგანში ლექციების კურსის წამყვანი, მეცნიერების ამ დარგის დიდი წარმომადგენელი, პროფესორი **კოტე ბაქრაძე**; ეკონომიკური თეორიის თვალსაჩინო მკვლევარი და იმავე საგნის ლექციების კურსის წამყვანი ლექტორი **ფილიპე გოგიჩაიშვილი** და ფსიქოლოგიური მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენელი და იმავე საგნის ლექციების კურსის წარმმართველი ბატონი **ალექსანდრე ფრანგიშვილი** და სხვ.

იურისტების სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობა გართულებული იყო არა მარტოოდენ იმით, რომ მათ მოუხდათ იურიდიული კადრების მომზადებისათვის შესაბამისი ფონის შექმნა და ამისათვის საათობრივი ნორმების შემუშავება ლექციე-სემინარებისა და მათი ჩანაწერების სახით, რადგან იმ დროისათვის მხოლოდ რამდენიმე საგანში არსებობდა სპეციალური ლიტერატურა და ისიც მხოლოდ რუსულ ენაზე. ურთულეს პერიოდს ვამბობ იმიტომ, რომ დროის ამ მცირე ისტორიულ მონაკვეთში შექმნილი იყო უაღრესად მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ეწყობოდა უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ პირთა გაკულაკება და მათი ციმბირში გადასახლება. ამასთან, „ხალხის მტრების წინააღმდეგ" ბრძოლის მოტივაციით მიმდინარეობდა მასობრივი რეპრესიები, „სამეულთა" ამოქმედება, უდანაშაულო პირთა მსჯავრდება და მათი შორეულ ციმბირში გადასახლება და, ყოველივე ამას ხელისუფლების წარმომადგენლები აღწერდნენ ადამიანების მიერ ურთიერთდაბეზღებითა და ურთიერთშანტაჟის მოწყობით. ამას დაერთო ისიც, რომ ამ პერიოდში წამოყენებულ იქნა ეიშინსკის თეორია მტკიცებულებათა შორის აღიარებითი ჩვენების „მტკიცებულებათა დედოფლად" გამოცხადება. აღიარებითი ჩვენების მისაღებად კი, იმ პერიოდის უშიშროების ორგანოები, იყენებდნენ დასაკითხ პირებზე სხვადასხვა სახის ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების ხერხებს.

საზოგადოებრივი განვითარების ამ ეტაპზე შეიქმნა ისეთი მძიმე მდგომარეობა, რომ ჩემი ძეირფასი მასწავლებლების სიტყვებით თუ ვიტყვი, „ურთიერთმისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ურთიერთდაცალებისას სიტყვა „ნახვამდის" მაგიერ ხმარობდნენ და ერთიმეორეს ემშვიდობებოდნენ სიტყვით „მშვიდობით", რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მეორე დღეს შეიძლება ისინი საერთოდ ვეღარ შეხვედროდნენ ცრუმანუთს და უშიშროების ორგანოს მუშაკებს „ხალხის მტრის" სახელით აეყვანათ.

ასეთმა მძიმე გარემოებამ თავისი გარკვეული დაღი დაასვა არა მარტო იმათ, ვინც უშუალოდ მსხვერპლი გახდა ამ მძიმე რეპრესიებისა, არამედ იმ პირთა შემოქმედებაზეც, ვინც გადაურჩა და ვინც განვლო ეს ეტაპი. ასეთ მეცნიერ-იურისტებს თავიანთი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელება მოუწიათ მეორე, 50-იმანი წლების ეტაპზეც და, ვინაიდან მათ ლექციებს პირადადაც მოვესწარი, ამ უფროსი თაობის წარმომადგენლებით დავიწყებ მეორე ეტაპში მოღვაწე მეცნიერ-იურისტების საქმიანობის განხილვა-გადმოცემას.

აქვე ცალკე რამდენიმე სიტყვით უნდა აღვნიშნოთ იმ პირველი თაობის წარმომადგენელ მეცნიერ-იურისტების სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის შესახებ, რომლებმაც თავიანთი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ორმოცდაათიანი წლების შემდგომ პერიოდშიც გააგრძელეს და მქონდა ბედნიერება პირადად მომესმინა მათი ლექციები და შემდეგ მათთან მეთანამშრომლა კიდეც. ამათგან მინდა შეჩერდე და, პირველ რიგში, მოვიხსენიო პოზიტიური სამართლის ისეთი რთული დარგის, როგორიცაა სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის

პროცესი, ბრწყინვალე წარმომადგენლების **პროფესორ ალექსანდრე ვაჩეიშვილის, პროფესორ თინათინ წერეთლისა** და **პროფესორ ბორის ფურცხვანიძის** სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის შესახებ.

ქართველმა ოვადიშვილმა **პროფესორმა ალექსანდრე ვაჩეიშვილმა** იურიდიული განათლება მიიღო საზღვარგარეთ და თავისუფლად ფლობდა ფრანგულს, რუსულს, გერმანულსა და ინგლისურ ენებს. იგი იყო ფრიად განათლებული და დახვეწილი ინტელიგენტი. ერთი შეხედვით, ალ. ვაჩეიშვილი მშვიდი, დარბაისელი, ამაყი და მედიდური კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ლექციის კითხვის დროს, საუბარში და კათედრის სხდომაზეც ყოველმხრივ ცდილობდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა, მაგრამ მცირეოდენი რამეც სასტიკად აღიზიანებდა. მიუხედავად ამისა, მისი სიმშვიდის დამრღვევი და უმართებულო გამაღიზიანებელი პირის მიმართ სიტყვა „ტუტუცის“ მეტს გერაფერს ვერ იმეტებდა. მისი ასეთი ქმედება გასაკვირიც არ იყო, რადგან მან, როგორც წარმოშობით თავადმა, მთელი რეპრესიების პერიოდი დაძაბულ ცხოვრებაში გაატარა. იგი ლექციას კითხულობდა დინჯად, დაბვეწილი ქართულით და ყოველმხრივ ერიდებოდა უცხო სიტყვების გამოყენებას.

ერთხელ კათედრის სხდომის დამთავრების შემდეგ, ოთახში შემოვიდა მისი ახლო ნაცნობი, ახოვანი მანდილოსანი და ბატონ ალექსანდრე ვაჩეიშვილის საწერ მაგიდას მიუახლოვდა, მაგიდაზე იდო გამჭვირვალე მინა, რომლის ქვეშაც მოთავსებული იყო სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო შრომების თემატიკა და, როცა მან ამ თემების დასახელებაში ამოიკითხა: მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება, ძარცვა, ყაჩაღობა, ქურდობა, გაუპატიურება, ბანდიტიზმი, თაღლითობა და სხვ. მან გაფართოებული თვალებით შეხედა ბატონ ალექსანდრეს და გაკვირვებულმა ჰკითხა: რა არის ეს, ბატონო ალექსანდრე? და, როცა შეკითხვაზე პასუხი მოისმინა, რომ ეს იყო სტუდენტთა სადიპლომო და საკურსო ნაშრომების თემატიკა, მან კიდევ უფრო განცვიფრებულმა და შეშფოთებულმა იკითხა: ბატონო ალექსანდრე, თქვენ რა სტუდენტებს მკვლელობას, ძარცვას, ყაჩაღობასა და გაუპატიურებას ასწავლით? და, როცა შეკითხვაზე პროფესორისაგან დამშვიდებული პასუხი მიიღო, რომ დიახ, ვასწავლით, და, რომ ეს არის

ყველაზე ზუსტი მეცნიერებაო, ამაზე გაოგნებულმა მანდილოსანმა, რომ იტყვიან: არც აცია და არც აცხელა, სკამიდან წამოხტა და აღელვებულმა თითქმის ყვირილით შესძახა: „შენ თუ სტუდენტებს ამას ასწავლი, შენც შემირცხვენიხარ და შენი მეცნიერებაც“, და ოთახიდან სწრაფი ნაბიჯით გავიდა.

მანდილოსნის ასეთი მოქმედების გამო ბატონი ალექსანდრე გაწითლდა, აღელდა, მაგრამ არ შეიმჩნია, თავის პორთფელსა და შლაპას ხელი მოჰკიდა, შლაპა დაიხურა და დინჯი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა. მე ტრადიციულად ვესტიბიულში გავაცილე. იმ დროს იგი 75 წლის იყო. ვესტიბიულში მცირედ შეყოვნდა, ციყვიჭრე, ალბათ, შეკვდება ახსნას და დაასაბუთოს თუ რატომაა იურიდიული მეცნიერება ზუსტი მეცნიერება და მეც ინტერესით ველოდი ამას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი იმედი არ გამართლდა, საუბრის თემა შეცვალა და მითხრა: ბოლო დროს ძალიან გამიტაცა ესპანურმა ენამ. ამ ენაზე ბევრ საინტერესო დოკუმენტებს წავაწყდი და მისი შესწავლა უნდა დავიწყო... მაგრამ ბუნებამ არ დააცალა და ჭირურგიული ოპერაციის დროს გარდაიცვალა.

პროფესორ ალექსანდრე ვაჩეიშვილს ცოლად ჰყავდა ოყაღ ამილახვრის შვილი და მასთან ჰყავდა ორი ვაჟიშვილი — გივი და კოტე. მისი გარდაცვალების შემდეგ კათედრის გამგედ არჩეულ იქნა **პროფესორი ბორის ფურცხვანიძე** და მან კათედრაზე ლაბორანტად მიიღო ბატონი ალექსანდრე ვაჩეიშვილის უმცროსი ვაჟი კოტე, რომელიც მოწაფის ფსიქოლოგიის პრობლემებზე მუშაობდა, მაგრამ ბატონ ალექსანდრეს გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მათ ოჯახს თავზე ახალი უბედურება დაატყდა.

გივი და კოტე მოსკოვში აპირებდნენ წასვლას. გივის, რომელიც იმ დროს ექსპერტად მუშაობდა, განზრახული ჰქონდა გამოყენებული ავტომანქანა „მოსკვიჩი“. თვითმფრინავზე აგვიანდებოდათ, და ამიტომ გივემ მანქანის სიჩქარის მოუმატა, ნაწვიმარზე მანქანა მოცურდა, გადაბრუნდა და ორივე ძმა დაიღუპა. ასე ტრაგიკულად დამთავრდა გასული საუკუნის ავადსახსენებელ 30-37 წლების რეპრესიებს გადარჩენილი, ქართველ ოვადთა ბრწყინვალე შთამომავალი, პროფესორ ალექსანდრე ვაჩეიშვილის ცხოვრება, მოღვაწეობა და მისი ოჯახი.

დაგვრჩა მხოლოდ სისხლის სამართლის სასჯელებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე დაწერილი მისი ღრმამეცნიერული მონოგრაფიები.

პროფესორი თინა წერეთელი პროფესორ ალექსანდრე ვაჩეიშვილთან შედარებით ახალგაზრდა იყო. იგი პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფე იყო. ყველას მოგვწონდა და გვიჭაცებდა მისი ლექციები, სწორედ ამიტომაც მე და ჩემმა მეგობრებმა სადიპლომო ნაშრომები სისხლის სამართალში ავირჩიეთ. მე დღესაც სათუთად ვინახავ ჩემს სადიპლომო ნაშრომზე მის მიერ დაწერილ რეცენზიას, რომელმაც ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა. ის იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ დიდი გულისხმიერი აღმზრდელი პედაგოგიც. მან საქართველოში, შეიძლება ითქვას, ძლიერი სისხლის სამართლის სკოლა შექმნა. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გარდაცვალების შემდეგ ეს სკოლა დაიშალა, მისი სათაყვანებელი მოსწავლეები გაფანტნენ და ერთი, რაც მოახერხეს, სამართლის ინსტიტუტს, რომელიც მან ეკონომიკის ინსტიტუტთან დააარსა, მისი სახელი უწოდეს.

თინათინ წერეთელი იყო ჭიფილ საბჭოთა კავშირში პირველი ქალი, რომელმაც სისხლის სამართლის ზაზით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. იგი იყო უაღრესად ობიექტური და ძნელად თუ მოექცეოდა სხვისი ზეგავლენის ქვეშ და მისი ეს ობიექტურობა ჩემს თავზეც გამოუცადე.

1966 წელს მე სჩვა ასპირანტებზე ადრე წარვადგინე საკანდიდატო დისერტაცია და ზოგიერთი შეეცადა იგი ჩემს წინააღმდეგ გაენეწყოთ. დაცვა საკმაოდ დაძაბულად წარიმართა და არც ოპონენტათვის და არც გარეშეთ დასკვნის გამომტანთ თანამდებობის პირს არ მოეერიდე, არავითარ დათმობაზე არ წავედი და ძლიერი მეცნიერული პაექრობა გავმართე. იმ დროს დისერტაციის თემა და დაცვის ღირებულება გაზეთში ქვეყნდებოდა და ჩემმა სადისერტაციო თემამ, „მექრთამეობის გახსნისა და თავიდან აცილების საკითხები საბჭოთა კრიმინალისტიკის მიხედვით“, ბევრი დააინტერესა და სადისერტაციო სხდომათა დარბაზი საკმე იყო სრულიად უცნობი პირებით.

ჩემი შესავალი სიტყვისა და ზოგიერთი ოპონენტებისათვის საკადრისი პასუხების გაცემის შემდეგ, ვამხილე რა არასწორი შენიშვნებში, რამაც დარბაზში და საბჭოს წევრთა შორისაც მხიარული, კეთილი განწყობა გამოიწვია, პირველმა ითხოვა სიტყვა, პროფესორმა თინათინ წერეთელმა. მან გარკვევით ჩამოაყალიბა სადისერტაციო ნაშრომისადმი თავისი დადებითი დამოკიდებულება და აღნიშნა, რომ ზოგიერთი მეცნიერი იურისტი მას შთააგონებდა დისერტანტისა და მისი სადისერტაციო ნაშრომისადმი უარყოფით განწყობას, მაგრამ იგი უაღრესად კმაყოფილია დისერტაციის დაცვით, რომ 20 წლის მანძილზე მან პირველად ნახა ამ სამეცნიერო საბჭოზე დისერტაციის ნამდვილი დაცვა და, რომ იგი ხმას აძლევს დისერტანტისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას. მე ძაშინ ერთხმად მომანიჭეს საძიებო ხარისხი. მაგრამ აქ მთავარი ის იყო და იმას გაგუსვი ხაზი, რომ პროფესორი თინათინ წერეთელი იყო არა მარტო მეცნიერი, არამედ დიდი ობიექტური პიროვნება და ნიჭიერი, შრომისმოყვარე, წესიერი ახალგაზრდების მხარდამჭერი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე 50-იან წლებში ლექციებს კითხულობდა აგრეთვე **წითელი პროფესორი ი. ტალახაძე**.

ზემოაღნიშნული უცვლისი თაობის წარმომადგენლებიდან თითქმის სამივე ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანი იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის **პროფესორ ბორის ფურცხვანიძის** სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე იგი გამოირჩეოდა თავისი ობიექტურობითა და პატიოსნებით სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების გარდა, მას ჰქონდა დიდი პრაქტიკული გამოცდილებაც, რაც უდავოდ ეხმარებოდა მას სტუდენტებთან ცალკეული სახის კაზუსების სწორად და დროულად განხილვა-გადაწყვეტაში. იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, პროფესორ ალექსანდრე ვაჩეიშვილის გარდაცვალების შემდეგ, იყო ჯერ სისხლის სამართლის კათედრის გამგე; ამ კათედრის გაყოფიდან კი იგი დარჩა სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის გამგედ გარდაცვალებამდე — 1984 წლამდე.

პირველ პერიოდში მოღვაწე უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან ჩემი სტუდენტობისა და უნივერსიტეტში თანამშრომლობის პერიოდიდან ჩემს მეხსიერებაში თავისი წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც დიდმა მეცნიერმა და პედაგოგმა, უაღრესად კეთილსინდისიერმა მკვლ-

ცვარმა და ქართული სამართლის ისტორიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა **პროფესორმა ივანე სურგულაძემ**.

ასევე უნდა ითქვას უფროსი თაობიდან გადმოსული და დიდ რეპრესიებს გადარჩენილი, ფრიად განათლებული და თავისი ლექციების ორიგინალურად წარმმართველი **დოცენტი სოსო (იოსებ) მრევლიშვილის** შესახებ, რომელიც ლექციების კურსს კითხულობდა სამოქალაქო სამართალში და ლექციების დროს სტუდენტების ყურადღებისა და აუდიტორიის დაუფლების მიზნით, სრულიად მოულოდნელად ლექციაში ჩართავდა ქვეწარმავლებისა და მტაცებელი ცხოველების ფიდვა-გაყიდვის ან მათი ურთიერთგაცვლის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების ოვისებურებას, რაც თავისთავად იწვევდა აუდიტორიის გამოცოცხლებასა და სტუდენტთა მხიარულ განწყობას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი **სოსო მრევლიშვილი** თავისი ბუნებით იყო უალრესად პატიოსანი და კეთილსინდისიერი ლექტორი, იგი მზად იყო ნებისმიერი სტუდენტისათვის თავისი სახლიდან მოეტანა და ეთხოვებინა მისთვის საჭირო ლიტერატურა. ბედნიერება მქონდა მე, როგორც ახალგაზრდა ლექტორს, მონაწილეობა მიმეღო ქ. მოსკოვში გამართულ საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაში და მომესმინა, როგორ უხარიდა მას თავისი სადავო დებულებების საჯაროდ გამოტანა.

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ პირველი თაობის წარმომადგენლები, ანუ იურიდიული ფაკულტეტის განვითარების პირველ ეტაპზე მომუშავე ზემოაღნიშნული ხანდაზმული პროფესორ-მასწავლებლები მეგობრულად აგრძელებდნენ თავიანთ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას მომდევნო ეტაპებზე წარმოჩენილ მათივე ალზრდილ ახალგაზრდა მეცნიერ-იურისტებთან და კეთილშობილურად უზიარებდნენ ისინი თავიანთი მდიდარი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პრაქტიკულ გამოცდილებას ფაკულტეტის საერთო კრებებზე, სამეცნიერო საბჭოს სხდომებსა და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) იურიდიულ ფაკულტეტზე მომუშავე მეცნიერ-იურისტების სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში ზემოთ დასახელებული უფროსი თაობის პროფესორ-მასწავლებლებას ერთად, განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს 50-80-იან

წლებში მომუშავე მომდევნო თაობის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორებიც იყვნენ ამ პერიოდში, დროის სხვადასხვა მონაკვეთებში, ფაკულტეტზე მომუშავე პროფესორ-მასწავლებლები:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პირველი იურისტი აკადემიკოსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ისიდორე დოლიძე**;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი თინათინ წერეთელი**;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი სერგო ჯორბენაძე**;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი გივი ონწკარველი**;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი — აკადემიკოსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ლევან ალექსიძე**;

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ბეჟან ხარაზიშვილი**;

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ბორის ფურცხვანიძე**;

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ნიკო წერეთელი**;

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ლევან ჯომარჯიძე**;

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ვახტანგ ბაბუმაძე**;

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი გრიგოლ ერემოვი**;

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი ევგენი ნეიძე**;

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი გიორგი ნადარეიშვილი**;

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი გივი ფვანია**;

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი რეზო ჭოლოშვილი**;

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი აპოლონ ფალიაშვილი**;

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი გიორგი ტყეშელიაძე;**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, **პროფესორი ნიკო ლომსაძე;**

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი შალვა ჩიკვაშვილი;**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, **პროფესორი დავით ცინცაძე;**

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი;**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე **აკაკი კარანაძე;**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი **ვლადიმერ მაისურაძე;**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **სიმონ ჯაფარიძე;**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე **მიხეილ ვეფხვაძე;**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **უშანგი ბახტაძე;**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე **გუგული დევდარიანი;**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, **პროფესორი მზია ლეკვეიშვილი;**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, **დოცენტი ვარლენ სიმონიშვილი;**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **დოცენტი ნანული კორძაია-სამადაშვილი;**

უფროსი მასწავლებელი **ვალერიან ედიშერაშვილი** და სხვები.

ამ ეტაპზე მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლებმა თავიანთი აქტიური მოქმედებით შექმნეს ძლიერი მატერიალური ბაზა არა მარტო კვალიფიციური იურისტების მოსამზადებლად, არამედ ახალგაზრდა ნიჭიერი იურისტების მოსამზადებლად კათედრებზე ასპირანტურისა და სადოქტორო ჩარიცხვის მაძიებლების სახით. ამასთან, ისინი თავიანთი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გარდა პარალელურად მუშაობდნენ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ შესაბამისი დარგის საგ-

ნებში — სახელმძღვანელოების შექმნაზე და, უნდა ითქვას, რომ შექმნეს მრავალი უნიკალური სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო, სამუშაო პროგრამები, მეთოდური მითითებები და სხვა საინტერესო მონოგრაფიები და ნაშრომები.

წარმატებული მუშაობა მიმდინარეობდა აგრეთვე სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოში, მათ მიერ მომზადებული დისერტაციების დაცვასთან მიმართებაში და თანდათანობით იზრდებოდა, იცვლებოდა და ივსებოდა მათი კადრები მზარდი ახალგაზრდა მეცნიერ-იურისტებით და უკვე განვითარების მეორე ეტაპზე, იურიდიული კადრების აღზრდასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ მომდევნო თაობის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ და არიან: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **ვალერი ლორია, მიხეილ კეკელია, ვალერიან (ვალიკო) მეტრეველი. რომან შენგელაია, შოთა ფაფიაშვილი, მიხეილ ქურდაძე. ზაურ ჯინჯოლავა, ზაურ წულაია,** ოთარ შელქაძე, **ალბერტ აბესაძე, გურამ ნაჭყებია,** ოთარ **გამყრელიძე, გახტანგ ქარუმიძე, მარიამ ცაცანაშვილი, ალექსანდრე შუშანაშვილი, პაატა ცნობილაძე, ანზორ გაბიანი, აკაკი ლაპარტყავა, ბესარიონ ზოიძე, ლადო ჭანტურია, ჯონი ხეცურიანი, გია ხუბუა, შოთა კოზმანაშვილი, ზურაბ ახვლედიანი, გიორგი დავითაშვილი** და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები და ამჟამად მოქმედი კანონით პროფესორთან გათანაბრებულნი, პროფესორებად ას ასოცირებულ პროფესორებად წარმოჩენილნი: **ლილი გელუკაშვილი, არჩილ ლორია, ლალი ფაფიაშვილი, თედო ნინიძე, მაყვალა კახაძე, გია მეფარიშვილი, ელდარ ახვლედიანი, რეზო გოგშელიძე, გოჩა მამულაშვილი, ზურაბ ძლიერიშვილი, დავით ბოსტოღანაშვილი, გურამ ქარქაშაძე, გივი ყვარელაშვილი, პაატა კობალაძე, შენგელი ფიცხელაური, გია ხუროშვილი, დავით მუმლაძე, ვენედი ბენიძე, სერგო ჭელიძე, ბადრი ბიწაძე, მაია ივანიძე, ირინა ბოხაშვილი, ირმა ხარჩილაძე, ნანა ჭიღლაძე, ზურაბ ბუჭაშვილი, ანზორ კალმახელიძე, ნიკა წერეთელი, ავთანდილ კახნიაშვილი, მარგალიტა კობახიძე, ეკა შენგელია, იური გაბისონია, ბესო სესხნიაძე, ნონა თოდუა, ლეონიდე ადეიშვილი, რეზო ცინცაძე, მარიკა ცისკაძე, ციალა ჩქარეული, დავით კარიაული, ნინო გოგნიაშვილი,**

ტარიელ ზამბახიძე, თამაზ დონჯაშვილი, ჯაბა კერესელიძე, ზურაბ გაბუნია, ვაჟა ჯაოშვილი, ანზორ მახარაძე, ვახტანგ ხუციშვილი, ირინა არჩვაძე და სხვ., რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ძირითადი საშტატო ერთეულით ან მოწვეული იყვნენ საათობრივი ანაზღაურების წესით და მაღალი პასუხისმგებლობით ემსახურებოდნენ იურიდიული ფაკულტეტის დღის, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მისწავლე ოთხი ათასამდე (3800) სტუდენტს და სამასზე მეტ ასპირანტსა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელ დოქტორანტს.

ფაკულტეტზე მომუშავე პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტთა აღმზრდელობითი საქმიანობის გარდა, ჩაბმული იყვნენ სამართალშემოქმედებით საქმიანობაში და აგრეთვე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ახალ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების, სამუშაო პროგრამების, მეთოდური მითითებებისა და თავიანთი საკვალიფიკაციო ნაშრომების შესრულებასთან მიმართებით წარმოებულ საქმიანობაში და, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მათ მიერ გადადგმულ იქნა მტკიცე, სერიოზული ნაბიჯები. სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნენ მშობლიურ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოებით და დამხმარე სახელმძღვანელოებით. მომზადებულ იქნა მრავალი ასპირანტი და მაძიებელი, რომლებმაც წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და პოზიტიური სამართლის კათედრები აქტიურად ჩაებნენ აგრეთვე კანონშემოქმედებით საქმიანობაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ მიმართებით გამართულ რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში.

ფაკულტეტზე მომუშავე სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში გამოცდილი მაღალკვალიფიციური იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორები და პროფესორები აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე იურიდიული პროფილით სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ საქართველოში ერთადერთ სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში, როგორც საბჭოს წევრები და როგორც სადისერტაციო ნაშრომზე ოფიციალური ოპონენტები. საბჭოს შემადგენლობას ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ამტკიცებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საექსპორტო საბჭო.

სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა 18 მაღალკვალიფიციური იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორი. მაღალკვალიფიციურს ვამბობ იმიტომ, რომ საბჭოს წევრი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი და მისი წევრად გახლომისათვის საკმარისი არ იყო მარტოოდენ პროფესორობა, მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა აგრეთვე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ეს სამეცნიერო საბჭო თავისი არსებობით, ხელს უწყობდა როგორც ჩვენი ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ მომზადებას შესაბამისი დარგის სპეციალობით, ისე უცხოეთიდან მოწვეული პირების სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებას. საბჭოზე ხდებოდა როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციების დაცვა.

სამეცნიერო საბჭოზე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს იცავდნენ არა მარტო ჩვენი საქართველოს მოქალაქეები, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლებიც. პირადად მე, ჩემს კოლეგებთან ერთად, ქართული სადისერტაციო ნაშრომების გარდა, არაერთხელ ვიცავი ოფიციალური ოპონენტი ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან წარმოდგენილ საკანდიდატო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომებზე. ჩვენს პროფესორებსაც ხშირად იწვევდნენ საზღვარგარეთ სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოში მონაწილეობის მისაღებად, სადისერტაციო ნაშრომზე ოფიციალური ოპონენტების სახით ან საბჭოს წევრად, აგრეთვე იურიდიული კადრების გამოსაშვებ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეებად.

ზემოთ ჩამოთვლილ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორებიდან და პროფესორებიდან, სამწუხაროდ, ფაკულტეტზე გატარებული რეფორმის შედეგად, სამუშაოდ სამეცნიერო-პედაგოგიური საშტატო ერთეულით დატოვებულ იქნა მხოლოდ ორი, შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი. დანარჩენები კი არიან ახალი მოქმედი კანონით პროფესორის სამეცნიერო წოდებასთან გათანაბრებული იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები, რომელთაგან გარკვეულ ნაწილს აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის სტაჟი, ვფიქრობ, დანარჩენებიც შეიძენენ ამ გამოცდილებას

და, ვიმედოვნებ, აღვილად დაძლევენ უმაღლესი სასწავლებლის წინაშე მდგარი რთული ამოცანების გადაწყვეტას.

საკონტროლო კითხვები

1. რა ნიშნებით ხასიათდება გასული საუკუნის უმაღლესი იურიდიული საგანმანათლებლო დაწესებულებები?

2. როგორ წარიმართა უმაღლესი დამოუკიდებელი კომერციული სასწავლებლების ბედი?

3. სად მიიღეს იურიდიული განათლება თანამედროვე თვალსაჩინო მეცნიერებმა და დიდმა პრაქტიკოსმა მუშაკებმა?

4. რამდენ ეტაპად შეიძლება დაიყოს გასული საუკუნის მოღვაწე იურისტთა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა?

5. რა ნიშნებით ხასიათდება მეცნიერ-იურისტთა საქმიანობა გასული საუკუნის ცალკეული ეტაპების მიხედვით?

6. ვინ იყვნენ თვალსაჩინო მეცნიერ-იურისტები იურიდიული კადრების მომზადების პირველ ეტაპზე?

7. ვინ იყვნენ თვალსაჩინო მეცნიერ-იურისტები იურიდიული კადრების მომზადების მეორე და მესამე ეტაპზე?

თავი VIII

მეცნიერ-იურისტების მონაწილეობა თანამედროვე სასამართლო რეფორმის მიმდინარეობაში

§1. მეცნიერ-იურისტების მონაწილეობა სამართალშემოქმედებით საქმიანობაში

სამართლის ცნებისა და კანონმდებლობის შემდგომი განახლებისა და დახვეწა-გაუმჯობესების მიზნით ამჟამად კიდევ უფრო დიდი და რთული ამოცანები დგას ქართველი მეცნიერ-იურისტებისა და პრაქტიკოს მუშაკთა წინაშე. რთულ და პასუხსაგებ ამოცანაზე მივუთითებ იმიტომ, რომ უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ მომრავლდა კანონ-პროექტების შემმუშავებელ არაპროფესიონალ პირთა რაოდენობა და მათი დაინტერესებულობა.

ახალი თაობის მოწინავე წარმომადგენლები, მაგრამ ჯერჯერობით ნაკლები გამოცდილების მქონე პირები, სხვადასხვა გზით ცდილობენ თავს მოაკვანინონ მთელი რიგი ისეთი უკარგისი და მოძველებული კანონები, რომელთა მიღება, ჯერ ერთი, ლახავს და დაბლა სცემს ქართულ მრავალსაუკუნოვან კანონშემოქმედებით მადალ ტრადიციებ-სა და ავტორიტეტს და, მეორეც, მათი მიღება, მთელ რიგ შემთხვევებში, საფრთხის წინაშე აყენებს ასობითა და ათასობით ადამიანთა ბედს, მათთვის კონსტიტუციითა და ქართული ტრადიციებით მინიჭებულ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამ მხრივ არც ახლახან პარლამენტის მიერ მიღებული შრომის კოდექსია გამონაკლისი, რომელშიც ხალხის უდიდესი ნაწილის ინტერესები ერთ მუჭა ბიზნესმენთა ინტერესებს დაუმორჩილა, როცა 46-ე მუხლის მესამე პუნქტში მითითა, რომ „შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ. ეს შეზღუდვა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც, მაგრამ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან არა უმეტეს 3 წლის განმავლობაში“. ე.ი. წარმოება-დაწესებულებიდან ან საზოგადოებრივი ორგა-

სისტემიდან განთავისუფლებულ მუშაკს სამი წლის განმავლობაში უფლება არა აქვს იმავე პროფილითა და სპეციალობით სხვა სახის დაწესებულებაში დაიწყოს მუშაობა და სხვ.

ამგვარი სახის შეცდომები განსაკუთრებით მოჭარბებულად შეიმჩნევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან მიმართებაშიც, რომელიც, შეიძლება ითქვას, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის „მცირე კონსტიტუციაა", ამ მოთხოვნათა დაუცველობით მოპოვებულ მტკიცებულებას, **ჯერ ერთი**, არ მიეცემა მტკიცებულებითი მნიშვნელობა და, **მეორეც**, თავისი გაუმართაობით მიღებულმა უსეირო კანონმა შეიძლება ასობით და ასი ათასობით ადამიანის ცხოვრება და მათი მორალური სახე გამოუსწორებლად დაამახინჯოს. ამიტომ, აუცილებლად მიმაჩნია, რომ ყველა მნიშვნელოვანი კანონი, პარლამენტში შეტანამდე, პროფესიული იურისტების მიერ საგანგებოდ დაიხვეწოს და მოეწყოს მათი საყვარო განხილვები.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დღეს დღის წესრიგში დგას სრულიად ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის შეტანა პარლამენტში, პროექტისა, რომელიც ცდილობს ჩვენს ქვეყანაშიც დაამკვიდროს პრეცედენტული, ანუ „სამოსამართლო სამართლის პრაქტიკა, წინასწარი გამოძიების უკუგდება და მისი გადატანა სასამართლო გამოძიებაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება და სხვ., რომელიც, ჩემი აზრით, მეცნიერ-იურისტთა და პრაქტიკოს მუშაკთა ფართო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. ამასთან, საჭიროა ამ კოდექსის პროექტის გამოქვეყნება მოხდეს ცენტრალური პრესის მეშვეობით, რათა იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს და ყველას შეეძლოს მასზე საკუთარი აზრის გამოთქმა. დღის წესრიგში დგას ავრეთვე საკანონმდებლო სასაათის ცვლილებების შეტანა სხვა ძირითადი სახის კანონმდებლობაში და სხვა მრავალი პრობლემა, რომელთა სწორ, ობიექტურ გადაწყვეტას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ, სიამოვნებით დავუჭერთ მხარს იმის მიღებას, რაც კარგია და რაც შეესაბამება ქართული საზოგადოებრიობის ღრეჯანდელ განვითარებას. მაგრამ ის, რაც ჩვენი კანონმდებლობის განვითარებისათვის უკვე განვლილი ეტაპია, ან ის, რაც უცხოა ან გარკვეულ წინააღმდეგობაშია ქართველი ადამიანის ბუნებასთან, ჩვენს ტრადიციებთან და ამ კანონს შეუძლია დაამახინჯოს მემკვიდრეობით მიღებული კულტურული ტრადიციები და გააუარესოს ადამიანის უფლებების დაცვა, ჩვენ, ცხადია, ასეთი კანონების მიღებას მხარს არ დავუჭერთ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა მოწინავე პრაქტიკოს მუშაკებთან ერთად, თავიანთი კრიტიკული გამოსვლებითა და შენიშვნებით დიდი წვლილი შეიტანეს სასამართლო რეფორმის სწორად წარმართვის საქმეში. ჯერ კიდევ ადრე, როცა გაცხოველებული დაყო დაიწყო სამართლებრივი სახელმწიფოს მოწყობის ფორმების შესახებ და ღლის წესრიგში დადგა სასამართლო-საგამოძიებო რეფორმის წარმოება, ჩემ მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 1995 წლის 86-ე ნომერში, გამოქვეყნდა ვრცელი წერილი სათაურით „თუ სამართლებრივი სახელმწიფო გვინდა". ხოლო როცა, პარლამენტის წინაშე წარდგენილ იქნა რუსი მეცნიერის მიერ შემუშავებული საქართველოსთვის ყოვლად მიუღებელი ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრამ უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში მოაწყო ამ ანალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საჯარო განხილვა, რომელშიც პროფესორებმა ა. ფალიაშვილმა და რ. ჭოლოშვილმა და პირადად მე და პრაქტიკოს მუშაკებთან ერთად მწვავე კრიტიკული გამოსვლებით უარყოფითად შევაფასეთ ეს პროექტი. მასზე პირადად ჩემ მიერ გამოთქმული იქნა 80-ზე მეტი შენიშვნა და ჩემი ეს გამოსვლები გამოქვეყნდა გაზეთ „დროში", 1997 წლის 6 ნოემბერს, სათაურით „ზოგიერთი შენიშვნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტზე". ანევე ჩემი შენიშვნები გამოქვეყნდა 1997 წლის 11 ნოემბრის გაზ. „რეზონანსში" სათაურით: „კანონპროექტის შემუშავებას მაღალი პროფესიონალიზმი და სერიოზული მიდგომა სჭირდება". ამასთან დაკავშირებით დაბეჭდა ავრეთვე პროფესორ ა. ფალიაშვილის, პროფესორ რეზო ჭოლოშვილისა და სხვათა კრიტიკული შენიშვნები.

ასევე, საგამოძიებო-სასამართლო რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით გაზეთ „კრიმინალურ ქრონიკაში", 1997 წლის 20 და

30 მაისის ნომრებში გამოქვეყნდა ჩემი ვრცელი კრიტიკული წერილი სათაურით „სასამართლო სავალდებულო რეფორმა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდი პრობლემაა".

იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სხვა მეცნიერ-იურისტებისა და პრაქტიკოს მუშაკებთან ერთად, თავიანთი კრიტიკული გამოსვლებითა და საქმიანი შენიშვნებით უდაოდ ხელი შეუწყეს საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, სამოქალაქო კოდექსის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული პროცესის კოდექსების უფრო დახვეწილი სახით მიღებას.

შემდეგ კვლავ გაჩნდა ახლად მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შეცვლის საფრთხე, კიდევ უფრო უარესი, საქართველოსთვის სრულიად მიუღებელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ სპეციალური კონცეფცია პროკურატურისა და გამოძიების შესახებ და ამასთან დაკავშირებით ჩემ მიერ გაკეთებულ იქნა ვრცელი შენიშვნები და იგი 2003 წლის №1-2 ჟურნალ „სამართალში" გამოქვეყნდა სათაურით: „ზოგიერთი შენიშვნა გამოძიებასა და პროკურატურის საქმიანობასთან დაკავშირებულ კონცეფციაზე".

ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო ვრცელი და კრიტიკული შენიშვნები იქნა გამოთქმული ჩემ მიერ გაზ. „Свободная Грузия"-ში 2003 წლის 31 იანვარს გამოქვეყნებულ ჩემს წერილში „Концепция деятельности органов следствия и прокуратуры: шаг в будущее?"

ყველა ჩემ მიერ კრიტიკულ გამოსვლებში ფურადღებას ვამახვილებდი არა მარტო შემოთავაზებული ცალკეული ნორმების უბადრუკობასა და მათ მიუღებლობაზე, არამედ იმაზეც, რომ **არ შეიძლება საზღვარგარეთის უცხო სახელმწიფოსაგან მექანიკურად გადმოვიტანოთ მათთან მოქმედი კანონები, რადგან იგი არ მოერგება ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ტრადიციებს, და, რომ უცხო სახელმწიფოს,** დავუშვათ, საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიის, ავსტრიის, ამერიკის, ინგლისისა და სხვა სახელმწიფოებში მოქმედი **კანონები არ შეიძლება პირდაპირ გადმოვიღოთ და მოვარგოთ ჩვენს ხალხსა და ჩვენს სახელმწიფოს. კანონი ტანსაცმელი არაა, რომ უცხო სახელმწიფოში შეკერილი ჩამოვიტანოთ, ტანზე მოვირგოთ და ტანი დავიმშვენოთ.**

საზღვარგარეთიდან ცუდად გადმოთარგმნილი კანონებისადმი ჩვენი ასეთი მკაცრი დამოკიდებულების მიუხედავად, გარკვეულ პირთა ჯგუფმა 2003 წლის ბოლოს კვლავ წარმოადგინა გერმანულიდან ნათარგმნი, მათი მოძველებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტიდან კაოჭდრაზე დასკვნისათვის გადმოგვეგზავნა. პირადად მე და კაოჭდრის სხვა წევრებიც მას საფუძვლიანად გავეცანით და განსახილველად გავიტანეთ სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კაოჭდრის საჯარო სხდომაზე, სადაც მას ძიეცა მწვავე უარყოფითი შეფასება. აღინიშნა, რომ ამ სახით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღება ქართული სამართალშემოქმედებითი საქმიანობას ორი ან ერთი საუკუნით უკან დაჰყენდა. ამ პროექტზე ჩვენი ასეთივე დასკვნა გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" სათაურით „ახლა თქმა სჯობს შერე თავში მუშტის ცემას" (11 ივლისი, 2003 წ.).

ამასთან, მე და პროფესორ ა. ფალიაშვილმა გადაეწყვიტეთ ერთობლივად მიგვეცა წერილების ციკლი გამოსაქვეყნებლად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", რომელმაც დაიწყო მისი პუბლიკაცია და 2003 წლის 24 დეკემბრიდან 2004 წლის 7 იანვრამდე და ყოველ ნომერში აქვეყნებდა ჩვენი წერილების გაგრძელებას სათაურით „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის ამ სახით მიღება დაუშვებელია". ჩვენს ამ წერილებში გამოვთქვით ამ კოდექსის პროექტის მიმართ, ოთხმოცდაათზე მეტი არსებითი ხასიათის უარყოფითი შენიშვნა.

ჩვენმა ასეთმა უარყოფითმა დამოკიდებულებამ გარკვეულად შეაფერხა ამ პროექტის ელეისებური სისწრაფით საქართველოს პარლამენტში შეტანა და მისი მიღება. მიუხედავად ამისა, ამ პროექტის მესვეურებმა 2004 წლის მარტს ბაკურიანში მოაწყეს საკრთაშორისო კონფერენცია, სადაც საქართველოდან თავიანთ მომხრე იურისტებთან ერთად მეც მიმიწვიეს. მოწვეული ჰყავდათ აგრეთვე ამერიკის, ინგლისის, გერმანიის, საბერძნეთისა და სხვა სახელმწიფოების პროფესორე-

ბი და პრაქტიკოსი მუშაკები. წარმოდგენილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის განხილვა, წინასწარ შერჩეული თავების მიხედვით, დაიწყეს მუხლობრივად. წარმოდგენილი მუხლების უმრავლესობაზე ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება გამოვთქვი შესაბამისი დასაბუთებით. შემდეგ, გერმანელ პროფესორს, რომელიც მხარს უჭერდა პროექტის მიღებას, შევეკითხე მათ ქვეყანაში მოქმედი არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ. მაგრამ იგი პირდაპირ პასუხის გაცემას მოერიდა და მითხრა, შესვენებაზე გაგვეგრძელებინა საუბარი, შესვენებაზე თარჯიმანის მეშვეობით დაუსვი კითხვა: თქვენთან არსებობს და მოქმედებს თუ არა 1808 წელს მიღებული საფრანგეთიდან გადმოღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი? კითხვაზე მან დადებითად მიპასუხა და თან დასძინა, რომ მათ ამ კოდექსში დღემდე ბევრი ცვლილება შეიტანეს. ჩემთვის ცნობილი იყო ისიც, რომ მათ შემუშავებული ჰქონდათ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და იგი უნდა მიეღოთ 1997 წელს. ამიტომ შევეკითხე, მიიღეს თუ არა მათ ეს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და, როცა მასზე უარყოფითი პასუხი მივიღე, ირონიული ღიმილით შევეკითხე: რატომ, რამ შეუშალა ხელი მის მიღებას? დასმულ კითხვაზე მან მიპასუხა, რომ ამ პროექტის შესახებ აზრთა სხვაობა არსებობს და იგი ჯერ კიდევ იუსტიციის სამინისტროში დევს და კელავ შეაქვთ შესწორებებიო. ამაზე მე ცოტა გულმოსულმა ირონიით ვუპასუხე: თქვენ უკვე ექვს წელზე მეტია ერთსა და იმავე პროექტზე მსჯელობთ და დღემდე ვერ მიიღეთ და რატომ უჭერთ მხარს ასე ნაჩქარევად ჩვენთან თქვენი ძველი კოდექსიდან ამ ცუდად ნათარგმნ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მიღებას? ამაზე მან აღარაფერი მიპასუხა, მეგობრულად ხელი მომკიდა და მითხრა: „შენ მართალი ხარ“ და მეგობრულად დავცილდით.

თუ არა ჩვენი მეცნიერ-იურისტებისა და გავლენიანი პრაქტიკოსი მუშაკების ასეთი პრინციპული დამოკიდებულებისა, ეს უგარგისი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი აუცილებლად იქნებოდა მიღებული, თუმცა იგი გადაკეთებული სახით კვლავ მოძრაობაშია. იქიდან გამომდინარეობს ძალებს ცალკეულ დებულებებს და ცვლილებებს სახით შეაქვთ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რის გამოც იგი კიდევ უფრო დაიჩეხა და დამახინჯდა.

მოქმედი სსსკ-დან სრულიად დაუფიქრებლად იქნა ამოღებული და გაუქმებული სისხლის სამართლის საქმის აღძრის ინსტიტუტის შეტად მნიშვნელოვანი სავამოძიებო მოქმედება — დაპირისპირება. აგრეთვე საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი კონკრეტული ვადები შეიცვალა „გონივრული ვადით“ და ახე. რაც, ჩემი აზრითა და ღრმა რწმენით, აბსოლუტურად არასწორი და მიუღებელია. სისხლის სამართლის საქმის აღძრისა და დაპირისპირების ცნებების აღმოფხვრა პრაქტიკიდან მაინც ვერ მოახერხეს და ტელეეთერით ყოველდღე აცხადებენ, რომ მოქმედი დანაშაულებრივ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეო და სხვ. ჩემი ეს და სხვა მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოვაქვეყნე ცენტრალური პრესის ფურცლებზე, რამაც დროებით გარკვეულად შეაფერხა მათი მიღება.

სამართლის სხვა დარგებში კიდევ უფრო აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები. მათი აქტიური მონაწილეობა განსაკუთრებით გამოიკვეთა სამოქალაქო კოდექსის შემუშავებაში, როცა ცივილისტური მეცნიერების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, **პროფესორ სერგო ჯორბენაძის** ხელმძღვანელობით მის შეკვეთა-შემუშავებასა და განხილვებში აქტიურად იყო ჩაბმული თითქმის ყველა ცივილისტი. მათგან არ შეიძლება არ გამოვყოთ აწ გარდაცვლილი **პროფესორის ზურაბ აბვლედიანის** აქტიური მონაწილეობა. ამ პროექტის განხილვა რამდენჯერმე მოეწყო როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე საზღვარგარეთ უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით.

ასევე აქტიურად იყო ჩაბმული სისხლის სამართლის კათედრა პროფესორ გიორგი ტყეშელიაძის ხელმძღვანელობით სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემუშავებაში და ამ კოდექსის დადებით და უარყოფით მხარეებში მათაც გარკვეული წვლილი მიუძღვით.

უნივერსიტეტში მომუშავე იურისტი პროფესორ-მასწავლებლები ასევე აქტიურად იყვნენ ჩაბმული ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავებაში იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის **პროფესორ ვალერი ლორთქიფანიძის** ხელმძღვანელობით.

უკანასკნელ პერიოდში დამკვიდრდა კარგი პრაქტიკა, როცა პარლამენტში განსახილველად შესულ პროექტებს დასკვნისათვის აგზავნიან შესაბამის კათედრებზე, სადაც ხდება მათი განხილვა, კათედრის წევრთა შენიშვნების ჩამოყალიბება და საბოლოოდ ურთიერთშეთანხმებულ, დასაბუთებულ დასკვნას კათედრა აგზავნის პარლამენტში. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ კათედრა მთლიანად უარყოფს კანონპროექტის პრაქტიკულ და მეცნიერულ ღირებულებას და უარყოფითი დასკვნით კანონპროექტს უბრუნებს პარლამენტს და ეს უკანასკნელი, უმეტეს შემთხვევაში, ითვალისწინებს კანონპროექტის ირგვლივ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს და აჩერებს ძის მიღებას და მის შემშუშავებელ ჯგუფს უბრუნებს კანონპროექტს გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად.

ასე იყო, მაგალითად, ჩემთ განხილულ საბსლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტზე და სხვ.

§2. მეცნიერ-იურისტების წინაშე მდგომი ამოცანები სასამართლო რეფორმის სწორად განხორციელების საქმეში

ამჟამად, სასამართლო რეფორმის სრული, სწორი სვლით წარმართვისათვის კიდევ უფრო საჭიროა აქტიურად ჩაება მის გატარებაში მეცნიერ-იურისტები და თავიანთი სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციებით ხელი შეუწყონ ნამდვილი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის შესაფერისი კანონების მიღებას.

საკანონმდებლო განზრახულობათა მიმართებით მუშაობის გარდა მეცნიერ-იურისტებისა და პრაქტიკოს იურისტთა წინაშე სხვა კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ამოცანაა გადასაწყვეტი. აქედან შეიძლება ცალკე გამოვყოთ:

1) იურიდიული კადრების მომზადების პრობლემა ცალკეული იურიდიული სპეციალიზაციის მიხედვით;

2) დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერება;

3) მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე სწრაფი, დროული რეაგირება, დანაშაულის სრული, ყოველმხრივ გახსნა, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების აღკვეთა და დანაშაულის თავიდან აცილება;

4) სწორი სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება;

5) კანონშემდებლობისა და საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის შემდგომი გაუმჯობესებისათვის სწორი, თანმიმდევრული საქმიანობა;

6) მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის მიზნით, მეცნიერ-იურისტებისა და პრაქტიკოსი მუშაკების ერთობლივი ღონისძიებების გატარება (მოსახლეობაში ლექციებისა და გამსვლელი სხდომების ჩატარება სამართლის აქტუალურ საკითხებზე და სხვ.);

7) მდარე ხარისხის სამეცნიერო პროდუქციის საჯარო განხილვები და მათზე შესაბამისი სწორი რეცენზიების გამოქვეყნება;

8) პროტექციონიზმთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერება;

9) იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთდაახლოების მიზნით წარმოებული საქმიანობა;

10) სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის განზოგადება და მის საფუძველზე პრაქტიკისა და კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით სათანადო რეკომენდაციების მიცემა;

11) სტუდენტებისათვის პრაქტიკული ჩვევების ჩამოსაყალიბებლად საქმიანი თამაშების მოწყობა;

12) პრაქტიკულ-სემინარულ მეცადინეობებზე შესაბამისი ტესტებისა და კაზუსების სისტემატიური განხილვა სტუდენტების უშუალო მონაწილეობით და სხვ.

13) მსჯელობა იმაზე, რამდენად მიზანშეწონილია წინასწარი გამოძიების სტადიის გაუქმება და მართლდენ ერთსაფეხურიანი სასამართლო გამოძიების დამკვიდრება;

14) მსჯელობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ;

15) მსჯელობა და პაექრობა იმაზე, რამდენად მიზეშწონილია საქართველოში სასამართლო პრეცედენტისა და სამოსამართლოს სამართლის დამკვიდრება და სხვ.

საკონტროლო კითხვები

1. რაში გამოიხატება მეცნიერ-იურისტების როლი კანონშემოქმედებით საქმიანობაში?

2. რა სახის ღონისძიებები იქნა გატარებული მეცნიერ-იურისტების მიერ თანამედროვე კანონპროექტების შემუშავებაში?

3. რა სახის მნიშვნელოვანი კანონები იქნა მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების აქტიური მონაწილეობით?

4. რამდენად სწორად და თანმიმდევრულად ეწინააღმდეგებოდნენ სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არასწორი ცვლილებების შეტანასა და ქართულ სამართალშემოქმედებაში საქართველოსათვის მოძველებული და მიუღებელი უცხო სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გადმოკოპირებული კოდექსის პროექტის მიღებას?

5. რა ახალი პრობლემები დგას დღეს ქართველი მეცნიერ-იურისტების წინაშე სასამართლო რეფორმის სწორად გატარების საქმეში და სხვ.

თავი IX

იურიდიული პროფესია და იურისტის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები

§1. იურიდიული პროფესიის ცნება, არსი და მნიშვნელობა

იურიდიული პროფესიისა და მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების უშუალო განხილვამდე, საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ თვით იურისტზე, როგორც გარკვეული სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირზე და გავერკვეთ იმაში, თუ ვინ არის იურისტი, რა როლი ეკუთვნის მას საზოგადოებაში და საზოგადოებრივი თვალსაზრისით რა არის მისი მიზნები და ამოცანები.

სიტყვა იურისტი ნიშნავს იურიდიული განათლების მქონე სამართლის დარგის სპეციალისტს, სამართლისმცოდნეს. ყოველივე ეს კი ნიშნავს იმას, რომ ესა თუ ის პირი შეიძლება მუშაობდეს და თავის პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდეს იურისპრუდენციის რომელიმე დარგში, მაგრამ სპეციალობით არ იყოს იურისტი. ამის უხვ მაგალითებს იძლევა ჩვენი საზოგადოებრიობის განვითარების დღევანდელობა, როცა ჯერ კიდევ არაჯეროვნადაა შეფასებული პროფესიული ცოდნა და კომპეტენტურობა, როცა იურისტების ჭარბწარმოების მიუხედავად, მთელ რიგ იურიდიულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე თავი მოიყარა სხვა დარგის სპეციალისტებმა.

უფრო მეტიც, უკანასკნელ პერიოდში თავი იჩინა იურიდიული მეცნიერებისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი გარკვეულ პირთა დილეტანტურმა მიდგომამ და მათ, როგორც არაპროფესიონალებმა, ზოგიერთების დაკვეთით კანონპროექტების შედგენა-დამუშავებასაც მიჰყვეს ხელი. რა ენაღვლებათ, დაწერენ, უფრო სწორად, პირდაპირი თარგმანით გადმოიღებენ რომელიმე უცხო სახელმწიფოს რაიმე კანონს, იღებენ მასში გაწკუთვნილ დიდ გასამრჯელოს, წარმოადგენენ და იმტვრიე თავი იურისტო-პროფესორო და პრაქტიკოსო, დახვეწე და

შეიტანე მასში ცვლილებები, ვინ გისმენს. ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ იურისტებიც ინერტულობას იჩენენ, არ ახდენენ მათზე შესაბამის რეაგირებას, უცვლელად ტოვებენ და არ ცდილობენ მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანას და არ ითვალისწინებენ იმას, თუ რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის პრაქტიკაში გამოყენებას.

პირის იურისტად აღიარებისათვის საკმარისი არაა მარტოოდენ მის მიერ იურიდიული პროფესიის მჭონე პირისათვის განკუთვნილი თანამდებობის დაკავება. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ისეც ხდება, რომ იურიდიული განათლების მქონე, სამართლისმცოდნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტიც არ მუშაობს თავისი პროფილით და ჩაბმული არაა იურიდიულ სამსახურში. პირველისაგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი, ცხადია, მაინც იურისტია, თუმცა შემდეგ მას შეიძლება გაუჭირდეს კიდეც თავისი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

იურიდიულ სამსახურში მყოფი პირის იურისტად აღიარებისათვის აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს აგრეთვე იურიდიული განათლება. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, **დიპლომიანი იურისტი ბევრია, მაგრამ ყველა მათგანზე ვერ ვიტყვით, რომ იგი თავისი ცოდნით სრულფასოვანი იურისტია.** უკანასკნელ დროს გავრცელდა არასწორი, მე ვიტყოდი, მახინჯი შეხედულება. თითქოს ყველაზე მარტივია იურიდიული განათლების მიღება, ეს დღევანდელ სინამდვილეში შეიძლება გავიგოთ ისე, რომ ზოგიერთისთვის მართლაც ადვილი იყოს იურიდიული განათლების შესახებ დიპლომისა და არა ცოდნის მიღება.

პროფესიონალ იურისტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, ვისაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია, აღჭურვილია იურიდიული, პროფესიონალური, ფუნდამენტალური სამართლებრივი ცოდნით და შეუძლია პრაქტიკაში მისი გამოყენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ **პირის იურისტად აღიარებისათვის საკმარისი არაა მარტოოდენ მისი ზოგადი გათვითცნობიერება იურიდიულ საკითხებში. საჭიროა მას ჰქონდეს აგრეთვე უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი საბუთი, დიპლომი, რომ მას მინიჭებული აქვს იურისტის**

კვალიფიკაცია და საფუძვლიანად, სრულყოფილად ფლობდეს სამართლის დარგებს, განვითარებული ჰქონდეს სალი იურიდიული აზროვნება და შეეძლოს სამართლის ცალკეული ნორმების პრაქტიკაში სწორად გამოყენება.

იურისტი თავისი პროფესიონალური ცოდნითა და სამსახურით უნდა იცავდეს სახელმწიფოს, საზოგადოებრიობისა და მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, კანონებსა და მართლწესრიგს, კურნავდეს საზოგადოებას დამნაშავე ელემენტებისაგან, სწორად ახორციელებდეს მართლმსაჯულებას, ახდენდეს დამნაშავე პირთა ხელახალ აღზრდა-გამოსწორებისათვის საჭიროდ ღონისძიებების გატარებას, სწავლობდეს დანაშაულის გამომწვევ მიზეზებსა და ხელშემწყობ გარემოებებს და ატარებდეს მის თავიდან ასაცილებელ შესაბამის სპეციალურ ღონისძიებებს, ხელს უწყობდეს სახელმწიფო პოლიტიკური რეჟიმის სრულყოფა-გაუმჯობესებას მთელი თავისი მრავალმხრივი განშტოებებით და თავისი ამგვარი სამსახურებრივი და პროფესიონალური საქმიანობით გარკვეულწილად გაალამაზოს და გაამდიდროს საზოგადოების მთელი სულიერი სამყარო და საზოგადოებაში სამართლებრივ საკითხებზე თავის მჭევრმეტყველური გამოსვლებით ხელი შეუწყოს მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას.

ცნობილია, რომ სწორედ სასამართლო მჭევრმეტყველებამ ჩაუყარა საფუძველი რტორიკას.

ძველი რომის ეპოქის დიდი იურისტი, საზოგადო მოღვაწე და მწერალი ციცერონი თავის ტრაქტატებში ავითარებს აზრს, რომლითაც სასამართლოს გარეშე წარმოებული ზოგადი ორატორული ხელოვნება ბავშვურ თამაშადაა მიჩნეული. ამასთან, მისი მართებული მოსაზრებით, ადამიანთა საქმიანობაში იურისტის მჭევრმეტყველება ყველაზე დიდ ჭეშმარიტ მნიშვნელობას იძენს სასამართლო კამათის დროს.

სამართლის მეცნიერების განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ იურიდიულმა სამსახურმა გარკვეულად შეუწყო ხელი არა მარტო რიტორიკის განვითარებას, არამედ სიტყვიერი დამწერლობის კულტურის განვითარებასაც, რადგან წარსულში, საერთო დამწერლობის განვითარებას წინ უსწრებდა, სამართლის წერილობითი ძეგლების შექმნა.

მაგალითად, ცნობილია, რომ ძველ რომში ბავშვებს კითხვას სამართლის დოკუმენტებზე ასწავლიდნენ, კერძოდ კი, თორმეტი ტაბულის კანონების მიხედვით.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ იურიდიული პროფესიის მქონე სპეციალისტი, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოსა და ადვოკატის სახით ხელს უწყობს მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით ჩადენილ საიდუმლოებით მოცულ ადამიანთა კონფლიქტურ სიტუაციებში აღმოცენებული გარემოებების აზსნას, ადგენს და დღის სინათლეზე გამოაქვს მომხდარი გამოსაკვლევი ფაქტების აღმოცენებას ჭეშმარიტი მიზეზები და ხელშემწყობი გარემოებები; არკვევს ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე პირთა ბრალეულობის საკითხს; ადგენს და განსაზღვრავს დანაშაულში მხილებულ პირთათვის გამოსაყენებელი სასჯელის სხვაობასა და ზომას.

ზემოაღნიშნულის გარდა, ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა სასამართლოში საჯარო განხილვა ხელს უწყობს არა მარტო განსაილველ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, არამედ ენობრივი კულტურის ამაღლებასაც ზუსტი იურიდიული ფორმულირების სახით და სხვ.

არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ იურისტი თავისი პროფესიული საქმიანობით ხელს უწყობს სახელმწიფო წყობის განვითარებისა და განმტკიცებას; სახელმწიფო, კერძო და კოლექტიური საკუთრების დაცვას; სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა კერძო საკუთრების სამართლებრივი უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვას და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **იურიდიული სპეციალობა მიეკუთვნება იმ პროფესიათა განსაკუთრებულ ჯგუფს, რომელიც მოწოდებულია დაიცვას საზოგადოებაში კანონიერება და მართლწესრიგი, დაიცვას და განამტკიცოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება; სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები და ყოველივე ამით ხელი შეუწყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მმართველობის უზრუნველყოფას ფართო გაგებით.**

§2. იურიდიული სამსახური, როგორც მმართველობის განსაკუთრებული საქმიანობა

მმართველობა, როგორც ცნობილია, საზოგადოების სტრუქტურის ოთხ ძირითად (მატერიალური წარმოების, მმართველობის, სულიერი სიკეთის წარმოების და ადამიანის აღდგენის, ანუ აღწარმოების) პირველად კომპონენტთა შორისაა მოხსენებული. აქედან გამომდინარე, სწორედ მმართველობის უზრუნველყოფის ბუნებით უნდა აიხსნას იურიდიული პროფესიისა და იურიდიული სამსახურისადმი ესოდენ დიდი საზოგადოებრივი ინტერესი.

მმართველობისადმი დიდ ინტერესს კიდევ უფრო აღრმავებს ჩვენი საზოგადოებრიობის განვითარების თანამედროვე პირობებში პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველობის სფეროში წამოჭრილი ურთულესი პრობლემატური საკითხების სიუხვე და მათი სპეციფიკურობა.

არ შეიძლება უარვყოთ, რომ იურიდიული სამსახური – ესაა მმართველობის განსაკუთრებული საქმიანობა და მას არ უნდა მივანიჭოთ იმაზე მეტი მნიშვნელობა, რაც მას ეკუთვნის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იურიდიული სამსახური, იურიდიული პროფესია კი არაა თავისთავად სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მმართველობა, არამედ უზრუნველყოთ მისი სწორი ორგანიზებულობა და თვით მართვის სისტემაში დაშვებული ყოველგვარი ანომალიისა და დარღვევების აღკვეთა, ადამიანთა სულიერი, კულტურული და სამართლებრივი აღზრდა, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესის დაჩქარება და მისი შემდგომი უზრუნველყოფა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იურისტის პროფესიული საქმიანობა გარკვეულწილად, ემსგავსება ექიმისა და სხვა დარგის სპეციალისტების პრაქტიკულ საქმიანობას. მათი პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშნის მსგავსება, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ისევე, როგორც ექიმს, იურისტსაც საქმე აქვს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან. მაგრამ, ექიმისაგან განსხვავებით, იურისტის საქმიანობა ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებაში ეხება არა ცალკეულ ინდივიდს, არამედ მთელი საზოგადოების „ჯანმრთელობას", საზოგადოებრიობის სულიერ განჯანსაღებას, ადამიანის სულიერი ცხოვრების გაუმჯობესებას და სხვ.

საზოგადოებრივ, ამიტომაც ვამბობთ, რომ ისევე, როგორც ექიმი, იურისტიც თავისი ყოველდღიური საქმიანობით, გარკვეულწილად განკურნავს საზოგადოებრიობას მარცხისგან, მანკიერი მოვლენებისაგან, ახლის გზად აცდენილ დამნაშავე ელემენტების გამოვლინებას, მათ სამართლიან დასჯას, გამოსწორებასა და ხელახალ აღზრდას, ადამიანთა უფლებების განუხრელ დაცვას, სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვის აპარატის გაუმჯობესებას და ამით მთელი საზოგადოებრიობის გავჯანსაღებასა და ადამიანთა სულიერ განკურნებას.

სწორედ ამაშია იურისტისა და ექიმის პროფესიული საქმიანობის ჰუმანიტარული მიმართულებების მსგავსება.

§3. იურიდიული პროფესიისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი

იურიდიული დარგის პროფესიით მომუშავე ნებისმიერი იურისტის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, ნოტარიუსის, ადვოკატის, სამგადასახადო სამსახურის, სახელმწიფოთა აპარატში მოქმედ სხვა დიდ სპასუხისმგებლო თანამდებობაზე მომუშავე იურისტების პროფესიონალური საქმიანობის საერთო დამახასიათებელ ნიშნებად მიჩნეული ისაა, რომ **იურისტის პროფესია უშუალოდ დაკავშირებულია პოლიტიკასთან, რომ იგი ზუსტი, ცოცხალი და ჰუმანური, შემოქმედებითი და რომანტიული ხასიათის პროფესიაა, და, რომ, ამასთან, იურისტის პროფესიული საქმიანობა ხასიათდება განსაკუთრებული ორგანიზებულობითა და დამოუკიდებლობით.**

ნაოქამის საილუსტრაციოდ საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ იურისტის პროფესიისათვის დამახასიათებელ ზემოთ დასახელებული ძირითადი ნიშნების ზოგიერთი თავისებურების შესახებ.

ა) იურისტის პროფესიული კავშირი პოლიტიკასთან. როდესაც ვამბობთ, რომ იურისტის პროფესია პოლიტიკური პროფესიაცაა და, რომ, იგი დაკავშირებულია პოლიტიკასთან, ჩვენ, ამასთან, მხედველობაში გვაქვს ის, რომ იურისტის პროფესიული და სამსახურებრივი საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატის საქმიანობასთან, სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასთან, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა-განმტკიცებასთან, სახელმწიფო და საზო-

ქალაქო დისციპლინის დაცვასთან, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ კარგი მაღალკვალიფიციური იურისტი ამავე დროს, უნდა იყოს კარგი პოლიტიკოსი.

სხვა პროფესიისაგან განსხვავებით, თვით იურიდიული პროფესიის უშუალო პოლიტიკური ბასიათი განსაზღვრავს იურისტის სახელმწიფო-სამართლებრივ სტატუსს, რამდენადაც მთელ რიგ შემთხვევებში, ობიექტური პროფესიითა და თანამდებობით თვითონ იურისტები არიან სახელმწიფო აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, აღჭურვილნი სელისუფლების უმაღლესი უფლებამოსილებით და უშუალოდ მოსაწყილეობენ სახელმწიფო პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში.

ზემოთ აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ისეთ სახელმწიფო მოხელე თანამდებობის პირებს, როგორიცაა: საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საქართველოს გენერალური პროკურორი და სხვ.

ბ) იურიდიული მეცნიერება და თვით იურისტის პროფესია თავისი ბუნებითა და შინაარსით ზუსტი მეცნიერებაა. ეს საკითხი ჩემს სამართალშეგნებაში აიხსნა და პირველად გაკეირვებაც გამოიწვია მაშინ, როცა სისხლის სამართლის კათედრის გამგემ, პროფესორმა ალექსანდრე ვაჩეიშვილმა კათედრაზე მასთან მისულ მედიდურ ქალბატონს, რომელიც უკმაყოფილო იყო კათედრის მიერ სტუდენტებისათვის სადიპლომო შრომების თემატიკით, უპასუხა, რომ სწორედ იურიდიული მეცნიერების ეს სახეობაა ზუსტი მეცნიერება და შემდეგ ჩემმა პრაქტიკულმა საქმიანობამ დაადასტურა, რომ ეს ნამდვილად ასეა.

იურიდიული მეცნიერება და, აქედან გამომდინარე, იურისტის პროფესია თავისი შინაარსით ძალიან ზუსტია, რამდენადაც იურისტის სამსახურებრივი საქმიანობა დამყარებულია დაღგენილ სამართლის ნორმებზე და ახდენს ამ ნორმების პრაქტიკულ რეალიზაციას, მათ დაცვასა და სწორად გამოყენებას, კანონიერების დაცვა-განმტკიცებას, ამასთან, მათი უშუალო სამსახურებრივი უფლებამოსილეობა და ფუნქციები განსაზღვრულია კანონით და უნდა მოქმედებდნენ ამ კანონების ზუსტი შესაბამისობით და კანონით გათვალისწინებული გარემოების

დაუცველობის შემთხვევაში, მათ მიერ შესრულებული ასეთი მოქმედება ან უმოქმედობა კანონის უხეშ დარღვევად ჩაითვლება.

მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილია, რომ თუ სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირმა არ იცის ის ენა, რომელზეც საქმისწარმოება მიმდინარეობს, საჭიროა გამომძიებელმა, პროკურორმა ან მოსამართლემ მოიწვიოს თარჯიმანი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება კანონის უხეში დარღვევა, რაც თავისთავად გამოიწვევს მიღებული მონაცემების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევას.

ასევე, კანონით რეგლამენტირებულია, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებასა და ჩხრეკა-ამოღების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა მოწვეულ იქნენ დამსწრე პირები, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ორზე მეტი და სხვ. თუ იმ პირებს, ვისთანაც ტარდება ჩხრეკა-ამოღება ამის უფლება და საშუალება არ მივეცით, მაშინ ამ გზით მიღებულ შედეგებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიენიჭება და იგი ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად.

კანონის მოთხოვნათა ზუსტი შესაბამისობით უნდა ვაწარმოოთ აგრეთვე მომხდარი ფაქტების ფიქსაცია, რომლის დროსაც ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი გახდეს უზუსტესი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში ზუსტი შესაბამისობით უნდა აღიწეროს არა მარტო ის აღმოჩენილი მტკიცებები, მათი პირვანდელი მდგომარეობა და დამუშავების სურნელი და მეთოდები, არამედ მათი გაზომვებისათვის გამოყენებული ზუსტი საზომი ხელსაწყოებიც. საჭიროა მოხდეს აგრეთვე მათი ფოტოგადაღებები სასამართლო-საგამოძიებო ფოტოგრაფიაში შემუშავებული სპეციალური ხერხებითა და მეთოდებით. ამასთან, აუცილებელია, რომ დათვალიერების ოქმთან ერთად შედგეს შემთხვევის ადგილის სქემები და გეგმები, კინო და ვიდეო გადაღებები, მათემატიკური ფორმულების გამოყენებით მოხდეს შემთხვევის ადგილზე აღმოჩენი დამუხრუჭების შედეგად აღმოცენებული ავტომანქანის საბურავების კვალის მიხედვით ავტომანქანის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრა და სხვ.

იურისტის ასეთი პროფესიონალური საქმიანობა, კანონით განსაზღვრული წესითა და კანონის ფარგლებში, გარკვეულწილად ემსგავსება ისეთ ზუსტ მეცნიერებებს, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა და სხვ.

გ) იურისტის პროფესიის ცხოვრებისეულობა. ეს ნიშანი განუყრელადაა დაკავშირებული იურისტის მთელ საქმიანობასთან. იურისტის პროფესია ცხოვრებისეულია იმდაც იმიტომ, რომ მთელი მისი საქმიანობა პირდაპირ დაკავშირებულია საზოგადოებებისა და ადამიანთა ცხოვრების, ადამიანთა ურთიერთობის ყველა მხარესთან. უფრო სატყვისად რომ ვთქვათ, იურისტის პროფესია, მისი ყოველდღიური სამსახურებრივი საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანთა ცხოვრების „სამზარეულოსთან", ადამიანთა ყოველგვარი ურთიერთობის ამსახველ ფაქტებთან, მათ პირად, ოჯახურ, სამსახურებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან, ადამიანთა ცხოვრებასთან.

მაგალითად, გაუპატურების ფაქტების გამოკვლევისას გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე, რომლებიც იმავე დროს თავიანთი პროფესიით იურისტები არიან, საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, აუცილებელია ჩაწვდნენ მათი ინტიმური ცხოვრების ყოველ მხარეს, ყოველმხრივ გამოიკვლიონ იგი და მიღებული მონაცემების საფუძველზე მოახდინონ სწორი, იურიდიული შეფასება.

ასევე, ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე აღმოცენებული დანაშაულებრივი ფაქტის გამოკვლევისას საჭიროა კონფლიქტური სიტუაციის გამომწვევი მიზეზების დადგენაც, რაშია დაზუსტდეს თითოეული მხარის ბრალეულობა და ამასთან დაკავშირებით მოახდინოს მთელი რიგი სახის წერილობითი დოკუმენტების შედგენა და სხვ.

თავისი ასეთი საზოგადოებრივ-ცხოვრებისეული ორიენტირების გამო, იურისტის პროფესია გარკვეულწილად ემსგავსება და ახლო დგას ჟურნალისტისა და მწერლის პროფესიასთან.

მაშასადამე, იურისტის პროფესია ცხოვრებისეულია იმ გაგებით, რომ იურისტის საქმიანობა უმეტესად დაკავშირებულია ადამიანთა ურთიერთობების ახსნასთან, კონკრეტული პირების ცხოვრებასთან, მათ საზოგადოებრივ საქმიანობასთან, რა დროსაც იურისტს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უხდება ღრმად ჩაწვდეს ამ ადამიანების ინტიმურ ცხოვრებასა და საქმიანობას, მათ კონფლიქ-

ტურ სიტუაციებს, შეიჭრას მათი სულიერი ცხოვრების სამყაროში, ჩაწვდეს მათ ფსიქოლოგიურ განცდებს, მოახდინოს მოპოვებული ფაქტობრივი მასალების სწორი ანალიზი და გამოსაკვლევი ან გამოსაძიებელი ფაქტის ირგვლივ დაადგინოს ობიექტური ჭეშმარიტება.

დ) იურისტის საქმიანობა ორგანიზატორული ხასიათისაა და ეს განსაკუთრებით თავს იჩენს მოსახლეობის ფართო ფენების აქტიურ ჩაბმაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და თავიდან ასაცილებელ ღონისძიებათა შემუშავებაში, დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიმართებით წარმოებულ ღონისძიებებში საზოგადოების ჩაბმაში და სხვ. იურისტის პროფესიის დამახასიათებელი ეს უმნიშვნელოვანესი ნიშანი, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მან შეძლოს ადამიანთა მობილიზება, სამართლებრივი ნორმების ცხოვრებაში გასატარებლად დარაზმოს ადამიანები კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის ამოცანის შესასრულებლად. ამასთან, მან უნდა შეძლოს სათანადო კავშირების დამყარება წარმოება-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ცალკეულ მოქალაქეებთან და მათთან ერთად დარაზმოს მოსახლეობის ფართო ფენები ერთი საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნის განსახორციელებლად.

მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში, გამომძიებელმა უნდა შეძლოს საზოგადოებრიობის აქტიური ჩაბმა რთული დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიებაში, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გამოსაძიებელ საქმეზე გამოიყენოს ეს უშრეტი ძალა და მიაღწიოს დანაშაულის გახსნას, მის აღკვეთასა და თავიდან აცილებას.

ე) იურისტის პროფესია შემოქმედებითი ხასიათისაა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ იგი შემოქმედებითად იყენებს თავის პროფესიულ ცოდნას კანონიერების დაცვა-განმტკიცების საქმეში. მაგრამ, ცხადია, მისი ეს შემოქმედებითი ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ იგი თავისი პროფესიული, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იჩენდეს კანონის მოთხოვნების შესრულებისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას, ქარაფშუტობას, კანონის გვერდის ავლვას და მოქმედებდეს თავისი ფანტაზიითა და უნაყოფო საქმიანობით.

იურისტი თავისი პროფესიული შემოქმედებისას უნდა ემყარებოდეს კანონსა და ფაქტებს, ამ ფაქტების ირგვლივ შეკრებილი მონაცემების საფუძველზე აგებდეს საგამოძიებო ვერსიებს, ანუ თავის სავარაუდო მოსაზრებებს მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების ან მისი რომელიმე გარემოების არსის შესახებ, ახდენდეს მოპოვებული მასალების ზუსტ ანალიზს და მის შესაბამისად აკეთებდეს სწორ იურიდიულ დასკვნებს.

მაგალითად, გამოძიების პირველსავე ეტაპზე მოპოვებული ფაქტიური მონაცემების საფუძველზე შეიძლება წამოყენებულ იქნეს ვერსია იმის შესახებ, თუ რა გარემოებას ჰქონდა ადგილი, მკვლელობას თუ მკვლელობის ინსცენირებას; ქურდობას თუ ქურდობის ინსცენირებას და სხვ.

ვ) იურისტის პროფესია დამოუკიდებელი ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი კანონის საფუძველზე ღებულობს მიღებულ რაც დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და პასუხს აგებს მხოლოდ კანონის წინაშე. იურისტის პროფესიული საქმიანობის ეს დამახასიათებელი ნიშანი განსაკუთრებით შეიმჩნევა პროკურორისა და მოსამართლის საქმიანობაში, რადგან ისინი სამართალწარმოებაში მოქმედებენ კანონის შესაბამისად დამოუკიდებლად და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებული არ არის. მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს". ასევე, სსსკ-ის 55-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად „პროკურორი თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს".

მაშასადამე, მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და სასამართლოში განსახილველად შესულ საქმეებს წყვეტენ კანონის საფუძველზე და არავის წინაშე არ არიან ანგარიშვალდებულნი. ასევე, პროკურორი თავის უფლებამოსილებას სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში ახორციელებს ყოველგვარი ორგანოსა და თანამდებობის პირისაგან დამოუკიდებლად და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

იურისტი მთელი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას საჭიროა ხელმძღვანელობდეს კანონით, რადგან იგი გვევლინება, როგორც კანონიერების დაცვის ერთგვარი წარმომადგენელი და თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი პირი. ამიტომ იგი პასუხს აგებს კანონის წინაშე მის მიერ ჩადენილი ყველა ქმედებისა და მიღებული გადაწყვეტილებისათვის.

ზ) რომანტიკულობა, როგორც იურიდიული პროფესიისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, შეიძლება ზოგიერთს უკუსურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ნიშანი ნამდვილად არის დამახასიათებელი იურიდიული პროფესიისათვის, რადგან მან ნამდვილად იცის თავდაუზოგავი გატაცება და ეს განსაკუთრებით თავს იჩენს ოპერატიული სამსახურის მუშაკებისა და გამომძიებლების საქმიანობაში, ორი დაინტერესებული მხარის (ერთის მხრივ, დანაშაულის ჩამდენი პირების, რომ არ მოხდეს მათი მხილება — დანაშაულის სრული გახსნა და, მეორე მხრივ, საგამოძიებო ორგანოს სურვილი და გატაცება, რაც შეიძლება სწრაფად და სრულად მოხდეს საქმის გახსნა და მასზე ჭეშმარიტების დადგენა) შეჯახებითობის პროცესში, განსაკუთრებით კი თავს იჩენს ოპერატიული სამსახურის მუშაკებისა და გამომძიებლების საქმიანობაში, რომელთა მთელი პროფესიონალური და სამსახურებრივი საქმიანობა მიმდინარეობს შესაცნობი პროცესების კვლევა-ძიებაში.

ყოველივე ეს მათგან მოითხოვს დაკვირვებას, დიდ გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვას, გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებათა შეკრებას, მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების ახსნას და ამ მიმართებით ლოგიკური აზროვნების კანონების გამოყენებას, შეკრებილი მასალების ღრმა გაანალიზებასა და მის საფუძველზე სწორი, დასაბუთებული დასკვნების გამოტანას და სხვ.

სხვადასხვა სახით შერიღბული დანაშაულებრივი ქმედობის შეცნობისა და მათი აღმოცენება-განვითარების კანონზომიერებით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მთლიანი მექანიზმის შეცნობისაკენ რომანტიკული ლტოლვა დამახასიათებელია არა მარტო ოპერატიული სამსახურის მუშაკებისა და გამომძიებლებისათვის, არამედ თითქმის ყველა იურიდიული სამსახურის სპეციალისტებისათვის. კერძოდ,

პროკურორის, მოსამართლის, ადვოკატის, იურისკონსულტის, ნოტარიუსის, საფინანსო პოლიციისა და საგადასახადო ორგანოს მუშაკებისა და სხვა დარგებში მომუშავეთა იურისტების საქმიანობისათვის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იურისტის მთელი საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანთა ურთიერთობებთან და ამის შედეგად აღმოცენებულ სხვადასხვა ხასიათის ფაქტთან.

წარსულში მომხდარი შერიღბული ფაქტების ახსნა, მათი სრული, ყოველმხრივი გამოკვლევა და მათზე ჭეშმარიტების დადგენა იურისტისგან მოითხოვს არა მარტო კანონების ზედმიწევნით ცოდნას, არამედ საკუთარი შემოქმედებითი ნიჭის, უნარისა და შრომისმოყვარეობის თვისებების გამომჟღავნებასაც.

ისევე, როგორც სხვა რომანტიკული სახის პროფესიისათვის, იურიდიული პროფესიის რომანტიკულობისათვის, პირველ რიგში, დამახასიათებელი ისაა, რომ იგი ეხება იურისტის ურთულეს საქმიანობას, რომელიც მოითხოვს სისტემატურ ძიებას, დაკვირვების, ცურადღების დაძაბვას. გამოსაკვლევი ფაქტის ან მისი რომელიმე გარემოების შესახებ საჭირო მტკიცებულებების მოპოვებასა და გაანალიზებას. ამის მიღწევა კი შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც თავის სამსახურებრივ საქმიანობას ასრულებს არა მარტო თავისი მოვალეობის, სამსახურებრივი ვალდებულების ფორმალურად მოხდისათვის, არამედ იმას, ვინც მთელი თავისი ფიზიკური შესაძლებლობით, ფსიქოლოგიური განწყობითა და გატაცებით მთლიანად ჩაეფლობა ამ ძრომატკვად საქმიანობაში.

იურიდიული პროფესიის რომანტიზმი თავის უმაღლეს გამოხატულებას პოულობს სიმართლის, კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენის გამარჯვებაში. კერძოდ, გამომძიებლის თავისებური რომანტიკული ზეიმია მაშინ, როცა მის მიერ გამოძიებულ საქმეს სასამართლო მიიჩნევს სწორად, სრულყოფილად და დანაშაულში მხილებულ პირებს სამართლიან განაჩენს გამოუტანს.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობების შესაბამისად, საჭიროა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს, გარდაიქმნას და გაფართოვდეს იურიდიული სამსახური, იურიდიული პროფესია და აძაღლდეს იურისტის ავტორიტეტი.

იურისტები უნდა ამყოფდნენ არა მარტო თავიანთი დღევანდელი იურიდიული პროფესიით, არამედ ხვალინდელი, მომავალი შერწყმული პროფესიითაც. შერწყმულს ვამბობ იმიტომ, რომ დღეს უკვე დღის წესრიგში დგას არა მარტო წმინდა იურიდიული კადრების მომზადების გაუმჯობესებისა და მათი პროფესიონალური დონის ამაღლების საკითხი, არამედ ახალი ისეთი შერწყმული პროფესიონალური მიმართულებების ჩამოყალიბებაც, რომელიცაა იურისტ-ეკონომისტი, იურისტ-ინფორმატიკოსი, იურისტ-პროგრამისტი და სხვ.

იურისტის ყოველმხრივ პროფესიონალურ მომზადებასა და ამ მიმართებით მათი კვალიფიკაციის ყოველდღიურ ამაღლებას აქვს არა მარტო წმინდა თეორიული მნიშვნელობა, არამედ დიდი პრაქტიკული და პოლიტიკური მნიშვნელობაც, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იურისტის პროფესიონალური საქმიანობა გარკვეულწილად დაკავშირებულია სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასთან.

საკონტროლო კითხვები

1. ვინ არის იურისტი და რა როლი ეკუთვნის მას სახოგადოებაში?
2. რა არის იმისათვის საჭირო, რომ პირი ცნობილ იქნეს იურისტად?
3. იურისტი თავისი პროფესიული ცოდნითა და სამსახურით რას უნდა აკეთებდეს?
4. რომელ პროფესიათა ჯგუფს მიეკუთვნება იურიდიული სპეციალობა?
5. რა როლი და ადგილი უკავია იურიდიულ სამსახურს მმართველობის სისტემაში?
6. რატომ, რას საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ იურისტის პროფესიული საქმიანობა ემსგავსება ექიმისა და სხვა დარგის სპეციალისტების საქმიანობას?
7. რა განსაკუთრებული სახის ნიშნები ახასიათებს იურისტის პროფესიას?
8. რაში მდგომარეობს იურისტის პროფესიული კავშირი პოლიტიკასთან?
9. რატომაა იურისტის პროფესია და თვით იურიდიული მეცნიერება ზუსტ მეცნიერებად მიჩნეული და რაში გამოიხატება იგი?
10. რატომაა იურისტის პროფესია ცხოვრებისეულ პროფესიად მიჩნეული?
11. რატომაა იურისტის საქმიანობა ორგანიზატორული ხასიათის და ეს უკანასკნელი რაში გამოიხატება?
12. რატომ ვამბობთ, რომ იურისტი პროფესია არის შემოქმედებითი ხასიათის?
13. რატომ ვამბობთ, რომ იურისტის პროფესია დამოუკიდებელი ხასიათის პროფესიაა?
14. რატომაა იურიდიული პროფესია რომანტიკული?
15. განსაკუთრებით რომელი სახის იურისტ-სპეციალისტისთვისაა დამახასიათებელი სამსახურებრივი რომანტიზმი?

თავი X

იურისტის პროფესიული ორიენტაცია და მომზადება

§1. იურისტისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი აუცილებელი ნიშანი

როგორც აღვნიშნეთ, იურისტის პროფესია ერთ-ერთი ურთულესი პროფესიაა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანების ურთიერთობებასთან. მთელ რიგ შემთხვევებში იურისტს, როგორც სპეციალისტს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უხდება ადამიანის ბედის, ზოგჯერ კი მისი ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაწყვეტა.

იურისტი თავისი პროფესიული საქმიანობით ხელს უწყობს სახელმწიფო წყობის განმტკიცებას, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა-განმტკიცებას, დანაშაულის აღკვეთასა და თავიდან აცილებას, დანაშაულთა სრულ გახსნას, დამნაშავეთა სამართლიან დასჯას, მოქალაქეთა ინტერესებისა და უფლებების კანონიერ დაცვას. ამიტომ ასეთი რთული პროფესიის მქონე პირი უნდა იყოს უაღრესად მომზადებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და გამოირჩეოდეს თავისი პოლიტიკური სიმწიფით, პროფესიული ოსტატობით, პატიოსნებით, პრინციპულობით, ობიექტურობით თავისი პროფესიისადმი სიყვარულით და პატივისცემით.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება დაიბადოს კითხვა: რას ნიშნავს ყოველივე ეს და როგორ უნდა იქნეს იგი გაგებული?

ა) **იურისტის პოლიტიკური სიმწიფე** ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკურად იყოს კარგად მომზადებული, შეეძლოს ნებისმიერ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში სწორი ორიენტირების გაკეთება და მასზე დაკისრებულ სახელმწიფო-საზოგადოებრივი საქმიანობის სწორად წარმართვა.

თუ იურისტი პროფესიულ ცოდნასთან ერთად პოლიტიკურადაც არ არის მომზადებული, თავისი სამსახურებრივი თანამდებობრივი მდგომარეობით შეიძლება დაუშვას გამოუსწორებელი შეცდომა, რადგან იგი თავისი სამსახურებრივი საქმიანობით უშუალო კავშირშია სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასთან, ჩალიჩის სამსახურთან, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა-განმტკიცებასთან, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქციების განხორციელებასთან.

ბ) **იურისტის პროფესიული ოსტატობა ნიშნავს** მის მაღალ კვალიფიკაციას, იმას, რომ იგი სრულყოფილად ფლობს თავის სპეციალობას, თავის პროფესიულ ხელვნებას, კარგად ერკვევა საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მიღწევებში და შეუძლია პრაქტიკაში მათი სწორად გამოყენება, იყოს დამნაშავეობის წინააღმდეგ აქტიური პროფესიული მებრძოლი; ფლობდეს დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების სპეციალურ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, ხერხებსა და მეთოდებს, შეეძლოს ნებისმიერი შეხლა-შემოხლის, ლატენტური დანაშაულის გამოვლინება-აღკვეთა, მისი დროული გახსნა და თავიდან აცილება;

გ) **პატიოსნება, სიწმინდე და მოუსყიდველობა** უნდა იყოს იურისტის ყოველდღიური საქმიანობის თანმდევი, მისი განუყრელი თვისება, მაღალი კულტურა და ადამიანებისადმი პატივისცემა. ამასთან, ვინაიდან მისი ყოველდღიური საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანებთან, მათ ცხოვრებასა და ყოფაცხოვრებასთან, უნდა შეეძლოს მათთან სწორი კონტაქტის დამყარება, მათი ნდობისა და პატივისცემის მოპოვება;

დ) **იურისტი უნდა იყოს შეუვალი, პრინციპული და ობიექტური.** ნიშნავს იმას, რომ თავის რთულ პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობდეს კანონით და საკუთარი მრწამსით, არ მოექცეს ვისიმე ზეგავლენის ქვეშ და შეეძლოს თავის სამსახურებრივ საქმიანობაში შემოვალი ნებისმიერი საკითხის ობიექტურად გადაწყვეტა.

ე) **ჰქონდეს თავისი პროფესიისადმი სიყვარული და პატივისცემა,** ნიშნავს იმას, რომ იურისტი უნდა ამაყობდეს თავისი სპეციალობით, უფრთხილდებოდეს და პატივს სცემდეს მას, თავისი ყოველდღიური საქმიანობით, იჩენდეს მაღალ პრინციპულობას, იყოს შეურიგებელი მებრძოლი ყოველგვარი ხახის უსამართლობასა და ბოროტებასთან, იყოს სამართლიანობისა და კანონიერების ნამდვილი ჭეშმარიტი დამცველი.

ზემოთ აღნიშნული და სხვა დადებითი თვისებებით შემკულ იურისტს შეუძლია წარმატებით გაართვას თავი რთულ პროფესიულ საქმიანობას, იყოს ობიექტური შემფასებელი და მსაჯული

ჩვენი ცხოვრების ხანამდეილეში მომხდარი მახინჯი მოვლენებისა და მოიპოვოს ხალხის ჭდობა და სიყვარული.

§2. იურიდიული პროფესიის ორიენტაციის შერჩევა

სამართალმცოდნეობის სტუდენტის, როგორც მომავალი იურისტისა და სპეციალისტის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია იურიდიული პროფესიის შერჩევა და სწორი პროფესიული ორიენტაცია. ამიტომ დამწყებმა იურისტმა თავისი პირადი მონაცემებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, თავიდანვე უნდა განსაზღვროს, თუ იურიდიული საქმიანობიდან რომელი უფრო იტაცებს, რომელს უფრო დაძლევს და რომელი სპეციალობით უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის.

ცნობილია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და იურიდიული ინსტიტუტების ყველა კურსდამთავრებულს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სპეციალობით გაიგზავნა იგი სამუშაოდ, ყველას ეძლევა დიპლომი, რომელშიც იწერება, რომ მის მიმღებს მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. მაშინ, როცა იურიდიული საქმიანობა მრავალფეროვანია და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება კონკრეტული საქმიანობრივი ფუნქციებით, შინაარსითა და პროფესიული საქმიანობით.

მაშასადამე, იურისტის ამ ერთიანი პროფესიისაგან უნდა განვასხვავოთ კონკრეტული იურიდიული სპეციალობები, რომელთა მიხედვითაც ხდება მათი პრაქტიკული საქმიანობის დაყოფა. ჩემი აზრითა და ღრმა რწმენით, სწორედ ამ კონკრეტული სპეციალობის მიხედვით უნდა ხდებოდეს უმაღლეს იურიდიულ სასწავლებლებში სტუდენტთა პროფესიული ორიენტირება და იურიდიული ცოდნის გაღრმავება, რაც, სამწუხაროდ, იურიდიული კადრების მომზადების სისტემაში ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა დანერგილი.

მაღალკვალიფიციური იურიდიული კადრების მომზადების, მათ პროფესიული ორიენტირების, პროფესიული ჩვევების ჩამოყალიბების, კონკრეტული სპეციალობის მიხედვით იურიდიული ცოდნის გაღრმავებისათვის მარტოოდენ თეორიული კურსდამთავრებული სტუდენტების მიერ სადიპლომო თემების შერჩევა და ამის მიხედვით სახელმწიფო

გამოცდების ჩაბარება საკმარისი არაა. **საჭიროა პროფესიული ორიენტაციისა და ძირითადი სპეციალობების მიხედვით სტუდენტების შერჩევა-განაწილება დაიწყოს მეორე-მესამე კურსებიდან.** აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იურისტის პროფესიული ორიენტაციისა და სპეციალიზაციის ეს პროცესი ნაწილობრივ უკვე დაიწყო და, ვიმედოვნებ, რომ იგი თანდათანობით კიდევ უფრო დაიხვეწება.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ძირითად იურიდიულ სპეციალობებად ცალკეული კათედრების მიხედვით მიჩნეული იყო: სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სპეციალობა; სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სპეციალობა; ცივილისტური, ანუ სამოქალაქო სამართლის სპეციალობა; სისხლის სამართლის სპეციალობა; სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის, ანუ მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის სპეციალობა; საერთაშორისო სამართლის სპეციალობა და სხვ.

ამ კათედრებზე შემავალ მაპროფილებელ დისციპლინებში სტუდენტს შეეძლო თავის სადიპლომო თემად აერჩია კათედრის მიერ დამტკიცებული თემატიკიდან რომელიმე მათგანი და ამ საზომს გაერღმავებინა და აემაღლებინა თავისი თეორიულ-პროფესიული ცოდნა შერჩეული სპეციალობით. ამასთან, იგი უფლებამოსილი იყო სახელმწიფო გამოცდა ჩაებარებინა სამართლის იმ სპეციალობაში, რომელ ციკლსაც მიეკუთვნებოდა მის მიერ შერჩეული და დაცული სადიპლომო ნაშრომი.

მაგალითად, თუ კურსდამთავრებული სამოქალაქო სამართალს აბარებდა და მას სადიპლომო ნაშრომი დაცული ჰქონდა ცივილისტურ სამართალს მიკუთვნებულ რომელიმე დარგში: — სამოქალაქო სამართალში, საოჯახო სამართალში, სამეწარმეო სამართალში ან იმავე კათედრაზე შემავალ სხვა რომელიმე საგანში; ასევე, სისხლის სამართალსა, სისხლის სამართლის პროცესსა და კრიმინალისტიკას, ერთ საგნად გაერთიანებული სახით აბარებდა პირი, რომელსაც სადიპლომო ნაშრომი დაცული ჰქონდა კრიმინალური ციკლის სისტემაში შემავალ დისციპლინებში, კერძოდ, სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის პროცესში, კრიმინალისტიკაში ან საპროკურორო ზედამხედველობაში, სამართალდამცავი ორგანოების საგანში ან ამ ციკლს მიკუთვნებულ სხვა რომელიმე იურიდიულ დისციპლინაში.

§3. იურიდიული სამსახურის პერსონალური ორიენტაცია

იურიდიული სამსახურის პერსონალური ორიენტაცია, მისი სწორად შერჩევა და განსაზღვრა მნიშვნელოვანი მომენტია ახალგაზრდა მომავალი იურისტისა და სპეციალისტის ცხოვრებაში, იგი მოიცავს მისი, როგორც მომავალი სპეციალისტის მიერ თავისი პროფესიით მიზანდასახული საქმიანობის შერჩევის თავისი პირადი მისწრაფებებითა და ჩვევების გათვალისწინებით. **იურისტის პროფესიული პერსონალური ორიენტაცია გამოიხატება იმაში რომ ახალგაზრდა, მომავალმა სპეციალისტმა თავიდანვე სწორად შეარჩიოს თავისი პროფესიის შესაბამისი კონკრეტული სპეციალობა, შეეჩვიოს, შეითვისოს, შეიყვაროს და შეისისხლხორცოს თავისი მომავალი პროფესიული საქმიანობა მთელი თავისი სიძნელეებითა და სირთულეებით. სწავლისა და პრაქტიკის გაცნობის საფუძველზე შეარჩიოს თავისი სპეციალობა მომავალი იურიდიული სამსახურის თვალთახედვითაც, თავისი პირადი თვისებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.**

იურიდიული პროფესიის დაუფლებასა და მის სწორ პროფესიულ ორიენტაციაში სტუდენტს ხელს უწყობს იმ მაპროფილებელი იურიდიული დისციპლინების საფუძვლიანი შესწავლა, რომელსაც იგი ნაწილობრივ პირველი კურსიდანვე იწყებს. ასეთ იურიდიულ მაპროფილებელ დისციპლინებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება ზოგადსამართლებრივი თეორიებისა და სამართლის ცალკეული დარგების შემსწავლელი საგნები და სხვა იურიდიული დისციპლინები, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, საქართველოს პოლიტმოძღვრების ისტორია, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, საქართველოს სახელმწიფო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, სამოქალაქო სამართალი, ეკოლოგიური სამართალი, სისხლის სამართალი (ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილი), სამოქალაქო სამართალწარმოება, საფინანსო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, სისხლის სამართლის პროცესი, შრომის სამართალი, კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია, საერთაშორისო სამართალი, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, საოჯახო სამართალი, სამეწარმეო სამართალი და ზოგიერთ ამ მაპროფილებელ საგნებში შემოღებული სპეცკურსები.

იურიდიულ ფაკულტეტზე იკითხება აგრეთვე ისეთი ზოგადსაგანმანათლებლო და მომიჯნავე დისციპლინები, როგორიცაა: საქართველოს ისტორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორია, საქართველოს კულტურის ისტორია, მეტყველების კულტურა, რუსული ენა და სხვა უცხო ენები, სოციოლოგია, ლოგიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სამართლებრივი სტატისტიკა, რელიგიის ისტორია, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მუშაობის ორიენტაცია, საბუღალტრო აღრიცხვა, ეთიკა, პოლიტოლოგია, ეკონომიკური თეორიის საფუძვლები და სხვ.

მაპროფილებელ საგნებში ლექციებთან ერთად ან მის პარალელურად სტუდენტებს სისტემატურად უტარდებოდათ პრაქტიკულ-სემინარული და ლაბორატორიული მეცადინეობები, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტი შეიძუშავებდა პრაქტიკულ ჩვევებს და საფუძვლიანად ეუფლებოდა რთულ იურიდიულ მეცნიერებას.

ზემოთ დასახელებულ იურიდიულ დისციპლინებს სტუდენტი შეისწავლიდა და საფუძვლიანად ეუფლებოდა თანდათანობით შესაბამის კურსებზე სასწავლო გეგმის მიხედვით. ამიტომ აქ მხოლოდ ზოგადად შეეჩერდებით სამართლის ცალკეული დარგებისა და სხვა იურიდიული დისციპლინების ძირითადი დებულებების გადმოცემაზე, მაგრამ, სანამ ამ საგნების საერთო მიმოხილვას შეუდგებოდეთ, მანამდე საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ იმ ძირითადი ორგანოების ზოგად დახასიათებაზე, სადაც იურისტთა დიდ ნაწილს სამსახურებრივად უხდებათ თავიანთი პროფესიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. იურისტების პრაქტიკული დასაქმების ასეთ ძირითად ორგანოებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება სამართალდამცავი ორგანოები, აგრეთვე ის სახელმწიფო-დაწესებულებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სადაც არსებობს იურიდიული განყოფილებები ან სამმართველოები და იურისტის თანამდებობაზე მუშაობენ იურიდიული განათლებისა და პროფესიული ჩვევების მქონე პირები.

ამჟამად მოქმედი ორსაფეხურიანი სწავლების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ სწავლების პირველ საფეხურზე ბაკალავრიატში უნდა ისწავლებოდეს ყველა ძირითადი საგანი. სწავლების მეორე საფეხ

ურზე – მაგისტრატურაში კი სწავლება უნდა წარიმართოს უფრო ფართო, გაღრმავებული სახით სტუდენტის მიერ არჩეული სპეციალიზაციით, რა დროსაც გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს ლექციების პარალელურად სპეციალური ტესტებისა და კაზუსების განხილვას და ამ გზით მასში, როგორც სპეციალისტისათვის საჭირო აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

საკონტროლო კითხვები

1. ვინ არის თავისი პროფესიული საქმიანობით რას უწყობს ხელს?
2. რას ნიშნავს იურისტის პოლიტიკური სიმწიფე?
3. რას ნიშნავს იურისტის პროფესიული ოსტატობა?
4. რატომ უნდა ახასიათებდეს იურისტს პატიოსნება, სიწმინდე და მოსყიდვადობა?
5. რატომაა აუცილებელი, რომ იურისტი იყოს შეუვალი, პრინციპული, ობიექტური და ჰქონდეს სიფხიზლე და პატივისცემა თავისი პროფესიისადმი?
6. როგორ უნდა მოხდეს იურიდიული პროფესიის ორიენტაციის შერჩევა?
7. რა ძირითადი სპეციალობები იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ცალკეული კათედრების მიხედვით?
8. რაში გამოიხატება იურიდიული სამსახურის პროფესიული ორიენტაცია?
9. რა უწყობს ხელს სტუდენტს თავისი მაპროფესიონალებელი ორიენტაციის შერჩევაში?
10. რა ძირითადი საგნები აკითხებოდა თქვენ იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე?
11. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ჩვენ მიერ შემოთავაზებული სისტემა ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში მოსწავლე სტუდენტებისათვის პროფესიული ორიენტაციის შერჩევისა და სწავლების შესახებ?

თავი XI

სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ზოგადი დახასიათება

სამართალდამცავ ორგანოებს მიეკუთვნება: საერთო სასამართლოები, პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საფინანსო სამინისტრო ფინანსური პოლიციის დეპარტამენტის სახით; საარბიტრაჟო სასამართლო, უშიშროების სამინისტრო და ადვოკატურა. ეს ისეთი ორგანოებია, რომელთა შეშფოთებით სახელმწიფო ახდენს სამართალდაცვის განხორციელებას, მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების პრაქტიკაში სწორად გატარებას და მისი დამრღვევი პირების მიმართ იყენებს სამოქალაქო-ამართლებრივ, ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივი სასჯელის სხვადასხვა სახის იძულებით ღონისძიებებს ჩადენილი ქმედების საშიშროების ხარისხისა და მისი ჩამდენი პირისათვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინებით.

ქართული დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობისა და სასამართლო რეფორმის ფორმირების პროცესში ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპების დაცვის მექანიზმის განმტკიცების მიზნით, სამართალდამცავი ორგანოები რიცხვს მიემატა ავრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და სახალხო დამცველი.

§1. სასამართლო, როგორც დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთადერთი ორგანო

სასამართლო სამართალდამცავ ორგანოებს შორის არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანო, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ახორციელებს მართლმსაჯულებას, ერთი მოსამართლის ან რამდენიმე მოსამართლის მონაწილეობით, ე.წ. კოლეგიალური წესით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მოსამართლეები დამოუკიდებლები არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს და მათ საქმიანობაში ყოველგვარი ჩარევა დაუშვებე-

ლია. მოსამართლისა და სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობა უბრალო დეკლარაცია კი არა, არამედ იგი კანონითაა განმტკიცებული. უფრო მეტიც, საქართველოს მოსამართლის სტატუსის შესახებ არსებული კანონის თანახმად, კონკრეტული საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის დაბრკოლებისა და უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით მოსამართლეზე ზემოქმედება, რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პირის დამნაშავედ ცნობაც სასამართლოს წმინდა პრეროგატივაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა არც ერთ ორგანოსა და თანამდებობის პირს არა აქვს უფლება დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნოს პირი, თუ არა სასამართლომ, ისიც გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანით.

სასამართლო არის სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ის ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირი ცნოს დამნაშავედ და მის მიმართ გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. იგი ასევე უფლებამოსილია განიხილოს აგრეთვე სამოქალაქო სამართლის საქმეები და გამოიტანოს შესაბამისი სწორი, დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამასთან, სასამართლო განსჯადობის მიხედვით უფლებამოსილია განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, აგრეთვე წარდგინება, შუამდგომლობა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შემზღუდველი საპროცესო ძალმოსილების შესახებ და თვით სასამართლოში შეტანილი საჩივარი გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებაზე.

მაშასადამე, სასამართლო არის საბრთალდამცავი ორგანოების საქმიანობის დამაგვირგვინებელი ის ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ბრალეულობის ან არაბრალეულობაზე შესახებ და მისი დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, პირის მიმართ გამოიტანოს სწორი, დასაბუთებული, სამართლიანი განაჩენი და, ამასთან, დამნაშავის მიმართ გამოიყენოს კანონით დადგენილი სხვადასხვა სახის სასჯელი.

საერთო სასამართლოების სტრუქტურა ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით ასეთია: პირველი ინსტანციის სასამართლო, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოები და უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიეკუთვნება რაიონული და საქალაქო სასამართლოები კანონით დადგენილი განსჯადობის მიხედვით. ამასთან, ისინი განიხილავენ შუამდგომლობებს კანონით დადგენილი წესით საპროცესო, სამართლებრივი ძალების ღონისძიებათა გამოყენების, მათი ვადის გაგრძელებისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს.

რაც შეეხება სააპელაციო პალატას, იგი იხილავს რაიონული და საქალაქო სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენსა და სხვა შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, თუ მასზე შეტანილ იქნება სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებაზე ან სხვა შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარს კი იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განიხილავს აგრეთვე საჩივარს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე, განჩინებასა და სხვა შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

როგორც წესი, პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა ხდება ერთპიროვნულად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რაიონულ ან საქალაქო სასამართლოში საქმარისია მოსამართლეთა რაოდენობა და საქმე თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით მცირედ როულია, ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, მაგისტრი მოსამართლე უფლებამოსილია დაიდგინოს საქმის განხილვის ჩატარება კოლეგიალური წესით სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ იგი დარწმუნებულია, რომ მიცემული საქმის განხილვასა და გადაწყვეტას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის,

ან როცა საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით სასიათდება.

მაგისტრატი მოსამართლე ერთპიროვნულად იხილავს შუამდგომლობებს საპროცესო-სამართლებრივი ძალების ღონისძიებათა გამოყენებასა და კანონით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებათა შესახებ. ასევე, სააპელაციო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ერთპიროვნულად იხილავს საჩივრებს საპროცესო-სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ.

რაც შეეხება სააპელაციო და საკასაციო წესით სიხშირის სამართლის საქმის განხილვას, აქ მისი განხილვა ხდება კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება რაიონული ან საქალაქო სასამართლოს მიერ ისეთ დანაშაულებრივ ქმედებაზე გამოტანილი განაჩენი, რომლის ჩადენისათვის სიხშირის სამართლის კანონით გათვალისწინებული არაა თავისუფლების აღკვეთა. ასეთ დროს საჩივარი შეიძლება მიღებულ და განხილულ იქნეს სააპელაციო წესით, თუ მსჯავრდებული ითხოვს გამართლებას.

რაიონული და საქალაქო სასამართლოს განსჯადია მის ტერიტორიაზე ჩადენილი ყველა კატეგორიის დანაშაული, აგრეთვე შუამდგომლობები მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან და საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებების ჩატარებასა და ვადების გაგრძელებასთან დაკავშირებით. მათ კომპეტენციაში შედის ასევე იძულებითი სახის სამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული სასამართლო ბრძანების გაცემა და სხვ.

§2. პროკურატურა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი სამართალდამცავი ორგანო, მისი უფლებამოსილება

პროკურატურას, როგორც კანონიერების დაცვასა და კანონების ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე უმაღლეს ზედამხედველ ორგანოს, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში ვანსაკუთრებული ადგილი უკავია. თავისთან მრავალმხრივი საქმიანობით **პროკურატურის ორგანოები და თვით პროკურორები დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონსა და საქართველოს გენერალურ პროკურორს.**

აღსანიშნავია, რომ პროკურატურის ზედამხედველობის ფუნქცია კანონიერების ზუსტ და ერთგვაროვნად შესრულებაზე ამჟამინდელი კანონმდებლობით საკმაოდ შეზღუდულია. მას ასეთი ზედამხედველობის ფუნქცია შეეძლო მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობაზე, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდისას იძულებითი სასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებაზე, დაკავებასა და წინასწარი პატიმრობის ვადების დაცვის მხრივ და სხვ.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონის თანახმად, პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და წინასწარი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, სრული მოცულობით აწარმოებს წინასწარ გამოძიებას მის ქვემდებარე საქმეებზე, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, წარადგენს სამოქალაქო ხარჩელს და ასაჩივრებს უკანონო, დაუსაბუთებელ განაჩენს და სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროკურატურის მიერ გამოტანილი დასაბუთებული დადგენილების, მითითებებისა და მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების, თანამდებობის პირების, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

პროკურორის უფლებამოსილება კანონის შესაბამისად შეიძლება განხილულ იქნეს ორი მიმართულებით: წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმისწარმოებასთან დაკავშირებით. აქედან სსსკ-ის 56-ე მუხლის თანახმად, წინასწარ გამოძიებაში პროკურორი უფლებამოსილია:

ა) საქმის გამოძიება დაავალოს წინასწარი გამოძიების ორგანოს ან გამომძიებელს;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით;

გ) გამომძიებელსა და ქვემდგომ პროკურორს მისცეს სავალდებულო მითითებები;

დ) მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალები ან სისხლის სამართლის საქმე მთლიანად;

ე) მოითხოვოს ცნობები სისხლის სამართლის საქმის მოძრაობის, წინასწარი გამოძიების ვადებისა და დაპატიმრებული ბრალდებულის შესახებ;

ვ) გამოიტანოს დადგენილება ან მისცეს თანხმობა დადგენილების გამოტანაზე პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, წაუყენოს პირს ბრალდება და მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულის დაკითხვაში;

ზ) მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ბრალდებულისათვის ალკვეთის ღონისძიების შერჩევის, მისი ვადის გაგრძელების ან ალკვეთის ღონისძიების შეცვლის, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების მისაღებად;

თ) გააუქმოს გამომძიებლის, ქვემდგომი პროკურორის დადგენილებები;

ი) ჩამოართვას საქმე ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს;

კ) ჩამოაშოროს გამომძიებელი საქმის შემდგომ გამოძიებას;

ლ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან წინასწარი გამოძიება;

მ) დაუბრუნოს საქმე გამომძიებელს დამატებითი გამოძიებისათვის;

ნ) შეადგინოს საბრალდებო დასკვნა ან დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ და წარმართოს საქმე სასამართლოში;

ო) გადაწყვიტოს საჩივარი გამომძიებლის მოქმედებისა და დადგენილების გამო. სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში კი, სასამართლოს მისცეს შესაბამისი ახსნა-განმარტება;

პ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანას თაობაზე;

ჟ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღძრას შუამდგომლობა ბრალდებული ინკამდებობის პირის ჭრნების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ;

რ) განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

სსსკ-ის 57-ე მუხლის საფუძველზე პროკურორი ასევე მთელი რიგი უფლებამოსილებითაა აღჭურვილი სასამართლოში, კერძოდ:

1. პროკურორი სასამართლოში გამოდის სახელმწიფო ბრალმდებლის სახით და ასრულებს ბრალდების მტკიცების მოვალეობას;

2. თუ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები სასამართლო პროცესზე არ იქნება დადასტურებული, პროკურორმა დასაბუთებული უარი უნდა თქვას ბრალდებაზე;

3. პროკურორს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწერების, საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებისა და სხვა საკითხების განხილვაში;

4. პროკურორი ვალდებულია ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღოს პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვაში და დააყენოს შუამდგომლობა აცილების, მტკიცებულებათა წარდგენის და სხვ. და გამოთქვას თავისი აზრი სასამართლოში საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე.

5. პროკურორი, ასევე მონაწილეობს რა საკასაციო წესით საქმის განხილვაში, მხარს უჭერს საჩივარს ან გამოთქვამს აზრს იმ საკითხების შესახებ, რომლებიც სასამართლოში დაყენებულ იქნა სისხლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეების მიერ და სხვ.

§3. იუსტიციის სამინისტრო

იუსტიციის სამინისტრო, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართალდამცავი ორგანო, **აწარმოებს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატების შერჩევასა და წარდგენას, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციას; ახორციელებს სასამართლო ორგანოებისათვის ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მათი მუშაობისათვის სწორი, ნორმალური პირობების შესაქმნელად; აწარმოებს სასამართლო სტატის-**

ტიკას, ახდენს კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების კოდიფიკაციას, წყვეტს საქართველოს მოქალაქეობის მიღების საკითხს. ხელმძღვანელობს სასამართლოების კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, განაჩენის სააღსრულებო, ანუ აღმსრულებლობისა და საზოგადოებრივი მეურნეობის იურისტ კონსულტების საქმიანობას; სანოტარო და მმართ ორგანოებს, სასჯელაღსრულებით დეპარტამენტს და სხვ.

ზემოაღნიშნულის გარდა, იუსტიციის სამინისტროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმზე შეაქვს წინადადებები კანონმდებლობის გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით; იხილავს და ამზადებს კანონპროექტებს და შეაქვს იგი საქართველოს პარლამენტში განსახილველად; აწყობს მოსამართლეების კონფერენციებს; იხილავს მოქალაქეობის მინიჭების საკითხს; რეგისტრაციაში ატარებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და პარტიებს, აწარმოებს სამართლებრივ პროპაგანდას და ხელს უწყობს მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას და სხვ.

§4. საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტრო

სამართალდამცველი ორგანოების სისტემაში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართალდამცავ ორგანოს, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სახელმწიფოს შიგნით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლინება-აღკვეთა, დამნაშავეთა დაჭერა და დანაშაულის გახსნაში აქტიური დახმარების გაწევა პროკურატურისა და თვით შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ამასთან, იგი ხელმძღვანელობს თავის სისტემაში სამუშაო კადრების მომზადებასა და შერჩევას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. ხელმძღვანელობს აგრეთვე სახანძრო სამართალის სამძებრო ოპერატიულ სამსახურს, სახელმწიფო საპატრულო პოლიციას, სამეცნიერო-ტექნიკურ საექსპერტო და სხვა სამართალდამცავ დეპარტამენტების, სატრანსპორტო, სახანძრო დაცვის დეპარტამენტების საქმიანობას და სხვ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში

შედის აგრეთვე უმაღლესი სკოლა — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია და პოლიციის მოსამზადებელი კურსები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში მომუშავე პირებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და სხვ.

უშიშროების სამინისტრო, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართალდამცავი ორგანო, საქართველოს ინტერესების, საგარეოპოლიტიკური, საგარეო-ეკონომიკური, თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით აწარმოებდა სათანადო ინფორმაციის მიღებასა და საღაზვერვო საქმიანობას. ამასთან, იგი საქართველოს სახელმწიფო წყობილების, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის, კონსტიტუციური მონაპოვარისა და თავდაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, ეწეოდა კონტრსაზვერვო საქმიანობასა და ბრძოლას ტერორიზმთან და ორგანიზაციულ დანაშაულებასთან; აწარმოებდა საჭირო საინფორმაციო-პოლიტიკურ მუშაობას და სხვ.

საქართველოს უშიშროების სამინისტრო ხელმძღვანელობდა და აწარმოებდა აგრეთვე სახელმწიფო დანაშაულთა და სხვა საშიშ დანაშაულთა გამოძიებას იქ არსებული სავალდებულო დეპარტამენტის მეშვეობით.

უშიშროების სამინისტროს ჰქონდა აგრეთვე უმაღლესი სკოლა, რომელიც სამინისტროს ორგანოებისათვის ამზადებდა მაღალკვალიფიციურ კადრებს და ახდენდა თავისი კადრების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

უშიშროების სამინისტროს წარსულით მოვიხსენიებ იმიტომ, რომ ამჟამად იგი, როგორც დამოუკიდებელი სამინისტრო, აღარ არსებობს, იგი ფაქტიურად გაერთიანებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. მისგან დარჩა მხოლოდ ერთი შეტად ძლიერი და მნიშვნელოვანი „კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტი“.

სამართალდამცავ ორგანოებს მიეკუთვნება აგრეთვე ფინანსთა სამინისტროში არსებული ფინანსური პოლიცია, რომლის უმთავრესი მიზანია სხვადასხვა ფინანსური მაქინაციებით ჩადენილ ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლა — მათი გამოვლინება-აღკვეთა და თავიდან აცილება.

§5. საარბიტრაჟო სასამართლო

საარბიტრაჟო სასამართლო, როგორც სამართალდამცავი ორგანო, თავის სამართლებრივ საქმიანობას წარმართავს საჯელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცალკეულ დარგებში არსებული ეკონომიკური ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე სუბიექტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. ამასთან, არკვევდა წარმოება-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის წარმოქმნილი დავების მიზეზებს და იღებდა სათანადო ზომებს მათ აღმოსაფხვრელად და თავიდან ასაცილებლად.

საარბიტრაჟო სასამართლო თავის ძირითად საქმიანობას უმთავრესად წარმართავდა წარმოებების, დაწესებულებებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის არსებული ეკონომიკური ხასიათის სახელშეკრულებო ურთიერთობების ნიადაგზე აღმოცენებული დავების განხილვის სახით. აგრეთვე კანონიერების დარღვევების პროფილაქტიკისა და კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის სახით.

ამ მიზნით იგი ანალიზებდა ეკონომიკური ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული კანონების დარღვევების გამომწვევი მიზეზების შესახებ არსებულ მასალებს და მის საფუძველზე, მათი აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიზნით, სათანადო ორგანოებში შეიტანდა წარდგინებებით. ამასთან, ეწეოდა სამართლებრივ პროპაგანდას და სრულყოფდა საარბიტრაჟო სასამართლო პრაქტიკას.

ამ მეტად მნიშვნელოვანი სამართალდამცავი ორგანოს შესახებაც წარსულში იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ იგი, როგორც დამოუკიდებელი სასამართლო, ხელისუფლების ცალკე სამართალდამცავი ორგანო, ალარ არსებობს და მისი ფუნქციები შეითავსა საერთო სასამართლომ. მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად მისი აღდგენისა და ცალკე დამოუკიდებელი სახის სასამართლოდ ჩამოყალიბების შესახებ კვლავ მიმდინარეობს სერიოზული საუბარი თუნდ საქართველოს პრეზიდენტის დონეზე და, ვფიქრობთ იგი მალე რეალობად იქცევა.

§6. ადვოკატურა

ადვოკატურა, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სამართალდამცავ ორგანოებს მიეკუთვნება იმდენად, რამდენადაც მთელ თავის საქმიანობას წარმართავს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების გამოძიება-განხილვის დროს მოქალაქეებისა და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, მათი ინტერესებიდან გამომდინარე საჭირო მტკიცებულებების მოპოვების, სათანადო დოკუმენტების გამოთხოვის, სამართლებრივ საკითხებზე იურიდიული კონსულტაციების გაწევის და სხვადასხვა სახის საქმიანი ქაღალდების შედგენისა და გაცემის სახით და სხვ.

ადვოკატურის საქმიანობა ხასიათდება იმითაც, რომ იურიდიულ კონსულტაციებში გაერთიანებული ადვოკატები გარკვეულ იურიდიულ დახმარებას უწევენ მოქალაქეებს, წარმოება-დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითი კოლექტივებსა და კომერციულ გაერთიანებებს სამოქალაქო სამართლის საქმეების, სისხლის სამართლის საქმეებისა და ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევების საქმეების სამართალწარმოებაში და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლო რეფორმის გატარების შედეგად საგრძნობლად გაფართოვდა ადვოკატთა წრე, მათი სისტემა (შეიქმნა ადვოკატთა სპეციალური ფირმები და სხვ.), გაიზარდა მათი უფლებები სამართალწარმოებაში და სხვ.

მაგალითად, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის დანერგვამ გამოიწვია ის, რომ სისხლის სამართალწარმოებაში ადვოკატი ებმება ეჭვმიტანილის დაკავების მომენტიდან და, რომ ეჭვმიტანილს თავის დაკითხვამდე უფლება აქვს აირჩიოს და შეხვდეს თავის დამცველს მარტო რაიმე მეთვალყურეობის გარეშე „შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად“. და სხვ.

§7. საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი დახასიათება

ზემოთ განხილულ ტრადიციულ სამართალდამცავი ორგანოების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ აქვე რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდეთ იმ ახალი სახის სამართალდამცავი ორგანოების შესახებ, რომელთა აღმოცენება და განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს აღშენებლობასთან. ასეთი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის შექმნის აუცილებლობა საქართველოს ახალი კონსტიტუციით იქნა გათვალისწინებული და ამის შესაბამისად 1996 წლის 31 იანვარს მიღებულ იქნა კანონი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ". ცოტა უფრო მოგვიანებით იმავე წლის 21 მარტს მიღებულ იქნა კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ". სწორედ ეს კანონები დაედო საფუძვლად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნას.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა წევრისაგან. სამ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით; სამ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი; დანარჩენ სამ წევრს კი ნიშნავს პრეზიდენტი თავისი ბრძანებულებით. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ ცხრა წევრიდან ერთს ირჩევენ თავმჯდომარედ, ორს თავმჯდომარის მოადგილედ და ერთს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნად.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად შეიძლება არჩეული ან დანიშნული იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე 35 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის არჩევა ხდება ათი წლით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა კი ხუთი წლით.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. ამასთან, იგი სარგებლობს ხელშეუხებლობის იმუნიტეტით, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობის გარეშე. გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა მას წაასწრეს დანაშაულის ჩადენაზე. ამასთან, სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს პარალელურად იმუშაოს სხვა რომელიმე ანაზღაურებად

თანამდებობაზე, გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისა.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ქვემდებარეა განხილულ საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილება მთლიანად უნდა გამოქვეყნდეს გაზეთში.

საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ არსებული კანონის მე-19 მუხლის თანახმად, უფლებამოსილია კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე განიხილოს და გადაწყვიტოს ისეთი პრობლემატური საკითხები, როგორიცაა:

1. საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და აჭარის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი;

2. დავა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

3. მოქალაქეთა მიერ პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი;

4. დავა რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურად ცნობის შესახებ;

5. საქართველოს კონსტიტუციის მიერ თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი;

6. საერთაშორისო ხელშეკრულებების ან შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხი;

7. საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი;

8. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი.

§8. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ზოგადი დახასიათება

სახალხო დამცველს ირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით ხუთი წლის ვადით.

სახალხო დამცველი თავისი უფლებამოსილებით არის დამოუკიდებელი და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის საქმიანობაში ჩარევის უფლება არავის არა აქვს და მასზე ყოველგვარი ზემოქმედება კანონით დასჯადია. ამასთან, არავის არა აქვს უფლება, რომ იგი დააკავოს ან დააპატიმროს და მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მის მიმართ ასევე არ შეიძლება ჩატარდეს რაიმე იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედება — მისი ბინის, ავტომანქანის, სამუშაო ოთახის ჩხრეკა, დაკავება და დაპატიმრება, თუ მას არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენაზე.

სახალხო დამცველის დაკავების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობის საქართველოს პარლამენტს და, თუ პარლამენტი მის დაპატიმრებაზე არ მისცემს თანხმობას, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

სახალხო დამცველის დაკავების ან მის დაპატიმრებაზე ნებართვის მისაცემად საქართველოს პარლამენტს უნდა მიმართოს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა წერილობით და მასზე პასუხი პარლამენტმა უნდა აცნობოს მიმართვის მიღებიდან თოთხმეტი დღის განმავლობაში.

პარლამენტის მიერ თანხმობის მიუცემლობის შემთხვევაში სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს და გააგრძელოს თავისი საქმიანობა.

კანონმდებლობით დაცულია აგრეთვე სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გადაუცემლობის საკითხი საგამოძიებო ორგანოებისათვის, ანუ უფრო სწორად, მას უფლება აქვს დაკითხვის დროს არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტობრივი გარემოების შესახებ რაც მას გაანდვეს, როგორც სახალხო დამცველს.

ყოველივე ზემოალნიშნულის გარდა, კანონი იცავს როგორც პირადად მას, ისე მისი ოჯახის წევრებს და მისი დაცვის უზრუნველყოფა ევალება შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ამასთან, კანონი

მოითხოვს, რომ სახალხო დამცველს ჰქონდეს სრული შესაძლებლობა და შესაბამისი პირობები თავისი უფლებამოსილების შეუფერხებლივ განხორციელებისათვის.

სახალხო დამცველი არ შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ერთი განყენებული პიროვნება. ცხადია, კანონით მინიჭებულ ფართო უფლებამოსილებას იგი მარტო, დამოუკიდებლად ვერ შეასრულებს კარგად დაკომპლექტებული შესაბამისი აპარატის გარეშე, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი მოადგილე. აპარატის თანამშრომლები მოქმედებენ მისი რწმუნებითა და სახალხო დამცველის სამუშაო აპარატის დებულებით.

მართალია, სახალხო დამცველი ფართო უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, მაგრამ შეიძლება ბუნებრივად დაიბადოს კითხვა: ყოველივე ეს რა კავშირშია სამართალდამცავ ორგანოებთან და რატომ, რის საფუძველზე ვთვლით ამ ერთ პიროვნებას სამართალდამცავ ორგანოდ?

მოცემულ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძებოთ ისევ და ისევ სახალხო დამცველისათვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებაში, რომლითაც მთელი მისი საქმიანობა მიმართულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად. მისი ეს უფლება-მოვალეობა ძირითადად მიმართულია იქითკენ, რომ გამოავლინოს და აღკვეთოს ადამიანის უფლებებისა და მისი კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტები. ამ დიდი, კეთილშობილური მიზნის მისაღწევად იგი კანონით უფლებამოსილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აწარმოოს ზედამხედველობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე. აგრეთვე ცალკეული თანამდებობის პირების, ანუ გარკვეული უფლებამოსილებით აღჭურვილ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობაზე. გამოითხოვოს მათგან შესაბამისი საჭირო დოკუმენტები, გაანალიზოს და შეადაროს იგი მოქმედ კანონმდებლობას და გამოვლენილი დარღვევების აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად მიიღოს შესაბამისი ღონისძიებები. ნებისმიერი თანამდებობის პირისაგან მიიღოს საჭირო ახსნა-განმარტება; დაუბრკოლებლივ შეუძლია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ დაწესებულებაში, საწარმოსა და ორგანიზაციაში, მათ შორის სამხედრო ქვედანაყოფებ-

ში, წინასწარი პატიმრობისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში; სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში ჩატარების საგუშაგრტო გამოკვლევები და მოამზადის შესაბამისი დასკვნები; გაეცნოს კანონიერ ძალაში შესულ სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ სახალხო დამცველი და მისი აპარატი თავისით უფლებამოსილებით არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართალდამცავი ორგანო.

§9. სახელმწიფოს სხვა მაკონტროლებელ და ადმინისტრაციულ ორგანოებში იურისტთა საქმიანობის ზოგიერთი სპეციფიკურობა

ზემოთ განხილული სამართალდამცავი ორგანოების გარდა, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვითი ხასიათის საქმიანობას ეწევა აგრეთვე სახელმწიფოს სხვა ზოგიერთი ორგანო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. კერძოდ, საქართველოს კონტროლის პალატა და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები, არასრულწლოვანთა კომისიები, საგადასახადო ინსპექცია და სხვ., რომელთა საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, არსსა და მნიშვნელობას, მათ სტრუქტურას, ორგანიზაციას, უფლება-მოვალეობებსა და კავშირს სამართალდამცავ ორგანოებთან და ამ უკანასკნელთა ჩწორ. მართებულ ურთიერთკავშირს სახელმწიფოს სხვა ორგანოებთან და მათ რიომული საქმიანობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესის დაჩქარების საქმეში.

მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ გაიზარდა მაკონტროლებელი ორგანოების რაოდენობა, რაც, მთელ რიგ შემთხვევებში უარყოფით გავლენას ახდენს ასეთ კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციების საქმიანობაზე.

რაც შეეხება იურიდიულ სამსახურებრივ სპეციალობებს, სა-უშაო პროფილისა და თანამდებობის მიხედვით, ისი მრავალმხრივია. აქედან აღსანიშნავია: მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, მოშკვლევი პირი, ადვოკატი, პრეტენზიონისტი, ნოტარიუსი, იურისკონსულტი, არბიტრი, ექსპერტ-კრიმინალისტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების კოლონიებსა და სხვა ორგანოებში მომუშავე იურისტები; იუსტიციის სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს ორგანოებში მომუშავე იურისტები; საერთაშორისო სამართლის სპეციალობით მომუშავე იურისტები; საგარეო ვაჭრობის პალატებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროებში, საბაჟოებისა და კონტროლის დეპარტამენტებსა და სახელმწიფოს სხვა აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ბანკებში და სხვა გაერთიანებებსა და ასოციაციებში სხვადასხვა თანამდებობებზე მომუშავე იურისტები; აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში სამართლის ცალკეული დარგების სპეციალობებით მომუშავე მეცნიერი იურისტები და სხვ.

იურიდიული პროფესიის ასეთი სპეციალიზაცია კანონიერების დაცვის საუკეთესო გარანტიაა, რადგან ფართო პროფილის მქონე იურისტი, თუნდ ყოველდღიურ საქმიანობაში, კონკრეტული სპეციალობის მიხედვით აღრმავებს თავის ცოდნას და იმაღლებს კვალიფიკაციას და ასეთი პროფესიონალური და კომპეტენტური პირის მიერ პრაქტიკული შეცდომებიც ნაკლებმოსალოდნელია. ამიტომ ყოველად გაუმართლებელია ჯერ კიდევ ფართოდ შემორჩენილი მავნე პრაქტიკა კადრების არასწორი შერჩევა-განაწილებისა, პრაქტიკა, როცა ასეთ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომლებისთვისაც აუცილებელია იურიდიული განათლება, ნიშნავენ არაკომპეტენტურ, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების არმქონე პირებს.

კომუნისტური რეჟიმიდან გადმოყოლილი ეს მახინჯი პრაქტიკა, სამწუხაროდ, კიდევ უფრო ფართოდ დაინერგა დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა სამართალდამცავ ორგანოებში.

მაგალითად, ყოველად გაუმართლებელია, როცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების სისტემის რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ რგოლებში ზოგჯერ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ნიშნავენ არა პროფესიონალ იურისტებს, არამედ სულ სხვა შეუსაბამო დარგის დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირებს. კერძოდ, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ინჟინრებს, ხელოვნების მუშაკებს, ოპერმცოდნეებს, მუსიკოსებს, ისტორიკოსებს, რეჟისორებსა და სხვა პროფილის

მქონე ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს და სხვ. ზოგჯერ კი მომავალი დარგების სპეციალობით მოსწავლე ახალგაზრდებს და სხვ.

ისევე, როგორც პოლიკლინიკას ან საავადმყოფოს მთავარი ექიმის ან სამკურნალო დარგში მისი მოადგილის, ან თერაპიული, ქირურგიული ან სხვა განყოფილების გამგის თანამდებობა ექიმის გარდა არ შეიძლება დაიკავოს სხვა დარგის სპეციალისტმა, ასევე როგორც მკურნალი ექიმი-გინეკოლოგი, პედიატრი, ქირურგი და სხვ. არ შეიძლება შეიცვალოს სხვა დარგის სპეციალისტით – ზოოტექნიკოსით, აგრონომით, თერაპევტით, რეფისორითა და ხელოვნების სხვა რომელიმე დარგის სპეციალობის მქონე პირით, ასევე არ შეიძლება შეიცვალოს იურისტი სხვა რომელიმე დარგის სპეციალობის მქონე პირით, რადგან ისევე როგორც ექიმი დგას ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე, ასევე იურისტიც თავისი პროფესიული ცოდნითა და მოწოდებით უნდა იდგეს ადამიანთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის სადარაჯოზე და, საერთოდ, იცავდეს კანონიერების დაცვა-განმტკიცებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებში არაპროფესიონალური, არაკომპეტენტური პირების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნა გარკვეულწილად ხელს უწყობს ჩვენს ისედაც მძიმე კრიმინოგენალურ საზოგადოებაში დამნაშავეობის განუხრელ ზრდას, ჩადენილ დანაშაულთა გაუხსნელობასა და დამნაშავეთა დაუსჯელობას. ამასთან, იგი ხელს შეუწყობს სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკაში სერიოზული და ზოგჯერ გამოუსწორებელი შეცდომების აღმოცენებას. პრაქტიკიდან ამგვარი შეცდომების აღმოფხვრას კი ხელს უშლის არა მარტო სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელ თანამდებობებზე არაკვალიფიციური, არაკომპეტენტური პირების დანიშვნა, არამედ ისიც, რომ ურთიერთშემოწმებისა და კონტროლის თვალთახედვით ტარდება გაუმართლებელი მრავალმხრივი ოპერაციები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი შედარებით უკეთესადაა მოწესრიგებული სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში. მაგალითად, რაიონული ან საქალაქო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის წესით განხილულ საქმეზე გამოტანილი განაჩენი შეიძლება გასაჩივრებულ და განხილულ იქნეს სააპელაციო სასამართლოში კანონით

დადგენილი წესით. კანონიერ ძალაში შესული განაჩენი კი სებისძიერ ვადის შეიძლება გადაისინჯოს ზედამხედველობის წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, რაც შეეხება საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე ან მის მიერ გამოტანილ სხვა გადაწყვეტილებაზე, საკასაციო საჩივარს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

საკონტროლო კითხვები

1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სტრუქტურაში არსებული ორგანოებიდან რომელი მიეკუთვნება სამართალდამცავ ორგანოებს?

2. რა თავისებურებებით ხასიათდება საერთო სასამართლო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი სამართალდამცავი ორგანო?

3. როგორია საერთო სასამართლოების სტრუქტურა?

4. რომელი სასამართლო მიეკუთვნება პირველი ინსტანციის სასამართლოს?

5. როგორ და რა წესით ხდება პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვა?

6. როგორ და რა წესით ხდება სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა?

7. როგორ ხდება საკასაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა?

8. რა ფუნქციები აკისრია პროკურატურას?

9. პროკურატურა აწარმოებს თუ არა სისხლისსამართლებრივ დევნასა და წინასწარ გამოძიებაზე ზედამხედველობას?

10. პროკურატურას რომელ ორგანოებზე აქვს ზედამხედველობის ფუნქცია?

11. რა უფლებამოსილება გააჩნია პროკურატურას წინასწარ გამოძიებაში?

12. რა ძირითად ფუნქციებს ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო?

13. როგორია შსს სტრუქტურა?

14. რით ხასიათდება და რა ფუნქციები აქვს უშიშროების სამინისტროს?

15. რა მიზნები და ამოცანები დგას უშიშროების სამინისტროს წინაშე და როგორია მისი სტრუქტურა?

16. რა არის საარბიტრაჟო სასამართლო და რა ადგილი უკავია მას სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში?

17. რა არის ადვოკატურა და რა ფუნქციები აკისრია ადვოკატს?

18. როდის ხდება ადვოკატის ჩაბმა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში?

19. რა რიგის და ფუნქციები აკისრია ადვოკატს წინასწარი გამოძიების პროცესში?

20. როგორია ადვოკატურის სტუქტურა?

21. რა როლი ეკუთვნის ამ სამართალდამცავ ორგანოებს იურისტების მაპროფილებელი სპეციალობების ჩამოყალიბებასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაში?

22. რა არის საკონსტიტუციო სასამართლო და როგორია მისი შემადგენლობა?

23. რა ძირითად საკითხებს იხილავს საკონსტიტუციო სასამართლო?

24. რა უფლებამოსილება გააჩნია სახალხო დამცველს?

25. რატომ და რის საფუძველზეა სახალხო დამცველი სამართალდამცავ ორგანოდ მიჩნეული?

თავი XII

იურისტის ძირითადი პროფესიული საქმიანობის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება და უფლებამოსილება

იურიდიული ინსტიტუტებისა და იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობას, ძირითადად, ეწევიან ზემოთ განხილულ სამართალდამცავ ორგანოებში და დაკავებული თანამდებობის მიხედვით თავიანთ პროფესიონალურ საქმიანობას წარმართავენ სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლინება-აღკვეთის; მათზე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და გამოძიების ჩატარების; საექსპერტო-კრიმინალისტიკური გამოკვლევის; მართლმსაჯულების განხორციელების; კანონიერების სწორად და ერთგვაროვან გატარებაზე ზედამხედველობის, საკანონმდებლო ნორმატიული აქტების სისტემატიზაციის; კანონპროექტების მომზადება-შემუშავების; სასამართლო-სამოძიებო პრაქტიკის განზოგადების მიმართებით და სხვ.

ამასთან, იურისტის პროფესიონალურ საქმიანობაში უკეთ გარკვევის მიზნით, საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ და ზოგადად განვიხილოთ ზოგიერთ თანამდებობებზე მომუშავე იურისტების სამსახურებრივი საქმიანობა, მათი უფლება-მოვალეობები და ძირითადი მიმართულებები.

§1. გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკის საქმიანობის ზოგადი დახასიათება

გამომძიებელი, როგორც იურისტი და სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტი და მოხელე თანამდებობის პირი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით აღჭურვილია მთელი რიგი უფლება-მოვალეობებით. კერძოდ, იგი უფლებამოსილია დანაშაულის ნიშნების გამოვლინების შემთხვევაში მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე დაწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა და

წინასწარი გამოძიება თავისი კომპეტენციის ფარგლებში. წინასწარი გამოძიების დროს გამოსაძიებელ საქმეზე ყველა გადაწყვეტილებას გამომძიებელი იღებს დამოუკიდებლად, აგებს საგამოძიებო ვერსიებს და ახდენს მათ შემოწმებას; თავისი შეხედულებისამებრ ატარებს ისეთ საგამოძიებო მოქმედებას, რომლებზეც საჭირო არაა მოსამართლის ბრძანება ან პროკურორის თანხმობა. ამასთან იგი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ობიექტურად და გამოაყალიბოს როგორც ბრალდებულის მამხილებელი გარემოებები და მტკიცებულებები ისე მისი გამამართლებელი გარემოებები და მტკიცებულებები, მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები. ამასთან, გამომძიებელი ვალდებულია შეასრულოს პროკურორის წერილობითი მითითებები. იმ შემთხვევაში, როცა გამომძიებელი არ იზიარებს პროკურორის ისეთ მითითებებს, რომლებიც ეხება ბრალდების მოცულობას, ჩაღენილი ქმედების კვალიფიკაციას, საგამოძიებო ვერსიებსა და მათი ჩატარების შედეგებს, პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, ან მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების შემზღუდველ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას, მას უფლება აქვს საქმე და თავისი დასაბუთებული მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილება სავალდებულოა ყველა იმ პირისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის, ვის მიმართაცაა იგი გამოტანილი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59 ე მუხლის თანახმად, გამომძიებელი უფლებამოსილია: ჩატაროს კანონით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება და კანონით დადგენილ შემთხვევაში გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება; კანონით დადგენილი წესით გამოიყენოს სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებები; პირს წარუდგინოს დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ; შინაგან საქმეთა და ყოფანასთა სამინისტროების შესაბამის ორგანოებს მისცეს წერილობითი მითითებები დაკავებულთა და დაპატიმრებულთა

გამოძიების ადგილას მიყვანის შესახებ; თავის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს მისცეს წერილობითი დავალება; საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს რევიზიის, ინვენტარიზაციის საუწყებო შემოწმების ჩატარება და გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა; მოითხოვოს საქმეში თარჯიმნის, სპეციალისტის, ამოსაცნობი პირის მონაწილეობა; გამოიტანოს დადგენილება პირის დაჭარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ და განუმარტოს მათი უფლება-მოვალეობები. უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა კანონით დადგენილი წესით და შეუქმნას მას ამისათვის სათანადო პირობები; შეასრულოს მის ჩატარებაში დამცველის მონაწილეობა; გაათავისუფლოს არაფრისმქონე პირები იურიდიული დახმარებისათვის სათანადო ღირებულების გადახდისაგან; გადაწყვიტოს პროცესის მონაწილეთა აცილების შესახებ შუამდგომლობისა და განცხადებაში აღძრული საკითხი და ამასთან დაკავშირებით თავისი განმარტებები წარუდგინოს პროკურორს; გამომძიებლის მოქმედების ან დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საჩივარი და საქმის მასალები პროკურორს ან სასამართლოს; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეწყვიტოს საქმისწარმოება; გაასაჩიროს პროკურორის მითითება ზემდგომ პროკურორთან.

ზემოაღნიშნულ უფლებებთან ერთად წინასწარი გამოძიების წარმოების პროცესში, გამომძიებელს, როგორც იურისტს, აქვს მთელი რიგი მოვალეობებიც. კერძოდ, იგი ვალდებულია უზრუნველყოს ბრალდებულის დაცვის უფლება და სამართალწარმოებაში მონაწილე პირების მიერ სამართალწარმოების ენის არცოდნის შემთხვევაში უზრუნველყოს ისინი თარჯიმნით. საჭიროების შემთხვევაში ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად იგი ვალდებულია მიიწვიოს აგრეთვე სპეციალისტი და დამსწრე პირები.

წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე პატრონ-პატრონია, მართალია, თვითონ გამომძიებელია, მაგრამ მას ამ მიმართებით გარკვეულ კონტროლს უწევს მისივე საგამოძიებო განყოფილების უფროსი. კერძოდ, ამ უკანასკნელის მიერ მასზე ასეთი კონტროლი გამოიხატება იმაში, რომ საპროცესო კანონმდებლობით იგი

უფლებამოსილია კონტროლი გაუწიოს გამომძიებლებს იმ მოქმედებათა დროულად ჩატარებაზე, რომლებიც დანაშაულის გამომჟღავნებისა და აცილებისაკენაა მიმართული და მიიღოს სათანადო ზომები, რათა საქმეზე ობიექტურად და სრულყოფილად იქნეს ჩატარებული წინასწარი გამოძიება. საჭიროების შემთხვევაში მას უფლება აქვს აგრეთვე გამოსაძიებელი საქმე ჩამოართვას გამომძიებელს და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა გამომძიებელს ან მისი გამოძიება დაავალოს რამდენიმე გამომძიებელს. მას უფლება აქვს პირადად აწარმოოს საქმეზე წინასწარი გამოძიება გამომძიებლის უფლებამოსილებით და სხვ.

შსს რაიონულ და საქალაქო პოლიციის სამმართველოებთან არსებულ საგამოძიებო განყოფილებასა და საგამოძიებო დეპარტამენტზე და თვით უშუალოდ გამომძიებელზე გარკვეული სახით კონტროლის განხორციელების უფლება აქვს თვითონ ამ სამმართველოს უფროსსაც.

ზემოაღნიშნულ პროცესუალურ უფლებამოსილებათა განხორციელებისას გამომძიებელი მუდამ თავის საქმიანობას წარმართავს შემეცნებითად კანონებზე დაყრდნობით წარსულში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტის აღდგენის, მისი ჩადენის მთელი მექანიზმის წარმოსახვისა და მის ირგვლივ არსებულ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად გამოკვლევასთან მიმართებაში. ამ მიზნით იგი ეძებს, კრებს, იკვლევს და აანალიზებს მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტის ამხსნელ მტკიცებულებებს.

მაგალითად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი უცნობი ადამიანის გვამის ან მისი რომელიმე ნაწილების აღმოჩენის შემთხვევაში გამომძიებლის უპირველესი ამოცანაა დაადგინოს დაზარალებულის ვინაობა, მისი სიკვდილის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, მისი ჩადენის ადგილი, დრო, მისი ჩამდენი პირი, მასში მონაწილე პირები და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის საჭირო სხვა მთელი რიგი გარემოებები, რა დროსაც იგი ავლენს და იკვლევს შემთხვევის ადგილზე არსებულ ლატენტურ კვლებს, ნეგატიურ გარემოებებს და სხვ.

მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტის დადგენისა და საქმის სრული, ყოველმხრივი გახსნისათვის გამომძიებელი იყენებს ლოგიკური აზროვნების კანონებს — ინდუქციურ და დედუქციურ მეთოდებს, აგებს საგამოძიებო ვერსიებს და ახდენს მათ სრულ, ყოველმხრივ შემოწმებას საპროცესო კანონმდებლობით რეკომენდებული საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებით, რა დროსაც იგი იყენებს კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილებისათვის საჭირო სპეციალურ საშეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდებს.

მაშასადამე, გამომძიებლის, როგორც თანამდებობის პირისა და იურისტის მთელი მიზანდასახული, შრომატევადი საქმიანობა მიმართულია მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის სწორი, სრული გახსნისაკენ. ამასთან, იგი ცდილობს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დაამთავროს წინასწარი გამოძიება და საქმე დროულად წარმართოს სასამართლოში განსახილველად. იგი არის პირველი პირი, რომელიც გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეს ამზადებს სასამართლოში გასაგზავნად და იმაზე, თუ რამდენად სწორად და სრულყოფილადაა გამოძიებული სისხლის სამართლის საქმე, ბევრადაა დამოკიდებული სასამართლოს მიერ მასზე სამართლიანი განაჩენის დადგენა. საქმეზე მაღალხარისხოვნად ჩატარებული წინასწარი გამოძიება, მასზე სწორი, დასაბუთებული განაჩენის გამოტანის ერთ-ერთი საუკეთესო წინაპირობაა.

დაკვირვებასთან ერთად გამომძიებელს უნდა შეეძლოს გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით ნახული და მოსმენილი ფაქტების სწრაფად, სწორი გაანალიზება, გამოკვლეული უმნიშვნელოვანესი კვლების წარმოქმნის მექანიზმის ახსნა, მათი პროცესუალური დამაგრება და მტკიცებულებათა შეკრება.

ყველა ის მოთხოვნა, რაც იურისტს წარედგინება (პოლიტიკური სიმწიფე, პრინციპულობა, ობიექტურობა, პროფესიული ოსტატობა, ხალხთან მუშაობის უნარი, დაკვირვება, საქმეზე შეკრებილი მასალის ანალიზი, თავისი პროფესიისადმი სიყვარული და სხვ.), აუცილებლად უნდა ახასიათებდეს გამომძიებელს, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცესუალურ თანამდებობის პირს, იგი, როგორც იურისტი, თავისი პროფესიის შესაბამისად უნდა იყოს ყოველმხრივ განათლებული და მოძზადებული.

გამომძიებელი საჭიროა განსაკუთრებით სრულყოფილად ფლობდეს კრიმინალისტიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს, მეცნიერებისა, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს აიარაღებს დამნაშავეობასთან ბრძოლის ბასრი იარაღით – დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით, ტაქტიკური ხერხებითა და დანაშაულთა გახსნის მეთოდებით.

ოპერატიული მუშაკი არის გარკვეული უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი თანამდებობის პირი, რომელსაც ევალება ჩაატაროს საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისა და მისი ჩამდენი პირების დადგენის მიზნით. ამასთან, ევალება მიიღოს ყველა ღონისძიება დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის.

ოპერატიული მუშაკის საქმიანობის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით თავს იჩენს ისეთი რთული სისხლის სამართლის დანაშაულთა გახსნაში, როგორიცაა: მკვლელობა, ყაჩაღური თავდასხმები, ქურდობა, გაუპატიურება, ძარცვა და სხვ.

ამ თანამდებობაზე მოძრავე იურისტებს თავიანთი პროფესიული ცოდნის გარდა, უნდა ახასიათებდეს მამაცობა, კარგი ფიზიკური მომზადება, სწრაფი აზროვნება, აღქმული ფაქტების გაანალიზება და ყოველი კონკრეტული რთული სიტუაციიდან თავის დაღწევისათვის საჭირო ხერხებისა და მეთოდების სწორად შერჩევა-გამოყენების უნარი.

§2. სამოსამართლო საქმიანობის ზოგადი დახასიათება

მოსამართლე უნდა იყოს მტკიცე, შეუვალი, პრინციპული და მაღალი მორალური თვისებებით დაჯილდოებული, იურიდიული ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი, მოქმედი კანონებით შეიარაღებული, კანონებისა და სწორი, სამართლიანი სასამართლო პრაქტიკის კარგი მცოდნე, მისი შემოქმედებითად გამომყენებელი და მართლმსაჯულების განმახორციელებელ-დამაგვირგვინებელი.

საჭიროა მოსამართლე სრულყოფილად ფლობდეს არა მარტო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ცალკეულ ნორმებს, არამედ იგი ასევე კარგად უნდა ერკვეოდეს სამართლის ამ დარგების მომიჯნავე ისეთ სამართლის პრობლემებში, როგორიცაა:

სამოქალაქო სამართალი, საოჯახო სამართალი, შრომის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საფინანსო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი და სხვა. რადგან პირველი ინსტანციით მოსამართლე რაიონული სასამართლის მოსამართლეს მთელ რიგ შემთხვევებში ერთპიროვნულად უხდება არა მარტო სისხლის სამართლის, არამედ სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეების განხილვაც.

ყოველივე ამასთან ერთად, მოსამართლემ უნდა იცოდეს კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკის საკითხები, საფუძვლიანად ერკვეოდეს სასამართლო ფსიქოლოგიისა და სასამართლო ექსპერტიზის საკითხებში, შეეძლოს ლოგიკური აზროვნების კანონების გამოყენება, იყოს მტკიცე და ჰქონდეს მორალური უფლება სხვისი ბედის გადაწყვეტისა.

მოსამართლე იურისტს საქმის განმხილავ სასამართლოს შემადგენლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რაიონის (ქალაქის) სასამართლოებსა და საოლქო სასამართლოში პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვის დროს მოსამართლე ხელმძღვანელობს (თავმჯდომარეობს) სასამართლოს შემადგენლობას, რა დროსაც იგი არა მარტო მართლმსაჯულებას ახორციელებს, არამედ გარკვეულწილად ათწლეულის კიდეც იმას, თუ რამდენად სწორად, სრულყოფილად და ხარისხიანადაა საქმე მომზადებული განსახილველად, სრულყოფილადაა თუ არა მასზე წინასწარი გამოძიება ჩატარებული. თუ საქმის განმხილავი სასამართლო მიხვა იმ დასკვნამდე, რომ განსახილველი საქმე სრულყოფილად არაა გამოძიებული ან გამოძიების პროცესში დარღვეულია საპროცესო კანონების მოთხოვნა, პროკურორის მოთხოვნით საქმე შეიძლება დაბრუნებულ იქნეს დამატებით გამოძიებაში, რაც წინასწარი გამოძიების ჩატარების დაბალ ხარისხზე მიუთითებს. სწორედ ამიტომაც ვამბობთ, რომ სასამართლო იმავე დროს ერთგვარი შემფასებელიცაა იმისა, თუ განსახილველ საქმეზე რამდენად ხარისხიანადაა ჩატარებული წინასწარი გამოძიება და რამდენად სრულყოფილადაა იგი მომზადებული სასამართლოში განსახილველად.

საქართველოში საერთო სასამართლო არის ერთადერთი ორგანო, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას, რომლის დროსაც მოსამართლე ერთპიროვნულად ან კოლეგიალურად იხილავს სისხლისა და

სამოქალაქო სამართლის საქმეებს. რაიონული და ზოგჯერ ქალაქის სასამართლოს მოსამართლე პირველი ინსტანციით სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვას ერთპიროვნულად.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს და მასზე ყოველგვარი ზემოქმედება დაუშვებელია და ისჯება კანონით. საერთო სასამართლო არის ერთადერთი ორგანო, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახორციელებს მართლმსაჯულებას, მხოლოდ ისაა უფლებამოსილი განსაჯოს პირის მიმართ გამოიტანოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი და ცნოს იგი დამნაშავედ ან უდანაშაულოდ. თავის ამ რიგით და კეთილშობილ საქმიანობას იგი ახორციელებს კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ **სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი სოციალური წარმოშობა, ქონებრივი მდგომარეობა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილება, სქესი, სქესობრივი ორიენტაცია, განათლება, ენა, რელიგიისადმი დამოკიდებულება, საცხოვრებელი ადგილი და სხვა გარემოებები.**

სასამართლო მართლმსაჯულებას ახორციელებს ღიად, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში საქმეების განხილვას მხარეებისა და მასში მონაწილე პირების გარდა, შეუძლია დაესწროს ავრეთვე ყველა სრულწლოვანი პირი, ნებისმიერი მოქალაქე, აქედან გამონაკლისია დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, სასამართლოში საქმეების დახურული განხილვა დასაშვებია სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით იმ პირთა დანაშაულის საქმეებზე, რომლებსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებიათ, სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე და ავრეთვე სხვა საქმეებზე იმ მიზნით, რომ გახმაურებულ არ იქნეს საჭირო მონაწილე პირთა ცხოვრების ინტიმური მხარე, ან თუ იგი ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს.

კანონის თანახმად, საქართველოში მოსამართლეები და მსაჯულები სასამართლოში თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებ

ის დროს არ შეიძლება მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან დაპატიმრებულნი მათი დამნიშნავი ან ამრჩევი ორგანოს თანხმობის გარეშე. ასევე არ შეიძლება მოსამართლის დაკავება, იძულებით მიყვანა ან ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიების გამოყენება სასამართლოში მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს.

მოსამართლის ასეთი ხელშეუხებლობის მიუხედავად, კანონი მაინც არ გამორიცხავს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაძლებლობას და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის.

მაშასადამე, იურისტი მოსამართლე არის საკმაოდ დიდი უფლებამოვალეობებით აღჭურვილი თანამდებობის პირი, რომლის მეშვეობითა და ხელმძღვანელობით საქართველოში ხორციელდება მართლმსაჯულება და სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილება, გადაწყვეტილება, განაჩენი ან განჩინება შესასრულებლად სავალდებულოა ყველა იმ პირის მიერ (მათი თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედავად), რომელთა მიმართაც იყო იგი გამოტანილი.

§3. პროკურორის საქმიანობის ზოგადი დახასიათება

პროკურორი, როგორც იურისტი და საპასუხისმგებლო თანამდებობის პირი, მოწოდებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აწარმოოს სისხლისსამართლებრივი დევნა, წინასწარი გამოძიების პროცესუალური ხელმძღვანელობა, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვაში სახელმწიფო ბრალმდებლის სახელით გამოსვლა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებსა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობა კანონიერების სწორად და ერთგვაროვან გატარებაზე.

პროკურორის ცნებაში იგულისხმება საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილეები, დეპარტამენტებისა და განყოფილებების პროკურორები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები და მათი მოადგილეები, მათივე განყოფილებების პროკურორები, საქართველოს რესპუბლიკისა და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების რაიონისა და ქალაქის

პროკურორები, საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორები, საქართველოს ცალკეული რაიონებისა და ქალაქების პროკურორები და მათი მოადგილეები.

პროკურორის უფლებამოსილება პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობის შესახებ რეგლამენტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, რომლის თანახმად, **პროკურორი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში წინასწარი გამოძიების ორგანოებისაგან შესამოწმებლად მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმეები, დოკუმენტები, მასალები და სხვა ცნობები ჩადენილი დანაშაულის, წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისა და დანაშაულის ჩამდენი პირების დადგენის შესახებ.**

ამასთან პროკურორს ეკრძალება შეამოწმოს ამ ორგანოების მიერ კანონის მოთხოვნათა შესრულება დანაშაულის ჩადენის ან მზადების თაობაზე განცხადებათა და შეტყობინებათა მიღების, რეგისტრაციისა და საკითხის გადაწყვეტის შესახებ. მას უფლება აქვს გააუქმოს გამომძიებლის უკანონო და დაუსაბუთებელი დადგენილებები; მისცეს წერილობითი მითითებები დანაშაულის გამოძიების, აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლის ან გაუქმების, დასაშაულის კვალიფიკაციის, ცალკეული საგამოძიებო მოქმედებათა შესრულებისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა ძებნის შესახებ; დაავალოს ოპერატიული სამსახურის მუშაკებს და ამ ორგანოების ხელმძღვანელებს პირის დაკავების, მოყვანის, დანაშაულის ჩამდენი პირების ძებნის გამოცხადების შესახებ გამოტანილი დადგენილების აღსრულება და საქმეზე სხვა სახის ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარება. აგრეთვე მისცეს მითითებები პროკურორის ან პროკურატურის გამომძიებლის წარმოებაში არსებულ საქმეებზე გასწინასა და მისი ჩამდენი პირების აღმოსაჩენად; მიიღოს მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში და საჭირო შემთხვევაში პირადად ჩაატაროს საქმეზე ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები ან მთლიანად პირადად აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება; დაუბრუნოს სისხლის სამართლის საქმე ოვისი მითითებებით წინასწარი გამოძიების ორგანოების დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად;

პროკურორი უფლებამოსილია გამომძიებელს ჩაჰყარათვას ნებისმიერი საქმე, ამოიღოს და გადასცეს სხვა გამომძიებელს, ან საქმე

წინასწარი გამოძიების ერთ ორგანოდან გადასცეს მეორეს, ან ერთ გამომძიებელს ჩამოართვას და გადასცეს მეორეს დანაშაულის უფრო სრული და ობიექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად; საქმის გამოძიებას ჩამოაცილოს გამომძიებელი, თუ მან დაარღვია კანონის მოთხოვნები გამოძიების დროს; შეწყვიტოს ან შეაჩეროს სისხლის სამართლის საქმისწარმოება; მისცეს თანხმობა გამომძიებელს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტაზე; დაამტკიცოს საბრალდებო დასკვნა და ქვემდებარეობისაებრ წარმართოს სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში განსახილველად ან დაუბრუნოს იგი გამომძიებელს მასში მითითებული ცვლილებების შესატანად, ან თვითონ დაიტოვოს საქმე და შეადგინოს საბრალდებო დასკვნა.

ასევე საპროცესო კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული პროკურორის უფლება-მოვალეობები სასამართლოში პირველი და მეორე ინსტანციით სისხლის სამართლის საქმეების განხილვაში, აგრეთვე სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინების ან დადგენილების კანონიერების გადასინჯვა-განხილვასთან მიმართებაში, ახლად გამოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებების გამო და სხვ.

საქართველოს სსსკ-ის 57-ე მუხლის თანახმად, პროკურორი სასამართლოში გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალდებული, მას ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა. იგი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ბრალდება, მაგრამ მისი ასეთი უარი უნდა იყოს დასაბუთებული. იგი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაში. მას უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, წარადგინოს მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვაში, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწერებისა და საქმის დამატებითი გამოძიების დაბრუნების საკითხის განხილვაში. პირველი ინსტანციისა და სააპელაციო წარმოების სტადიებზე პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგარო ბრალდების ყველა საქმის განხილვაში და ყველა საკითხთან დაკავშირებით გამოთქვას თავისი მოსაზრებები. რაც შეეხება პროკურორის მონაწილეობას საკასა-

ცით წარმოების სტადიაზე, აქ იგი მხარს უჭერს თავის საჩივარს ან გამოსაქვამს აზრს იმ საჩივრების შესახებ, რომლებიც შეტანილი აქვთ სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს.

აქვე კვლავ უნდა აღვნიშნოთ იმის შესახებ, რომ პროკურორი ეხორჩილება მხოლოდ კანონს, საქართველოს გენერალურ პროკურორს და არც ერთ სხვა რომელიმე თანამდებობის პირს. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ **პროკურორი თავის მაღალმორალურ თვისებებთან ერთად უნდა იყოს იურიდიული პროფესიული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით აღჭურვილი, პატიოსანი, მტკიცე ნებისყოფისა და შეუპოვარი მებრძოლი კანონიერების დაცვა-განმტკიცებისა და დანაშაულთა სწრაფი, სრული გახსნისათვის; იყოს ბრწყინვალე ნიმუში თავისი მაღალი სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისა და სხვებისათვის მაგალითის მიმცემი; შეეძლოს ხალხის მასების მობილიზება, მათი დარაზმვა დამნაშავეობის წინააღმდეგ და ყოველგვარი შენიღბული სახის დანაშაულთა გამოვლინება-აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის.**

§4. ექსპერტი, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე

ექსპერტი არის სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელიც უფლებამოსილია გამომძიებლის მიერ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე თავისი მეცნიერული, ტექნიკური ან სხვა სპეციალური ცოდნის გამოყენებით ჩაატაროს ექსპერტიზა და მისცეს დასკვნა მის წინაშე გაღასაწყვეტად დასმულ კითხვებზე.

ექსპერტი შეიძლება იყოს როგორც იურისტი, ისე მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენელი, კერძოდ: ექიმი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ბიოლოგი, ქიმიკოსი, ეკონომისტი, საქონელმცოდნე და სხვა. ამისდა მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას, ფსიქიატრიულ ექსპერტიზას, საბუღალტრო ექსპერტიზას, სასაქონლო ექსპერტიზას, კრიმინალისტიკურ ექსპერტიზას, ბიოლოგიურ ექსპერტიზას, ქიმიურ ექსპერტიზას და სხვ.

ჩვენთ აღნიშნული ექსპერტიზის სახეებიდან კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩამტარებელი ყოველთვის იურისტი უნდა იყოს და თანაც

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარებაში დახელოვნებული და კვალიფიცირებული სპეციალისტი. ერთმანეთისაგან განასხვავებენ კრიმინალისტიკური ექსპერტიზის შემდეგ სახეებს: ფოტოექსპერტიზის ტრასოლოგიურ ექსპერტიზას, ბალისტიკურ ექსპერტიზას, დოკუმენტების კრიმინალისტიკურ ექსპერტიზასა და გარეგანი ნიშნების მიხედვით პიროვნების დადგენის მიზნით ჩატარებულ კრიმინალისტიკურ ექსპერტიზას.

თავის მხრივ, ტრასოლოგიური ექსპერტიზა შეიძლება იყოს ხელის კვალის, ანუ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, ფეხის კვალის ექსპერტიზა, გატეხვის იარაღების კვალის ექსპერტიზა, სატრანსპორტო საშუალებათა კვალის ექსპერტიზა; ბალისტიკური ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს ცეცხლსასროლი იარაღის ვარგისიანობის დადგენის, გასროლილი ტყვიისა და გაცლილი მასრის მიხედვით ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიკაციის,[1] სროლის მანძილის, ადგილისა და მიმართულების დადგენის, ცეცხლსასროლი იარაღიდან სასხლეტზე ხელის დაჭერის გარეშე გასროლის შესაძლებლობის საკითხის გასარკვევად და სხვ. დოკუმენტების კრიმინალისტიკური ექსპერტიზა შეიძლება იყოს ხელნაწერებისა და ხელმოწერების გამოკვლევის ექსპერტიზა, ანუ გრაფიკული სახის ექსპერტიზა, დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზა, კერძოდ: საბეჭდ მანქანაზე შესრულებული ტექსტების გამოკვლევის ექსპერტიზა: შტამპების, ბეჭდის ან ქიმიური ნივთიერების გამოყენებით დოკუმენტებში ცვლილებათა შეტანის (გაყალბების) შესახებ დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა; უჩინარი მელნით შესრულებული ტექსტების გამოკვლევისა და დამწვარი დოკუმენტების ტექსტის აღდგენის მიზნით ჩატარებული დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა და სხვ.

ექსპერტიზის დანიშვნის უფლებით აღჭურვილია მხოლოდ გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და პროცესის მონაწილე მხარე ეგრეთ წოდებული ალტერნატიული ექსპერტიზის დანიშნად. სხვა არც ერთი თანამდებობის პირს არა აქვს უფლება დანიშნოს ექსპერტიზა.

---

[1] აღნტიფიკაცია (იდენტიფიცო) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გაიგივებას, იგივეობის დადგენას.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეკომენდებულია, რომ სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო ფსიქიატრიული, სასამართლო-საბუღალტრო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზა ჩატარდეს სათანადო დაწესებულებაში მომუშავე ექსპერტების მიერ. გამონაკლის შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილი ექსპერტიზების ჩატარება შეიძლება დაევალოს სხვა პირებსაც. მაშასადამე, კანონით ნებადართულია ექსპერტიზის ჩატარება საექსპერტო დაწესებულების გარეთ.

თუ საქმის გამოძიებისას, გამოძიებელს საჭიროდ ცნობს ექსპერტიზის ჩატარებას, მაშინ მან ამის შესახებ უნდა გამოიტანოს დადგენილება, რომელშიც აღნიშნავს ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველს, მიუთითებს ექსპერტის გვარს, ან იმ დაწესებულების სახელწოდებას, სადაც ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს. ჩამოაყალიბებს ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული კითხვები და მათთან ერთად მიუთითებს, გამოსაკვლევად გადაგზავნილი საგნებისა და დოკუმენტების ნუსხა.

საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე ექსპერტი თავისი სახელით აკეთებს დასკვნას და მის ავკარგიანობაზე ოვითონაა პასუხისმგებელი. საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება დაევალოს რამდენიმე ექსპერტს.

იმ შემთხვევაში, როცა საქმეზე ექსპერტიზის ჩატარება ევალება რამდენიმე ექსპერტს (კომისიური ექსპერტიზა), მათ დასკვნის მიცემამდე ურთიერთშორის უნდა მოითათბირონ, და თუ ისინი შეთანხმდებიან საერთო დასკვნის მიცემაზე მას ხელი უნდა მოაწეროს ყველა ექსპერტმა. ხოლო, თუ ექსპერტები ურთიერთში ვერ შეთანხმდებიან, მაშინ თითოეულმა ექსპერტმა ცალკე უნდა შეადგინოს თავისი დასკვნა და მას პირადად მოაწეროს ხელი.

ექსპერტიზის ჩასატარებლად გამოძახებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს ექსპერტიზის დამნიშნავ პირთან, ჩაატაროს ექსპერტიზა და მისცეს ობიექტური დასკვნა მისთვის გადასაწყვეტად დასმულ კითხვებზე. თუ ექსპერტი უარს იტყვის თავისი მოვალეობის შესრულებაზე არასაპატიო მიზეზით, ან თავს აარიდებს გამოცხადების ან შეგნებულად მისცემს არასწორ დასკვნას, იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კანონით დადგენილი წესით.

ექსპერტს უფლება აქვს: გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის იმ

მასალებს, რაც დაკავშირებულია ექსპერტიზის საგანთან; აღძრას ექსპერტიზის დანიშნავი ორგანოს ან პირის წინაშე შუამდგომლობა მისთვის საჭირო დასკვნების მისაცემად დამატებითი მასალების გადაცემის შესახებ; გამოძიებელის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვით დაესწროს დაკითხვას და სხვა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარებას და დასაკითხ პირებს მისცეს შეკითხვები ექსპერტიზის საგნის ირგვლივ. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზისათვის წარდგენილი მასალები საკმარისი არაა ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმულ კითხვებზე დასკვნის მისაცემად ან თუ ექსპერტს ამისათვის არა აქვს სათანადო ცოდნა, მაშინ მას უარის უფლება თქვას დასკვნის მიცემაზე.

ექსპერტის მიერ მიცემული წერილობითი დასკვნა უნდა ემყარებოდეს ჩატარებულ საექსპერტო გამოკვლევას და შეესაბამებოდეს მის სპეციალურ ცოდნას. ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულ უნდა იქნეს თუ სად, როდის, ვის და რის საფუძველზე ჩაატარა ექსპერტიზა, რა კითხვები იყო დასმული ექსპერტის წინაშე, საჭიროდ ხომ არ ჩათვალა ექსპერტმა დამატებითი კითხვების დასმა და მასზე პასუხის გაცემა, ვინ ესწრებოდა და ვის მონაწილეობდა ექსპერტიზის ჩატარებაში, რა მასალები და კვლევის რა მეთოდები გამოიყენა ექსპერტმა ექსპერტიზის ჩასატარებლად და რა გამოკვლევა აწარმოა.

ექსპერტმა თავის დასკვნაში დასაბუთებული პასუხი უნდა გასცეს დასმულ კითხვებზე. ექსპერტიზის დასკვნა წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობითი სახით და დადასტურებული ექსპერტის ხელმოწერით.

§5. ადვოკატი სისხლის სამართალწარმოებაში, მისი უფლებამოსილების ზოგადი დახასიათება

ადვოკატი არის საზოგადოებრივ ან კერძო იურიდიულ კონსულტაციებში მომუშავე იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფლებამოსილია სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების სამართალწარმოებისას დაიცვას მოხარჯლის, მოპასუხის, დაზარალებულის, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის სახით დაკავებული პირის ან ბრალდებულისა და განსასჯელის კანონიერი უფლებები და ინტერესები.

ზემოაღნიშნულის გარდა ადვოკატს, როგორც მაღალკვალიფიცი-

ურ სპეციალისტს. უფლება აქვს მოქალაქეებს გაუწიოს იურიდიული დახმარება და მათთვის საჭირო საკითხებზე ზეპირად ან წერილობით მისცეს სათანადო იურიდიული კონსულტაცია, დაეხმაროს მათ წერილობით დოკუმენტების შედგენაში ან საქმეზე მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების გამოთხოვაში. ამასთან, იგი, როგორც პროფესიონალი იურისტი მოწოდებულია დაიცვას სამართლებრივი უროიერობის სუბიექტების ინტერესები და თავისი ყოველდღიური საქმიანობით ხელი შეუწყოს მოქალაქეთა სამართლებრივ აღზრდასა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ადვოკატი თავისი პროფესიულ და სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებულია ადვოკატურასთან. კერძოდ, იურიდიულ კონსულტაციებთან, ადვოკატთა კოლეგიებთან და ადვოკატურის სხვა ორგანოებთან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, დამცველად შეიძლება დაშვებულ იქნეს უცხოელი ადვოკატებიც.

კანონით **დაცვა შეიძლება განხორციელდეს სამი ფორმით: შეთანხმებით, დანიშვნითა და იძულებით.** დაცვის შეთანხმებით ადგილი აქვს მაშინ, როცა ეჭვმიტანილი, ბრალდებული, ან მათი ნათესავი, ან სხვა პირი უთანხმდება დამცველს და დებს მასთან ხელშეკრულებას. დანიშვნით დაცვას კი აწარმოებს პროცესის მწარმოებელი ორგანო. იძულებით დაცვასაც ახდენს პროცესის მწარმოებელი ორგანო.

ადვოკატი თავისი დაცვითი ფუნქციების განხორციელებისას უფლებამოსილია თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად გამოიყენოს კანონით რეგლამენტირებული ყველა ხერხი და საშუალება, რათა გამოარკვიოს გარემოებები, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან განსასჯელს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას და, ყოველივე ამით, ხელი შეუწყოს განსახილველ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. ამასთან, მას უფლება აქვს თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს აღმოუჩინოს მისთვის საჭირო სხვა სახის იურიდიული დახმარებაც.

სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში მონაწილეობის უფლების მომენტიდან ადვოკატს, ანუ დამცველს უფლება აქვს შეხვედეს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, გაეცნოს საქმის მთელ მასალას და ამოიწეროს საქმიდან საჭირო ცნობები; წარადგინოს მტკიცებულებები; გამომძიებლის ან სასამართლოს წინაშე აღძრას შუამდგომლობები; მონაწილეობა მიიღოს საქმის სასამართლოში განხილვისას; მისცეს ახსნა-განმარტება სასამართლოს ათვმჯდომარეს ან საქმის განხილვაში მონაწილე პროკურორს, ან სასამართლოს მოქმედებასა და გადაწყვეტილებაზე; დაისწროს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაკითხვას და იმ სხვა საგამოძიებო მოქმედებებს, რომლებიც ტარდება პირადად თავისი ან მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის შუამდგომლობით.

თეორიულად შესაძლებელია და კანონით აკრძალული არაა ერთი და იგივე პირი ერთდროულად, ერთსა და იმავე საქმეზე ერთზე მეტი განსასჯელის დამცველი იყოს, თუკი მათი ინტერესები ერთიმეორეს არ ეწინააღმდეგება.

ადვოკატს უფლება არა აქვს უარი თქვას ბრალდებულის დაცვაზე მას შემდეგ, რაც მან იგი იკისრა. მას არ აქვს უფლება გაახმაუროს ცნობები, რომელიც მას მიაწოდეს დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით, მას ასევე უფლება არა აქვს იმოქმედოს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ინტერესების საზიანოდ.

ზემოთ აღნიშნული უფლება-მოვალეობების გარდა დამცველის, ანუ ადვოკატის უფლებამოვალეობები ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლში, რომლის თანახმად მას უფლება აქვს:

1) დაცვისათვის გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი;

2) იცოდეს ეჭვისა და ბრალდების არსი;

3) დაუბრკოლებლივ შეხვდეს კანონით დადგენილი წესით, დასაცავ პირს მარტო რაიმე მეთვალყურეობის გარეშე შეხვედრის, რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად;

4) მონაწილეობა მიიღოს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის თანდასწრებით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში და დაუსვას შეკითხვები დასაკითხ პირს, მოითხოვოს იმ მოსაცემების ოქმში შეტანა, რომლებიც უარყოფს ბრალდების ან ამსუბუქებს მისი დაცვის ქვეშ

მეორე პირის პასუხისმგებლობას;

5) მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულისათვის ბრალდების წაყენებასა და მის დაკითხვაში;

6) შეკრიბოს დაცვისათვის საჭირო მონაცემები და წარუდგინოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს;

7) მოითხოვოს დაცვისათვის აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება;

8) განაცხადოს აცილება;

9) აღძრას შუამდგომლობა;

10) გაეცნოს ექსპერტიზის მიერ მიცემულ აზსნა-განმარტებას, მის ჩვენებას, მის ექსპერტიზად ცნობის შესახებ გამოტანილ დადგენილებას, დაკავების ოქმს და ამოიწეროს საჭირო მონაცემები დასაცავი პირის ინტერესებისათვის;

11) გაეცნოს დადგენილებებსა და ოქმებს დაკავებისა და დაპატიმრების შესახებ, აგრეთვე ყველა იმ საგამოძიებო მოქმედების ოქმს, რომლის ჩატარებაშიც მონაწილეობდა თვითონ დამცველი ან მისი დასაცავი პირი. ასევე საქმის იმ მასალებს, რომლებიც აღასტურებენ დაკავებისა და დაპატიმრების საჭიროებას, დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და მასზე მიღებულ ექსპერტიზის დასკვნას.

12) გაასაჩივროს პროკურორთან გამომძიებლის მოქმედება. საჭიროების შემთხვევაში კი, გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედება გაასაჩივროს იმ რაიონულ სასამართლოში, სადაც წარმოება გამოძიება;

13) გამოვიდეს სასამართლოში გამომძიებლის ან პროკურორის აქტებთან დაკავშირების შეტანილი საჩივრების განხილვის დროს;

14) საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გავზავნის შემდეგ გაეცნოს საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს;

15) იცოდეს მისი შუამდგომლობით საპროცესო მოქმედების ჩატარებისა და სასამართლო სხდომის გამართვის დრო და ადგილი;

16) მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში საქმის განხილვის ყველა სტადიაზე და დაიცვას განსასჯელის უფლებები;

17) მიიღოს ბრალდებული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილი დადგენილების, საბრალდებო დასკვნის, განაჩენის, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გამოტანილი განჩინების (დადგენილების) ასლები. აგრეთვე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების განაჩენისა და განჩინების ასლები, მიუხედავად იმისა, რომ ეს ასლები გადაეცა თვითონ ბრალდებულს ან განსასჯელს, ან მსჯავრდებულს;

18) გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლოს გადაწყვეტილებები;

19) სასამართლოსა და ბრალდების მხარის მოქმედებებზე გამოთქვას თავისი საწინააღმდეგო მოსაზრებები და მოითხოვოს მისი შეტანა სასამართლო სხდომის ოქმში;

20) მიიღოს მცოდნე პირისა წერილობითი მოსაზრებები და გამოიყენოს ისინი შუამდგომლობისა და საჩივრის .....

21) პირისთვის ბრალდების წაყენებისა და პირველი დაკითხვის შემდეგ გაეცნოს საქმის ყველა მასალას;

22) განახორციელოს სსსკ-ით გათვალისწინებული სხვა უფლებები;

23) თუ ბრალდებული თანამდებობის პირია, რეკტორი ან ქართული სამყაროს წევრია, და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, ასეთ შემთხვევაში დამცველს ეძლევა უფლება დაცვა განახორციელოს ბრალდებულის დაკითხვის გარეშე.

სასამართლო ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით, საქმის მასალები გააცნოს განსასჯელსა და მის დამცველს. ამასთან, დამცველი მონაწილეობს მტკიცებულებების გამოკვლევაში, გამოთქვამს თავის მოსაზრებებს სასამართლოში საქმის განხილვის დროს წამოჭრილ საკითხებზე და მოახსენებს სასამართლოს დაცვის მოსაზრებებს ბრალდების არსზე, განსასჯელის გამამართლებელ ან მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე, სისხლის სამართლის იმ კანონზე, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ სასჯელის ზომაზე და დანაშაულის სამოქალაქო-სამართლებრივ შედეგებზე. ამასთან, მას უფლება აქვს გამოძიებისა და სასამართლოს წინაშე აღძრას შუამდგომლობა ყველა საკითხზე, რაც საქმის ირგვლივ წამოიჭრება.

ამ შემთხვევაში, როცა სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწ-

იღეობის მისაღებად დანიშნულ დღეს განსასჯელის ინტერესების დამცველი რაიმე საპატიო მიზეზით არ გამოცხადდება და სასამართლოს სხდომაზე მისი შეცვლა შეუძლებელია, საქმის განხილვა გადადება არა უმეტეს ათი დღისა. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული დამცველის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ განსასჯელის თანხმობით. თუ დამცველი ათი დღის ვადაში არ გამოცხადდა, მაშინ სასამართლო სთავაზობს განსასჯელს მოიწვიოს სხვა დამცველი. ამ წინადადებაზე უარის თქმის ან დადგენილ ვადაში დამცველის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დამცველი გამოძახებულ იქნება დანიშვნით.

საქმის სასამართლოში განხილვის დროს წარმოებულ სასამართლო კამათში დამცველი იღებს რა აქტიურ მონაწილეობას, უფლება აქვს სასამართლოს წარუდგინოს ისეთი ახალი მტკიცებულებანი, რომლებიც სასამართლო გამოძიების განხილვის საგნად არ ყოფილა. ამასთან, ახალი მტკიცებულების წარდგენის აუცილებლობის შემთხვევაში, დამცველს უფლება აქვს იშუამდგომლოს სასამართლო გამოძიების განახლების შესახებ.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს წარმოებულ კამათში მონაწილე სხვა პირებთან ერთად საქმეში მონაწილე დამცველს უფლება აქვს კიდევ ერთხელ გამოვიდეს რეპლიკით მის მიერ ადრე წარმოთქმულ სიტყვის გამო. აღსანიშნავია, რომ კამათში მონაწილე სხვა პირებისგან განსხვავებით, განსასჯელის ან სხვა პირთა ინტერესების დამცველი სარგებლობს უკანასკნელი რეპლიკის უფლებით.

ადვოკატის, როგორც იურისტის პროფესიულ-სამსახურებრივი საქმიანობა მარტოოდენ დაცვის უფლებების განხორციელებით არ ამოიწურება. იგი თავისი პროფესიული საქმიანობით დიდ დახმარებას უწევს მოსახლეობას მათთვის საჭირო იურიდიულ საკითხებზე კონსულტაციების გაწევით, მათთვის საჭირო დოკუმენტების გამოთხოვასა და მტკიცებების შეკრებაში. ამიტომ, ვფიქრობ, უკვე დადგა დრო დიდ და მატერიალურად მომძლავრებულ ოჯახებს – დიდ ბიზნესმენებს ჰყავდეთ თავიანთი ადვოკატები, შემდეგში კი მატერიალურად უზრუნველყოფილ ყველა ოჯახს, აუცილებელია თავიანთი საგარეო-საფინანსო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაგვარებლად ოჯახის ადვოკატები ჰყავდეთ.

§6. იურისტების საქმიანობა სამართალდამცავ და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში

სამართალდამცავ ორგანოებში იურისტები მუშაობენ აგრეთვე საერთო სახის ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა უმრავლესობა ყველა იურისტია, კერძოდ, მინისტრი და მისი მოადგილეები, მინისტრის თანაშემწე, დეპარტამენტებისა და განყოფილებების უფროსები და მათი მოადგილეები, ინსპექტორები, კოდიფიკატორები და სხვ.

ამავე სამინისტროს სისტემაში შედიან აგრეთვე ისეთი მოსამსახურე სპეციალისტები, როგორიცაა: ნოტარიუსი, აღმასრულებელი, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს ხელმძღვანელები, იურიდიული კონსულტაციის გამგეები და ადვოკატთა პრეზიდიუმების თავმჯდომარეები, არქივარიუსები და სხვ.

ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, მინისტრი და მისი მოადგილეები, მინისტრის თანაშემწე და განყოფილების უფროსები და მათი მოადგილეები, ინსპექტორები და სხვა, უნდა იყვნენ იურისტები.

ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი და მათი თანაშემწეები და კონსულტანტები აუცილებლად უნდა იყვნენ იურისტები. სახალხო დამცველი და მისი მოადგილე, მისი აპარატის უფროსი და მოადგილე და სხვ. მიზანშეწონილია იყოს იურისტი.

იურისტებს, თავიანთი პროფესიის შესაბამისად, პასუხსაგები თანამდებობა უკავიათ აგრეთვე სახელმწიფოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. კერძოდ, იურიდიული განყოფილების უფროსი, მისი მოადგილე და ოქმისმწარმოებელი იურისკონსულტი აუცილებლად იურისტი უნდა იყოს.

ასევე, სასურველია, რომ ყველა წარმოება-დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის კადრების განყოფილების უფროსები და მათი ინსპექტორები იურისტები იყვნენ. იურისტები უნდა იყვნენ აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობაში და სხვ.

იურიდიული განათლების მქონე პირებს, თავიანთი პროფესიის შესაბამისად, ასევე გარკვეული საპასუხისმგებლო თანამდებობები

ეკუთვნით აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სახელმწიფო აპარატის მართვის პოლიტიკურ სისტემაში.

საკონტროლო კითხვები

1. სად, რომელ ძირითად ორგანოებში ხდება იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული დასაქმება?

2. რა თავისებურებებით ხასიათდება ოპერატიული მუშაკის სამსახურებრივი საქმიანობა?

3. რა უფლებამოსილება გააჩნია გამომძიებელს?

4. რა კავშირია გამომძიებელსა და ოპერატიულ მუშაკს შორის?

5. ძირითადად რა მიზანს ემსახურება გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკის საქმიანობა?

6. ვინ შეიძლება იყოს გამომძიებელი და რა თვისებებით უნდა ხასიათდებოდეს იგი?

7. რა საზის საქმიანობას ანხორციელებს მოსამართლე და რა ძირითადი ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს იგი?

8. რა უფლებამოსილება გააჩნია მოსამართლეს და როგორ, რა სახითა და ფორმით ანხორციელებს იგი მასზე სამსახურებრივად დაკისრებულ მოვალეობას?

9. რა უფლებამოსილება გააჩნია პროკურორს?

10. ვის წინაშეა პასუხისმგებელი პროკურორი და მოსამართლე?

11. სამსახურებრივად რა უფლებამოსილება გააჩნია პროკურორს გამომძიებლის მიმართებაში?

12. როგორ, რა სახით და რა სტატუსით მონაწილეობს პროკურორი სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს?

13. იურიდიულ განათლებასთან ერთად, რა პირადი თვისებები უნდა ახასიათებდეს პროკურორს?

14. ვინ შეიძლება იყოს ექსპერტი?

15. რა უფლებამოსილება გააჩნია ექსპერტს?

16. ვინაა უფლებამოსილი დანიშნოს ექსპერტიზა?

17. რა განსხვავებაა სასამართლო ექსპერტიზასა და კრიმინალისტიკურ ექსპერტიზის ცნებებს შორის?

18. რა სახით შეიძლება ჩაბოყალიბდეს და წარდგენილ იქნეს ექსპერტიზის დასკვნა?

19. ვინ შეიძლება იყოს ადვოკატი?

20. რა სახის პროცესუალური უფლებამოსილება გააჩნია ადვოკატს წინასწარი გამოძიებისა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის დროს?

21. რა სახითა და ფორმით შეიძლება განხორციელდეს დაცვის ფუნქცია?

22. რიდის, გამოძიების რა ეტაპზე შეიძლება ადვოკატის ჩაბმა წინასწარი გამოძიების პროცესში?

23. უცხოელმა ადვოკატმა შეიძლება თუ არა აწარმოოს საქართველოში ჩვენი მოქალაქეების დაცვა?

24. ერთსა და იმავე პირს შეიძლება თუ არა ჰყავდეს ორი ან მეტი დამცველი?

25. სამართალდამცავი ორგანოების გარდა კიდევ სად, რომელ ორგანოებში შეიძლება იურისტების დასაქმება?

თავი XIII

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ციკლის სისტემაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იურიდიულ მეცნიერებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან იგი შეისწავლის ისეთ საზოგადოებრივ მოვლენებსა და მათ განვითარებას, როგორიცაა სახელმწიფო და სამართალი. იურიდიული მეცნიერების კვლევის მთავარი ქვაკუთხედი სწორედ ეს საზოგადოებრივი მოვლენებია მთელი თავისი განშტოებებით.

დადგენილია, რომ **იურიდიული მეცნიერება თავისი ფართო გაგებით** არის საზოგადოებრივი მეცნიერების ის მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც აწარმოებს სახელმწიფოსა და სამართლის აღმოცენების, მათი განვითარების, თანამედროვეობის, რეალიზმის, მათი დაცვა-განმტკიცებისა და საქმიანობის ეფექტიანი სრულყოფა-გაუმჯობესების გლობალური პრობლემების მეცნიერულ კვლევა ძიებასა და შესწავლა დაბეშავების. **ვიწრო გაგებით** კი, იგი იკვლევს და შეისწავლის ამ მოვლენებზე აღმოცენებულ სამართლის ცალკეული დარგებისა და იურიდიული დისციპლინების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე პრობლემებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლის ცალკეული ტრადიციული დარგების ძირითადი დებულებების გადმოცემამდე და სხვა იურიდიული დისციპლინების კვლევის საკითხების ზოგად დახასიათებამდე, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, შევჩერდეთ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კვლევის საგანზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე, სახელმწიფო და სამართლის წარმოშობის, განვითარებისა და მათი თანამედროვე მდგომარეობის ზოგადთეორიულ დებულებებზე.

§1. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიების ზოგადი მიმოხილვა

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, როგორც იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს დარგი, შეისწავლის, იკვლევს და ადგენს სახელმწიფოსა და სამართლის ისეთ ზოგადთეორიულ დებულებებსა და მოვლენებს, როგორიცაა: სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა; სახელმწიფოსა და სამართლის არსი; სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპები და მათი არსი; სამართლის ნორმები, სამართლის წყაროები, სამართლებრივი ურთიერთობები, სამართლის სისტემა და სხვ.

ზემოაღნიშნული საკითხებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობაზე, მათ არსსა და მნიშვნელობაზე, რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, შეეცდებით, მათი განხილვა-გადმოცემა მოვახდინოთ კიდევ უფრო ზოგად ასპექტში.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის პრობლემა და მათი ცნებები მჭიდროდ და განუყრელადაა დაკავშირებული და ისინი ერთიმეორეს განაპირობებენ. მათი წარმოშობა და განვითარებაც ერთიმეორესთანაა დაკავშირებული. მათი წარმოშობის პრიორიტეტის საკითხის გარკვევას ზოგჯერ მეცნიერები ისეთ ურთულეს პრობლემად მიიჩნევენ, როგორც იმის ახსნას, თუ რომელი უფრო ადრე გაჩნდა ქვეყნად ქათამი თუ კვერცხი.

მსოფლიო იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა ერთ-ერთ ურთულეს და თავსატეხ პრობლემადაა მიჩნეული. იგი სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის ასპექტში უნდა იქნეს განხილული.

ამ პრობლემათა შესახებ არსებობს მრავალი თეორია და მოსაზრება. კერძოდ, ღვთაებრივი, ანუ თეოლოგიური თეორია, პატრიარქალური თეორია, პატრიმონიული თეორია, ხელშეკრულების თეორია, ძალმომრეობის თეორია, ფსიქოლოგიური თეორია, ორგანული თეორია და სხვ.

ღვთაებრივი, ანუ თეოლოგიური თეორია პირველად შემუშავებულ იქნა აღმოსავლეთის ქვეყნებში. მისი ძირითადი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ **იგი უარყოფს სახელმწიფოს შექმნას ადამიანის მიერ და აღიარებს, რომ სახელმწიფო არის ზეციური ქმნილება, იგი შექმნა ღმერთმა და მისი მართვისათვის ღმერთმა მეფე წარმოაგზავნა. ამიტომ მეფეს ამქვეყნიურ ღმერთად მიიჩნევდნენ.** ამ თეორიის ძომხრეთა წყალობით მან კიდევ უფრო მძაფრი სახე მიიღო შუა საუკუნეებში. ამ

თეორიის იდეების დამცველად ისტორიას შემორჩა XIII საუკუნის ცნობილი კათოლიკური მოღვაწე **თომას აკვინელი** და შემდეგ შეიცავრიელი კათოლიკური მოღვაწე **გალერი**. ეს ყველაზე ძძიძე რეაქციული თეორია უარყოფილ იქნა XVII-XVIII საუკუნეების განმანათლებლების მიერ თავიანთ შრომებში, რომლებიც გაბედულად მიუთითებდნენ და ასაბუთებდნენ, რომ სახელმწიფო და თვით საზოგადოებაც ადამიანთა შექმნილია.

პატრიარქალური თეორია სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ შექმნა დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა **არისტოტელემ**. **მისი აზრით, სახელმწიფო იგივეა რაც ოჯახი.** სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე-ხოლო ოჯახის სათავეში ოჯახის უხუცესი პატრიარქი, რომლის ხელისუფლება ისეთივეა, როგორც მეფისა. ამ თეორიას მოგვიანებით XVII საუკუნეშიც გამოუჩნდა მომხრეები ინგლისის აბსოლუტიზმის იდეოლოგიი ფილმერის სახით. უცხო მოგვიანებით კი **გერმანელი ბონგაკი და ვოლტმანი.**

სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ არსებული ეს თეორია, ცხადია, არასწორი იყო და მან ფართო პრაქტიკული ადიარება ვერ მოიპოვა. არ შეიძლება ოჯახი გავათანაბროთ სახელმწიფოსთან, ოჯახის უფროსი კი სახელმწიფოს მთავარ მეფესთან.

პატრიმონიული თეორია (სიტყვა „Patrimonium" მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს მამულს) წამოაყენა და ყველაზე ვრცლად შეიცავა დაესაბუთებინა XIX საუკუნის შეიცავრიელმა რეაქციონერმა მოაზროვნე **გალერმა**. მისი აზრით, მამული არის სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველი და იგი განსაზღვრავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას. მეფე-ხელმწიფე არის მამულის უზენაესი მფლობელი და ამიტომ იგი არის უზენაესი ხელისუფლების ბატონ-პატრონიც. რაც შეეხება დანარჩენ მემამულეებს, ამ თეორიის მიხედვით ისინი მამულს ფლობენ სარგებლობის უფლებით და მეუფეს შეუძლია ამ მამულის სარგებლობის უფლება ნებისმიერ დროს წაართვას.

ხელშეკრულების თეორია წარმოიშვა ყველაზე ადრე, V-VI საუკუნეებში და ჩვენ წინასწარიცხვამდე, მაგრამ მან თავისი განვითარების ღირსეულებული სახე მიიღო XVII-XVIII საუკუნეების მოაზროვნეთა შრომებში. ამ თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ **ოურის-**

ტი ჰუგო გროციუსი, ბენედიქტე სპინოზა, ჯონ ლოკი, თომას ჰობსი, ცნობილი განმანათლებლები **ვოლტერი, მონტესკიე და ჟან ჟაკ რუსო.** თომას ჰობსის შეხედულებით, პირველყოფილი საზოგადოება წარმოადგენდა ისეთ წყობას, სადაც საყოველთაო მტრობა, შური და გაუტანლობა იყო. ყველა ერთმანეთს ებრძოდა. ამიტომ აუცილებელი გახდა ისეთი ზემდგომი ორგანოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მოქალაქეთა მშვიდობიან თანაცხოვრებასა და საზოგადოებრივ დაცვას.

ჯონ ლოკის შეხედულებით, ეს იყო პირველყოფილი საზოგადოება, როცა არ არსებობდა ადამიანთა შორის შუღლი და ქიშპობა. ადამიანებს სურდათ, შეენარჩუნებინათ ასეთი მშვიდი მდგომარეობა და დადეს ხელშეკრულება ურთიერთშორის არსებული წესის დაცვისა და შენარჩუნებისათვის. მათი აზრით, ეს იყო „ბუნებითი პირველყოფილი მდგომარეობა", რომლის დროსაც არ არსებობდა ბატონი და მონა, რომ ადამიანებმა თავიანთ დადეს ერთიმეორესთან ხელშეკრულება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ჰობსისა და რუსოს აზრით კი, ხელშეკრულება წარმოადგენდა სახელმწიფოს შექმნის პრინციპს, რომ სახელმწიფო ადამიანთა ქმნილებაა და ადამიანებმა შექმნეს სახელმწიფო. ამ დებულებით ეს თეორია ფაქტობრივად დაუპირისპირდა სახელმწიფოს წარმოშობის ღვთაებრივ თეორიას.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ამ საკითხზე ჟან ჟაკ რუსომ სპეციალური წიგნიც დაწერა „საზოგადოებრივი ხელშეკრულების" სახელწოდებით, რომლითაც მან გარკვეული რევოლუცია მოახდინა ადამიანთა აზროვნებაში, რადგან იგი მიმართული იყო ფეოდალური აბსოლუტურა იდეოლოგიის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით იგი პირდაპირ მიმართავდა ფეოდალურ არისტოკრატიას: „სახელმწიფო სალხმა შექმნა, სალხი წყვეტს მმართველობის რომელი ფორმა აირჩიოს, მაშ, რაშია საქმე, თქვენ, ფეოდალურო არისტოკრატიავ და სასულიერო წყობილებავ, რომ მხოლ ხელისუფლებას დაუფლებიხართ".

ძალმომრეობის თეორიამ განსაკუთრებული გავრცელება პოვა XIX საუკუნეში. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ გერმანელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი **ევგენი დიურინგი, კარლ კაუცკი და**

პოლონელი იურისტი და სოციოლოგი ცნობილი სახელმწიფო მცოდნე, პროფესორი ლუდვიგ გუმპლოვიჩი და სხვები. **ამ თეორიის თანახმად, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, სახელმწიფო ყველგან, ყველა ქვეყანაში წარმოიშვა გარედან ძალმომრეობის შედეგად, დაპყრობის გზით.**

კარლ კაუცკი თავის ნაშრომში „ომი და დემოკრატია" პირდაპირ წერდა, რომ „სახელმწიფო წარმოადგენს დაპყრობის პროდუქტს. იგი წარმოიშობა ომში და იღუპება ომში". და, რომ „გამარჯვებულთა ტომი იმორჩილებს დამარცხებულ ტომს, ითვისებს მათ მიწა-წყალს და შემდეგ ახმარებს დამარცხებულ ტომს გამუდმებით იმუშაოს მათთვის და გადაიხადოს ხარკი ან ბეგარა".

მოცემულმა თეორიამ ვერ მოიპოვა ფართო აღიარება, თუნდაც იმიტომ, რომ „სახელმწიფო წარმოიშობა ომში და იღუპება ომში", ვერ გვაძლევს სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზების ახსნას. და, რომ „ომი და დაპყრობა მოწმობს იმას, რომ საკუთრება, სოციალური უთანასწორობაა და კლასები უკვე არსებობენ".

ფსიქოლოგიური თეორია — ამ თეორიის წარმომადგენლები არიან **ფრეზერი, ტარდი, რუსი მეცნიერი კოვალევსკი, კორგუნოვი, პეტრაჟიტსკი** და სხვ. ამ თეორიის მიხედვით სახელმწიფო წარმოიშვა ფსიქოლოგიური პროცესების შედეგად. **ტარდი** თავის ნაშრომში „სოციალური ეტიუდები", წერდა: „ადამიანის ძალაუფლება იქმნება არა ნამდვილი, არამედ მოჩვენებითი წარმოდგენის ძალით. და, ეს წარმოდგენილი ძალა დაფუძნებულია რაღაც რწმენაზე, რომელსაც ყველა „იზიარებს".

მაშასადამე, ტარდის შეხედულებით, სახელმწიფო ობიექტურად, რეალურად არსებული მოვლენა კი არ არის, არამედ ადამიანის განცდაში, მის შეგრძნებაში გამოხატული მოვლენაა. „სახელმწიფო არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი არსებობს ჩემს განცდაში", — წერდა იგი.

ასევე რუსი მეცნიერი **კოვალევსკი** თავის ნაშრომში „სოციოლ - გია", წერდა: „მოსაზრების წყარო უნდა ვეძებოთ თვით ადამიანის ფსიქოლოგიურ ბუნებაში. იმაში, რომ ადამიანში ჩაქსოვილებრივად მგრძნობელობა ჭარბობს გონებას. ადამიანი თავს არიდებს ახროვნების დაძაბულობას და ამჯობინებს ძველის არსებობას, ძველთაგან შეგუებას. აქედან წარმოიშობა მორჩილების გრძნობა სხვისი ხელმძღვანელობისადმი. სახელმწიფოს, რელიგიას, ხელოვნებისა და სამართლის შექმნაში ინიციატორები არიან ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მეტი დრო და ენერგია დახარჯონ ამ საქმეზე. რაც შეეხება პასიურ მასას, მას შეუძლია მხოლოდ აითვისოს და შეასრულოს სხვისი განკარგულება, მიბაძოს სხვას მოქმედებაში, მაგრამ დამოუკიდებელი, შემოქმედებითი ინიციატივა მას არ გააჩნია".

ასეთია ფსიქოლოგიური თეორიის არსი და მნიშვნელობა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ.

სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ არსებული თეორიებიდან ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი ცნობილი **„ორგანული თეორია"**, რომელიც სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას „ბიოლოგიური" მიზეზებით ხსნის, ამიტომ ზედმეტი არ იქნება თუ მას მოვეხსენებით **„ორგანულ, ანუ ბიოლოგიურ თეორიად"**. ეს თეორია განვითარდა XIX საუკუნეში და მან განსაკუთრებული პრაქტიკული გამოყენება მოიპოვა XX საუკუნეში, ფაშისტური იდეოლოგიის დროს.

შვეიცარიელი იურისტი ბუნჩელი და ინგლისელი ფილოსოფოსი სპენსერი (ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ სახელმწიფო იქმნება ადამიანის გაჩენისთანავე და არსებობს მანამ, სანამ იარსებებს კაცობრიობა.

ამ თეორიის მიხედვით სახელმწიფო იგივეა, რაც ადამიანის ცოცხალი ორგანიზმი. ყველა ორგანოს, ყველა ფუნქციას, რომელსაც ადგილი აქვს ადამიანის ცოცხალ ორგანიზმში, ეპოულობთ აგრეთვე სახელმწიფოში. და, რომ მათი მოძღვრებით, ცოცხალ ორგანიზმში ბრძანებულებისა და განკარგულების ფუნქციას ასრულებს ადამიანის ტვინი, სახელმწიფოში კი ამ ფუნქციას ასრულებს მთავრობა. ცოცხალი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციებისათვის აუცილებელია, რომ სისხლის მიმოქცევა და ნერვული სისტემა სრულ წესრიგში იყოს. ამისათვის არსებობს სპეციალური სისხლის მიმოქცევის სისტემა და საშუალებები. სახელმწიფოში ამას ასრულებს კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის ორგანოები, რომელსაც აკავშირებს სახელმწიფოს ორგანიზმი. ცოცხალ ორგანიზმში ფიზიკური შრომის ფუნქციას ას-

რულებს ადამიანის კიდურები — ხელები და ფეხები. სახელმწიფოში ამ ფუნქციას ასრულებენ მუშები და გლეხები. ასეთი მექანიკური შედარებისა და ანალოგიების გ'ხით ორგანული, ანუ ბიოლოგიური თეორია ათვიცებს საზოგადოებრივ მოვლენებს ბიოლოგიურ მოვლენებთან, რაც თავიდანვე არასწორი და მიუღებელი იყო.

§2. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ არსებული მატერიალისტური, ანუ მარქსისტული თეორიის ზოგადი მიმოხილვა

შედარებით ადრინდელი ეპოქის ზემოთ განხილული თეორიების გარდა, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ არსებობს აგრეთვე სხვა უფრო ფუნდამენტური და უახლესი პერიოდის მატერიალისტური, ანუ მარქსისტული თეორია, რომელიც აღმოცენდა XIX საუკუნის მიწურულში და თავის ფართო აღიარება მოიპოვა XX საუკუნეში, კომუნისტური წყობის პერიოდში. თეორია, რომელიც თანმიმდევრულად ჩამოაყალიბა და დაასაბუთა **ფ. ენგელსმა თავის ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“**. მიმაჩნია, რომ ამ თეორიის მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ უფრო რეალური და ობიექტურია, ამიტომ მის შესახებ ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდებით.

ამ მატერიალისტური თეორიით სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობაში, მათ ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივ განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიჩნეული **შრომას, წარმოებასა და ოჯახს.**

ზემოაღნიშნული თეორიის მიხედვით დადგენილადაა მიჩნეული, რომ სახელმწიფო და სამართალი მარადიული მოვლენები არაა. ადამიანები ცხოვრობდნენ ჯგოგებად, შემდეგ ცალკეულ თემებად და გვარებად. და რომ, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობამდე ადამიანები მრავალი მილიონი წლების მანძილზე ცხოვრობდნენ საზოგადოებაში, რომელსაც საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში მოხსენებულია როგორც პირველყოფილი თემური, ანუ პირველყოფილ გვაროვნულ წყობილებად, რომელთა ანარეკლი XX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ზოგიერთ რეგიონშიც იყო შემორჩენილი.

ცივილიზაციის წინაპერიოდის ამ უძველესი ეპოქის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში მეცნიერები განასხვავებენ **ველურობისა და ბარბაროსობის პერიოდს**, რომელიც, თავის მხრივ, დაყოფილია **ქვედა, შუა და ზედა საფეხურებად.**

საზოგადოებრივი განვითარების ველურობის ქვედა საფეხური მიჩნეულია ადამიანთა მოდგმის ბავშვობად, ანუ პერიოდად, როცა ადამიანი ჯერ კიდევ ჩამოცილებული არ იყო ცხოველთა სამყაროს, ცხოვრობდა ტყეში და იკვებებოდა ტყის ნაყოფიო, ცხოველებისაგან მათ ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად, იმ დროისათვის, მიჩნეული იყო ის, რომ **ადამიანებმა შემოიღეს დანაწევრებული ბგერითი და ხელის ენა.**

ველურობის შუა საფეხურზე ადამიანმა გამოიგონა ცეცხლი და ამ პერიოდიდან იგი საბოლოოდ ჩამოსცილდა ცხოველთა სამყაროს, ამ დროისათვის ცეცხლი გახდა ადამიანთა არა მარტო ცხოვრების მძლავრი ეკონომიკური იარაღი, არამედ თავდაცვის საუკეთესო საშუალებაც.

ველურობის ზედა საფეხურზე ადამიანმა გამოიგონა მშვილდ-ისარი და მისი საშუალებით იგი საბოლოოდ გაბატონდა ცხოველთა სამყაროზე.

ბარბაროსობის ქვედა საფეხური ხასიათდება იმით, რომ ადამიანმა ხელი მიჰყო მეჭურჭლეობასა და მიწათმოქმედებას.

ბარბაროსობის შუა საფეხურზე მეჯოგეობა და მესაქონლეობა გახდა მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი დარგი და იგი იმ დროისათვის ასრულებდა ადამიანთა ყოფიერების ამსახველ სიმდიდრის როლს. პირუტყვი იყო გაცვლა-გამოცვლის ეკვივალენტი და სიმდიდრის საზომი ერთეული — ფული, ამიტომ, ვისაც მეტი პირუტყვი ჰყავდა, ის ითვლებოდა მდიდარ და გავლენიან პირად.

ბარბაროსობის ზედა საფეხურზე იწყება რკინის მადნის გამოდნობა და კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლა. ამ პერიოდიდან იწყება და ღრმავდება ადამიანთა შორის არსებული ქონებრივი დიფერენციაცია და საზოგადოების დანაწევრება კლასებად. პირველყოფილი თემური-გვაროვნული წყობილების ნგრევა და მის ნანგრევებზე ახალი, ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოს აღმოცენება.

საზოგადოებრიობის განვითარებისა და სახელმწიფოს შემდგომ ჩამოყალიბებაში, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული რილი შეასრულა

ოჯახმა. ამიტომ საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ მისი წარმოშობისა და განვითარების ფორმებზეც.

ცნობილია, რომ **მონოგამიური, ანუ ერთცოლიანი ოჯახის** წარმოშობამდე, რომელიც ერთადერთ ფორმადაა მიჩნეული ქრისტიანული სამყაროს საზოგადოებაში, კაცობრიობამ განვლო საოჯახო ურთიერთობის მეტად ხანგრძლივი და რთული გზა. კერძოდ: **ჯგუფური, პუნალუა, წყვილადი, პატრიარქალური და მონოგამიური ოჯახის ფორმები.**

დადგენილია, რომ ადამიანთა ცხოვრების ისტორიაში **ჯგუფური ოჯახი** იყო პირველი ფორმა, რომლის აღმოცენებამდეც საერთოდ არ არსებობდა ოჯახი და არ იყო მოწესრიგებული საოჯახო ურთიერთობა. იმ დროს ადგილი ჰქონდა სისხლის არევასა და უწესრიგო სქესობრივ ურთიერთობას, შემდეგ ადამიანთა განვითარებამ თანდათანობით იწყო მოუწესრიგებული საოჯახო ურთიერთობიდან ჯგუფური ოჯახის ფორმაზე გადასვლა და ალმოცენდა **სისხლითი ნათესაობის ჯგუფური ოჯახის პირველი ფორმა, რომლის დროსაც სქესობრივი ურთიერთობა დაშვებული იყო სისხლით ნათესავებსა და თვით მშობლებსა და შვილებს შორის.** და, რომ ღვიძლი და-ძმა იმავე დროს ერთიმეორის ცოლ-ქმარი იყვნენ.

საოჯახო ურთიერთობის განვითარების მეორე ფორმად მიჩნეულია **პუნალუა ოჯახი,** რომლის დროსაც სქესობრივი ურთიერთობა უკვე გამორიცხულია ღვიძლ და-ძმების შორის, მაგრამ იგი კვლავ რჩება ნათესავებს შორის. ოჯახის ამ ფორმისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ ქალთა ერთი ჯგუფი ნათესაური კავშირში იმყოფება მამაკაცთა მეორე ჯგუფთან.

სიტყვა პუნალუა ნიშნავს ამხანაგურს, ახლო ნათესაურს, ამიტომაც ჰქვია ოჯახის ამ ფორმას პუნალუა ოჯახი, რომლის დროსაც ბავშვის მამა უცნობია და ცნობილია მხოლოდ დედა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს ფორმა წარმოიშვა ველურობის შუა საფეხურზე, და რომ, ოჯახის ამ ფორმის წარმოშობასთანაა დაკავშირებული მატრიარქალური, ანუ დედის გვარის წარმოშობა, რომლის დროსაც შემკვიდრეობითი მოამომავლობა დედის მხრიდან ითვლებოდა. მეცნიერები ვარაუდობენ იმასაც, რომ მატრიარქატის ეს პერიოდი

რამდენიმე ათასეულ წელს გრძელდებოდა და მის დამარცხებას ხელი შეუწყო ეკონომიკის შემდგომმა განვითარებას.

საზოგადოებრიობის შემდგომმა განვითარებამ, ადამიანთა კულტურის ამაღლებამ და მათ ინტელექტუალურ შეგნებაში ბუნებრივი შერჩევის პრინციპის დამკვიდრებამ, გარკვეულად შეუწყო ხელი პუნალუა ოჯახის დაშლას და საოჯახო ურთიერთობის განვითარების უფრო მაღალი წყვილადი ოჯახის ფორმაზე გადასვლას.

პუნალუა ოჯახთან შედარებით წყვილადი ოჯახი საოჯახო ურთიერთობის პროგრესული ფორმა იყო. პუნალუა ოჯახით მთავრდება ჯგუფური ოჯახური ურთიერთობის განვითარების ისტორია.

წყვილადი ოჯახი ხასიათდებოდა იმით, რომ ქალი გარკვეული დროის მანძილზე ცხოვრობდა ერთ მამაკაცთან. ეს უკანასკნელი კი ამ მხრივ შეზღუდული არ იყო.

საზოგადოებრიობის განვითარების ბარბაროსობის შუა საფეხურზე, რიცა მოხდა შრომის დიდი საზოგადოებრივი დანაწილება და მეცხოველეობა გამოეყვნენ ადამიანთა დანარჩენ მასას და ჩამოყალიბდა მეცხოველეობა, წარმოიშვა ახალი საოჯახო ურთიერთობა პატრიარქალური ოჯახის სახით (პატრიარქი ნიშნავს მამის გვარს, vater – ლათინურად ნიშნავს მამას).

პატრიარქალური ოჯახის დამკვიდრებიდან იწყება მამაკაცის გაბატონება ოჯახში და მისი შთამომავლობაც მამის გვარს ატარებს. დადგენილია, რომ ოჯახის ამ ფორმის დამკვიდრებას და მამაკაცის ქალზე გაბატონებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ეკონომიკური სიმდიდრის საზომი გახდა ჯოგი, საქონელი, რომელიც მამაკაცის კუთვნილებას შეადგენდა და ოჯახის ეკონომიკური სიმდიდრის საზომი იყო.

იმ დროისათვის პატრიარქალური ოჯახი გახდა საზოგადოებრიობის განვითარების მამოძრავებელი ბერკეტი, რომელიც შედგებოდა რამდენიმე თაობისაგან და რომელთა რიცხვი რამდენიმე ასეული ადამიანით განისაზღვრებოდა. ოჯახის სათავეში იდგა უხუცესი მამა, რომელიც სარგებლობდა განუსაზღვრელი უფლებით. მას შეეძლო გაეძევებინა ოჯახის ნებისმიერი წევრი და მისთვის სიკვდილით დასჯაც შეეფარდებინა. ოჯახის წევრთა შორის ხდებოდა შრომითი სა-

ვკახო ურთიერთობის დანაწილება, რაც ზოგჯერ სუბიექტურ უთანასწორო ხასიათს ატარებდა და იწვევდა ოჯახის წევრთა უთანასწორობასა და ოჯახის წევრის დასაქმებაში იღებდა პატრიარქალურ ძონობის სახეს.

ოჯახის ამ ზემოაღნიშნული ფორმის ნიშნები, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მოხსენიებული, აღმოჩენილი იყო კავკასიის მთიელ ტომებშიც.

პატრიარქალურმა ოჯახმა თავისი განვითარების უმაღლეს შწვერვალს ბარბაროსობის ზედა საფეხურზე მიაღწია და ამ პერიოდის დამთავრებასთან ერთად, როგორც ეს მარკსებულადაა მითითებული სპეციალურ ლიტერატურაში, მთავრდება მისი განვითარების ისტორიაც.

კლასობრივი საზოგადოების წარმოშობასთან ერთად წარმოიშვა და ჩამოყალიბდა ახალი საოჯახო ურთიერთობა **მონოგამიური ოჯახის სახით.**

ამ ფორმის საოჯახო ურთიერთობის სახელწოდება წარმოდგება **ბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს ერთ ცოლიან ოჯახს,** რომლის დროსაც გარკვეული სახით მამაკაცია გაბატონებული ქალზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ **ქალი ღალატისათვის სასტიკად ისჯებოდა, მამაკაცისათვის კი იგი გასაკიცხ მოქმედებადაც არ ითვლებოდა.** ოჯახური, ანუ ცოლქმრული ურთიერთობის ეს ფორმა კიდევ უფრო დაიხვეწა საზოგადოებრიობის განვითარების შემდგომ ეტაპზე და იგი გაბატონდა ქრისტიანული სამყაროს ყველა დღევანდელ ცივილიზებულ ქვეყნებში ქალისა და მამაკაცის (ცოლისა და ქმრის) თანაბარი უფლებებით.

ამ გაბატონებული თეორიის შესაბამისად, სახელმწიფოსა და საზოგადოების წარმოშობას ხელი შეუწყო აგრეთვე **საზოგადოებრივი შრომის სამმა დიდმა დანაწილებამ,** რომელთაგან პირველი მოხდა ბარბაროსობის შუა საფეხურზე, როცა მეჯოგე ტომები გამოეყო ბარბაროსობის დანარჩენ მასას და წარმოიშვა მესაქონლეობა, როგორც სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი.

დადგენილადაა მიჩნეული, რომ **საზოგადოებრივი შრომის პირველ დანაწილებას მოჰყვა** საზოგადოების დიფერენცირება და კლასების ჩასახვა, კერძო საკუთრებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოშობა, მატრიარქატის დაშლა და პატრიარქატის გამარჯვება.

საზოგადოებრივი შრომის მეორე დიდი დანაწილება მოხდა ბარბაროსობის ზედა საფეხურზე, როცა წარმოიშვა სახალხო მეურნეობის ახალი დარგები — ხელოსნობა და მიწათმოქმედება, აღმოაჩინა ახალი სოციალური ჯგუფები და შეიქმნა ყველა პირობა სახელმწიფოს წარმოშობისათვის.

საზოგადოებრივი შრომის მესამე დიდი დანაწილება მოხდა კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის დასაწყისში, როცა საზოგადოების დანარჩენ მასას გამოეყო ახალი ჯგუფი ვაჭართა სახით, რომლებიც წარმოებითი შრომის მაგიერ ეწეოდნენ პროდუქტების გაცვლა-გამოცვლას.

საზოგადოებრივი მეცნიერების სისტემაში ასევე დადგენილადაა მიჩნეული, რომ საზოგადოებრივი შრომის ამ სამმა დიდმა დანაწილებამ განაპირობა **კერძო საკუთრების, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. კერძო საკუთრების გაჩენამ გამოიწვია ადამიანთა ქონებრივი უთანასწორობა და მის საფუძველზე ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი კლასები, რომელთა ინტერესების შეგუება შეუძლებელი გახდა და წარმოიშვა სახელმწიფო როგორც ბატონობის იარაღი, მანქანა ერთიმეორის დასათრგუნავად, და მასზე თავისი ბატონობის განსამტკიცებლად.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ თეორიის მიმდევარი მეცნიერები ასკვნიან, რომ **სახელმწიფო გაჩნდა იქ, სადაც გაჩნდა კერძო საკუთრება, ღარიბთა და მდიდართა კლასი, სადაც მოხდა საზოგადოების აშკარა დიფერენციაცია, გაღრმავდა მათი ურთიერთწინააღმდეგობა და მის დასაძლევად საჭირო გახდა საზოგადოებაზე მაღლა მდგომი იძულებითი აპარატის შექმნა სახელმწიფოს სახით,** რომელსაც თავისი ბატონობისა და ძალაუფლების განსამტკიცებლად **ესაჭიროება მისივე ინტერესების დამცველი კანონების შემუშავება და ამიტომ სახელმწიფოსთან ერთად გაჩნდა სამართალიც, რომელშიც თავისი ასახვა ჰპოვა გაბატონებული კლასის ნებამ.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილადაა მიჩნეული, რომ **სახელმწიფო და სამართალი თანმყოფი მოვლენებია და ერთიმეორის არსებობას განაპირობებენ. სახელმწიფო წარმოუდგენე-**

ლია სამართლის გარეშე და ეს უკანასკნელი სახელმწიფოს გარეშე.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეცნიერებაში სახელმწიფო განმარტებულია, როგორც „ამა თუ იმ ქვეყანაში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის განსაზღვრული ისტორიული ფორმა, მმართველობის განმახორციელებელი განსაკუთრებული აპარატი, რომელიც დარწმუნებისა და იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო ამოცანების განხორციელებას საზოგადოებაში გაბატონებული კლასისა თუ გაბატონებული ფენის ინტერესების შესაბამისად". სამართალი კი განმარტებულია, როგორც „ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილებით განპირობებული, გაბატონებული კლასის ან ხალხის უმრავლესობის ნების გამომხატველი და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ერთობლიობა ადამიანთა ქცევის წესებისა (ნორმებისა), რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფოებრივი იძულებით".[1]

ზემოაღნიშნული ორივე ტრადიციული განმარტება სწორია კლასობრივი საზოგადოებისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ დღეს აღარ არსებობს საზოგადოების კლასებად დაყოფა, ამ განმარტებებიდან ამოღებულ უნდა იქნეს მასზე მითითება. ამ შენიშვნის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიმაჩნია, ორივე ეს ცნება განმარტებულ იქნეს უფრო ლაკონიურად, დღევანდელი რეალურობის გათვალისწინებით. კერძოდ: **სახელმწიფო** განმარტებულ იქნეს როგორც „**საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სპეციალური აპარატი, რომელიც დარწმუნებისა და იძულებითი მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოფს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ამოცანების განხორციელებას**", სამართალი კი როგორც „**ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილებით განპირობებული, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ქცევის წესების ერთობლიობა, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფოებრივი იძულებით**".

[1] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997, გვ. 27, 49.

§3. სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და წესწყობილების ფორმები

საზოგადოებრიობის შემდგომი განვითარების, სახელმწიფო წყობილებისა და ეკონომიკური ფორმაციების ცვლილებების შესაბამისად იცვლებოდა სახელმწიფო და სამართალიც.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პირველყოფილი თემურ-გვაროვნული წყობილების შემდეგ კაცობრიობამ განვლო ოთხი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია: მონათმფლობელურია, ფეოდალური, კაპიტალისტური, რომელიც თანდათანობით გადაიზარდა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ წყობაში. ამისდა შესაბამისად ერთიმეორისაგან განასხვავებენ მონათმფლობელურ სახელმწიფოსა და სამართალს, ფეოდალურ სახელმწიფოსა და სამართალს, კაპიტალისტურ, ანუ ბურჟუაზიულსა და სოციალისტურ სახელმწიფოსა და სამართალს.[1]

ერთიმეორისაგან განასხვავებენ აგრეთვე სახელმწიფოებს თავიანთი მართვა-გამგეობისა და სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით. **მართვა-გამგეობის ფორმაში იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება. ამ გაგებით ერთიმეორისაგან განასხვავებენ მონარქიულ და რესპუბლიკურ სახელმწიფოს.**

მონარქიულ სახელმწიფოში ქვეყნის ბატონ-პატრონი და მეთაურია ერთი პიროვნებაა (მეფე, შაჰი, იმპერატორი, ფარაონი და სხვ.), რომლის ხელთაცაა კონცენტრირებული მთელი სახელმწიფოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების მართვის უფლებამოსილება.

რესპუბლიკურ სახელმწიფოში კი სახელმწიფო ხელისუფლებას მართავს გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოები.

არსებობს აგრეთვე მართვა-გამგეობის მიხედვით **შეზღუდული,**

[1] აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის თვალსაზრისით, თავისი განვითარება დაიწყო ახალთმფლობელური სტადიის გვერდის გარეშე თემურ-გვაროვნული წყობილებიდან პირდაპირ ფეოდალურ წყობილებაზე გადასვლით და ამ უკანასკნელიდან სოციალისტურ წყობილებაში, რადგან ფეოდალური წყობილებიდან ბურჟუაზიულში გადასვლა ვერ მოასწრო. სამაგიეროდ ამჟამად უბრუნდება ბურჟუაზიულ წყობას და მის შესაბამის სამართალს.

ანუ შერეული ფორმების სახელმწიფოებიც (მაგალითად, ინგლისი, იაპონია და სხვ.), სადაც წარმომადგენლობით ორგანოებთან ერთად სახელმწიფოს მართვა-გაძღოლაში მონაწილეობს აგრეთვე მეფე ან იმპერატორი.

რაც შეეხება სახელმწიფო წესწყობილების ფორმას, იგულისხმება სახელმწიფოს ტერიტორიულ-ორგანიზაციული სტრუქტურა, ის ურთიერთობა, რაც ცენტრალურ სახელმწიფო ხელისუფლებასა და სახელმწიფოს სხვა ორგანოებს შორის არსებობს. ამ თვალსაზრისით ერთმეორისაგან განასხვავებენ **მარტივ, ანუ უნიტარულ და რთულ, ანუ ფედერაციულ სახელმწიფოებს.**

უნიტარულ სახელმწიფოებს მიაკუთვნებენ ისეთ სახელმწიფოებს, რომლებშიც არსებობს სუვერენიტეტის განმახორციელებელი საერთო ცენტრალური ორგანოები და მას ცალკეულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს არ გააჩნიათ სახელმწიფოებრიობის რაიმე ნიშნები.

ფედერაციულ სახელმწიფოდ იწოდება ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ქვეყნის მთელი ტერიტორია დაყოფილია ცალკეული დამოუკიდებლობის მქონე ადმინისტრაციულ ერთეულებად, მათ გააჩნიათ ხელისუფლებისა და მმართველობის თავისი ორგანოები და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ, მაგრამ ემორჩილებიან ფედერაციის საერთო ცენტრალურ ორგანოებს (მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირი, აშშ და სხვ.).

განასხვავებენ აგრეთვე კონფედერაციულ სახელმწიფოს, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს სახელმწიფოთა კავშირს, რომლის დროსაც რამდენიმე სუვერენული სახელმწიფო ერთიანდება ერთი გარკვეული მიზნით და ქმნიან ერთ ან რამდენიმე საერთო სახელმწიფო ორგანოს.

ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი ძირითადი ფუნქციები, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ძირითად მიმართულებად: **საშინაო** ურთიერთობის ფუნქციად და **საგარეო** ურთიერთობის ფუნქციად.

საშინაო ფუნქციებად მიჩნეულია სახელმწიფოს შიგნით წარმოებული მთელი ის საქმიანობა, რაც მიმართულია პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური სახის ურთიერთობების მოწესრიგებისაკენ.

საგარეო ფუნქციებად კი მიჩნეულია სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთმიმართებით წარმოებული საქმიანობა.

სახელმწიფოს ორივე ზემოაღნიშნული უმთავრესი ფუნქციების განმახორციელებელ აღმასრულებელ-განმკარგულებელ, საკანონმდებლო, სამართალდამცავ და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის მთელ სისტემას, მიღებულია ეწოდოთ სახელმწიფოს მექანიზმი.

§4. სამართლის არსი და კავშირი ზნეობასთან

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეცნიერების კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამართლის არსის, სამართალდარღვევის, სამართლებრივი ურთიერთობებისა და სამართლის ნორმათა შეფარდების ზოგადთეორიული დებულებების შემუშავება, მათი სწორი, საყურადღებოდ ახსნა და მართებული გაგება. ამიტომ საჭიროა ამ საკითხების გადმოცემაზეც რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ.

როგორც აღვნიშნეთ, **სახელმწიფო და სამართალი ორი ურთიერთთანმდევი ცნებაა. სამართალი წარმოიშვა სახელმწიფოსთან ერთად,** როცა მოხდა მთელი საზოგადოების დაყოფა კლასებად და ადამიანთა ცალკეულ ფენებად და რომელთა შორის არსებული წინააღმდეგობა იმდენად უკიდურესად გაღრმავდა, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგება, მათი ურთიერთშერიგება სხვა მხრივ შეუძლებელი გახდა. იგი პროდუქტია გაბატონებული კლასის ნება-სურვილის კანონად გამოცხადებისა და ემსახურება სწორედ მისი ინტერესების დაცვას.

ოავის მხრივ, სამართალი მოიცავს ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროს მოწესრიგებულ ქცევის წესებს, რომელთა შესრულება სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია სხვადასხვა სახის ძალადებითი ღონისძიებებით. ამასთან, იგი მოიცავს არა ყველა სახის ქცევის წესს, არამედ მხოლოდ იმას, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს შეესაბამება და რომლის შესრულება სახელმწიფო მართვის აპარატს აუცილებლად მიაჩნია.

რაც შეეხება პირველყოფილ-გვაროვნულ წყობილებას, იქ ადამიანთა ქცევის წესების შესრულება ხდებოდა არა სახელმწიფოს ძალუღებით, არამედ ხანგრძლივი დროით გამომუშავებული ჩვეულებებითა და ადათ-წესებით.

სამართლის არსის საკითხის საფუძვლიანად გარკვევისათვის აუცი-

ლებელია ახსნას მისი **კავშირი ზნეობასთან**, რომელიც სამართალთან ერთად სახელმწიფოს აღმოცენების თანამგზავრია და ხელს უწყობს საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის წესების დამკვიდრებას, რადგან იგი, მთელ რიგ შემთხვევებში, ჯერ ადამიანია ქცევის წესებში აისახება, შემდეგ კი სამართლის ცალკეულ ნორმებში და აქტიურად ეხმარება მათ პრაქტიკულ განხორციელებაში.

სხვადასხვა კლასისა და საზოგადოებრიობის ცალკეული ფენების წარმომადგენლებს თავიანთი ზნეობა, ანუ წარმოდგენა გააჩნია წესიერებასა და უწესობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, სინდისსა და პატიოსნებაზე და სხვა მთელ რიგ გარემოებებსა და მოვლენებზე. ამიტომ სამართლისაგან განსხვავებით შეიძლება იყოს არა მარტო გაბატონებული კლასის ნების გამომხატველ ნორმებში ასახული, არამედ საზოგადოებაში არსებული მისი საპირისპირო კლასის ან ფენის ზნეობის, ანუ მორალის ფორმებშიც.

მაგალითად, საზოგადოების სხვადასხვა წევრთა შორის არსებული სხვადასხვა შეხედულება გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივ ორიენტაციაზე — მამათმავლობასა და ლესბიანობის დასაშვებულობაზე და სხვ.

ზნეობის ან მორალური ნორმებისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ იგი იქმნება საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე და შეადგენს დაუწერელი ქცევის წესებს. სამართლის ნორმებში კი იგი წერილობითი სახითაა ასახული და დადგენილია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ როგორც სავალდებულო ქცევის წესები.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზნეობრივი, ანუ მორალური ნორმების შესრულება უზრუნველყოფილია არა სახელმწიფოს იძულებით, არამედ საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზნეობის ნორმების დამრღვევი პირების მიმართ სათანადო ზომებს იღებს არა სახელმწიფოს რომელიმე ორგანო, არამედ თვითონ საზოგადოება, რომ უზნეო საქციელის ჩამდენი პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მორალურ-აღმზრდელობითი ღონისძიებები და არა რაიმე სახელმწიფოებრივი იძულებითი ღონისძიება, მაშინ როცა სამართლის ნორმის დამრღვევი პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა სახის იძულებითი ღონისძიება.

სამართლის ნორმაც ჩვეულებრივ არის რა, თუ არა ქცევის წესი. მაგრამ მორალის, ანუ ზნეობის ნორმებისაგან განსხვავებით, მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებითი აპარატით.

§5. სამართლის წყაროები, ნორმის სტრუქტურა და სამართლის ნორმათა სისტემატიზაცია

სამართლის ნორმის შინაარსის სწორად ახსნისა და პრაქტიკაში მისი სწორად გამოყენებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ მისი სტრუქტურა.

სამართლის ნორმის სტრუქტურაში ერთმეორისაგან განასხვავებენ ჰიპოთეზას, დისპოზიციასა და სანქციას.

ჰიპოთეზა არის სამართლის ნორმის ის ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია მისი გამოყენების პირობები და გარემოებები.

დისპოზიცია ეწოდება ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც აღწერილია მისი შინაარსის განმსაზღვრელი ქცევის წესი.

სანქცია კი ჰქვია ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც მითითებულია თუ რა სახის იძულებითი ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ ნორმის დამრღვევი პირის მიმართ.

სამართლის თეორიის ზოგადი საკითხებიდან საჭიროა ვიცოდეთ აგრეთვე ის, თუ რა არის სამართლის წყარო და მისი სახეები.

სამართლის წყაროები ეწოდება იმ საშუალებებსა და ფორმებს, რომლებითაც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლის ნორმებს.

სამართლის უმთავრეს წყაროდ აღიარებულია ნორმატიული აქტების სახით სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირების მიერ გამოცემული ყველა წერილობითი აქტი. ამ ნორმატიული აქტებიდან კი ყველაზე უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიჩნეულია კანონი, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი. ასეთ უმთავრეს აქტად, და, მაშასადამე, კანონის უპირველეს წყაროდ კი მიჩნეულია კონსტიტუცია, ანუ სახელმწიფოს უზენაესი კანონი.

ამჟამად დგას საკითხი: ხომ არაა საჭირო და აუცილებელიც სამართლის წყაროდ მიჩნეულ იქნეს სასამართლოს პრეცედენტი, როგორც

ამას ადგილი აქვს საზღვარგარეთის ზოგიერთ სახელმწიფოში, და ყოველივე ამით ხელი შეუწყოთ სამოსამართლო სამართლის დარგის ჩამოყალიბებას?

ამ მიმართებით დღეს სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს და, როგორ წარიმართება და რა შედეგი მოჰყვება ამ მიმართებით არსებულ პოლემიკას, ამას მომავალი გვიჩვენებს. ჩემი აზრით კი, მისი შემოღება და პრაქტიკაში დამკვიდრება საკანონმდებლო რანგში აუცილებელია და მისი მიიჩნევა დამოუკიდებელ სამოსამართლო სამართლის დარგად არასწორი იქნება.

სახელმწიფოში მოქმედ სხვა სამართლებრივ აქტებთან შედარებით კანონს აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა. სხვა კანონქვემდებარე აქტებისაგან განსხვავებით, მისი მიღების წესიც გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, კერძოდ, საქართველოში კანონი რომ მიღებულ იქნეს, მან აუცილებლად უნდა გაიაროს შემდეგი მოსამზადებელი საფეხურები: 1) კანონპროექტის მომზადება; 2) კანონპროექტის შეტანა; 3) კანონპროექტის განხილვა ანუ გარჩევა; 4) კანონპროექტის დამტკიცება, ანუ მიღება და 5) კანონის გამოქვეყნება.

კანონის გარდა სამართლის წყაროდ მიიჩნეულია ავრეთვე სხვა ნორმატიული აქტები, რომლებსაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები. სამართლის წყაროდ ითვლება ავრეთვე ზოგიერთი სახის საერთაშორისო ხელშეკრულებები.

სამართლებრივ სისტემაში სამართლის ცალკეული ნორმები დალაგებულია იმ დარგების მიხედვით, რომელ სამართლებრივ ურთიერთობებსაც აწესრიგებენ ისინი. კერძოდ: შრომის ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის ნორმები თავმოყრილია საქართველოს შრომის კოდექსში; სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისა — სამოქალაქო კოდექსში; დანაშაულისა და მისი შემადგენლობის ამსახველი ცალკეული ნორმები — სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილში და სხვ.

სამართლის ნორმების ასეთ დალაგებას სამართლის ცალკეულ დარგებად, მიღებულია **ვუწოდოთ სამართლის სისტემა.**

სამართლის სისტემაში გარკვეული ადგილი უკავია ნორმატიული

აქტების სისტემატიზაციას, ანუ ამ წერილობითი ნორმატიული აქტების დალაგებასა და დავგუფებას წინასწარ შემუშავებული ერთიანი პრინციპით.

ნორმატიული აქტების **სისტემატიზაცია** მიღებულია ვაწარმოოთ **ინკორპორაციისა და კოდიფიკაციის გზით.** ნორმატიული აქტების დალაგებასა და გაერთიანებას ქრონოლოგიური ანბანური, დარგობრივი ან სხვა რაიმე ერთიანი გარეგანი ნიშნებით, რომელთა საფუძველზეც იქმნება სხვადასხვა სახის კრებულები და სხვ., მიღებულია ვუწოდოთ სისტემატიზაცია ინკორპორაციული წესით.

სისტემატიზაციის მეორე სახე — კოდიფიკაცია კი მოიცავს ნორმატიული მასალის როგორც გარეგანი, ისე მის შინაგან არსებითად დამუშავების მთელ პროცესს, რომლის შედეგადაც იქმნება ახალი საკანონმდებლო აქტი კოდექსის სახით, და რომელსაც საფუძვლად ედება დარგობრივი პრინციპი. სწორედ ამ პრინციპითაა შემუშავებული და შედგენილი საქართველოში მოქმედი ისეთი კოდექსები, როგორიცაა: სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვ.

§6. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები, სამართალდარღვევის ცნება და სახეები

როგორც აღვნიშნეთ, **სამართალი არის სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ დადგენილი ქცევის წესების ისეთი ერთობლიობა, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია თვით სახელმწიფოს მიერ იძულების წესით.** სახელმწიფოს მიერ დაცვენილი ამ ქცევის სავალდებულო წესების პრაქტიკული რეალიზაცია ხდება ასეკე სამართლებრივი ურთიერთობებით, რომელთა სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც მოქალაქე, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი აუცილებლად უნდა იყოს უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი, ფიზიკური ან იურიდიული პირი, მათ პირველი ნიშანი უფრო ადრე აღმოუცენდებათ, ვიდრე მეორე.

მაგალითად, ადამიანს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, უფლებაუნარიანობა აღმოუცენდება დაბადების მომენტიდან და ივი ქმედუნარიანი გახდება მაშინ, როცა გარკვეულ ასაკს მიაღწევს.

უფლებაუნარიანობა ნიშნავს პირის (სუბიექტის) იმ უფლება-მოვალეობას, რომელიც მას აღმოუცენდება მისი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის წარმოშობისთანავე.

სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის უფლების ცნებაში გაგებულია სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის შესაძლებლობა, შეასრულოს გარკვეული სახის მოქმედება ან მოსთხოვოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სხვა პირს (სუბიექტს) შეასრულოს ამა თუ იმ სახის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედება). მოვალეობად კი მიჩნეულია იმ სავალდებულო ქცევის წესის შესრულება, რომლის შესრულება ეკისრება სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწილე პირს (სუბიექტს) ასეთი უფლებით აღჭურვილი პირის მოთხოვნით.

ქმედუნარიანობა ნიშნავს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის უნარს, თავისი ნებითა და მოქმედებით განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები და მოვალეობები.

აქვე შეიძლება დაიბადოს კითხვა, ვის და რა შემთხვევაში შეიძლება პირს შეეფარდოს კანონით გათვალისწინებული ამა თუ იმ სახის სანქცია?

სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ცალკეული ნორმების შეფარდება ხდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც დაარღვევენ სამართლებრივი ურთიერთობის ნაიდაგზე აღმოცენებული ქცევის სავალდებულო წესებს, ე.ი. ჩაიდენენ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

მაშასადამე, სამართალდარღვევა სხვა არა არის რა, თუ არა მოქმედი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, ანუ პირის მართლსაწინააღმდეგო ქცევა. მაგრამ ყველა მართლსაწინააღმდეგო ქცევა კი არაა სამართალდარღვევად მიჩნეული, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის დროსაც მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, მოქმედებდა განზრახ ან გაუფრთხილებლად და შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი ქმედებისათვის.

კანონით დადგენილი სანქცია რომ პირს შეეფარდოს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებისათვის, ივი აუცილებლად უნდა იყოს კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი.

მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ანუ სამართალდარღვევა, შეიძლება იყოს ადმინისტრაციული, დისციპლინური, სამოქალაქო-სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი. ამ უკანასკნელი სახის დარღვევას, თავისი მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების გამო, უწოდებენ დანაშაულს.

ზემოაღნიშნული სახის თითოეული სამართალდარღვევა იწვევს მისი ჩამდენი პირების შესაბამის პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

იმისათვის, რომ სამართალდამრღვევი პირის მიმართ სწორად იყოს გამოყენებული სამართლის ნორმები, საჭიროა მისი არსისა და დანიშნულების მართებული გაგება. ამ მიზნით აწარმოებენ სამართლის ნორმების შესაბამის ახსნა-განმარტებებს სათანადო სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები. მის ახსნა-განმარტებას, იძლევიან ავრეთვე მეცნიერი მუშაკები თავიანთ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებში.

კანონის პირველი ორი სახის ახსნა-განმარტება ოფიციალურია და ამ ნორმების გამოყენებისას მათი გათვალისწინება სავალდებულოა. რაც შეეხება კანონის მეცნიერულ ახსნა-განმარტებას იგი არაოფიციალურია და მას სავალდებულო ძალა არა აქვს.

დადგენილი წესის შესაბამისად კანონი იწყებს რა თავის მოქმედებას დროის, სივრცისა და პირთა წრის მიმართ, იგი თავის მოქმედებას შეწყვეტს გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ (თუ ამის შესახებ თვით კანონის ტექსტშია მითითებული), ან როცა იგი გაუქმებულ იქნება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, ან როცა გამოიცემა მისი შემცვლელი სხვა ახალი ნორმატიული აქტი.

კანონის გამოყენების დროის საკითხთანაა დაკავშირებული აგრეთვე კანონის უკუქცევითი ძალა, რომლის ცნებაში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა ახალი კანონი ვრცელდება მის ამოქმედებამდე, ანუ მის კანონიერ ძალაში შესვლამდე მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზეც.

საერთო წესის თანახმად, კანონის გამოცემამდე მომხდარ იურიდიულ ფაქტებზე ახალი კანონი შეიძლება გავრცელდეს, ანუ მას უკუქცევითი ძალა მიეცეს მხოლოდ მაშინ, როცა ამის შესახებ თვით კანონის ტექსტშია მითითებული, ან როცა ახალი კანონი ადრე მო-

ქმედ კანონთან შედარებით აშსუბუქებს სასჯელს, ან საერთოდ გამორიცხავს პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომელიც ადრე დანაშაულად იყო მიჩნეული.

მაგალითად, როცა გაუქმდა სისხლის სამართლის კანონით სპეკულაციის დასჯადობა და იგი გამოცხადდა ნებადართულ ბიზნესის ერთერთ სახედ, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში არსებული ყველა სისხლის სამართლის საქმე წარმოებით იქნა შეწყვეტილი. ასევე სპეკულაციისათვის მსჯავრდებული ყველა პირი დაუყოვნებლივ იქნა გათავისუფლებული, რადგან ამ ახალ კანონს თავისი არსითა და დანიშნულებით უკუქცევითი ძალა მიეცა .

საკონტროლო კითხვები

1. რა ადგილი უკავია იურიდიულ მეცნიერებას საზოგადოებრივ მეცნიერებათა ციკლის სისტემაში და როგორაა იგი გაგებული?

2. რას შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის თეორია?

3. რა თეორიები არსებობს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ?

4. რას ემყარებოდა ღვთაებრივი, ანუ თეოლოგიური თეორია და ვინ იყვნენ მისი წარმომადგენლები?

5. რა ძირითად მოთხოვნებს აყენებდა სახელმწიფოს წარმოშობასთან მიმართებაში პატრიარქალური და პატრიმონიული თეორიები და ვინ იყვნენ მათი წარმომადგენლები?

6. რა ძირითად მიმართულებას აყენებდა ხელშეკრულების თეორია და ვინ იყვნენ მისი წარმომადგენლები?

7. რა მოძღვრებას ატარებდა ძალმომრეობის თეორია და ვინ იყვნენ მისი წარმომადგენლები?

8. რა დებულებას აყენებდა ფსიქოლოგიური თეორია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობასთან მიმართებაში და ვინ იყვნენ მისი წარმომადგენლები?

9. რა მოძღვრებას ავითარებდა ორგანული თეორია და ვინ იყვნენ მისი წარმომადგენლები?

10. მატერიალისტური თეორიის მიხედვით რამ შეუწყო ხელი სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას?

11. მატერიალისტური თეორიით რა ეტაპებადაა დაყოფილი სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის წინა პერიოდი?

12. რა მნიშვნელოვანი მოვლენებითაა აღსანიშნავი ველურობის ცალკეული პერიოდები?

13. რა მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის წინა ბარბაროსობის პერიოდი ცალკეული ეტაპების მიხედვით?

14. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საქმეში რა როლი შეასრულა ოჯახმა და რა ფორმები გარდაიქმნა მან?

15. რასთან იყო დაკავშირებული მატრიარქალური, ანუ დედის გვარის წარმოშობა?

16. რამ გამოიწვია მატრიარქალური ანუ დედის გვარის დამარცხება და პატრიარქალური, ანუ მამის გვარის გამარჯვება?

17. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობაში რა როლი შეასრულა შრომამ და რა სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნებით ხასიათდებოდა შრომის სამი დიდი დანაწილება?

18. მატერიალისტური, ანუ მარქსისტული თეორიის მიხედვით როგორ და როდის გაჩნდა სახელმწიფო და სამართალი?

19. რა არის სახელმწიფო, როგორაა იგი განმარტებული იურიდიულ ლიტერატურაში?

20. რა არის სამართალი?

21. რა სახის სახელმწიფოები არსებობს მართვა-გამგეობისა და სახელმწიფო წყობილების ფორმების მიხედვით?

22. რა ნიშნებით ხასიათდება უნიტარული, ფედერაციული და კონფედერაციული სახელმწიფოები?

23. რა ძირითადი ფუნქციები აქვს სახელმწიფოს და რა არის მისი განმხორციელებელი მექანიზმი?

24. რა კავშირია სამართალსა და ზნეობას შორის?

25. რა არის სამართლის ნორმა და როგორაა მისი სტრუქტურა?

26. რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოში კანონის მოქმედება?

27. ვინ შეიძლება იყოს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი და რა ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს იგი?

28. რა არის სამართალდარღვევა და რამდენი სახის არსებობს იგი?

29. რა არის კანონის უკუქცევითი ძალა?

თავი XIV

სახელმწიფო. ანუ კონსტიტუციური სამართალი

§1. სახელმწიფო, ანუ კონსტიტუციური სამართლის ცნება, არსი და მნიშვნელობა

საქართველოს სამართლის დარგებს შორის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია სახელმწიფო სამართალი, რომელსაც ზოგჯერ კონსტიტუციურ სამართალსაც უწოდებენ, რადგან იგი შეისწავლის კონსტიტუციით დადგენილ საზოგადოებრივ წესწყობილებასა და მის პოლიტიკურ საფუძვლებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს, სახელმწიფოს ტერიტორიულ ორგანიზაციას, სახელმწიფო ორგანოების სისტემას, სტრუქტურასა და მათი საქმიანობის ძირითად პრინციპებს.

საქართველოს სახელმწიფო სამართალი შეისწავლის იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას, რომლითაც დადგენილი და მოწესრიგებულია საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება და პოლიტიკური საფუძვლები, სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია, მოქალაქეთა პოლიტიკური და საძართლებრივი მდგომარეობა, სახელმწიფო ორგანოების სისტემა და მათი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და სხვ.

მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობები ძირითადად მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ნორმებით და. ამდენად, სახელმწიფო სამართალს სამართლის სხვა დარგებს შორის ერთადერთი მთავარი ადგილი უკავია. ეს იმ პრინციპიდანაც ჩანს, რომ კონსტიტუცია არის სახელმწიფოს უზენაესი კანონი და ყველა სხვა კანონი და ქანონქვემდებარე აქტი მისგან უნდა გამომდინარეობდეს და მას უნდა შეესაბამებოდეს.

საქართველოში დღემდე სულ მიღებულ იქნა ექვსი კონსტიტუცია. აქედან პირველი მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს. ეს იყო პირველი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელმაც სულ ოთხი დღე იარსება და, რომელსაც ხანგრძლივი უმოქმედობის შემდეგ კვლავ მოიპოვა თავისი მოქმედების ძალა 1992

წლის 21 თებერვლიდან; საქართველოს რესპუბლიკის მეორე კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1922 წლის 22 მარტს; მესამე – 1927 წლის 4 აპრილს; მეოთხე – 1937 წლის 13 თებერვალს; მეხუთე – 1978 წლის 15 აპრილს და მეექვსე – 1995 წლის 24 აგვისტოს.

საქართველოს ზემოთ აღნიშნული კონსტიტუციებიდან მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კონსტიტუციები მიღებულ იქნა საქართველოში არსებული საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, მაგრამ მეხუთე კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1978 წლის 15 აპრილს, შეტანილ იქნა მრავალი ცვლილება საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობების განვითარების შედეგად მიღებული მონაპოვარის – საქართველოს სუვერენული სახელმწიფოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს კონსტიტუციაც მართებულად იქნა გაუქმებული და მის მაგიერ აღდგენილ იქნა საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის თებერვლის კონსტიტუცია, რომლის საფუძველზეც, საკონსტიტუციო კომისიის ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, 1995 წლის 24 აგვისტოს, მიღებულ იქნა სრულიად ახალი დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე კი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებას, მათი მოწყობისა და საქმიანობის წესს, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის მემკვიდრეობითობის საფუძველზე, განსაზღვრავდა 1992 წლის 6 ნოემბერს მიღებული „კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ", რომელიც მოქმედებდა ახალი, ნამდვილი დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღებამდე.

ეს ახალი კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 9 თავისა და 109 მუხლისაგან.

კონსტიტუციის პრეამბულაში ჩამოყალიბებულია საქართველოს მოქალაქეთა მიზნები და ამოცანები; პირველი თავი ეხება ზოგად დებულებებს – პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ორგანიზაციას, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასა და სახელმწიფოს გამგებლობის სხვა საკითხებს;

მეორე – ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს;

მესამე, მეოთხე და მეხუთე თავები დათმობილი აქვს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას;

მეექვსე თავი — სახელმწიფო ფინანსებსა და კონტროლის საკითხებს;

მეშვიდე თავი — საქართველოს თავდაცვის საკითხებს;

მერვე თავი — კონსტიტუციის გადასინჯვის წესს;

მეცხრე თავი — კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებს.

§2. მოქალაქეობის მიღებისა და დაკარგვის კონსტიტუციური პრინციპი

კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის შეძენა შეიძლება: **დაბადებით, ნატურალიზაციითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა** და საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

დაბადებით საქართველოს მოქალაქეობის შეძენა ხდება იმ შემთხვევაში, როცა ბავშვის დედაც და მამაც საქართველოს მოქალაქეა. ასეთ დროს ბავშვი საქართველოს მოქალაქედ ითვლება, სადაც არ უნდა იყოს იგი დაბადებული. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ბავშვის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, მეორე კი სხვა სახელმწიფოსი, ბავშვი საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება, თუ იგი დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე, ან დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოში; ან როცა ერთ-ერთი მშობელი დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე, ან დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოში; ან როცა ერთ-ერთი მშობელი დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მეორე არის მოქალაქეობის არმქონე პირი.

უფრო გართულებულია საკითხი, როცა ბავშვის ერთ-ერთი მშობელი არის საქართველოს მოქალაქე და ბავშვის დაბადების მომენტისათვის ორივე მშობელი ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ასეთ დროს საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობლების ურთიერთშეთანხმებით. ხოლო, თუ ისინი ვერ შეთანხმდებიან, მაშინ ბავშვის მოქალაქეობის საკითხი გადაწყდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა.

საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირების

ბავშვს მიენიჭებათ საქართველოს მოქალაქეობა, თუ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე დაიბადნენ.

ნატურალიზაციით მოქალაქეობის მიღება ნიშნავს იმას, რომ უცხო ქვეყნის (სახელმწიფოს) მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი ხდება საქართველოს მოქალაქე. ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როცა უცხო სახელმწიფოს მოქალაქე საქართველოში ცხოვრობს მუდმივად უკანასკნელი ათი (10) წელი. ამასთან, მას ეუალება იცოდეს ქართული ან აფხაზური ენა და საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა; აგრეთვე საქართველოში ჰქონდეს სამუშაო ადგილი ან რაიმე უძრავი ქონება. აქედან კანონით გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა პრეზიდენტი ანიჭებს პირს საქართველოს მოქალაქეობას საქართველოს წინაშე და კაცობრიობის წინაშე პირს მიუძღვის განსაკუთრებული დამსახურება, ან, როცა მოკვეთილი პირის მიღება საქართველოს მოქალაქედ საჭიროა საქართველოს ინტერესებით.

§3. საარჩევნო სისტემა

საარჩევნო სისტემა ეწოდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისეთ სისტემას, რომელიც დაკავშირებულია და რომლის მეშვეობითაც წარმოიქმნება სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნა-ჩამოყალიბება.

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია საარჩევნო სისტემის პრინციპები და მას მიეკუთვნება არჩევნების ჩატარება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით.

საყოველთაობა ნიშნავს იმას, რომ საარჩევნო უფლება მინიჭებული აქვს გარკვეულ ასაკს მიღწეულ ყველა მოქალაქეს, იმ პირების გარდა, ვინც სასამართლოს მიერ ცნობილია უუნაროდ. აგრეთვე სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მყოფი თავისუფლებააღკვეთილი პირები.

პირდაპირობა — ნიშნავს იმას, რომ ამომრჩეველი პირადად აძლევს ხმას მისთვის სასურველ კანდიდატს;

თანასწორობა — ყველა ადამიანს აქვს მხოლოდ ერთი ხმა და, ყველა თანასწორია და არავინ არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით;

ფარულ კენჭისყრაში იგულისხმება არჩევნების ისეთი წესი, რომ-

ლის დროს ამომრჩეველი თავის ერთადერთ ხმას აძლევს მის მიერ შერჩეულ კანდიდატს სხვების თანდასწრების გარეშე;

არსებობს საარჩევნო სისტემის ორი სახე: მაჟორიტარული და პროპორციული.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დროს ყველა საარჩევნო ოლქში პარტიების მიერ წარმოდგენილია თითო კანდიდატი და პარადად იერის კენჭს. არჩეულად ჩაითვლება ის, ვინც ოლქის საარჩევნო უბანში მონაწილე ამომრჩეველთა ცრით მესამედიდან ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს დეპუტატობის მანდატები ნაწილდება არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და ბლოკებს შორის პროპორციულად რაოდენობით. პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარებისას ჩვენთან სავალდებულოდაა მიჩნეული შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა.

§4. საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც, იმავე დროს, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს კონტროლს საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე. იგი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 150 დეპუტატისა და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 დეპუტატისაგან, სულ 235[1] პარლამენტის წევრისაგან. პარლამენტის უფლებამოსილების ვადაა ოთხი წელი.

პარლამენტის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) მრავალპარტიულობა;

ბ) წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვა;

გ) საკითხების თავისუფალი, კოლექტიური განხილვა-გადაწყვეტა;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, პარლამენტის რეგლა-

[1] ვარაუდობენ, რომ პარლამენტის მომავალ არჩევნებში დეპუტატთა რიცხვითი რაოდენობა საგრძნობლად შემცირდება.

მენტისა და სხვა ნორმატიული აქტების განუხრელი დაცვა და მათი შესრულების კონტროლი;

ე) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვა და პატივისცემა;

ვ) საჯაროობა;

ზ) სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების ერთიანობა.

პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ, მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში. მაგრამ არსებობს პერიოდები და გარემოებები, რიცა პრეზიდენტს ეკრძალება პარლამენტის დათხოვნა. ასეთ პერიოდებად და გარემოებებად მიჩნეულია:

ა) საპარლამენტო არჩევნების ჩატარება 6 თვის განმავლობაში;

ბ) პარლამენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;

გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

პარლამენტს ორგანოებია: ბიურო, კომიტეტი და ფრაქცია. კომიტეტის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება პარლამენტის კომიტეტის აპარატი და დროებითი საგამოძიებო კომისია.

პარლამენტის კომიტეტებია:

1. აგრარულ საკითხთა კომიტეტი;
2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;
3. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;
4. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტი;
5. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი;
6. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი;
7. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი;
8. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი;
9. რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტი;

10. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი;

11. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი;

12. საპრივატიზაციო საკითხთა და წესების კომიტეტი;

13. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.

კომიტეტის შემადგენლობაში უნდა იყოს არანაკლები 15 პარლამენტის წევრი.

პარლამენტში ცალკეული თანამდებობის პირები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე; კომიტეტის თავმჯდომარე; უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერი; ფრაქციის თავმჯდომარე; საგამომძიებო და სხვა დროებითი კომისიების თავმჯდომარეები; კომიტეტისა და ფრაქციის თავმჯდომარეთა მოადგილეები; პარლამენტის აპარატის უფროსი.

სახელმწიფო სამართალი, ანუ კონსტიტუციური სამართალი შეისწავლის აგრეთვე კონსტიტუციით განსაზღვრულ ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტისა და სხვა კონსტიტუციით განსაზღვრული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თანამდებობის პირების უფლებებსა და მოვალეობას.

სახელმწიფო, ანუ კონსტიტუციური სამართალი შეისწავლის აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას; საერთო სასამართლოების, როგორც ხელისუფლების ცალკე დამოუკიდებელი შტოს უფლებამოსილებასა და მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციურ პრინციპებს; საკონსტიტუციო სასამართლოს, პროკურატურისა და სახალხო დამცველის უფლებამოსილებას და სხვ. მაგრამ, ვინაიდან მათზე, როგორც სამართალდამცავ ორგანოებზე, ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა მსჯელობა, მათ შესახებ აქ აღარ შევჩერდებით.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის და რას შეისწავლის საკონსტიტუციო ან სახელმწიფო სამართალი?

2. საქართველოს რამდენი კონსტიტუცია იქნა სულ მიღებული?

3. როდის იქნა მიღებული ახალი, ამჟამად მოქმედი საქართველოს კონსტიტუცია?

4. როგორია საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის სისტემა?

5. რაში მდგომარეობს საქართველოს მოქალაქეობისა და მისი დაკარგვის კონსტიტუციური პრინციპი?

6. საქართველოს მოქალაქეობის მიღების რა წესი არსებობს?

7. როგორია საარჩევნო სისტემა?

8. რას ნიშნავს არჩევნების საყოველთაობა, ფარულობა, პირდაპირობა და თანასწორობა?

9. რას ნიშნავს არჩევნების მაჟორიტარული და პროპორციული სისტემა?

10. რა ორგანოა და ვისგან შედგება პარლამენტი?

11. რა პრინციპები ახასიათებს პარლამენტის საქმიანობას?

12. რა შემთხვევაში არ შეიძლება პარლამენტის გაუქმება?

13. რამდენი და რა სახელწოდების კომიტეტები არსებობს პარლამენტში?

თავი XV

სამოქალაქო სამართალი

§1. სამოქალაქო სამართლის ცნება, არსი, მნიშვნელობა, წყაროები და სისტემა

სამოქალაქო სამართლის კვლევის სფერო უაღრესად ფართო და მრავალმხრივია, რადგან იგი შეისწავლის და აწესრიგებს მოქალაქეთა ყოველდღიურ და, შეიძლება ითქვას, ყოველმხრივ პრაქტიკულ ცივილისტურ-სამართლებრივ ურთიერთობას. ყოველმხრივს ვამბობ იმიტომ, რომ ახალი სამოქალაქო კოდექსით, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წელს, სამოქალაქო სამართლის კვლევის სფერო კიდევ უფრო გაფართოვდა და მას მიეკუთვნა ზოგიერთი მანამდე დამოუკიდებელი სახის სამართლის დარგად არსებული საგნის კვლევის სფეროც, როგორიცაა, მაგალითად, საოჯახო სამართალი და სხვ.

სამოქალაქო სამართლის უმთავრესი წყაროა საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და თვით საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც სასამართლო რეფორმის გატარების შედეგად ქართველი მეცნიერი ცივილისტების დიდი შრომითა და უცხოელი, კერძოდ კი, გერმანელი ექსპერტების დახმარებით იქნა მოპოვებული. ეს არის სამართლის დიდი, დამოუკიდებელი დარგი. პრაქტიკული დარგი დიდი ცივილისტური მეცნიერებისა, რომელიც აწესრიგებს მოქალაქეთა ინტერესების ფართო წრეს. სწორედ ამიტომაც მეცნიერების ამ დარგისა და ამ კოდექსის შემოქმედმა ავტორებმა, სხვა კოდექსებისაგან განსხვავებით, მას უწოდეს არა **სამოქალაქო სამართლის კოდექსი**, არამედ **საქართველოს სამოქალაქო კოდექსი**.

ეს სამოქალაქო კოდექსი შედგება ექვსი წიგნისა და ათას ხუთას ოცი (1520) მუხლისაგან.

პირველი წიგნი დათმობილი აქვს სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებს და მოიცავს პირველი მუხლიდან ას ორმოცდაექვს (1-146) მუხლს;

მეორე წიგნში გაშუქებული და დადგენილია სანივთო, ანუ ქონებრივი სამართლის ამსახველი ნორმები და მოიცავს 147-დან 315 მუხლს;

მესამე წიგნი დათმობილი აქვს ვალდებულებითი სამართლის ნორმების გადმოცემას და მოიცავს 316-დან 1016 მუხლს;

მეოთხე წიგნი დათმობილი აქვს ინტელექტუალური საკუთრების ამსახველ ნორმებს და მოიცავს 1017-დან 1105 მუხლს;

მეხუთე წიგნში ასახულია საოჯახო სამართლის მარეგულირებელი ნორმები და მოიცავს 1106-დან 1305 მუხლებს;

მეექვსე წიგნში დადგენილია და გადმოცემულია მემკვიდრეობითი სამართლის მარეგულირებელი ნორმები და მოიცავს 1305-დან მუხლიდან 1503 მუხლს.

როგორც ვხედავთ, სამართლის ყველაზე მეტი ნორმები დათმობილი აქვს ვალდებულებითი სამართალს (წიგნი მესამე), რომელიც პრაქტიკულად, უმეტეს შემთხვევაში, ხორციელდება სახელშეკრულებო ვალდებულებით. იგი მოიცავს საკითხების ფართო წრეს; კერძოდ, სახელშეკრულებო სამართლის ზოგად დებულებებს, ხელშეკრულების დადების, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების, შესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების, ხელშეკრულების გასვლის, ფულადი ვალდებულების შესრულების, კრედიტორის მიერ ვალის გადაცილების, მოვალის მიერ ვალის გადაცილების, ორმხრივი ხელშეკრულებით დადებული ვალდებულების დარღვევის, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის, პირის გასამტეხლოს „ბე“-ს, მოვალის გარანტიის, ვალდებულების შეწყვეტის, ტურისტული მომსახურების, გადაზიდვა-გადაყვანის, საკუთრების მინდობის, ქირავნობის, სესხების, შიბარების, დაზღვევის, საბანკო მომსახურების, ანაბრის, თავდებობის, ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულების, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის), საბისნესმეშვო რჩენის, თამაშობისა და ხანგრძლივობების, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების, დელიქტურ ვალდებულებების, საავტორო სამართლის, სამრეწველო საკუთრების და მთელი რიგი სხვა სახის სახელშეკრულებო ვალდებულებით წარმოქმნილ უფლება-მოვალეობებს.

სამოქალაქო სამართალი შეისწავლის და აწესრიგებს მოქალაქეებს შორის, მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს შორის ან უშუალოდ ორ-

განიზაციებს შორის აღმოცენებულ ქონებრივ და ზოგიერთი პირადი არაქონებრივი სახის სამართლებრივ ურთიერთობებს.

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის აღმოცენებული ყველა დავა, რომლის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ქონება, სხვადასხვა მატერიალური ღირებულების მქონე ნივთები, ისე შემოქმედებითი ინტელექტუალური შრომის პროდუქტები, მოქმედება ან არაქონებრივი ხასიათის სიკეთე და სხვ., წესრიგდება სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით. უფრო სწორად, ზემოთ მოხსენიებული სამოქალაქო კოდექსის ნორმებითაა მოწესრიგებული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთა უფლებები და მოვალეობები.

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების **სუბიექტების უფლებაში იგულისხმება ის, რომ მას უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე პირს (სუბიექტს), პირებს ან ორგანიზაციას შეასრულოს ამა თუ იმ სახის მოქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული სახის მოქმედების შესრულებისაგან. მოვალეობა კი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მიერ შესასრულებელი ისეთი სავალდებულო ქცევაა, რომლის შესრულება ან შეუსრულებლობა სავალდებულოა ამ ურთიერთობის მონაწილე სხვა პირის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.**

სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება და მოვალეობა ერთმანეთთან ჭიდროდაა დაკავშირებული და ისინი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ. მაგალითად, ფულის გამსესხებელის უფლება აქვს დათქმული დროის გასვლის შემდეგ მოვალეს მოსთხოვოს ვალის გადახდა. ამ უკანასკნელის კი ეკისრება ასეთი სესხის უკან დაბრუნება. სესხად აღებული ვალის უკან დაბრუნებით შეწყდება ფულის გამსესხებელსა და მევალეს შორის აღმოცენებული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა.

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობაა გარიგება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი სახის.

ხელშეკრულება კანონიერად ჩაითვლება, თუ მისი დადების დროს დაცულ იქნება კანონით დადგენილი ყველა წესი. ხელშეკრულების

დადების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად მიჩნეულია შეცნობადობა, უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიერ დადებული გარიგება ბათილად ჩაითვლება.

ხელშეკრულების დადების მონაწილე სუბიექტის სამოქალაქო უფლებაუნარიანობა ნიშნავს პირის უნარს, იქონიოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები: აღამიანს ასეთი უფლებაუნარიანობა აღმოუცენდება დაბადების მომენტიდან, ზოგჯერ კი იგი შეიძლება უფრო ადრინდელ საფეხურზეც დაიწყოს. კერძოდ, დედის საშოში ჩანასახი ბავშვის ემბრიოლოგიური განვითარების პროცესიდან.

მაგალითად, ფეხმძიმედ მყოფი ქალის მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, ჯერ კიდევ დედის მუცელში მყოფ ცოცხალ არსებას უფლება აქვს იყოს თავისი გარდაცვლილი მამის მიერ დატოვებული ქონების მემკვიდრე და სხვ., რომლის პრაქტიკულ რეალიზაციას იგი მოახდენს დაბადების შემდეგ თავისი დედის, ბებიის ან სხვა მეურვის მეშვეობით.

მაშასადამე, სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებაუნარიანობა ნიშნავს პირის შესაძლებლობას, მოიპოვოს სამოქალაქო სახის უფლებები და მოვალეობები, მემკვიდრეობით მოიპოვოს უფლება საკურთებაზე და სხვ.

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს ზემოაღნიშნული სახის ქმედუნარიანობა აღმოუცენდება ასაკობრივი ზრდის შესაბამისად ჯერ შეზღუდული სახით, შემდეგ კი სრულყოფილი, ანუ შეუზღუდავი სახით.

§2. საკუთრების ცნება და მისი ელემენტები

ქონებრივი სახის სამოქალაქო, სამართლებრივ ურთიერთობებზე მსჯელობა უაზრო და უსაგნო იქნება, თუ არ გვეცოდინება საკუთრების ცნების გამომხატველი აუცილებელი ელემენტები, მათი არსი და მნიშვნელობა.

საკუთრების ცნების აუცილებელი ელემენტებია: **მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა.**

მფლობელობა ნიშნავს პირის (სუბიექტის) უფლებას, ფლობდეს ამა თუ იმ საგანს, ნივთს, ობიექტს ისე, რომ არ იყოს მისი მე-

საკუთრე; ან დროებით ფლობდეს მიბარებულ ნივთს, ჭონებას, მაგრამ არ იყოს მისი მესაკუთრე და სხვ.

სარგებლობა ნიშნავს პირის (სუბიექტის) უფლებას, გამოიყენოს ნივთი, საგანი, ან წარმოების საშუალება თავისი დანიშნულებისამებრ და ისარგებლოს ამის შედეგად მიღებული მონაცემებით, პროდუქტებით და სხვ. ამასთან, მას უფლება აქვს დროებით სარგებლობისათვის გადასცეს სხვა პირს მის სარგებლობაში მქონე ნივთი, საგანი ან წარმოების საშუალება ისეთი სახით, რომ მასზე არ დაკარგოს საკუთრების უფლება მასმა მესაკუთრემ.

განკარგვა არის საკუთრების ისეთი მძლავრი ელემენტი, რომელიც პირს (სუბიექტს) ანიჭებს ისეთ ფართო უფლებას, რომლითაც იგი უფლებამოსილი ხდება თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს მის მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული ნივთის, პროდუქტების გარკვეული ნაწილის, ან მთელი ქონების ბედი. კერძოდ, მოახდინოს მისი გადაცემა სხვა პირზე, მისი გაცვლა, გაჩუქება, გასესხება ან გაყიდვა და სხვ.

სამოქალაქო სამართალი იცნობს საკუთების მოპოვების ისეთ ხერხებსა და საშუალებებს, როგორიცაა: საკუთრებაზე უფლების მოპოვება შრომით გასამრჯელოს მიღების, ჩუქების, გაცვლის, ყიდვის ან სხვა სახის ხელშეკრულებით, მატერიალური ღირებულების საგნების, ობიექტებისა და პროდუქტების დამზადებით, მემკვიდრეობით და სხვ.

§3. მემკვიდრეობითი სამართლის ზოგადი დახასიათება

საკუთრების მოპოვების ერთ-ერთი მეტად საინტერესო და ქმედითი საშუალებაა ქონებრივი უფლების გადასვლა სხვა პირზე სამკვიდროს დამტოვებელი პირის გარდაცვალების შემთხვევაში, რაც წესრიგდება მემკვიდრეობითი სამართლის შესაბამისი ნორმებით.

ერთიმეორისაგან განასხვავებენ მემკვიდრეობის ორ სახეს: **კანონით მემკვიდრეობასა და ანდერძით მემკვიდრეობას.**

ა) **ანდერძით მემკვიდრეობის დროს** მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ მოანდერძე უფლებამოსილია ანდერძით თავისი კუთვნილი ქონება დაუტოვოს ნებისმიერ პირს, ორგანიზაციას ან პირთა ჯგუფს, ხოლო, თუ მოანდერძეს თავისი კუთვნილი ქონება

ანდერძით არავისათვის არ გადაუცია, მაშინ მისი კუთვნილი ქონება გადაეცემათ მის კანონიერ მემკვიდრეებს.

იმ შემთხვევაში კი, როცა არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ან როცა ქველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, ასეთ დროს უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე. თუ მამკვიდრებელი მოხუცია, ინვალიდია, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებების კმაყოფაზეა, მაშინ მისი კუთვნილი ქონება გადადის ამ იურიდიული პირის საკუთრებაში.

რაც შეეხება უმკვიდრო ქონების სამეწარმეო საქმიანობაში ან კოოპერატივში წილის, აქციის ან პაის სახით, სამოქალაქო კოდექსის 1443-ე მუხლით, გადადის მათ ხელში, თუ კანონით სხვა რამ არის გათვალისწინებული.

კანონის შესაბამისად, ანდერძით მემკვიდრეობის დროს ფიზიკურ პირს შეუძლია საკუთრების შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე ნებისმიერ პირს. **მოანდერძე ანდერძის შედგენის დროს უნდა იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი და შეეძლოს გონივრულად განსაჯოს თავისი ნების გამოხატულება. ამასთან, კანონი მოითხოვს, რომ ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად თვი მოანდერძემ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ შეიძლება. ასევე, ანდერძი არ შეიძლება შედგენილ იქნეს პირთა ჯგუფის მიერ.** ასეთი გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ცოლ-ქმართა მიერ ანდერძის ერთობლივი შედგენისათვის, მაგრამ აქაც მათ მიერ შედგენილი ეს ერთობლივი ანდერძი შეიძლება გაუქმდეს მაინცდამაინც ერთ-ერთის მოთხოვნით მხოლოდ მაშინ, როცა ჯერ კიდევ ორივე მოანდერძე ცოცხალია.

ანდერძი შედგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. კანონი დასაშვებად მიიჩნევს, რომ ანდერძი შედგენილ იქნეს სანოტარო წესით ან მის გარეშე. **სანოტარო წესით ანდერძის შედგენისას იგი ხელმოწერილ და დადასტურებულ უნდა იქნეს ნოტარიუსისა და მოანდერძის მიერ.** კანონი უშვებს ისეთ შემთხვევასაც, როცა ანდერძის შედგენა ხდება იქ, სადაც ნოტარიუსი არაა, იგი დადასტურებულ იქნეს თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ.

კანონით დაბაშკებადაა მიჩნეული ისეთი შემთხვევაც, როცა ანდერძი შეიძლება შედგენილ იქნეს ნოტარიუსის მიერ მოანდერძის სიტყვებით ორი მოწმის თანდასწრებით. მაგრამ იგი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმის თანდასწრებით მასზე მოაწეროს ხელი. იმ შემთხვევაში, როცა მოანდერძეს ობიექტური მიზეზების გამო თვითონ არ შეუძლია ანდერძზე ხელის მოწერა, მაშინ მის მაგივრად, მისივე თხოვნით შეიძლება ხელი მოაწეროს სხვა პირმა, მაგრამ ანდერძში უნდა მიეთითოს იმ გარემოებაზე რა მიზეზითაა და რის გამოც თვითონ მოანდერძემ ვერ შეძლო მასზე ხელის მოწერა.

ანდერძის შედგენაში მონაწილე პირების მიერ დაცულ უნდა იქნეს ანდერძის საიდუმლოება სამკვიდროს გახსნამდე.

ზემოაღნიშნული სახის ანდერძის გარდა, **კანონი იცნობს აგრეთვე დახურული სახის ანდერძს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოანდერძის მიერ მოწმეების თანდასწრებით შედგენილ ანდერძს ისე უნდა მოაწერონ ხელი, რომ არ გაეცვნენ მის შინაარსს.** ასეთი დახურული ანდერძის დადასტურებისას მოწმეებმა იქვე უნდა მიუთითონ, რომ ანდერძი შედგენილ აქვს მათი თანდასწრებით მოანდერძის მიერ, მაგრამ ისინი არ გასცნობიან ანდერძის შინაარსს.

ახალი კანონმდებლობით შემოღებულ იქნა **სავალდებულო წილი**, რაც იმას ნიშნავს, რომ ანდერძით მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეულლეს ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამკვიდროს წილის მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით.

ბ) **კანონისმიერი მემკვიდრეობა.** სამოქალაქო სამართალი იცნობს კანონისმიერ მემკვიდრეობა **ხუთ** ძირითად ჯგუფს.

კანონით მემკვიდრეობა **პირველ რიგს**, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად, მიეკუთვნება: გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეულლე, მშობლები (მშვილებლები).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და ალმავალი ხაზის სხვა ღვიძლი ნათესავების, აგრეთვე დებისა და მამების გარდაცვალების შემდეგ.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობელმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.

მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილების და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებულნი არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ღვიძლ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, ალმავალი ხაზის სხვა ღვიძლ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ.

მეორე რიგის მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისთვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობით დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდათ.

მესამე რიგის მემკვიდრეებს მიეკუთვნება ბებია და პაპა. ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა როგორც დიდის, ისე მამის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან;

მეოთხე რიგის მემკვიდრეებს მიეკუთვნება ბიძები (ლედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები;

მეხუთე რიგის მემკვიდრეები არიან გარდაცვლილის ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.

კანონით დადგენილი ეს რიგითობა კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მკაცრად უნდა იქნეს დაცული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა, გამორიცხავს შემდგომი რიგის წარმომადგენელის მემკვიდრეობას.

§4. სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების ზოგადი დახასიათება

სამოქალაქო სამართლის კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებები, რომლებიც თავიანთი წარმოქმნის საფუძვლის მიხედვით შეიძლება იყოს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო სახის, სახელშეკრულებო ვალდებულება, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, აღმოცენდება ხელშეკრულების საფუძველზე.

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების უმეტესობა ოპტიმალურ გამოხატულებას პოულობენ სწორედ ხელშეკრულებაში, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე ასეთი ხელშეკრულების წინააღმდეგი იქნება, ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება.

სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებებიდან ყველაზე მეტად **გავრცელებულია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ჩუქებისა და სესხის ხელშეკრულებები.**

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის მხარეებადაც გვევლინება მყიდველი და გამყიდველი, შეიძლება დადებულ იქნეს ზეპირი ან წერილობითი სახით, ამ ხელშეკრულების უმთავრესი პირობაა მხარეების ფასზე შეთანხმება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც წინასწარ დაგვენილი, ისე უშუალოდ ყიდვა-გაყიდვის პროცესში აღმოცენებული და განსაზღვრული.

ყიდვა-გაყიდვის საგანი შეიძლება იყოს ფუფუნებისა და ფართო მოხმარების საგნები. მისი საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე მატერიალური მომსახურების სფეროში დადებული შეთანხმება გარკვეული სახის მოქმედების შესრულების შესახებ. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ მასში მონაწილე თითოეულ მხარეს - ამ ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე აღმოუცენდება გარკვეული უფლებები და მოვალეობები. კერძოდ, გამყიდველი ვალდებულია გადასცეს საგანი ან ქონება მყიდველს, თუკი ამ უკანასკნელმა ხელშეკრულებაში მითითებული ყველა პირობა (გადაახადა მისი ღირებულება და სხვ.) შეასრულა.

თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარე დაარღვევს ხელშეკრულებაში მითითებულ პირობას, მასში მონაწილე თითოეული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს მისი შესრულება ან ხელშეკრულების მოშლა. მაგალითად, თუ გამყიდველი მყიდველს არ გადასცემს ნაყიდ საქონელს, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია მოითხოვოს მისი გადაცემა ან საერთოდ მათ შორის დადებული ხელშეკრულების მოშლა და ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ჩუქების ხელშეკრულების დროს მჩუქებელი აძლევს თავისი კუთვნილი ქონების გადაცემას უსასყიდლოდ მეორე მხარისათვის და იგი დადებულად ითვლება ჩუქების საგნის გადაცემის მომენტიდან; თუ ჩუქების საგანი ძვირად ღირებულია, მაშინ ამის შესახებ შედგენილ უნდა იქნეს წერილობითი ხელშეკრულება და იგი დამოწმებულ იქნეს სანოტარო წესით.

ყიდვა-გაყიდვის ან სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ამ ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია ისაა, რომ მის დამდებ მხარეებს არაკეთილი უფლება-მოვალეობა არ აღმოუცენდებათ, რადგან იგი აუცილებლად სასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაჩუქრებულ პირს მჩუქებელის მიმართ არაკეთილი მოვალეობა არ აღმოუცენდება მისთვის მატერიალური ღირებულების გადახდის თვალსაზრისით, საგულისხმოა ისიც, რომ დასაჩუქრებულ პირს უფლება არა აქვს წარუდგინოს პრეტენზია მჩუქებელს ნაჩუქარი ნივთისათვის დამახასიათებელი რაიმე ნაკლოვანი მხარის აღმოჩენის შემთხვევაში. აქედან გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა ნაჩუქარი ნივთისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანი მხარე წინასწარ იყო ცნობილი

მჩუქებლისათვის და ამ ნაკლის გამო სერიოზული ქონებრივი ზიანი მიადგა დასაჩუქრებულის ქონებას. ასეთ შემთხვევაში ამ უკანასკნელს უფლება აქვს მჩუქებელს მოსთხოვოს ნაჩუქარი საგანით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ადგენს ჩუქების შეზღუდვის გარკვეულ პირობასაც, რაც აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩუქების დროს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლი ადგენს: „პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს".

კანონით დადგენილია ისიც, თუ ჩუქება რა შემთხვევაში შეიძლება გაუქმდეს და ნაჩუქარი ნივთი მჩუქებელს დაუბრუნდეს. ასეთ გარემოებად სამოქალაქო სამართლის კოდექსის 529-ე მუხლი მიიჩნევს დასაჩუქრებულის დიდ უმადურობასა და დასაჩუქრებულისაღმი მძიმე შეურაცხყოფის მიყენებას. ასეთ შემთხვევაში ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების საფუძველს აძლევს.

გაჩუქებული ნივთის უკან მოთხოვნის უფლება აქვს მჩუქებელს აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა იგი აღმოჩნდა ისეთ მძიმე მდგომარეობაში, რომ მას არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მაგრამ თუ ამ დროისთვის არსებობს მის მიერ გაჩუქებული ნივთი ან საგანი და თუ ამ საგნის უკან დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.

§5. საოჯახო სამართლის ზოგადი დახასიათება

სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგადაა მიჩნეული საოჯახო სამართალი, რომლის უპირველესი ამოცანაა ოჯახის განმტკიცება, საოჯახო ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგება. ქალისა და მამაკაცის დაქორწინების სამართლებრივი პირობების შეთანხმება და მათი დაცვა, ქორწინების შედეგად აღმოცენებული მეუღლეთა უფლებებისა და მოვალეობების დაცვა, მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობები და მათი ინტერესების დაცვა, მშობელთა უფლება-

მოვალეობანი და პასუხისმგებლობა, მეურვეობა და მზრუნველობა და სხვ.

საქართველოში საოჯახო ურთიერთობის ყველა საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-1305-ე მუხლებით. კერძოდ, საქართველოს საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობით დადგენილია ქორწინების ისეთი აუცილებელი პირობები, რომელთა დაუცველობისას შეიძლება მოჰყვეს გაბათილება. ასეთ სავალდებულო პირობად კანონით მიჩნეულია:

1) დასაქორწინებელ პირთა თანხმობა ქორწინებაზე;

2) ქორწინებაში შემავალი პირები უნდა იყვნენ კანონით დადგენილ საქორწინო ასაკს მიღწეულნი;

3) ქორწინებაში არ შეიძლება შევიდეს პირი, რომელიც სხვასთან ქორწინებაშია რეგისტრირებული და მასთან არა აქვს განქორწინება, ე.ი. დაცული უნდა იყოს ერთქორწინების პრინციპი;

4) ქორწინება დაუშვებელია ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმას შორის;

5) ქორწინება დაუშვებელია პირდაპირ აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის;

6) ქორწინება დაუშვებელია შვილებელსა და ნაშვილებს შორის;

7) ქორწინება დაუშვებელია იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დაუცველობა იწვევს ქორწინების ბათილად ცნობას.

ქორწინება ბათილად შეიძლება ჩაითვალოს მაშინაც, როცა დადგინდება, რომ იგი ფიქციურია. ქორწინების რეგისტრაციის შედეგად შეუღლებებს აღმოუცენდებათ მთელი რიგი იურიდიული უფლება-მოვალეობები, რომელთაგან აღსანიშნავია მათი ქონებრივი უფლებები.

მეუღლეების პირად საკუთრებას მიეკუთვნება ქორწინებამდელი ან ქორწინებისა და მის შემდგომ პერიოდში მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება, სახელმწიფო ან სახელობითი პრემია, ჯილდო, რაიმე გამოგონების აღმოჩენისათვის მიღებული ქონებრივი გასამრჯელო და სხვ.

მეუღლეთა საერთო ქონებას კი მიეკუთვნება მათ მიერ ქორწინების

შემდგომ პერიოდში შეძენილი ქონება და მასზე თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი უფლება, თუნდაც, რომ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდეს მხოლოდ საშინაო-საოჯახო მეურნეობას და არ ჰქონდეს რაიმე დამოუკიდებელი საზის შემოსავალი. თუ, ცხადია, მათი ქორწინების ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საერთო ქონების გაყოფისას მეუღლეებს ეკუთვნით თანაბარი წილი. მაგრამ ამ საერთო წესიდას შეიძლება მოხდეს გამონაკლისი სასამართლო წესით არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან, ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით, ან თუ დადგინდება, რომ მეუღლეთაგან ერთ-ერთი შეგნებულად არიდებდა თავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და საერთო საკუთრებას ფლანგავდა თავისი პირადი ეგოისტური ინტერესებისათვის ოჯახის საზიანოდ.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1172-1181-ე მუხლებით დადგენილია მეუღლეთა საქორწინო ხელშეკრულების პირობები მათი ქონებრივი ურთიერთობის შესახებ. ხელშეკრულება შეიძლება დადონ ქორწინების რეგისტრაციამდე ან რეგისტრაციის შემდეგ. მათ მიერ დადებული ხელშეკრულებით შეიძლება წინასწარ იქნეს განსაზღვრული მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

ქორწინების რეგისტრაციის შედეგად არა მარტო მეუღლეებს აღმოუცენდებათ გარკვეული იურიდიული უფლებები და მოვალეობები, არამედ ამ ქორწინების შედეგად წარმოშობილ მათ შვილებსაც.

აღსანიშნავია, რომ საოჯახო კანონმდებლობით ერთიმეორესთანაა გათანაბრებული ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ გაჩენილი შვილისა და შვილად აყვანილი პირის უფლება-მოვალეობები. ასევე, ერთიმეორესთანაა გათანაბრებული თავიანთი უფლება-მოვალეობებით მშობლებისა და შვილად ამყვანი პირების უფლება მოვალეობები.

აქედან გარკვეული თავისებურებებით სახეათდება რეგისტრირებული ქორწინებისა და მის გარეშე წარმოშობილი ბავშვების სამართლებრივი საკითხები. ამ უკანასკნელი სახით*გაჩენილი ბავშვების სამართლებრივი საკითხების გარკვევისას სათანადო მნიშვნელობა ენიჭება გამოჩენილ ბავშვთან მშობლების ნათესაური კავშირის დადგენას.

როგორც წესი, ბავშვთან დედის სისხლით ნათესაური კავშირის

დასადგენად მნიშვნელობა არა აქვს ქორწინების რეგისტრაციას. ასეთ დროს მნიშვნელოვანია გაირკვეს მხოლოდ მეორე მხარის — მამის ნათესაური კავშირი ბავშვთან. თუ ქორწინების რეგისტრაციის გარეშე გაჩენილი ბავშვის მამობას ნებაყოფლობით აღიარებს ესა თუ ის პირი და ბავშვის დედაც მას გაჩენილ ბავშვის მამად მიიჩნევს, იგი გატარდება მის გვარზე და სახელზე.

თუ პირი თავს არიდებდა ბავშვის მამობას, მაშინ ადრე ბავშვის მამად იგი შეიძლება ცნობილი ყოფილიყო იძულებით სასამართლო წესით, თუკი ამისათვის არსებობდა შემდეგი მონაცემები:

1) მონაცემები ბავშვის დაბადებამდე, ფეხმძიმობის პერიოდის გათვალისწინებით, ამ მამაკაცისა და ბავშვის დედის ერთად ცხოვრებისა და მათი ერთობლივი მეურნეობის წარმოების შესახებ;

2) მონაცემები დაბადებული ბავშვის დედასა და მოპასუხე პირის (მამაკაცის) ბავშვის ერთად აღზრდისა და რჩენის შესახებ;

3) სხვა მონაცემები და მტკიცებები იმისა, რომ ეს პირი მამის სახით სისხლით ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა გაჩენილ ბავშვთან;

4) ზოგჯერ ატარებდნენ აგრეთვე გენეტიკურ-დაქტილოსკოპიურ ექსპერტიზას.

ამჟამად კი ამის დადგენის უტყუარ მტკიცებულებას იძლევა სისხლის კვლევის საფუძველზე ჩატარებული გენეტიკური ექსპერტიზა.

ბავშვის მიმართ მშობლების უფლება-მოვალეობები შეიძლება აღმოცენდეს დაბადებულ ბავშვთან მათი სისხლითი ნათესაობის გარეშეც და ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა ადგილი აქვს ბავშვის შვილად აყვანას.

ამ იურიდიული აქტის გაფორმების შემდეგ შვილად აყვანილი პირი თავისი უფლებებით აბსოლუტურად უთანაბრდება ქორწინების რეგისტრაციის შედეგად გაჩენილი ბავშვის იურიდიულ უფლებებს. ამასთან, შვილად აყვანილი პირი კარგავს თავის იურიდიულ უფლებებს ღვიძლი მშობლებისა და მისი სხვა სისხლით ნათესავების მიმართ.

მშობლები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი და შრომისუუნარო შვილები, თუ მშობლები კანონის ამ მოთხოვ-

ნას არ შეასრულებენ და განქორწინდებიან, მაშინ მათ სასამართლოს მეშვეობით დაეკისრებათ ალიმენტის გადახდა. ალიმენტის გადახდა შეიძლება დაეკისროს ბავშვის მამას ან დედას, იმისდა მიხედვით, თუ ბავშვი ვისთან რჩება აღსაზრდელად.

მშობლები ვალდებულნი არიან ალიმენტი გადაუხადონ აგრეთვე პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდ სრულწლოვან შვილებს.

კანონის თანახმად, ალიმენტის გადამხდელ მშობელს შეიძლება დაეკისროს სხვა ისეთი დამატებითი ხარჯების გადახდაც, რაც დაკავშირებულია ბავშვის მძიმე ავადმყოფობასთან, მის დასახიჩრებასთან, ჯანმრთელობის სხვიანი გარემოებასთან და სხვ.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის სამოქალაქო სამართალი და რა არის მისი კვლევის საგანი?
2. როდის იქნა მიღებული საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი?
3. რა არის სამოქალაქო სამართლის ძირითადი წყარო?
4. როგორია სამოქალაქო კოდექსის სისტემა?
5. ვინ შეიძლება იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები?
6. რა ძირითადი ნიშნები უნდა ახასიათებდეს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს?
7. რას ნიშნავს სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა?
8. რა არის საკუთრება და მისი ელემენტები?
9. რას ნიშნავს ანდერძით მემკვიდრეობა?
10. რას შეისწავლის სამემკვიდრეო სამართალი?
11. რას ნიშნავს სამკვიდრო ქონების სავალდებულო წილი?
12. როგორ უნდა მოხდეს ანდერძის შედგენა?
13. ვინ უნდა ესწრებოდეს ანდერძის შედგენას?
14. რას ნიშნავს დახურული სახის ანდერძი?
15. რას ნიშნავს კანონისმიერი მემკვიდრეობა?
16. როგორაა კანონისმიერი მემკვიდრეების რიგითობა დადგენილი?

17. რა არის და რას შეისწავლის სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულება?
18. რა თავისებურებებით ხასიათდება ყიდვა-გაყიდვისა და ჩუქების ხელშეკრულებები?
19. რას ნიშნავს ჩუქების შეზღუდული უფლება?
20. რას შეისწავლის საოჯახო სამართალი?
21. რა აუცილებელი პირობები უნდა იქნეს დაცული ქორწინებისათვის?
22. რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ქორწინება ბათილად?
23. შეიძლება თუ არა მექორწინეებს შორის ხელშეკრულების დადება და რას უნდა ეხებოდეს იგი?
24. რა უფლება-მოვალეობები აღმოუცენდებათ ქორწინების რეგისტრაციაში გატარების შემდეგ მექორწინეებს?
25. როგორ უნდა მოხდეს რეგისტრაციის გარეშე დარჩენილი ბავშვის მამობის დადგენა და როგორ უნდა მოხდეს მისი რეგისტრაცია?
26. ვის და რა შემთხვევაში შეიძლება დაენიშნოს ალიმენტის გადახდა?
27. დედას შეიძლება თუ არა დაეკისროს ბავშვისთვის გადასახდელი ალიმენტი?

თავი XVI

სისხლის სამართალი

§1. სისხლის სამართლის ცნება, სისტემა, მიზნები და ამოცანები

სასამართლო რეფორმის მომზადების პროცესში ისევე, როგორც სამართლის სხვა დარგებში სისხლის სამართალშიც განიცადა გარკვეული ცვლილება, მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც შეჯამებულია მთელი რიგი ახალი ამკრძალავი ნორმები. მიუხედავად მასში შეტანილი დიდი ცვლილებებისა, მისი სისტემა ზოგადი თვალსაზრისით კვლავ უცვლელად დარჩა და ტრადიციულად იგი შედგება ორი ნაწილისაგან — სისხლის სამართლის ზოგადი და განსაკუთრებული, ანუ კერძო ნაწილისაგან.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი შეისწავლის და ადგენს ისეთ ზოგად დებულებებს, რომელთა ცოდნის გარეშე შეუძლებელია ვიმსჯელოთ პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობაზე, მის სწორ კვალიფიკაციაზე, პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, დანაშაულის ჩადენაში პირის თანამონაწილეობაზე, ბრალის სახეობაზე და სხვ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი ადგენს და შეისწავლის სისხლის სამართლის მიზნებსა და ამოცანებს; სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლებს; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს; სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებს; სისხლის სამართლის კანონსა და მის ახსნა-განმარტების ხერხებსა და საშუალებებს; დანაშაულის ზოგად განმარტებას; ბრალის ფორმებს; მიზეზობრივ კავშირს; დამნაშავის გადაცემისა და ექსტრადიციის საკითხებს; არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობას; პასუხისმგებლობას დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის; მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს; სასჯელის მიზნებსა და სახეებს, სასჯელის დანიშვნის წესსა და საფუძვლებს; პირობითი სასჯელის ცნებასა და მისი გამოყენების პირობებს; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების წესსა და პირობებს; არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს; სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების სახეებს, მათი გამოყენების საფუძვლებსა და წესს და სხვ.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი კი ადგენს და შეისწავლის იმას, თუ კონკრეტულად რა სახის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) შეიძლება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ქმედებად, ანუ დანაშაულად და რა სახის სასჯელი შეიძლება შეეფარდოს მას ჩამდენ პირს. უფრო სწორად იგი შეისწავლის და ადგენს იმ კონკრეტული სახის ქმედებებს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებადაა გამოცხადებული. განსაკუთრებული ნაწილის სისტემაში, აღრე მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით, რომელსაც საფუძვლად ედო ხელყოფის ერთგვაროვანი ობიექტი, განლაგებულია ისე, რომ ყოველთვის არაა დაცული დანაშაულებრივ ქმედებათა ხელყოფის ობიექტის ერთგვაროვნება და იგი სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ; დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში; დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში; დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ; დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა; დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ; ნარკოტიკული დანაშაული; ტერორიზმი; ტრანსპორტო დანაშაული; კომპიუტერული დანაშაული; გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; ტერორიზმი; სამხედრო დანაშაული; მშვიდობიანობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაუ-

ლი; სასამართლო ორგანოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; მტკიცებულებების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; სამხედრო სამსახურისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

მაშასადამე, **სისხლის სამართალი არის სამართლის ის დარგი, რომელიც შეისწავლის მოძღვრებას დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, სასჯელთა დანიშვნისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პირობებს, აგრეთვე იმას, თუ რა სახის მოქმედება ან უმოქმედობა უნდა ჩაითვალოს დანაშაულად და რა სასჯელი შეიძლება შეეფარდოს მის ჩამდენ პირს.**

სისხლის სამართლის პრინციპებიდან აღსანიშნავია კანონიერების პრინციპი, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი, პასუხისმგებლობის აუცილებლობის პრინციპი, ჰუმანიზმის პრინციპი, პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, დემოკრატიზმის პრინციპი. სისხლის სამართალი თავის უმთავრეს მიზნად მიიჩნევს დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილებასა და მართლწესრიგის დაცვას (სსსკ 1-ლი მუხლი).

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებული კონკრეტული სახის დანაშაულებრივი ქმედებების განხილვას აქ არ შევუდგებით და ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ისეთ ზოგად ფუნდამენტალურ საკითხებზე, რომელთა ცოდნის გარეშე ვერ განვსაზღვრავთ — ჩადენილი ქმედება საერთოდ შეიცავს თუ არა დანაშაულის ნიშნებს, დადებით შემთხვევაში, როგორ უნდა მოხდეს მისი კვალიფიკაცია, ხომ არაა იგი ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში და სხვ.

§2. დანაშაულის ცნება და მისი ფორმალური შემადგენლობა

იმისათვის, რომ პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში იქნეს მიცემული, საჭიროა მის მიერ ჩადენილი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) იყოს სისხლის სამართლის კანონით დასჯადი და იგი ატარებდეს შეგნებულ, განზრახ ან გაუფრთხილებლობით ხასიათს. ამასთან, აუცილებელია, რომ ასეთი ქმედება შეიცავდეს დანაშაულის შემადგენ-

ლობის ყველა ელემენტს, კერძოდ: დანაშაულის ობიექტის, ობიექტური მხარის; სუბიექტისა და სუბიექტური მხარის ნიშნებს.

დანაშაულის ობიექტი არის ის, რომლის ხელყოფისაკენ მიმართულია დანაშაულებრივი ქმედება, ე.ი. რასაც ზიანი ადგება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით. ერთიმეორისაგან განასხვავებენ დანაშაულის საერთო, გვაროვნულ, ანუ სპეციალურსა და უშუალო სახის ობიექტებს. არ არსებობს დანაშაული, რომელიც გარკვეულ ზიანს არ აყენებდეს ან ასეთის მიყენების საფრთხეს არ უქმნიდეს რომელიმე სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ჩადენილი ქმედების სახეობაში — მოქმედების ან უმოქმედობის შესრულებაში, მისი ჩადენის ხერხებში. ზოგიერთი სახის დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირის აქტიური მოქმედებით. ზოგი კი შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედებით.

ცნობილია, რომ, მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც ცეცხლსასროლი, ისე ცივი იარაღის (დანის და სხვ.) გამოყენებით, ე.ი. დამნაშავე პირის აქტიური მოქმედებით. სხვა შემთხვევაში მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს პირის უმოქმედობითაც.

მაგალითად, თუ ექიმმა დანიშნულ დროს არ მისცა წამალი ავადმყოფს, ან თუ დედამ თავის ჩვილ ბავშვს არ მისცა საკვები და ამის გამო დადგა სიკვდილი, ე.ი. ექიმისა და დედის ამგვარ უმოქმედობას მოჰყვა ავადმყოფის ან ჩვილი ბავშვის სიკვდილი. ცხადია, ასეთ დროს ადგილი აქვს ამ პირთა უმოქმედობით ჩადენილ მკვლელობას.

დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტებია აგრეთვე სუბიექტისა და სუბიექტური მხარის დამახასიათებელი ნიშნები.

დანაშაულის ჩადენის **სუბიექტი** შეიძლება იყოს გარკვეულ ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი, ე.ი. დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შესრულებული აქვს კანონით დადგენილი ასაკობრივი ცენზი და შერაცხადია.

სისხლის სამართლის კანონის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს შეიძლება დაეკისროს 14 წლის ასაკიდან.

კანონის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ

დაკისრება იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიშ ქმედების ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ე.ი. როცა მას არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი მოქმედებისათვის ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო.

პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისაცემად აუცილებელია, რომ მას ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში მიუძღოდეს ბრალი, ე.ი. კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება მოცემული პირის მიერ ჩადენილი იყოს განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

თავის მხრივ, განზრახვა **შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი. პირდაპირი განზრახვით ჩადენილად ითვლება** ქმედება თუ მის ჩამდენ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას.

არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილად ითვლება ისეთი ქმედება, როცა პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

რაც შეეხება **გაუფრთხილებლობით** ჩადენილ დანაშაულს, ასეთი ქმედება შეიძლება ჩადენილი იყოს **თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.**

თვითიმედოვნებით ჩადენილად ჩაითვლება ისეთი ქმედება, როცა პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

დაუდევრობით ჩადენილად კი ჩაითვლება ისეთი ქმედება, როცა პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის

დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ალარ გაითვალისწინა ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ტრადიციულად მოცემული დანაშაულის ცნება, მისი განმარტება და მისთვის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშნები უბრალოდ, ზოგადად მოიხსენია სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი, რომლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული. ეს იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება."

აქვე მითითებულია იმაზე, თუ რა არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად და ასეთად მიჩნეულია ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა, ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ასეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა, მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

§3. განზრახი დანაშაულის განვითარების სტადიები და თანამონაწილეობა

გაუფრთხილებლობით ბრალით ჩადენილი ქმედებისაგან განსხვავებით, განზრახი ქმედება გაივლის თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურებს. კერძოდ, ერთმეორისაგან განასხვავებენ განზრახი დანაშაულის ჩადენის მომზადებას, მისი ჩადენის მცდელობასა და დამთავრებულ დანაშაულს.

დანაშაულის მზადებად ითვლება დანაშაულის ჩასადენად საჭირო იარაღის შეძენა, მომარჯვება ან სხვა სათანადო პირობების შექმნა.

დანაშაულის მცდელობად კი ისეთი განზრახი მოქმედების ან უმოქმედობის შესრულება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ იგი ბოლომდე არ იქნა მიყვანილი მისი სუბიექტისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

განზრახ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როცა მისმა ჩამდენმა პირმა მიაღწია თავის სასურველ შედეგს.

მაგალითად, დ.-ემ გადაწყვიტა რა გზიდან ჩამოეცილებინა თავისი კონკურენტი გ.-ი გადაწყვიტა მისი მოკვლა და ამისათვის შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, აცოდა რა სამსახურიდან მისი დაბრუნების გზა და გრაფიკი, ჩაუსაფრდა ცეცხლსასროლი იარაღით და როცა მას დაუპირისპირდა, ესროლა და მოკლა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში იარაღის შეძენა და მისი მომარჯვება არის დანაშაულის ჩადენის მომზადება, ანუ დანაშაულის განვითარების პირველი ეტაპი — მომზადება, ხოლო როცა მან ესროლა და მოკლა — ეს უკვე დამთავრებული დანაშაულია, რადგან მან ამით მიაღწია თავის სასურველ შედეგს.

ეხლა წარმოვიდგინოთ მეორე ვარიანტი, როცა ჩასაფრებულმა დ.-ემ თავის მოცილეს ესროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, მაგრამ გასროლილი ტყვია ააცდინა ან იგი მსუბუქად დაჭრა. ამ მეორე შემთხვევაში ადგილი აქვს არა დამთავრებულ დანაშაულს, არამედ დანაშაულის მცდელობას, რადგან მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დამდგარიყო მისთვის სასურველი შედეგი — მოეკლა თავისი მოცილე, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ახლა წარმოვიდგინოთ მესამე ვარიანტი, როცა დ.-ე, იარაღმომარჯვებული ელოდება თავის ჰამსხვერპლის გამოჩენას და იგი გამოჩნდა კიდეც თავის მცირეწლოვან ბავშვთან ერთად, და, როცა მან დაინახა თუ როგორ ეხაუბრებოდა და როგორ ეფერებოდა თავის შვილს, შეეცოდა იგი, ჩახმახზე შეყენებული თითი ძირს დაუშვა და გადაიფიქრა მისი მოკვლა. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მის მიერ **ნებაყოფლობით ხელის აღებას დანაშაულის ჩადენაზე** და იგი პასუხს არ აგებს არც განზრახ მკვლელობის მომზადებისა და არც განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის. მისი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს იარაღის უნებართვოდ ტარებისათვის, თუკი მას ასეთი ნებართვა არ გააჩნია.

სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, **თანამონაწილეობად მიჩნეულია ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში.** ამასთან, მათი როლი შეიძლება გამოიხატოს დანაშაულის ჩადენის **ორგანიზატორობაში, წამქეზებლობასა და დახმარებაში.**

კანონის თანახმად, **ორგანიზატორად ითვლება პირი,** ვინც აწყობს ან ხელმძღვანელობას უწევს დანაშაულის ჩადენას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. **წამქეზებლად ითვლება** ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი გაზრახი დანაშაულის ჩადენაში; **დამხმარედ კი ითვლება** ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას რჩევა-დარიგებით, მითითებით, საშუალებათა მიცემით ან დაბრკოლებათა თავიდან აცილებით; დამხმარედ ჩაითვლება, აგრეთვე ის, ვინც წინასწარ დაჰპირდება დამნაშავეს დამალვაში, ან მის მიერ გამოყენებული დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დამალვაში.

რაც შეეხება ამსრულებელს, იგი ცალკეა გამოყოფილი თანამონაწილეთა რიცხვიდან და თანამონაწილედ არ ითვლება, რაც ჩვენი აზრით, სწორია.

სსკ 22-ე მუხლის თანახმად, **ამსრულებელია ის,** ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

კანონით განსაზღვრულია ისიც, თუ როგორ უნდა დადგეს პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩამდენი — ამსრულებლისა და მის ჩადენაში მონაწილე პირისა. ამასთან დაკავშირებით სსკ-ს 25-ე მუხლი ადგენს, რომ „ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით.

ამასთან დაკავშირებით აქვე უნდა აღვნიშნოთ ამსრულებლის ექსცესის ცნების შესახებ. სსკ-ის 26-ე მუხლის თანახმად, **ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა.**

§4. სასჯელის ცნება, სახეები, მიზნები და ამოცანები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლით რეგლამენტირებულია იმ სასჯელთა სახეები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ: კერძოდ, თავისუფლების შეზღუდვა, ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, უვადო თავისუფლების აღკვეთა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; საშინაო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა; ქონების ჩამორთმევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.**

რაც შეეხება სასჯელის ისეთ სახეობას, როგორიცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გასწორებული სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

დამნაშავისათვის სასჯელის **შეფარდებისას სასამართლო მხედველობაში იღებს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, დამნაშავის პიროვნებასა და საქმის იმ გარემოებებს, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პირის პასუხისმგებლობას.**

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა უარი თქვა ცალკე შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების ჩამოთვლაზე, რადგან ეს გარემოებები თითოეული კონკრეტული სახის დანაშაულებრივი ქმედების ამსახველ მუხლებშია ჩამოყალიბებული. მაგალითად, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ამსახველ სსკ 109-ე მუხლში ცალკე პუნქტებად ჩამოთვლილია ის გარემოებები, რომელთა არსებობისას განზრახ მკვლელობა უნდა ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობად და სხვ.

მაშასადამე, სასამართლო წყვეტს რა საკითხს განსასჯელი პირის ბრალეულობის შესახებ, სათანადო მტკიცებულებათა არსებობის საფუძველზე ცნობს მას დამნაშავედ და გამოაქვს მის შესახებ გამამტყუნებელი განაჩენი და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით (მუხლებით) ან მუხლის რომელიმე ნაწილით განუსაზღვრავს სასჯელს ჩადენილი ქმედების საშიშროების, პიროვნებისა და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის სისხლის სამართალი?
2. როგორია სისხლის სამართლის სავნის სისტემა?
3. რას შეისწავლის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი?
4. რას შეისწავლის სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი?
5. რა არის დანაშაულის ხელყოფის ობიექტი და ობიექტური მხარე?
6. რა ნიშნებით ხასიათდება დანაშაულის სუბიექტი და სუბიექტური მხარე?
7. რომელი წლიდან დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა?
8. რა არის განზრახი დანაშაული?
9. რა ნიშნებით ხასიათდება გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული?
10. რას ნიშნავს განზრახი დანაშაულის განვითარების სტადიები?
11. რა არის და რა ნიშნებით ხასიათდება დანაშაულის მომზადება და მცდელობა?
12. რა არის თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში?
13. ვის შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენის ორგანიზატორად, წამქეზებლად და დამხმარედ?
14. რას ნიშნავს ამსრულებლის ექსცესი?
15. რა არის დანაშაული?
16. რა არის სასჯელი და მისი მიზნები?

17. რა სახის სასჯელები გამოიყენება?

18. რომელი სახის სასჯელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ძირითადი სახის სასჯელებად?

19. რა სახის სასჯელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამატებითი სახის სასჯელებად?

20. თვითმქდღვნება და დაუდევრობა ბრალის რომელი ფორმისთვისაა დამახასიათებელი?

21. რა არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი და რა უნდა გათვალისწინოს სასამართლომ სასჯელის შეფარდების დროს?

თავი XVII

სისხლის სამართლის პროცესი

§1. სისხლის სამართლის პროცესის ცნება, არსი და მნიშვნელობა

სამართლის ცალკეულ დარგებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სისხლის სამართლის პროცესს. მაგრამ, სანამ სამართლის ამ დარგის არსისა და მნიშვნელობის ძირითად დებულებებს გადმოცემას შევუდგებოდეთ, მანამდე რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდეთ თვით მოცემული სამართლის დარგის სახელწოდებაზე.

პროცესუალურ ლიტერატურაში ზოგჯერ ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობენ სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის საპროცესო სამართლის ცნებებს. ამისდა შესაბამისად, იხმარება აგრეთვე სამოქალაქო სამართლის პროცესის ცნებაც, რაც, ჩემი აზრით, არასწორია და გარკვეულ შეკამათებას იწვევს.

საკითხის სწორად გაგების მიზნით, საჭიროა გავერკვეთ თვით სიტყვა „პროცესის“ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობაში.

სიტყვა „პროცესი“ მომდინარეობს ლათინურიდან „processus“ და ნიშნავს მოვლენათა თანმიმდევრულ მონაცვლეობას, რისამე განვითარების გზას. იურიდიული გაგებით იგი იხმარება როგორც სასამართლოში საქმის გარჩევის კანონით დადგენილი წესის ამსახველი, ანუ სასამართლოში საქმის განხილვა.

მაშასადამე, სიტყვა „პროცესი“ ნიშნავს მონაცვლეობას, რაიმე მოვლენის მიმდინარეობას, სამართალი კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესების ერთობლიობა, რომელთა შესრულება და დაცვა უზრუნველყოფილია თვით სახელმწიფოს მიერ.

სისხლის სამართლის პროცესი კი არ აწესრიგებს სამართლის ნორმათა მოძრაობას, მათ მონაცვლეობას, არამედ იგი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, ადგენს იმ ნორმათა ერთობლიობას, ანუ ქცევის ისეთ სავალდებულო წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა დანაშაულებრივ ფაქტებზე წარმოებული გამოძიების და სასა-

მართლოში საქმის განხილვის დროს, ე.ი. იგი ადგენს და სწავლობს იმ ნორმებს, რომელთა მიხედვითაც უნდა წარიმართოს წინასწარი გამოძიება, სასამართლოში საქმის განხილვა და მასთან დაკავშირებული სხვა მთელი რიგი პროცესუალური მოქმედებები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს **კანონით დადგენილი პროცესუალური ნორმების დაუცველობა ითვლება კანონის უხეშ დარღვევად** და მას შეიძლება მოჰყვეს საქმის დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნება, განაჩენის გაუქმება და საქმის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება და სხვ. სწორედ ამიტომაა, რომ პროცესუალურ ლიტერატურაში სისხლის სამართლის პროცესი გაგებულია, როგორც სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა, მისი წინსვლა, მისი განვითარების მთლიანი პროცესი, კერძოდ, გამოძიების აუცილებლად ჩატარება და საქმის სასამართლოში განხილვა. სისხლის საპროცესო სამართალი კი შეისწავლის იმ ნორმათა ერთობლიობას, რომელთა დანიშნულებაა თვით მთელი ამ სისხლის სამართლის საქმეთა მოძრაობის პროცესუალური მოწესრიგება და ამ პროცესში მონაწილე პირების პროცესუალური უფლებების დაცვა და მათი პროცესუალური გარანტიების უზრუნველყოფა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უფრო სწორი და ლოგიკურია სამართლის ამ დამოუკიდებელ დარგებს ეწოდოს არა „სისხლის სამართლის პროცესი“ ან „სამოქალაქო, სამართლის პროცესი“, როგორც ეს დღემდეა დამკვიდრებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებში, არამედ „სისხლის საპროცესო სამართალი“ და „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. ჩემი აზრით, ეს უკანასკნელი ცნებები უფრო სწორად ასახავს და ძალიან ზუსტად შეესაბამება ამ დამოუკიდებელი სამართლის დარგების არსსა და მნიშვნელობას. ამიტომ, ჩემი აზრით, უფრო სწორი იქნება თუ სისხლის სამართლის პროცესისა და სამოქალაქო სამართლის პროცესის ნაცვლად, ვიხმართ ცნებებს „სისხლის საპროცესო სამართალი“, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. მაგრამ, ვინაიდან კანონი იცნობს და იყენებს სისხლის სამართლის პროცესს, მეც მევალება მისი გამოყენება ყოველგვარი შელამაზების გარეშე.

სისხლის საპროცესო სამართლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ

იგი აწესრიგებს სამართალდამცავი ორგანოების ძირითად საქმიანობას და სისხლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ნორმების მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა იმ სამართალდამცავი ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ, ვისაც ეხება და ევალება მისი შესრულება. ამიტომ შემთხვევით არ ეუწოდებთ მას სამართალდამცავი ორგანოების მცირე კონსტიტუციას.

მაშასადამე, სისხლის საპროცესო სამართალი არის სამართლის ის დარგი, რომელიც შეისწავლის და ადგენს იმ პროცესუალურ ნორმათა ერთობლიობას, რომლითაც წესრიგდება წინასწარი გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობა, მათი ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთობა იმ მოქალაქეებთან, რომლებზეც ვრცელდება მათი უფლებამოსილება.

§2. სისხლის სამართლის პროცესის სისტემა, ფუნქციები და სტადიები

წინასწარი გამოძიების პროცესში და სასამართლოში საქმის განხილვის დროს, მრავალი პირი მონაწილეობს, რომლებიც აღჭურვილი არიან გარკვეული უფლებებით და მოვალეობებით და პროცესუალური ფუნქციებით. ამ უკანასკნელ ფუნქციებს ახორციელებს არა პროცესის ყველა მონაწილე, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც თავიანთი საქმიანობით დაკავშირებული არიან სისხლის სამართლის პროცესის ძირითად მიმართულებებთან.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ **გამოძიების ფუნქციას, დაცვის ფუნქციას, სასამართლო ფუნქციას** და ზოგიერთი მიმართულებით **კანონის დაცვაზე ზედამხედველობის ფუნქციას.**

გამოძიების ფუნქცია აკისრიათ სავამოძიებო ორგანოებს, რომელთა მოვალეობაა საქმეზე სრული და ყოველმხრივი გამოძიების ჩატარება და ამით საქმის სრული, ყოველმხრივი გახსნა.

სასამართლო ფუნქცია აკისრია სასამართლო ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ სისხლის სამართლის საქმეების არსებითად განხილვა-გადაწყვეტას, განსასჯელის გამართლებას ან მის დამნაშავედ ცნობას.

დაცვის ფუნქციას ახორციელებს ამ უფლებით აღჭურვილი პირი

ადვოკატის ან განსასჯელის წარმომადგენლის სახით. დაცვას ეს ფუნქცია ხორციელდება როგორც საქმის წინასწარი გამოძიების პროცესში, ისე სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

დაცვა შეიძლება განახორციელოს როგორც საქართველოში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეობის მქონე ადვოკატმა, ისე უცხოელმა ადვოკატმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით. ამასთან, **დაცვა შეიძლება მოხდეს შეთანხმებით, დანაშვნითა და იძულების წესით.**

კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის ფუნქციას ახორციელებს პროკურორი, როგორც წინასწარი გამოძიების პროცესუალური ხელმძღვანელი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში კანონიერების ზუსტ ცრიტგვაროვან გატარებაზე ზედამხედველი.

პროცესის მონაწილე თითოეული პირის უფლებები დაცული და გარანტირებულია საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც უზრუნველყოფს საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას, ე.ი. **საპროცესო გარანტიები არის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ის საშუალებები, რომლებითაც უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უფლებების განხორციელება და მათი ამ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.**

სისხლის სამართლის პროცესი შედგება ორი — ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილისაგან.

ზოგადი ნაწილი შეისწავლის სისხლის სამართლის პროცესის ზოგად დებულებებს; სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს; სისხლისსამართლებრივი ღონის ცნებასა და სახეებს; სამოქალაქო სარჩელის ზოგად საკითხებს სისხლის სამართლის საქმეში; კოდექსში გამოყენებული ზოგიერთი ცნების ახსნა-განმარტებას; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეების უფლებამოსილებას; სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებებს; აცილებისა და პროცესის მონაწილეთა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის საკით'ებს; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს; მტკიცებულებებისა და მტკიცების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს; სისხლის საპროცესო-სამართლებრივი იძულების ღონისძიებებსა და მათი გამოყენების საერთო პირობებს; აგრეთვე სისხ-

ლის სამართლის პროცესის სხვა ისეთ ზოგად დებულებებს, როგორიცაა: საპროცესო ვადები, სასამართლო ხარჯები და მათი ანაზღაურების წესი, რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხები; აგრეთვე შეამდგომლობის, საჩივრის, სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების, გამოთხოვისა და სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ურთიერთქმედების საზღვარგარეთის სახელმწიფოთა შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირებთან სამართლებრივი დახმარების გაწევის საკითხები.

სისხლის სამართლის პროცესის განსაკუთრებული ნაწილი შეისწავლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ წინასწარი გამოძიების ზოგად დებულებებს, გამოძიების ჩატარების პირობებს, პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის, ბრალდების წაყენების, ბრალდების შეცვლისა და ბრალდებაზე უარის თქმის საკითხებს; საგამოძიებო მოქმედებების — დაკითხვის, ამოცნობისა და ჩხრეკის, დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ჩვენების ადგილზე შემოწმების, ამოსაცნობად წარდგენის, შემოწმების, ექსპერტიზის, საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშების აღებისა და გვამის ექსჰუმაციის ჩატარების პროცესუალურ წესს; წინასწარი გამოძიების დამთავრებისა და შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესუალურ წესს; პარტიული ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის წესს; სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენისა და სხვა გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს; სასამართლო განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულების წესსა და ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების თავისებურებების საკითხებს.

მაშასადამე, **სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ადგენს ისეთ ძირითად ძიშაროულებებსა და მათი ჩატარების პროცესუალურ ფორმებს, როგორიცაა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედებები, წინასწარი გამოძიება, სასამართლოში საქმის განხილვა, გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებათა გასაჩივრება, შეამდგომლობის დაყენება და როგორ უნდა მოხდეს ამ მიმართებით ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა და სხვ.**

§3. სისხლის სამართლის პროცესის მიზნები, ამოცანები, პრინციპები და სტადიები

სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებად მიჩნეულია:

1. დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებებისა და მისი ჩამდენი პირის დადგენა;

2. კანონის სწორად გამოყენების უზრუნველყოფა;

3. უდანაშაულო პირის მსჯავრდების დაუშვებლობა;

4. საგამოძიებო და სასამართლო შეცდომების გამოსწორება და აღმოფხვრა;

5. მოქალაქის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილის უფლებების და თავისუფლებების დაცვა;

6. კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა და ამ იდეების სახოგადოებაში დამკვიდრება.

სისხლის სამართლის პროცესს, როგორც ეს მართებულადაა აღნიშნული სსს-ის მე-6 მუხლში, საფუძვლად უდევს კანონიერების, პიროვნების ხელშეუხებლობის, მისი ღირსების პატივისცემის, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის ზოგადსამართლებრივი პრინციპები. და, რომ, სწორედ, სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები განსაზღვრავს სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებს, სტრუქტურას, ფუნქციებსა და წესს.

სისხლის სამართლის პროცესის ასეთი დიდმნიშვნელოვანი ფუნდამენტალური პრინციპებია:

1. კანონიერება და ადამიანის ბუნებითი უფლებები;

2. სასამართლო სელიტუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა;

3. თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე;

4. უდანაშაულობის პრეზუმფცია;

5. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლების უზრუნველყოფა;

6. პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივისა და ღირსების დაცვა;

7. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა;

8. საჯაროობა და დისპოზიციურობა;

9. სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა;

10. საპროცესო შეთანხმება;

11. სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნობა;

12. სისხლის სამართლის პროცესის ენა;

13. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა;

14. მტკიცებულობის შეფასება შინაგანი რწმენით;

15. სისხლის სამართლის პროცესის უშუალობა და ზეპირობა;

16. საპროცესო მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების თავისუფლება.

საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების მიერ ამ პრინციპების დაუცველობა იწვევს მიღებული შედეგების გაუქმებას, ამ პრინციპების მოთხოვნების დაუცველად მოპოვებული მტკიცებულების მიჩნევას დაუშვებელ მტკიცებულებად, თუ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილია განაჩენი, იგი სასამართლოს ზემდგომი ინსტანციის მიერ გაუქმებული იქნება და საქმე დაუბრუნდება წინასწარ გამოძიებას ან პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმის ხელახლა განსახილველად და სხვ.

სისხლის სამართლის პროცესის სტადიებიც, რომელიც სასწავლო პროგრამით ზოგად ნაწილს მიკუთვნება, ფაქტობრივად აგებულია განსაკუთრებული ნაწილის სისტემის მიხედვით. კერძოდ, ადრე სისხლის სამართლის პროცესის პირველ სტადიად მიჩნეული იყო სისხლის სამართლის საქმის აღძრა, მაგრამ იგი ამოღებულ იქნა და უპირატესობა მიენიჭა სისხლისსამართლებრივ დევნის ცნებას. ასევე გაუქმებული იქნა სამართალწარმოება და ამის გამო, ცხადია, სისხლის სამართლის პროცესის სტადიებს ეს მნიშვნელოვანი საფეხურიც გამოაკლდა. სამაგიეროდ სისხლის სამართლის პროცესში შეტანილ იქნა მთელი რიგი ისეთი ინოვაციები, როგორიცაა: საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან სრულიად გათავისუფლება და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის პროცესის სტადიები უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება;

2. წინასწარი გამოძიების ჩატარება და საქმის სასამართლოში განსახილველად გადაგზავნა;

3. სისხლის სამართლის საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში და მასზე განაჩენის დადგენა;

4. სისხლის სამართლის საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში;

5. სისხლის სამართლის საქმის განხილვა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში;

6. განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის და რას შეისწავლის სისხლის სამართლის პროცესი?
2. რას ნიშნავს სიტყვა „პროცესი“?
3. რა ითვლება კანონის უხეშ დარღვევად?
4. რაში გამოიხატება სისხლის სამართლის პროცესის არსი და მნიშვნელობა?
5. ვის აკისრია გამოძიების ფუნქცია?
6. ვინ ახორციელებს დაცვის ფუნქციას?
7. უცხოელმა შეიძლება აწარმოოს თუ არა საქართველოში დაცვის ფუნქცია?
8. რა ფორმითა და საშუალებებით შეიძლება განხორციელდეს დაცვა?
9. რა არის სისხლის სამართლის პროცესის სტადიები?
10. რას შეისწავლის სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი?
11. რა ძირითად მიმართულებებსა და პროცესუალურ ფორმებს ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.
12. რამდენი ნაწილისაგან შედგება სისხლის სამართლის პროცესი?
13. რას შეისწავლის სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი?
14. რა მიზნები ახასიათებს სისხლის სამართლის პროცესს?
15. რა არის პროცესის პრინციპები და ვინ არიან პროცესის მონაწილენი?

თავი XVIII

შრომის სამართალი

§1. შრომის სამართლის ცნება, მიზნები, ამოცანები და შრომითი ხელშეკრულების სუბიექტები

შრომის სამართალი არის იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლობა, **რომლებითაც წესრიგდება მოქალაქეების, საწარმო-დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შრომითი ურთიერთობები**, კერძოდ, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს ან შრომით კოლექტივებს შორის აღმოცენებული იერარქიული საკითხები და სხვ.

შრომის სამართალი აწესრიგებს აგრეთვე საოჯახო და პირადი მომსახურების სფეროში სხვა პირთა შრომის ანაზღაურების საფუძველზე წარმოქმნილ ურთიერთობებსაც.

საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გამოცხადებისა და საქართველოში საკუთრების ცნებაში კერძო საკუთრებისა და სხვა ახალი საკუთრების სახეობების შეტანამ კიდევ უფრო გააფართოვა შრომის კანონმდებლობის მოქმედების სფერო და შრომითი ხელშეკრულებების სახეობები. **შრომითი ხელშეკრულება კი სხვა არა არის რა, თუ არა შეთანხმება მშრომელსა და დამწესეულებას, ორგანიზაციას ან კერძო პირთა შორის**, რომლის დროსაც მშრომელი, ანუ დასაქმების კანდიდატი იღებს ვალდებულებას შეასრულოს გარკვეული სამუშაო თავისი სპეციალობის ან თანამდებობის მიხედვით და დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს. თავის მხრივ, იურიდიული პირი – საწარმო დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, შრომითი კოლექტივი, მეწარმე, ან კერძო პირი, ანუ დამსაქმებელი იღებს ვალდებულებას მშრომელს, ანუ დასაქმებულ პირს მისცეს შესაბამისი ანაზღაურება და შეუქმნას შრომისათვის შესაბამისი პირობები. მათი ძირითადი და ურთიერთშეთანხმებული პირობები ასახულ უნდა იქნეს მათ შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

თავის მხრივ, **დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება, საქართველოს შრომის კოდექსის მეექვსე მუხლის თანახმად, შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობა-**

თი ფორმით. ამ შემთხვევაში, თუ ასეთი შრომითი ხელშეკრულება შედგენილ იქნება რამდენიმე ენაზე, მაშინ ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს იმაზეც, თუ აქედან რომელ ენაზე შესრულებულ ხელშეკრულებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა ამ ხელშეკრულებებში აღმოჩენილი სხვაობის დროს.

საქართველოს შრომის კოდექსის მეორე მუხლით კატეგორიულად აკრძალულია შრომით ურთიერთობაში „სებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო". და, რომ შრომითი „ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები".

მაშასადამე, **შრომის სამართლის უმთავრესი მიზანია ყოველმხრივ დაიცვას და განავითაროს ადამიანის შრომის უფლებები და თავისუფლება და უზრუნველყოს ადამიანის შრომითი საქმიანობის ჰარმონიული შერწყმა მისი განათლების, დასვენების, კვალიფიკაციის ამაღლების, პირადი და ოჯახური კეთილდღეობის მიმართებაში.**

შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დადებულ იქნეს გარკვეული **სამუშაოს შესრულების დროით, ან განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.** ამასთან, დამსაქმებელს (ადმინისტრაციას) უფლება აქვს სამუშაოზე მისაღებ პირთან შეთანხმებით დაადგინოს საგამოცდო ვადა, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს **ექვს თვეს. საგამოცდო ვადის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დადებულ იქნეს მხოლოდ ერთხელ, ისიც წერილობითი ფორმით.**

საქართველოს ახალი შრომის კოდექსი არაფერს ამბობს სამუშაოზე მიღებული პირისათვის ტრადიციულად, ერთი კვირის განმავლობაში, შრომის წიგნაკის გახსნის აუცილებლობაზე. სამაგიეროდ, კანონი საჭიროდ მიიჩნევს დამსაქმებლის მიერ დასასაქმებელი პირის შესახებ მოიპოვოს ყველა ინფორმაცია, აგრეთვე მოახდინოს კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორის შემოწმება. **დამსაქმებლისა და თვით კანდიდატის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ**

შეიძლება სხვებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს კანდიდატის თანხმობის გარეშე.

კანდიდატთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულად ჩაითვლება მხარეთა მიერ შრომითი ხელშეკრულების დადებით, ან დასაქმებაზე უარის თქმით. ამასთან, შკ-ს მე-5, მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, **დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება პირის (კანდიდატის) დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ.**

მართალია, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა უნდა მოხდეს ორმხრივი სების გამოვლინების შედეგად მიღწეულია შეთანხმებით, მაგრამ კანონის ასეთი მითითება, ჩემი აზრით, გამართლებული არაა. ეს პრინციპი შეიძლება გამართლებულ იქნეს კერძო მესაკუთრის ან კერძო მწარმოის მიერ თავის გამგებლობაში არსებული საშუალოს შესასრულებლად კანდიდატთა შესარჩევად, მაგრამ, ეფიქრობ, იგი არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს საჯარო სამსახურში ან სხვა საწარმო-დაწესებულებაში პირთა შერჩევის დროს.

შრომითი ხელშეკრულების სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი. ამასთან, შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დადებულ იქნეს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შორის. ავრეთვე მარტოოდენ ფიზიკურ პირებს შორის, მაგრამ ორივე მხარეს აუცილებლად უნდა ახასიათებდეს და ჰქონდეს შრომითი ქმედუნარიანობის ნიშანი. ფიზიკური პირისათვის ასეთი შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან. რაც შეეხება უფრო ნაკლები — თოთხმეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანს, მასთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში წარმოებულ საქმიანობასა და სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

კანონი კრძალავს არასრულწლოვანთან ისეთი შრომის ხელშეკრულების დადებას, რაც დაკავშირებულია საიმედო ბიზნესთან, ღამის გასათევ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გაზიდვასა ან რეალიზაციასთან დაკავშირებულ სამუშაოების შესასრულებლად.

შკ-ის 37-ე მუხლით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად მიჩნეულია:

ა) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

დ) შრომითი ხელშეკრულების მოშლა;

ე) მხარეთა შეთანხმება;

ვ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

ზ) თუ ხანგრძლივი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს ან ექვსი თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 50 კალენდარულ დღეს და, ამასთან, დასაქმებულს გამოყენებული აქვს შვებულება;

თ) დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება;

ი) დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება.

რაც შეეხება შრომითი ხელშეკრულების მოშლას, ამ მიმართებით კანონით დადგენილია წესი, რომლითაც, თუ ხელშეკრულების მოშლა მოხდება დასაქმებულის ინიციატივით, მან ამის შესახებ **დამსაქმებელი უნდა გააფრთხილოს არანაკლებ 30 დღით ადრე წერილობით. ხოლო თუ შრომითი ხელშეკრულების მოშლა მოხდება დამსაქმებლის ინიციატივით, მაშინ მან დასაქმებულს უნდა მისცეს არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება.**

§2. სამუშაო დრო, დასვენების დრო და შრომის ანაზღაურების წესი

სამუშაო დრო, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, **არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 41 საათს.** ამასთან, ამ სამუშაო დროში არ ითვლება შესვენებისა და დასვენების დრო. ასევე დადგენილია, რომ სამუშაო ღამეებს **(ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.**

კანონით დაშვებულია ზეგანაკვეთური სამუშაოების შესრულება

ანაზღაურებითა და ანაზღაურების გარეშე. **ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიჩნეულია სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 41 საათს.**

კანონი კრძალავს ღამით სამუშაოზე არასრულწლოვანის, ორსული ქალის, ახალნამშობიარები ქალის ან მეძუძური ქალის დასაქმებას. ასევე, სამ წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელი ქალი არ უნდა იქნეს დაშვებული ღამით სამუშაოზე მისი სურვილისა და თანხმობის გარეშე.

რაც შეეხება დასაქმებული პირისათვის **შვებულების მიცემას, ეს საკითხი შეიძლება დადგეს წარმოებაში მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. გამონაკლის შემთხვევაში პირს შვებულება შეიძლება მიეცეს თერთმეტი თვის გასვლამდეც. შვებულების ხანგრძლივობა განსაზღვრულია 24 სამუშაო დღით.** ამასთან, დასაქმებულს უფლება აქვს დამატებით აიღოს შვებულება თხუთმეტი (15) კალენდარული დღით ანაზღაურების გარეშე.

ორსულობას, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს **477 კალენდარული დღე. აქედან ანაზღაურებადია მხოლოდ 126 კალენდარული დღე. მშობიარობის გართულებისა და ტყუპი ბავშვის შობის შემთხვევაში დასაქმებულს შვებულება მიეცემა 140 კალენდარული დღის** რაოდენობით.

ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევაში დასაქმებულს შვებულება მიეცემა ბავშვის დაბადებიდან 365 კალენდარული დღე, საიდანაც მას აუნაზღაურდება მხოლოდ 70 კალენდარული დღე.

ხუთ წლამდე ბავშვის მოვლისათვის პირს შეიძლება მიეცეს დამატებითი შვებულება 12 კვირის ოდენობით ანაზღაურების გარეშე.

კანონით დადგენილია ისიც, თუ როგორ უნდა მოხდეს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება. როგორც წესი, **შრომის ანაზღაურება უნდა მოხდეს თვეში ერთხელ** ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროს. შრომის ანაზღაურების ყოველდღიური გადაცდენის ან ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0,07 %.

კანონი ადგენს იმასაც, რომ დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული

იძულებითი მოცდენის შემთხვევაში დასაქმებულს შრომის ანაზღაურება უნდა მიეცეს სრული ოდენობით. თუ შრომის იძულებითი მოცდენა გამოწვეული იყო დაქირავებულის ბრალით, მაშინ მას განაცდურისთვის ანაზღაურება არ მიეცემა.

კანონი ადგენს იმასაც, რომ დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებული პირის (პირების) სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.

შრომის კოდექსი (სშკ) ადგენს ავრეთვე შრომითი ურთიერთობის შეკვეთას, შეწერებისა და შეწყვეტის პირობებს და სხვ.

ჩვენთან, საქართველოს შრომის კოდექსი (სშკ), რომელიც მიღებულ იქნა 2006 წლის 25 მაისს, შედგება ხუთი კარისა და 56 თავისგან. **პირველ კარში** დადგენილი და გადმოცემულია ზოგადი დებულებები; **მეორეში** – ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის საკითხები; **მესამეში** – სამუშაოს შესრულების ამსახველი ნორმები; **მეოთხეში** – სამუშაო, შესვენების და დასვენებისა დრო; **მეხუთეში** – შეებულების მიცემის განმსაზღვრელი ნორმები; **მეექვსეში** – ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილი ბავშვის შვილად აყვანისა და ბავშვის მოვლის გამო ძირითადი და დამატებითი შვებულებების მიცემის წესი; **მეშვიდეში** – შრომის ანაზღაურების წესი; **მერვეში** – შრომის პირობების დაცვის მარეგულირებელი ნორმები; **მეცხრეში** – შრომითი ურთიერთობის შეკვეთის, შეწერებისა და შეწყვეტის საფუძვლები; **მეათე თავში** – ჩამოყალიბებულია კოლექტიური ხელშეკრულების პირობები; **მეთერთმეტე თავში** – პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმები; **მეთორმეტეში** – დავების განხილვის წესი; **მეცამეტეში** – ჩამოყალიბებულია გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის და რას შეისწავლის შრომის სამართალი?
2. რა არის შრომის სამართლის უმთავრესი წყარო?
3. ვის შორის ხდება შრომითი ხელშეკრულების დადება?
4. ვინ შეიძლება იყოს შრომითი ხელშეკრულების სუბიექტი და რა ნიშნები უნდა ახასიათებდეს მათ?

5. შეიძლება თუ არა შრომითი ხელშეკრულების გაფორმება რამდენიმე ეწაზე და რა განსასხვავებელი ნიშანი უნდა იყოს მასში მითითებული?
6. როდის იქნა მიღებული საქართველოს შრომის კოდექსი და როგორია მისი სისტემა?
7. დასასაქმებელი კანდიდატისათვის დამსაქმებლის მიერ სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა საჭიროა დასაბუთებულ იქნეს თუ არა?
8. თოთხმეტ წლამდე ასაკის მოზარდთან რა შემთხვევაში და რასთან დაკავშირებით შეიძლება დაიდოს შრომითი ხელშეკრულება?
9. რა შეიძლება იყოს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი?
10. არასრულწლოვანთან რა სახის შრომითი ხელშეკრულება არ შეიძლება დადებულ იქნეს?
11. შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცნენ მხარეები (დამსაქმებელი და დასაქმებული?)
12. რამდენი საათი შეიძლება იყოს დასაქმებული პირის სამუშაო კვირეული დატვირთვა?
13. როგორია მორიგი შვებულების ხანგრძლივობა?
14. მშობიარობის შემთხვევაში დედას რა რაოდენობით შეიძლება მიეცეს ანაზღაურებადი შვებულება და ანაზღაურების გარეშე?
15. როგორაა კანონით მოწესრიგებული ახალშობილი ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში ბავშვის ამყვანისათვის შვებულების მიცემის ორგანიზაცია, ანუ წესი?
16. როგორია შრომის კოდექსის სისტემა?
17. როგორაა მოწესრიგებული კანონით შრომის ანაზღაურება?

თავი XIX

ადმინისტრაციული სამართალი

§1. ადმინისტრაციული სამართლის ცნება, არსი და მნიშვნელობა, მიზნები და ამოცანები

ადმინისტრაციული სამართალი არის სამართლის ის დარგი, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობას და ადგენს ამ ორგანოების მიერ გამოყენებულ მმართველობის ფუნქციებს, ფორმებსა და მეთოდებს. იგი აწესრიგებს მმართველობის ორგანოების სისტემას, მათ კომპეტენციასა და შექმნის წესს. იგი იცავს და აწესრიგებს აგრეთვე მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების, საწარმოო-დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების დადგენილ წესს.

ადმინისტრაციული სამართალი შედგება ორი – ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილისაგან. აქედან **ზოგად ნაწილს** მიეკუთვნება მმართველობის ფუნქციები, მმართველობის ფორმები და მეთოდები, სახელმწიფოს სამსახური, სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები, ადმინისტრაციული სამართლის წყაროები და მათი კოდიფიკაცია. ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, ადმინისტრაციული სამართლის სუბიექტები და მმართველობის ორგანოები. **განსაკუთრებული ნაწილი კი შეისწავლის** ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ცალკეული სახის გადაცდომისათვის, მმართველობას შინაგან საქმეთა ორგანოებში; მმართველობას იუსტიციის დარგში; მმართველობას სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვის დარგში და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას.

ადმინისტრაციული სამართალი მმართველობის ფუნქციებს მიაკუთვნებს კონტროლს, შესრულების შემოწმებას, კოორდინაციას, რეგულირებასა და სხვ.

ადმინისტრაციული სამართალი მმართველობის ფორმებს მიაკუთვნებს მმართველობის აქტების გამოცემას, ორგანიზაციულ და მატერიალურ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებას და სხვ. მმართველობის მეთოდებს კი მიაკუთვნებს იმ ხერხებსა და საშუალებებს, რომლითაც ხორციელდება მმართველობა. კერძოდ, მას მიეკუთვნება მართვის ისეთი ხერხები, საშუალებები და მეთოდები, როგორიცაა: წახალისება და იძულებითი ღონისძიებების გატარების კონკრეტული ხერხები და საშუალებები.

ადმინისტრაციული სამართლის უმთავრესი წყაროა საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი და ადმინისტრაციული ორგანოების სხვა მარეგულირებელი იურიდიული აქტები.

აღსანიშნავია, რომ გარკვეულ დროსა და პირობებში ჩაღრმავებული ზოგიერთი სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ანუ სამართალდარღვევა, თუ იგი ჩადენილ იქნება განმეორებით, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ამიტომაც ამბობენ, რომ თავიანთი თვისებური ბუნებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და გადაცდომები ახლოს დგას დანაშაულებრივ ქმედებებთან.

§2. პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული და დისციპლინური გადაცდომისათვის

ადმინისტრაციულ სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ **დისციპლინურ გადაცდომასა** და **ადმინისტრაციულ გადაცდომას**. მათ შორის არსებული უმთავრესი სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ **დისციპლინური გადაცდომა** ყოველთვის დაკავშირებულია მოცემული კონკრეტული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობასთან. **ადმინისტრაციული გადაცდომა** კი სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. ამისდა შესაბამისადაა მოწესრიგებული ჩადენილი ადმინისტრაციული დარღვევისათვის განკუთვნილი სასჯელები. კერძოდ:

დისციპლინური გადაცდომისათვის პირს შეიძლება მიეცეს გაფრთხილება, საყვედური ან გადაყენებულ იქნეს დაბალ თანამდებობაზე ან საერთოდ დათხოვნილ იქნეს სამუშაოდან.

ადმინისტრაციული გადაცდომის ანუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის კი პირს შეიძლება შეეფარდოს ან დაედოს ად-

მინისტრაციული სახდელები. კერძოდ, ჯარიმა, კონფისკაცია, რეკვიზიცია, უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაოები ან ადმინისტრაციული პატიმრობა.

უცხოელ პირს ჩადენილი ადმინისტრაციული გადაცდომისათვის შეიძლება შეეფარდოს ადგრეთვე გაძევება. ამგვარი სახის სამართალდარღვევისათვის პირს შეიძლება ერთდროულად დაეკისროს ადმინისტრაციული, დისციპლინური და სხვა სახის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს გაფრთხილება შეიძლება მიეცეს მხოლოდ წერილობითი სახით. ჯარიმა კი შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ ფულადი გადასახადის სახით, რომლის რაოდენობა სხვადასხვა სახის ქმედებისათვის შეიძლება სხვადასხვა იყოს. თუ პირს შეეფარდება რეკვიზიცია, მაშინ მას ჩამოერთმევა ის საგანი, რომლითაც ან რომლის მეშვეობითაც მან ჩაიდინა სამართალდარღვევა. კონფისკაციის შეფარდების დროს კი მოხდება სამართალდარღვევის საგნის უსასყიდლოდ ჩამორთმევა.

უსასყიდლოდ ჩამორთმევა, ანუ კონფისკაცია ხდება იმ საგნისა, რომელიც იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საბაჟო წესების დარღვევის საგანი, ან საჭიროების ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება.

ამ კოდექსის 296-ე მუხლის თანახმად, კონფისკაციის შესახებ გამოტანილი დადგენილების აღსრულება უნდა მოხდეს კონფისკაციაქმნილი საგნის ჩამორთმევისა და სახელმწიფო საკუთრებად ამ საგნის იძულებითი, უსასყიდლოდ გადაქცევით.

მმართველობის ორგანოებს ფოფენ სამ ჯგუფად. პირველს მიაკუთვნებენ საქართველოს და მასში შემავალი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობის უმაღლეს ორგანოებს — მთავრობებს; **მეორეს** — საქართველოსა და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს. კერძოდ, სამინისტროებს, სახელმწიფო დეპარტამენტებსა და განყოფილებებს; **მესამეს** — ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან გამოიყენონ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ღონისძიებანი ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირების მიმართ.

საქართველოში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც მიღებულ იქნა ჯერ კიდევ ადრე 1984 წლის 15 დეკემბერს და, რომელშიც დღემდე მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი.

ზემოაღნიშნული **კოდექსი შედგება ზოგადი დებულებების, ზოგადი ნაწილისა და განსაკუთრებული ნაწილისაგან.**

ზოგადი დებულებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი მუხლის რედაქცია, რომელშიც **ჩამოყალიბებულია ამ კანონის ამოცანები.** კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებებისა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვის, სხვა მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილი შედგება სამი თავისა და 10-41-ე მუხლებისაგან, რომლებშიც ასახულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული სახდელებისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების მარეგულირებელი ნორმები, განსაკუთრებული ნაწილი კი ადგენს ცალკეული დარგების მიხედვით საქართველოში ადმინისტრაციული მმართველობის მარეგულირებელ ნორმებს და მოიცავს 27 თავსა და 42-314-ე მუხლებს.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის შეიძლება დაეკისროს მხოლოდ თექვსმეტი (16) წლის ასაკს მიღწეულ ყველა შერაცხად პირს

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის მიმართ უფლების ჩამორთმევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში, კერძოდ, ტრანსპორტის მართვისა და ნადირობის წესების

დარღვევისათვის და სხვ. ტრანსპორტის მართვისა და ნალირობის წესების დარღვევისათვის პირს შეიძლება ჩამოერთვას უფლება ერთ წლამდე ვადით ან დაეკისროს ფულადი ჯარიმა.

ადმინისტრაციული გადაცდომისათვის პირს გამასწორებელი სამუშაოები შეიძლება შეეფარდოს ორ თვემდე ვადით ან არანაკლებ 15 დღისა ხელფასიდან 20%-ის დაქვითვით.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ პატიმრობას, იგი შეიძლება შეეფარდოს ადმინისტრაციული დარღვევის ჩამდენ პირს არა უმეტეს 15 დღე-ღამის ვადით. ამასთან, სასჯელის ეს უკანასკნელი სახეობა არ შეიძლება შეეფარდოს პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირებს, აგრეთვე ორსულ ქალებსა და დედებს, რომელთაც 12 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევ პირებს უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაოები და ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდებათ მხოლოდ სასამართლოს მიერ.

P.S.

უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე ისწავლება აგრეთვე სხვა ისეთი სასჯელსაღსრულებო სამართლის დარგებიც, როგორიცაა: სამეწარმეო სამართალი, საფინანსო სამართალი, საერთაშორისო სამართალი, გაკოტრების სამართალი, საბაჟო სამართალი, მუნიციპალური სამართალი, საგადასახადო სამართალი, სამოსამართლო სამართალი, მტკიცებითი სამართალი და სხვ., აგრეთვე ისეთი ფუნდამენტალური დისციპლინები, როგორიცაა: კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია, ადვოკატურა, სასამართლო მედიცინა და სხვ.

ზემოთ დასახელებული იურიდიული დისციპლინები გარკვეულწილად დაკავშირებულია ზემოთ განხილულ ძირითად — ტრადიციულ სამართლის ფუნდამენტალურ დარგებთან, ამიტომ ცალკე მათ განხილვა-გაანალიზებას აქ არ შევუდგებით. ამ საგნებს სტუდენტები შეისწავლიან ზედა კურსებზე სპეციალურსების, ძირითადი საყალდებულო საგნების ან ფაკულტატური საგნების სახით.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის და რას შეისწავლის ადმინისტრაციული სამართალი?
2. როგორია ადმინისტრაციული სამართლის საგნის სისტემა?
3. რა არის ადმინისტრაციული სამართლის წყარო?
4. რა განსხვავებაა დისციპლინურ გადაცდომასა და ადმინისტრაციულ გადაცდომას შორის?
5. რა სახის სახდელები გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის?
6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შეიძლება თუ არა პირს მიეცეს გაფრთხილება წერილობითი სახით?
7. რა განსხვავებაა ქონების რეკვიზიციასა და ქონების კონფისკაციას შორის?
8. პრაქტიკულად როგორ და რა შემთხვევაში შეიძლება ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევ პირს შეეფარდოს ქონების კონფისკაცია?
9. როგორია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის სისტემა?
10. რომელი წლის ასაკიდან შეიძლება დადგეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა?
11. ზემოთ განხილული სამართლის ძირითადი დარგების გარდა კიდევ სამართლისა და იურიდიული დისციპლინების რა დარგები ისწავლება იურიდიულ ფაკულტეტზე?

ლიტერატურა

საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 1995 (2006 წლამდე შეტანილი ცვლილებებით);

საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული. თბ., 1993.

გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. თბ., 1995.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, თბ., 2006.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბ., 1997.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2006 წლის 26 ივნისამდე შეტანილი ცვლილებებით;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2006 წლის ივნისამდე შეტანილი ცვლილებებით;

საქართველოს შრომის კანონმდებლობა. თბ., 2002.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. 2006 წლამდე შეტანილი ცვლილებებით;

საქართველოს შრომის კოდექსი. თბ., 2006.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო კოდექსი;

საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 2006 წლამდე შეტანილი ცვლილებებით;

საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. 2006 წლის ივნისამდე შეტანილი ცვლილებებით;

საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. 2006 წლის ივნისამდე შეტანილი ცვლილებებით;

საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ. 2006 წლის ივნისამდე შეტანილი ცვლილებებით;

საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. თბ., 1996;

საქართველოს კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ. თბ., 1996.

საქართველოს ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ. თბ.; 1996.

საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ. თბ., 1999;

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. თბ., 2003;

საშეწარმეო სამართალი. კანონთა კრებული, თბ., 2001;

საქართველოს კანონმდებლობა მიწის შესახებ. თბ.; 2001;

აბესაძე ა. საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი, თბ., 1997;

ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ., 1994;

ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, თბ.; 1998;

ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობითი სამართალი. თბ.; 1997;

ბაბილაშვილი ჯ. საჭრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2004;

გაბისონია ი. ალკოჰოლის ღონისძიებები სისხლის სამართლის პროცესში. თბ. 2003;

ბაქაქური ნ. ოჯახური ძალადობა და ადამიანის ტრეფიკინგი. თბ.; 2004;

გოგშელიძე რ. სასამართლო ექსპერტიზის სამართლებრივი რეგლამენტაცია. თბ;, 1996;

გოგშელიძე რ. სასამართლო კრიმინალისტიკური საექსპერტო დაწესებულებების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში. თბ., 1997;

დონჯაშვილი თ. საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ.; 2001;

ვაჩეიშვილი ა. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. წიგნი I. თბ., 1946; წიგნი II, თბ., 1948;

ვაჩეიშვილი ა. სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებები. თბ., 1957;

ზოიძე ბ. სანივთო სამართალი. თბ., 1999;

ინწკირველი გ. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ.; 1997;

კახნიაშვილი ა. უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე; თბ.; 1997;

ლაბარტყავა ა. ეკოლოგიური სამართალი. თბ. 1995;

ლილუაშვილი თ. სამოქალაქო სამართლის პროცესი. თბ. 1995;

ლილუაშვილი თ. გაკოტრების საქმისწარმოება სასამართლოში. თბ., 1997;

ლორია ა. ემიგრანტთა უფლებები და მათი შეზღუდვის ცალკეული შემთხვევები საქართველოში. თბ., 2005;

ლორია ვ., ურუშაძე თ., ეკოლოგიური სამართალი, თბ., 1996;

ლორია ვ., სალხინაშვილი მ. საქართველოს სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხები. თბ. 1997;

ლორია ვ. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 1999;

ლორია ა. მოქალაქეობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. თბ. 1996;

ლობჟანიძე გ., ტუქვაძე ა., ჯაოშვილი გ. შესავალი სამართლის ფილოსოფიაში. თბ. 2006;

მელქაძე ო. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი. თბ. 1997;

მელქაძე ო., ეზუგბაია ზ., მუნიციპალური სამართალი, თბ. 2002;

მეტრეველი ვ. ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, თბ., 1978;

მეტრეველი ვ. აკაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ., 1980;

მეტრეველი ვ., ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ., 1980;

მეტრეველი ვ., დავითაშვილი გ. პოლიტიკურ-სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია. თბ. 1997;

მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, თბ.; 2003;

მიგრიაული რ. შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები. თბ. 2004;

მუავანაძე ზ. სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი. ქუთაისი. 2000;

ნადარეიშვილი გ. სსრკ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1996;

ნადარეიშვილი გ. ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1996;

ნაჭყებია გ. სისხლის სამართლის საგანი. თბ., 1997;

ჟან ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება (ნათარგმნი ფრანგულიდან), თბ., 1997;

რენე დავიდ, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. თარგმანი, თბ., 1993;

როგორ გავჩადოთ სამართალი ქვეყანათვის ხელმისაწვდომი. თბ., 2003;

სავანელი ბ. რა არის დემოკრატია. თბ., 2005;

სურგულაძე ივ. ქართული სამართლის წყაროები. თბ., 1984;

სურგულაძე ივ. საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია. თბ., 1985;

სურგულაძე ლ. სისხლის სამართალი (დანაშაული), თბ. 1996;

ფალიაშვილი ა. სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება გამოძიების პროცესში. თბ., 1973;

ფალიაშვილი ა. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები. თბ. 2001;

ფაფიაშვილი შ. საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები, თბ., 1994;

ფაფიაშვილი შ. შესავალი იურიდიულ სპეციალობაში (ლექციების კურსი), თბ., 1994;

ფაფიაშვილი შ. თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ზოგიერთი პრობლემა, თბ., 1985;

ფაფიაშვილი შ. მექრთამეობის გამოძიება. თბ. 1972;

ფაფიაშვილი შ. თანამდებობრივი დანაშაული სისხლის სამართლის თეორიაში, კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში (რუსულ ენაზე), თბ., 1988;

ფაფიაშვილი შ. დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკის პრობლემები. თბ., 1991;

ფაფიაშვილი შ. კრიმინალისტიკა. დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა და მეთოდიკა (ლექციების კურსი), თბ., 1994;

ფაფიაშვილი შ. კრიმინალისტიკა, ტ. II, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა, თბ. 2006;

ფაფიაშვილი შ. კრიმინალისტიკა. ტ. III, დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა. თბ. 2006;

ფიცხელაური შ. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში. თბ. 2005;

ფურცხვანიძე ბ. საბჭოთა სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი, თბ. 1971;

Храпанюк М. А. Теория государства и права. М., 2006;

ქარუმიძე ვ. საბაჟო სამართალი. თბ., 2003;

ქარუმიძე ვ., ხარაზი ია, იმედაშვილი, გეფარიძე დ. საერთაშორისო საბაჟო სამართლის ლექციების კურსი. თბ., 2004;

ქართული სამართლის საფუძვლები (ავტორთა კოლექტივი). თბ. 2000;

ხარაზიშვილი ბ. საბჭოთა იუსტიცია, თბ., 1997;

ხარაზიშვილი ბ. მტკიცებულებათა სამართალი, თბ., 1982;

ხარაზიშვილი ბ. იძულების ფსიქოლოგია, თბ.

სამართალმცოდნეობა. თბ., 2003;

სისხლის სამართლის პროცესი. ავტორთა კოლექტივი, თბ., 2002;

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; წიგნი I, თბ., 2005;

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; წიგნი II, თბ., 2005;

ტურავა მ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2000;

ცაცანაშვილი მ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. ნაწ. I, თბ., 1996; ნაწილი II, თბ., 1997;

წერეთელი თ., ტყეშელიაძე; მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969;

წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ. 1961;

წერეთელი თ. თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ. 1965;

შენგელია რ. ოჯახის წევრთა სამართლებრივი ურთიერთობანი, თბ., 1998;

შენგელია რ. ქორწინება და მისი ლეგალური უკუქცევა-მოშალეობანი, თბ. 1998;

შენგელია რ. საფინანსო სამართალი, თბ., 2004;

ცნობილაძე ბ. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თ', 1996;

ძამუკაშვილი დ. სამრეწველო საკუთრება, თბ. 1997;

ძამუკაშვილი დ. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2000;

ჩიკვაშვილი შ. საოჯახო სამართალი, თბ. 1998;

ჩიკვაშვილი შ. პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის. თბ., 2003;

წულაია ზ. სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), თბ. 1995;

ჯორბენაძე ს. ფრენშაიზინგის ხელშეკრულება. თბ., 1999;

ჭანტურია ლ. მესაკუთრის საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997;

ჭანტურია ლ. უძრავი ნივთების საკუთრება. თბ., 2001;

ჭოლოშვილი რ. კრიმინოლოგია, თბ., 1995.

მეთოდური მითითებები საკურსო ნაშუშევრების მოსამზადებლად

საკურსო თემის შესარჩევად სტუდენტმა უნდა მიმართოს იმ სა-განის ხელმძღვანელს, რომელშიც აპირებს ნაშრომის დაწერას:

1. საკურსო ნამუშევრის თემის შერჩევისა და სამეცნიერო ხელ-მძღვანელის დანიშვნის შემდეგ სტუდენტმა უნდა მიმართოს ხელმძღ-ვანელს სამუშაო გეგმის თაობაზე.

2. საკურსო ნამუშევრის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს მის თემასა და გეგმას.

საკურსო ნამუშევარს უნდა გააჩნდეს შემდეგი სტრუქტურა:

ა) გეგმა.

ბ) მოკლე შესავალი, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს თემის აქტუალობა, შესაბამისი პრობლემის დამუშავების შესაძლებლობა, მი-თითებული უნდა იყოს ძირითადი ლიტერატურა, ნორმატიული და სხვა წყაროები, რომლებიც გამოყენებულია თემის დაწერის პროცეს-ში.

გ) ძირითადი ტექსტი – საკურსო – ნამუშევარი შეიძლება შედგე-ბოდეს ცალკეული თავებისა და პარაგრაფებისაგან ან კიდეც მარტო ცალკეული პარაგრაფებისაგან.

დ) ნაშრომს თან უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

3. საკურსო ნამუშევრის შესრულებისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი წყაროები:

ა) სახელმძღვანელო ლიტერატურა.

ბ) ნორმატიული აქტები.

გ) სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა.

დ) სასამართლო-საგამოძიებო (ოპერატიული) პრაქტიკის მასალები.

ე) სხვა წყაროები, რომლებიც აუცილებელია თემის სპეციფიკის პრინციპებიდან გამომდინარე.

4. ძირითადი ლიტერატურის სია შეთანხმებული უნდა იყოს სამეც-ნიერო ხელმძღვანელთან და შეივსება სტუდენტის მიერ საკურსო ნამუშევრის მომზადების პროცესში.

5. საკურსო ნამუშევრის შესრულებას წინ უნდა უსწრებდეს რეკომენდებული ლიტერატურის ყურადღებით შესწავლა. მიზანშეწონილ-ია ნორმატიული აქტებიდან, წიგნებიდან, სტატიებიდან ამონაწერების გაკეთება, იმ გვერდების მითითებითა და გამოცემების აღნიშვნით, რომ-ლებიც აუცილებელი და მიზანშეწონილია საკითხების განხილვისას.

6. ლიტერატურული და სხვა ნორმატიული მასალების გამოყ-ენების წყაროებზე მითითება აუცილებელია. სხვისი ლიტერატურული ნაწარმოებების ტექსტის გადმოღება მათზე მითითების გარეშე, აკრძა-ლულია.

საკურსო ნაშრომის მოცულობა, გაფორმება, ჩატარებისა და დაცვის ვადები

1. ყოველ კათედრაზე უნდა იყოს საკურსო ნამუშევრის ნიმუში. სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს ნიმუშით ნამუშევრის გაფორმების დროს.

2. საკურსო ნამუშევრის საორიენტაციო მოცულობაა ჩვეულებრივი ფორმატის 20-30 გვერდი (ხელნაწერი), ან 15-20 გვერდი ნაბეჭდი ტექსტი. საკურსო ნამუშევრის შესრულება სკოლის ან საერთო რვეუ-ლის ფურცლებზე არ შეიძლება.

3. საკურსო ნამუშევარს უნდა გააჩნდეს სატიტულო ფურცელი.

4. საკურსო ნამუშევრის გაფორმებისას გამოიყენება გვერდების დანომვრა. პირველ გვერდად ითვლება სამუშაო გეგმა. შესავალი, ყოვე-ლი თავი, ყოველი პარაგრაფი, აგრეთვე გამოყენებული ლიტერატურის სია იწყება ახალი გვერდიდან. ქვესათაურები იწერება ტექსტში.

5. გამოყენებული ლიტერატურის სიაში წყაროები უნდა მოთითოს განსაზღვრული თანმიმდევრობით.

6. საკურსო ნამუშევარი უნდა იყოს ხელმოწერილი სტუდენტის მიერ, გამოყენებული ლიტერატურის სიის შემდეგ.

7. საკურსო ნამუშევარი წარედგინება კათედრას და მისი ვიზით ბარდება ხელმძღვანელს. ჩაბარების ვადაა 31 მარტამდე, დაცვის ვადა კი არის სასწავლო წლის მეორე სემესტრის 15 აპრილამდე.

კათედრის გადაწყვეტილებით საკურსო ნამუშევრად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო წრესა და სტუდენტთა

სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება. მის შეფასებას ახდენს თემის ხელმძღვანელი.

8. წარმოდგენილი საკურსო ნაშრომი რეგისტრირებულ უნდა იქნეს კათედრის ჟურნალში და გადაეცეს სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომელიც ეცნობა ნაშრომს, განსაზღვრავს მის მეცნიერულ დონეს, ამოწმებს დაცულია თუ არა გაფორმების მოთხოვნები და გამოყენებულ ლიტერატურაზე მითითების წესი და აძლევს წერილობით რეკომენდაციას საკურსო ნაშრომის დასაცავად დაშვების ან მასზე უარის თქმის შესახებ.

9. სტუდენტის მიერ საკურსო ნაშრომისადმი წარდგენილი მოთხოვნების დაუცველობა, რაც გამოიხატება ნაშრომის მეცნიერულად დამუშავების დონეში, გაფორმებასა და შინაარსში, იწვევს საკურსო ნამუშევრის უკან დაბრუნებას გადასამუშავებლად.

10. საკურსო ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმებიდან გამოყენებულ უნდა იქნეს:

ა. თემის შესრულების დონე.

ბ. თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის ათვისების მთლიანობა.

გ. სპეციალური ლიტერატურის, ნორმატიული მასალის (აქტების) — თეორიული პრაქტიკის გამოყენება.

დ. საკურსო ნამუშევრის შესრულებისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

ე. დასკვნების სამეცნიერო დასაბუთება.

ვ. გადმოცემის სტილი.

ზ. საკურსო ნამუშევრის აქტუალობა.

11. საკურსო ნამუშევრის დაცვა სტუდენტის მიერ უნდა მოხდეს კათედრის სხდომაზე ან სამეცნიერო ხელმძღვანელთან, რომელსაც შეუძლია მოიწვიოს დაცვაზე კათედრის სხვა ლექტორები და ასპარანტები. დაცვა გულისხმობს შემდეგს: სტუდენტი წინასწარ ეცნობა თავის საკურსო ნაშრომზე მეცნიერ-ხელმძღვანელის წერილობით წარმოდგენილ რეცენზიას და კრიტიკულ შენიშვნებზე აძლევს ახსნა-განმარტებას, პასუხობს ხელმძღვანელის შეკითხვებს და განამტკიცებს საკურსო ნაშრომში მოცემულ თავის დასკვნებს დამატებითი არგუმენტებით.

12. საკურსო ნამუშევრის შეფასებისას მხედველობაში მიიღება არა მარტო მისი შინაარსი, არამედ მისი დაცვის ხარისხიც. სამეცნიერო ხელმძღვანელი განსაზღვრავს ნიშანს და წერს მას სტუდენტის ჩათვლის წიგნაკში და საგამოცდო უწყისში.

13. დაცული საკურსო ნამუშევარი სტუდენტს არ უბრუნდება და ინახება კათედრაზე. თუ საკურსო ნამუშევარი წარმოადგენს სტუდენტის მიერ დამუშავებული თემის გაგრძელებას, მაშინ მას შეიძლება მიეცეს ადრე შესრულებული საკურსო ნამუშევარი საკურსო-სამეცნიერო ხელმძღვანელის ნებართვით. მაგრამ, დაცვის წინ ისინი დაბრუნებულ უნდა იქნეს კათედრაზე.

14. სტუდენტები, რომლებიც არ დაიცავენ საკურსო ნაშრომს ან მასში მიიღებენ „არადამაკმაყოფილებელ“ შეფასებას, ისინი სასესიო გამოცდებზე არ დაიშვებიან.

შინაარსი

შესავალი 3

თავი I

მოცემული იურიდიული დისციპლინის ცნება, არსი, მნიშვნელობა, მიზნები, ამოცანები, სისტემა და კავშირი სხვა იურიდიულ დისციპლინებთან 6

§1. საგნის – „შესავალი იურიდიულ სპეციალობაში" – ცნება, მიზნები და ამოცანები 6

§2. მოცემული საგნის სისტემა 8

§3. წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა, როგორც იურიდიული პროფესიის დაუფლების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება 9

§4. იურიდიული პროფესიის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა 11

§5. გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე იურისტების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 14

საკონტროლო კითხვები *17*

თავი II

იურიდიული პროფესიისათვის დამახასიათებელი ზოგადი თვისებები 18

საკონტროლო კითხვები *24*

თავი III

კერძო და იურიდიული ტერმინოლოგია 25

საკონტროლო კითხვები *47*

თავი IV

ქართულ სამართალშემოქმედებით საქმიანობის განვითარებისა და თანამედროვე მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა 50

§1. ზოგი რამ საქართველოს კანონმდებლობისა და ქართული იურიდიული აზროვნების ისტორიული განვითარების შესახებ 50

§2. ქართველი მეცნიერ-იურისტების სამართალშემოქმედებითი საქმიანობა გასული საუკუნის ოქტომბრის რევოლუციიდან დღემდე 55

საკონტროლო კითხვები *69*

თავი V

იურიდიული კადრების მომზადებისა და იურიდიული მეცნიერების განვითარების პრობლემა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე 70

§1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, როგორც იურიდიული კადრების მომზადებისა და იურიდიული მეცნიერების განვითარების ძირითადი კერა 70

§2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ორგანოები 74

საკონტროლო კითხვები *99*

თავი VI

სამართლისა და კანონმდებლობის განვითარების თანამედროვე აქტუალური საკითხები 101

§1. მეცნიერ-იურისტებისა და სამართალდამცავი ორგანოების ზრუნვა კადრების მომზადებასა და სამართალშემოქმედებასთან მიმართებაში 101

§2. იურიდიული სამსახურის გაუმჯობესების პრობლემა იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და კანონიერების დაცვა-განმტკიცების საქმეში 106

§4. იურიდიული სამსახურის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების პრობლემა დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში 108

საკონტროლო კითხვები *115*

თავი VII

შემაღლებით იურიდიული დაწესებულებებისა და XX საუკუნის მოღვაწე მეცნიერ-იურისტების საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა 116

§1. უძალლესი იურიდიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ზოგადი დახასიათება 116

§2. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწე მეცნიერ-იურისტების საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა 122

საკონტროლო კითხვები *136*

თავი VIII

მეცნიერ-მუშაკობის მოწაფეობა თანამედროვე სასამართლო რეფორმის მიმდინარეობაში 137

§1. მეცნიერ-იურისტების მონაწილეობა საქართველოში მოქმედ საქმიანობაში 137

§2. მეცნიერ-იურისტების წინაშე მდგომი ამოცანები სასამართლო რეფორმის სწორად განხორციელების საქმეში 144

საკონტროლო კითხვები *146*

თავი IX

იურიდიული პროფესია და მუშაკობის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები 147

§1. იურიდიული პროფესიის ცნება, არსი და მნიშვნელობა 147

§2. იურიდიული სამსახური, როგორც მმართველობის განსაკუთრებული საქმიანობა 151

§3. იურიდიული პროფესიონალიზმის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი 152

საკონტროლო კითხვები *160*

თავი X

იურისტის პროფესიული ორიენტაცია და მომზადება 162

§1. იურისტობისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი აუცილებელი ნიშანი 162

§2. იურიდიული პროფესიის ორიენტაციის შერჩევა 164

§3. იურიდიული სამსახურის პერსონალური ორიენტაცია 166

საკონტროლო კითხვები *168*

თავი XI

სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ზოგადი დახასიათება 169

§1. სასამართლო, როგორც დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთადერთი ორგანო 169

§2. პროკურატურა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი სამართალდამცავი ორგანო, მისი უფლებამოსილება 172

§3. იუსტიციის სამინისტრო 175

§4. საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტრო 176

§5. საარბიტრაჟო სასამართლო 178

§6. ადვოკატურა 179

§7. საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი დახასიათება 180

§8. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ზოგადი დახასიათება 182

§9. სახელმწიფოს სხვა მაკონტროლებელ და ადმინისტრაციულ ორგანოებში იურისტთა საქმიანობის ზოგიერთი სპეციფიკურობა 184

საკონტროლო კითხვები *187*

თავი XII

უშიშროების ძირითადი პროფესიული საქმიანობის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება და შფლებამოსილება 189

§1. გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკის საქმიანობის ზოგადი დახასიათება 189

§2. სამოსამართლო საქმიანობის ზოგადი დახასიათება 194

§3. პროკურორის საქმიანობის ზოგადი დახასიათება 197

§4. ქსპერტი, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე 200

§5. ადვოკატი სისხლის სამართალწარმოებაში, მისი უფლებამოსილების ზოგადი დახასიათება 203

§6. იურისტების საქმიანობა სამართალდამცავ და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში 209

საკონტროლო კითხვები *210*

თავი XIII

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია 212

§1. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიების ზოგადი მიმოხილვა 212

§2. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ არსებული მატერიალისტური, ანუ მარქსისტული თეორიის ზოგადი მიმოხილვა 218

§3. სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და წესწყობილების ფორმები 225

§4. სამართლის არსი და კავშირი ზნეობასთან 227

§5. სამართლის წყაროები, ნორმის სტრუქტურა და სამართლის ნორმათა სისტემატიზაცია 229

§6. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები, სამართალდარღვევის ცნება და სახეები 231

საკონტროლო კითხვები *234*

თავი XIV

სახელმწიფო, ანუ კონსტიტუციური სამართალი 236

§1. სახელმწიფო, ანუ კონსტიტუციური სამართლის ცნება, არსი და მნიშვნელობა 236

§2. მოქალაქეობის მიღებისა და დაკარგვის კონსტიტუციური პრინციპი 238

§3. საარჩევნო სისტემა 239

§4. საქართველოს პარლამენტი 240

საკონტროლო კითხვები 242

თავი XV

სამოქალაქო სამართალი 244

§1. სამოქალაქო სამართლის ცნება, არსი, მნიშვნელობა, წყაროები და სისტემა 244

§2. საკუთრების ცნება და მისი ელემენტები 247

§3. მემკვიდრეობითი სამართლის ზოგადი დახასიათება 248

§4. სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების ზოგადი დახასიათება 252

§5. საოჯახო სამართლის ზოგადი დახასიათება 254

საკონტროლო კითხვები 258

თავი XVI

სისხლის სამართალი 260

§1. სისხლის სამართლის ცნება, სისტემა, მიზნები და ამოცანები 260

§2. დანაშაულის ცნება და მისი იურიდიული შემადგენლობა 262

§3. განზრახი დანაშაულის განსაზღვრის სტადიები და თანამონაწილეობა 265

§4 სასჯელის ცნება, სასჯელი, მიზნები და ამოცანები 268

საკონტროლო კითხვები 269

თავი XVII

სისხლის სამართლის პროცესი 271

§1. სისხლის სამართლის პროცესის ცნება, არსი და მნიშვნელობა 271

§2. სისხლის სამართლის პროცესის სისტემა, ფუნქციები და სტადიები 273

§3. სისხლის სამართლის პროცესის მიზნები, ამოცანები, პრინციპები და სტადიები 276

საკონტროლო კითხვები 278

თავი XVIII

შრომის სამართალი 279

§1. შრომის სამართლის ცნება, მიზნები, ამოცანები და შრომითი ზელშეკრულების სუბიექტები 279

§2. სამუშაო დრო, დასვენების დრო და შრომის ანაზღაურების წესი 282

საკონტროლო კითხვები 284

თავი XIX

ადმინისტრაციული სამართალი 286

§1. ადმინისტრაციული სამართლის ცნება, არსი და მნიშვნელობა, მიზნები და ამოცანები 286

§2 პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული და დისციპლინური გადაცდომისათვის 287

საკონტროლო კითხვები 291

ლიტერატურა 292

მეთოდური მითითებები საკურსო ნაშრომების მოსამზადებლად 298

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჩიკვილაძე
ტექნიკური რედაქტორი ლ. ნინიკაშვილი
კორექტორი მ. კილაძე

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
ნაბეჭდი თაბახი 19,25
ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ., 112.